ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის 4 კანდიდატის დოსიე



25

რატომ ეცემა ლარი, რა სქემა მუშაობს ამ სფეროში, როგორ კეთდება დიდი ფული, კონკრეტულად რა თაღლითობასთან გვაქვს საქმე და როგორ უნდა იქცეოდეს ამ დროს მთავრობა?!

18


ყვითელი ქრონიკა

№4/732/ 25-31 იანვარი 2016 წ. ფასი 2 ლ

ორშაბათი ქრონიკა; სამშაბათი ალია; ოთხშაბათი ალია; ხუთშაბათი ალია; პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 2003 წლიდან


## ბიძინა კუჭავა — მსხვერპლი თუ სერიული მკვლელი?

რა ინფორმაციები მოაწოდეს „ქრონიკას“?



26

## ლარი გარბის! ხალხი აგრესიულ პანიკაშია! მთავრობა დაგვცინის! ტყემალაძე ტყემალზე ზის და ბლის კურკებს გვესვრის!!!

8

## „ვარდების რევოლუციიდან“ „ლარების რევოლუციისკენ“!!!

ზაზა პაპუაშვილი: „გვეყოს! უნდა დავიწყოთ რეალურად ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა“

რას უშველის ქართულ გაუბედურებულ ბიზნესს „ესტონური მოდელი“?

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სქემას გვიშიფრავს



14



# „კალაძეს არა მარტო თანამდებობას დაატოვებინებენ... არ გამოვრიცხავ, რომ მოკლან“

10

სინამდვილეში რისთვის ლაითხოვეს მერიის უსაფრთხოების სამსახურიდან 120 კაცი?



24

რას გვიყვებიან უკრაინიდან მიშა მესხის გახმაურებულ სკანდალზე?




32



## ლუკა კურტანიძე:

„ბიძინა ივანიშვილი არის ის ადამიანი, რომელიც გაღიარე ერისკაცად. მან ძალიან ბევრი საქმით დაამტკიცა თავისი კაცობა“

13

„რაც ჩვენს გარშემო ხდება, ამის ფონზე როცა საქართველოში ლარი 3-4 პუნქტით უფასურდება, ლამის კატასტროფად ხატავენ“

რით დამთავრდება ქართულ-სომხური ინტერნეტდაპირისპირება?

„მარეხ გოძიაშვილმა, რბილად რომ ვთქვათ, სომხური „ოხ სირუმ სირუმ“ გადმოაქართულა და „ახ ტურფავ, ტურფავ“, დაარქვა. რა ქნან ახლა სომხებმა, ამის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვიჩივლონ?“



15

## ლარს დედა აღარ ჰყავს, პრემიერმა — არაო, კაცო, არ ინერვიულოთო



პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ლარის კურსის გაუფასურებაში საგანგაშო არაფერია. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა დავოსში, ჟურნალისტებს განუცხადა, მთავრობა ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, ოპტიმისტურად არის განწყობილი.

– ეს არის კორექტირება ლარის კურსის, იმ დევალვაციასთან მიმართებაში, რომელიც გასულ დღეებში მოხდა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. აქ არაფერი საგანგაშო არ არის, ჩვენ გვაქვს ყველა მიზეზი, რომ ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილი, საქართველოში წელს იქნება საკმაოდ კარგი ეკონომიკური ზრდა. ჩვენ ვერანაირ საფუძველს იმისას, რომ რაიმე ნეგატიურს ვხედავდეთ ამაში, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ ვხედავთ, – განაცხადა პრემიერმა.

ლარი კი არ გაუფასურდა, მოხდა დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დაცემა, – ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომელიც ლარის გაუფასურებაზე საუბარს არასწორს უწოდებს.

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ლარი არ გაუფასურებულა. ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში დაეცა. იგივე კურსი აქვს შენარჩუნებული ევროსთანაც და სხვა ვალუტებთანაც. აქედან გამომდინარე, ლარი კი არ გაუფასურდა, მოხდა დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დაცემა. საიდან არის გამოწვეული?! რა თქმა უნდა, გამოწვეულია იმ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, რაც მიმდინარეობს არა მარტო ჩვენს გარშემო ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო, რა მდგომარეობაშია ნავთობის ფასი. მგონი, სარეკორდო ნიშნულამდეა დასული. აქედან გამომდინარე, ეს სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რეალობა, – აცხადებს ზურაბ ტყემალაძე. მისივე თქმით, ფასები მხოლოდ გარკვეულ პროდუქტზე გაიზარდა, გარკვეულ პროდუქტზე კი პირიქით – შემცირდა. ტყემალაძეს ამის მაგალითად ხილის ფასი მოჰყავს.

– ზამთარში, როცა ვაშლის ფასი 4-5 ლარი იყო, ნახეთ, დღეს რა ფასია. იმ საქონლის ფასი, რომელიც იმპორტზეა მიბმული, გარკვეული ნაწილით არის გაზრდილი, მაგრამ პროდუქტის, რომელიც ადგილობრივ წარმოებაზეა მიბმული – არა. ამიტომ არის, რომ ქვეყანა უნდა ზრუნავდეს, რათა ბაზარი ადგილობრივი საქონლით იყოს დაკმაყოფილებული, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდი რაოდენობით მაინც. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიმართულებებიც სწორედ იმაზეა ორიენტირებული, რომ ადგილობრივ პროდუქციას შევუწყოთ ხელი, – აცხადებს ტყემალაძე. (businesscontact.ge; bpn.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## ალექსანდრე თვალჭრელიძე — მთავრობას არ გააჩნია ფინანსური მექანიზმები, რომლებიც ლარს გააძლიერებს



ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძე ლარის კურსის ვარდნის რამდენიმე მიზეზს ასახელებს. როგორც თვალჭრელიძემ აცხადებს, ლარის გაუფასურების როგორც საგარეო, ისე საშინაო მიზეზებია. მათ შორის, თვალჭრელიძე გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად მთავრობის უმოქმედობას ასახელებს.

– ლარის კურსთან დაკავშირებით ოპტიმისტური მოლოდინები რამდენიმე მიზეზის გამო არ მაქვს. საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობა ლარისთვის სახარბიელო არ არის. მეორე მიზეზი არის საშინაო მიზეზი, რომელიც გამოწვეულია იმისგან, რომ დღემდე უცნობია, ვინ იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ასეთ სიტუაციაში ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ფრთხილობს და არსებით ქმედით ზომებს არ მიმართავს იმისთვის, რომ ლარი გააძლიეროს. მესამე მიზეზი არის ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი – მთავრობის პასიურობა ეროვნულ ბანკთან მიმართებაში და მთავრობის მხრიდან არარსებობა იმ ფინანსური მექანიზმებისა, რომლებიც ლარს გააძლიერებს, – აცხადებს თვალჭრელიძე. მისივე თქმით, მექანიზმები, რომლითაც ლარის კურსის დასტაბილურება შესაძლებელია, მარტივია.

– ეს მექანიზმები არის მარტივი. ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივად, ძალიან შეწყობილად უნდა გააკონტროლონ ყოველდღიურად ფარდობა მიმოქცევაში მყოფი უცხოური ვალუტისა და ეროვნული ვალუტის და შეამციროს მიმოქცევაში მყოფი ლარის ბანკნოტები, რაც თავის დროზე, 98 წლის რუსეთის დეფოლტის შემდეგ გააკეთა ირაკლი მანაგაძემ და ლარის კურსი შეინარჩუნა. ხისტი ქმედებებია მისაღები. ჩვენი ეკონომიკა ასეთ ქმედებებს ძალიან კარგად გაუძლებს, ხოლო მოსახლეობისთვის ეს იქნება შვება, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც დოლარში სესხი აქვს აღებული, – განაცხადა თვალჭრელიძემ.

მისივე თქმით, აბსოლუტურად არასწორია იმის ციტირება, რომ აზერბაიჯანული მანათი გაუფასურდა.

– პრეზიდენტმა ალიევმა სპეციალურად გააუფასურა მანათი იმისთვის, რომ რუსეთთან სავაჭრო ბალანსი დადებითი ჰქონდეს, – აღნიშნა ექსპერტმა. (bpn.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## „გადატრიალება მაესტროზე“: გოგელია საკონტროლო პაკეტს კარგავს — რა შუაშია პატარკაციშვილის ქვრივი




უახლოეს დღეებში ტელეკომპანია „მაესტროს“ ამჟამინდელმა ხელმძღვანელებმა მაკა ასათიანმა და მისმა მეუღლემ კოტე გოგელიამ, შესაძლოა, ტელევიზიაზე მართვის ბერკეტები დაკარგონ. არსებული ინფორმაციით, გოგელია-ასათიანი ამ დროისთვის არხის აქციათა მხოლოდ 45 პროცენტს განკარგავს, დანარჩენი 55 პროცენტი კი გიორგი გაჩეჩილაძეს, მამუკა ღლონტს, ლევან ჩიკვაიძეს, გიორგი ებრალიძესა და მაგდა აკობიას ეკუთვნით. ინფორმაციის თანახმად, საჯარო რეესტრში ცვლილება ჯერჯერობით ოფიციალურად გაფორმებული არ არის.

ძალთა ბალანსი იცვლება და გოგელია არხის საკონტროლო პაკეტს კარგავს, რასაც შესაძლოა, „მაესტროს“ მენეჯმენტსა და სარედაქციო პოლიტიკაში ცვლილება მოჰყვეს.

არაოფიციალური ინფორმაციით, 55 პროცენტის განმკარგავი გიორგი გაჩეჩილაძე („უცნობი“) ხდება, რომლის პარტნიორიც ამ გარიგებაში პატარკაციშვილების ქონებისა და აქტივების მმართველი ირაკლი რუხაძეა. რუხაძე პატარკაციშვილების კომპანია „ჰანეველ ენდ პარტნერსის“ ხელმძღვანელია. კომპანია ინა გუდავაძისა და პატარკაციშვილების საკუთრებაა.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ რამდენიმე კვირის წინ ტელეკომპანია „იმედმა“ დაახლოებით 5 მილიონად „მაესტროზე“ 1 წლით სარეკლამო დროის 100 პროცენტი იყიდა. (პირველი რადიო)

## საგარეო ვაჭრობა 13 პროცენტითაა შემცირებული, ექსპორტი კი — 23 პროცენტით“



ლარის კურსის საგანგაშო მაჩვენებელზე საუბრობენ „ნაციონალურ მოძრაობაში“. ოპოზიციური პარტია 2015 წლის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემებს ასაჯაროებს, რომლის მიხედვითაც, საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, 13 პროცენტით არის შემცირებული. საპარლამენტო უმცირესობის თქმით, სტატისტიკური მონაცემები ხელისუფლების მხრიდან საკითხის ზერელე დამოკიდებულებაზე მიანიშნებს და ლარის გაუფასურების ფაქტი ერთ-ერთი ინდიკატორია.

– საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით ვხედავთ, რომ სავალალო მდგომარეობა გვაქვს, რადგან ვაჭრობა დაახლოებით 13 პროცენტითაა შემცირებული, მათ შორის ექსპორტი შემცირებულია 23 პროცენტით, ნომინალში გამოხატული კი ესაა – 657 მილიონი დოლარი. ანუ ეს არის ის თანხები, რომელიც ქართულ ბაზარს შიდა მოხმარებისთვის დააკლდა და რაც პირდაპირ ურტყამს ლარის გაუფასურებას. ექსპორტთან ერთად, 10 პროცენტით შემცირებულია იმპორტი, რაც სამუშაო ადგილების შემცირებას ურტყამს. მნიშვნელოვანია ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც 180 მილიონიდან 95 მილიონამდეა ჩამოსული.

ესაა იმ პოლიტიკის შედეგი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ხორციელდება. ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ მათ რეალური გეგმა, რომელიც წაახალისებს ეკონომიკას, შეაჩერებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, ხელისუფლება კი მხოლოდ განცხადებებითაა შემოფარგლული და არა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, – განაცხადა ზურაბ მელიქიშვილმა. (პირველი რადიო)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-

## „ღორის გრიპის“ გავრცელებას სომხური მედია ჩვენ გვაბრალებს




სომხურ მედიასაშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ **H1N1**-ის ვირუსი საქართველოში არსებული რიჩარდ ლუგარის სახელობის საერთო კვლევითი ცენტრიდან ვრცელდება, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო პასუხობს. მისი განცხადებით, ასეთ ინფორმაციას საქმეში ჩაუხედავი ადამიანები ავრცელებენ.

– რაც შეეხება ლუგარის სახელობის ლაბორატორიას, ამაზე ხშირად ისმის კითხვები. ყველაზე რბილი შეფასებით, ეს საქმეში ჩაუხედავი ადამიანების შეხედულებაა, რომ არ ვთქვა უფრო რაღაც სპეკულაციური. ჩვენ ახლა საქმე გვაქვს გრიპის და გრიპისმიერი დაავადებების გახშირებულ შემთხვევებთან. თუ მოკლე ისტორიას შევხედავთ, ასეთი გრიპის გახშირებული დაავადებები და ეპიდემიები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოდის. პირველი, მემგონი, აღწერილია მეათე საუკუნეში. ყველაზე გამოკვეთილი გრიპის ეპიდემიის მაგალითი არის მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1918-20 წლებში მოხდა ასეთი ეპიდემია, რასთანაც ახლა ჩვენ გვაქვს შეხება, როდესაც მთელ მსოფლიოში ასი მილიონი ადამიანი დაიღუპა ამით.

ეს, რასაც ეხლა ჩვენ ვეხებით, ამაზე შუა საუკუნეებიდან გვაქვს ინფორმაცია და ეს ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა. ვირუსის პირველი ინდენტიფიკაცია 1888-ში გააკეთეს, თუ არ ვცდები, იდენტიფიკაცია და არა მისი სინთეზი. ის, რომ ვიღაც მჯდარიყო ლუგარისმაგვარ ლაბორატორიაში ჩამოსასხმელი აპარატით და დაეშტამპა ეს ვირუსები, ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ის, რომ ამას ახლა ლუგარში ავრცელებენ. ლუგარის ლაბორატორიის ფუნქცია ის არის, რომ სწრაფი დეტექცია მოახდინოს და შესაბამისი რეაგირების საშუალება მოგვცეს, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (ipress.ge)

## მაქინაციები ელექტრომრიცხველებზე: კახა კალაძე შესაძლოა, ახალ სკანდალში გაეხვიოს



ენერგეტიკის მინისტრი შესაძლოა, ახალ სკანდალში გაეხვიოს. სკანდალური მიმოწერიდან ირკვევა, რომ შესაძლოა, კახა კალაძის ახლობელი თბილისში „ყაზტრანსგაზისგან“ ბუნებრივი აირის დიდ მოცულობას იპარავდა და ამ გზით ფინანსურ სარგებელს იღებდა. მიმოწერა „ყაზტრანსგაზის“ დროებით მმართველებს ირაკლი გაბუნიასა და გიორგი ბენაშვილს ეკუთვნით.

გიორგი ბენაშვილი „თბილგაზში“ გადაყვანამდე „კალა-კაპიტალის“ დაცვის ხელმძღვანელი იყო.

მიმოწერის თანახმად, ქსელზე დამონტაჟებული მრიცხველების დიდი ნაწილი მწყობრიდან არის გამოსული, რაც თანამშრომლებს გარკვეული მაქინაციების საშუალებას აძლევს.

„კურიერს“ წყარომ მიაწოდა საბუთები, რომლიდანაც ირკვევა, რომ გაზგანაწილების აღრიცხვა თბილისის მასშტაბით დიდი ხანია, მოშლილია და ამ გზით კომპანია მნიშვნელოვან შემოსავალს კარგავს. თბილისის ცალკეულ უბნებზე დანაკარგი 100 პროცენტსაც კი აღემატება.

„ყაზტრანსგაზში“ არსებულ ვითარებაზე კითხვები ყაზახურ მხარესაც აქვს. (rustavi2.com)

## „ნაციონალური მოძრაობა“ პრეზიდენტს მოუწოდებს, „გაზპრომთან“ დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიოს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის გიორგი კანდელაკის განცხადებით, საქართველოს მთავრობის მხრიდან ქვეყნის „გაზპრომზე“ დამოკიდებულების გასაზრდელად მიმართული მცდელობის ერთ-ერთი მიზეზი, ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის ფინანსური ინტერესია. როგორც კანდელაკმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აუცილებელია, ბიძინა ივანიშვილის არჩევნების გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორებამდე მთავრობას არ მიეცეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და მოქალაქეების კეთილდღეობისთვის დამანგრეველი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

– როგორც ოპოზიციის, ასევე, საზოგადოების მხრიდან არაერთხელ გამოითქვა ეჭვი, რომ საქართველოს „გაზპრომზე“ დამოკიდებულების გასაზრდელად მიმართული მთავრობის აგრესიული მცდელობის ერთ-ერთი მიზეზი, ბიძინა ივანიშვილის ფინანსური ინტერესიცაა. ამ ეჭვის თანახმად, ივანიშვილს, რომელიც ოფიციალური ცნობებით წარმოადგენდა „გაზპრომის“ ყველაზე მსხვილ მეწილეს – საკუთარი მილიარდდოლარიანი წილი ამ ორგანიზაციაში არ გაუყიდია. წამყვან შვეიცარიულ გაზეთებში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანიის აქციებში ინვესტირების გამო ბანკ „კრედიტ სუისში“, რომელშიც მას დაახლოებით მილიარდი აშშ დოლარი აქვს განთავსებული, 100 მილიონ აშშ დოლარი იზარალა. ურყევი რეპუტაციის გაზეთები, მაგალითად, როგორიცაა **LLe Temps** და **Handelszeitung** ივანიშვილს „გაზპრომის“ მეწილედ მოიხსენიებენ. ამდენად, მსგავსი სანდოობისა და



მყარი რეპუტაციის წყაროები ადასტურებენ იმას, რაც ქართველი ხალხისთვის ისედაც ცხადია: გარდა რუსეთის, ოკუპანტი სახელმწიფოს გავლენის ზრდისა, „გაზპრომთან“ დაკავშირებით მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ბიძინა ივანიშვილის ჯიბეცაა. სახეზეა უმწვავესი კონფლიქტი ამ პიროვნების ჯიბისა და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის, – აცხადებს გიორგი კანდელაკი. „ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, მოიწვიოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა, სადაც „გაზპრომთან“ დაკავშირებით იმსჯელებენ.

– ჩვენი მხრივ, მზად ვართ ამ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. აუცილებელია ივანიშვილის არჩევნების გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორებამდე ამ მთავრობას არ მიეცეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის დამანგრეველი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ოპოზიცია და საზოგადოება ამას არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს, – აღნიშნა კანდელაკმა. (bpn.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## ბარაკ ობამა: რუსეთი იზოლირებულია, მისი ეკონომიკა კი დაშლილია



აშშ-ის მიერ უკრაინის მხარდაჭერა ამერიკული ძალისა და დიპლომატიის დემონსტრირება იყო, რომელმაც მოსკოვი და მისი ეკონომიკა იზოლაციაში მოაქცია, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესისთვის ყოველწლიური მიმართვისას განაცხადა.

– რუსეთის აგრესიისთვის წინააღმდეგობით, უკრაინის დემოკრატიის მხარდაჭერითა და ნატოს მოკავშირეების თანადგომით, ჩვენ ვიცავთ პრინციპს, რომ დიდ სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება, დაემუქრონ მცირე სახელმწიფოებს, – აღნიშნა ბარაკ ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, გასულ წელს აშშ-მა რთული სამუშაო შეასრულა, როდესაც მოკავშირეებთან ერთად რუსეთს სანქციები დაუწესა მაშინ, როცა ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ პუტინის აგრესია მისი სტრატეგიისა და ძალის ოსტატური გამოვლინებაა.

– დღეს ამერიკა ძლიერი და ერთიანია ჩვენს მოკავშირეებთან ერთად, რუსეთი იზოლირებულია, მისი ეკონომიკა კი დაშლილია. სწორედ ასე მიიწევს წინ ამერიკა – არა ფუჭი მუქარით, არამედ მუდმივი, ურყევი სიმტკიცით, – აღნიშნა ბარაკ ობამამ. (ინტერპრესნიუსი)

## აკრძალა თუ არა სტრასბურგის სასამართლომ ჩვილთა ნათლობა?



სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს სტრასბურგის სასამართლომ ევროპაში ჩვილთა ნათლობის აკრძალვა დააკანონა. ცხადია, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება!

სადვთისმეტყველო ცენტრის ერთ-ერთი წევრი – დეკანოზი თამაზ ლომიძე, რომელიც მიუნხენის წმ. ვახტანგ გორგასლის სახ. ეკლესიაში მსახურებს, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე აცხადებს:

– მორიგი ტყუილი გავრცელდა, თითქოს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით 2016 წლიდან ევროპაში ჩვილების ნათლობა იკრძალება. ვერც ერთ სერიოზულ ევროპულ მედიაგამოცემაში, ვერც ვატიკანის და ვერც თვით სტრასბურგის სასამართლოს გვერდებზე ვერ იპოვით მსგავს ინფორმაციას.

მორიგი დეზინფორმაციაა ანტიევროპული განწყობის გასაღვივებლად!

**P.S.** ეს რომ ასე იყოს, ამის შესახებ პირველ რიგში ევროპაში მოქმედმა ეკლესიებმა უნდა ვიცოდეთ, მათ შორის ჩვენც. სხვათა შორის, ამ კვირაში ორი ჩვილი მოვნათლეთ უკვე.

შევეცადეთ, დაგვეზუსტებინა, საიდან იღებს სათავეს ეს დეზინფორმაცია.

როგორც გაირკვა, ჭორი ერთ-ერთი იტალიური წყვილის კონფლიქტის გამო გაჩნდა, სადაც დედა მისი შვილის ნათლობას აპროტესტებდა. მიუხედავად დედის წინააღმდეგობისა, მამამ შვილი მაინც მონათვლინა. დედამ სარჩელით ჯერ იტალიის სასამართლოს მიმართა, ხოლო უარის შემდგომ **ECHR**-ს **(European Court Of Human Rights)**. იტალიის ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემა დაუკავშირდა სასამართლოს და ოფიციალური ინფორმაცია გამოითხოვა. **ECHR** კატეგორიულად გამორიცხავს ჩვილთა ნათლობის აკრძალვის დაკანონებას. აღნიშნული საქმე კი ჯერაც გამოძიების მოლოდინშია. (orthodoxtheology.ge)

## ლევან ბერძენიშვილი: 25-პროცენტიან კვოტაზე „რესპუბლიკელებს“ პირველად გვესმის, ღრმად შოკში ვართ



– ეს არის ზღაპარი. პირველად გვესმის „რესპუბლიკელებს“, ღრმად შოკში ვართ, – ამის შესახებ „რესპუბლიკური“ პარტიის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განუცხადა, რომლის თანახმადაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „რესპუბლიკელები“ პარტიულ სიაში 25-პროცენტიან კვოტას ითხოვენ.

– ვერ ვადასტურებ, ჩემთვის უცნობია, ასეთი რამ არ გამიგია. პირველად გვესმის „რესპუბლიკელებს“, ვართ ღრმად შოკში“, – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა. (ipress.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## „მიშა მესხი უკრაინაში საქართველოს საკონსულოს დახმარებით გადარჩა“



კიევის ბორისპოლის აეროპორტში ინციდენტი, რა დროსაც, ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის მიღების გამო, მიშა მესხმა გონება დაკარგა, 3 კვირის წინ, ახალი წლის დღეებში მოხდა (მიშა მესხის და კი ამბობს, რომ ინციდენტი გასული წლის ნოემბერში მოხდა. – რედ.).

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მიშა მესხი და მისი მეგობარი, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს დახმარებით, უკრაინელმა ექიმებმა გადაარჩინეს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, უკრაინაში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლების ძალისხმევითა და ფინანსური დახმარებით, საქართველოს ორ მოქალაქეს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

მკურნალობის შემდეგ კი, მიშა მესხი და მისი მეგობარი უკრაინიდან საქართველოში გამოემგზავრნენ. მიშა მესხი 7 იანვარს, სამების საკათედრო ტაძარში იმყოფებოდა და შობის ღამეს იქ შეხვდა.

შეგახსენებთ, რომ სოციალურ ქსელში „ესპრესო ტვ“-მ ვიდეომასალა გამოაქვეყნა, სადაც ჩანს ტაქსის წინა სავარძელზე გადაწოლილი მიშა მესხი, ხოლო უკანა სავარძელზე – მისი მეგობარი, რომლებიც ნიშადურის სპირტიანი ბამბის ნესტოებთან მიტანაზეც არ რეაგირებენ. კადრების მიხედვით, მიშა მესხის გონზე მოსაყვანად მისი ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლის განცხადებით, ორივე მგზავრი მეტადონის ზემოქმედების ქვეშ იყო, ასევე, მათ თან ჰქონდათ აბები და სხვა საშუალებები, რომლებიც შესაძლოა, ნარკოტიკების ჯგუფს ეკუთვნოდეს. (kvira.ge)

## „თქვენი სიმღერა არ მომიპარავს, ბოდიშს ვიხდი, რომ ასე მოხდა“ — რას ამბობენ სომეხი კომპოზიტორი და მომღერალი?!



ინტერნეტსივრცეში გავრცელებულმა სომხურმა ვიდეორგოლმა ქართველ საზოგადოებაში უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია. კლიპში, სადაც სომხურ ენაზე სიმღერას სერობ არჯემიანი ასრულებს, გამოყენებულია ქართული მუსიკალური კულტურის ნიმუშის, სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“ მელოდია. თან მინიშნებულია, რომ ტექსტის ავტორი თავად მომღერალია, ხოლო მუსიკა თურმე მანუკ ხაჩატრიანს ეკუთვნის. სიმღერისთვის სახელად „ჰაიასტანი“ დაურქმევიათ, რაც სომხეთს ნიშნავს.

საზოგადოებაში შექმნილი აჟიოტაჟის გამო კომენტარი მოგვცა როგორც მომღერალმა სერობ არჯემიანმა, ასევე ამ სიმღერის კომპოზიტორად გამოცხადებულმა მანუკ ხაჩატრიანმა.

სერობ არჯემიანი:

– ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და თუ საჭირო გახდება, შეგვიძლია თბილისში ჩამოვფრინდეთ კიდეც. არ მომწონს ეს სიტუაცია, რაც ახლა ხდება და ეს პრობლემა გონივრულად უნდა მოვაგვაროთ.

თქვენს სიმღერას მხოლოდ გარკვეული ნაწილი – მისამღერი ემთხვევა, მაგრამ ყველაფერი რომც ემთხვეოდეს, რა მოხდა მერე? – სიმღერის ტექსტი თითქმის მთლიანად მე დავწერე. წავედი სომხეთში, რომ ტექსტისთვის სიმღერა და არანჟირება გაეკეთებინათ. რამდენიმე დღის შემდეგ კი, გამომიგზავნეს არანჟირება. მომეწონა მუსიკა და ჩავწერე სიმღერაც! არ ვიცოდი და ვერც წარმოვიდგენდი, რომ მსგავსი სიმღერა უკვე არსებობდა.

მანუკ ხაჩატრიანი:

– ეს მუსიკა ჩემით დავწერე. აღმოჩნდა, რომ მისამღერი ქართული სიმღერის მელოდიას დაემთხვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობაა. არავისი მუსიკა არ მომიპარავს არც აქამდე და არც ახლა. ვწუხვარ, რომ ასეთი სიტუაცია შეიქმნა, თუმცა, გარწმუნებთ, მთელი სიმღერის მელოდია დავწერე. აქამდე არც მომისმენია ეს ქართული სიმღერა. ჩვენ მსგავსებები ნებისმიერ სიმღერაში შეიძლება ვიპოვოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიმღერა კოპირებულია.

თქვენი სიმღერა არ მომიპარავს და ბოდიშს ვიხდი, რომ ასე მოხდა. (kvirisalitra.ge)

# „ნარკომანია, ლოთობა ავადმყოფობა არ არის — ცხოვრებისეული არჩევანია“ — რას წერენ „ფეისბუკზე“ ცნობილი სახეები მსახიობზე გავრცელებული ვიდეოს შესახებ



უკრაინულ საიტებზე გავრცელებულ ვიდეომასალას, რომელზეც ასახულია ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი მსახიობი მიშა მესხი და მისი მეგობარი, ცნობილი სახეების მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. აი, რას წერენ ცნობილები „ფეისბუკის“ პირად გვერდებზე:

**ნანუკა ჟორჟოლიანი**

– ადამიანი, რომელიც მოიხმარს ნარკოტიკს, არის ავადმყოფი და არა კრიმინალი. ავადმყოფებს კი, როგორც ვიცი, არ ლანძღავენ, მკურნალობენ მათ. ვერ ვიგებ, რა უფრო ცუდია: ის, რაც დაემართათ, თუ საზოგადოების ისტერიული რეაქცია.

**ნიკა გვარამია**

– მიშა მესხის ვიდეოს გადაღებისა და გავრცელების ფაქტი არის სამარცხვინო. ამ ვიდეოში მოღადავე ექიმები და პოლიციელები – ათჯერ უფრო სამარცხვინო.

მიშა მესხი შეიძლება არცხვენს თავის ერს (მე არ ვგრძნობ თავს შერცხვენილად, მაგრამ დავუშვათ), მაგრამ ამ ვიდეოს გადამღები, ამ ფორმით (სახეების დაბლარვის გარეშე), გამსაჯაროებელი და განსაკუთრებით დაკავებულზე/ავადმყოფზე მოღადავე პოლიცია და სამედიცინო პერსონალი (ზუსტად ეგენი არიან ერის სახე და არა ნარკომანი) პირდაპირ მეტყველებენ საკუთარი საზოგადოების ჩამორჩენილობაზე.

**ია ფარულავა**

– ეს რა „ჟივუჩი“ ვინმეა... მიშა მესხი – ბევრს ასეთი ბედი არა აქვს. ერთხელაც იქნება და წაიღებს წერილს, თუ აზრზე არ მოვიდა... ნამდვილად ნიჭიერია და ნამდვილი კოლორიტია, მაგრამ მასაც მალე დავკარგავთ, თუ თავს არ უშველა...

**ნიკა ქავთარაძე**

– ეკონომიკა თავზე დაგვენგრა, ლარი კვდება და ყველა მაინც იმაზე ვქოთქოთებთ, მიშა მესხს რომ ნარკოტიკები უყვარს. სომხებმა „ყვავილების ქვეყანა“ რომ მიითვისეს – ეს გადავიტანეთ, იმედია.



**თამარა ჩერგოლეიშვილი**

1. ნარკომანია, ლოთობა ავადმყოფობა არ არის — ცხოვრებისეული არჩევანია, რომელიც შესაძლოა, ცუდი შედეგით (ავადმყოფობით და სიკვდილით) დასრულდეს. ავადმყოფობა არის ლეიკემია, კიბო, შიდსი.

2. ქმედუნარიან ადამიანებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავის თავს ის დაუშავონ, რისი ხოშიც აქვთ — თუ სხვას არ აყენებენ ზიანს.

3. პოლიცია საჯარო სივრცეში მუშაობისას, რას გადაიღებს და გაუშვებს, მისი გადასაწყვეტია, თუ საქმე არასრულწლოვანს არ ეხება.

4. დაწყნარდით. ტელევიზორში თუ არ ნახეთ, ისე არ იცით, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები არსებობენ? ბოუის რომ ტიროდით ნახევარი „ფეისბუკი“, რა გგონიათ, რამდენი კილო კოკაინი შეუშვა ცხვირში, სანამ მოკვდებოდა?

.შ. მე-5 პუნქტს დავამატებ — იმის მტკიცება, რომ მიშა მესხმა „საქართველო შეარცხვინა“, არის სრული იდიოტიზმი. ვიღაცის ინდივიდუალური არჩევანი (თუ ხალხის მიერ არჩეული თანამდებობის პირი არ არის), არ შეიძლება მე, ან რომელიმე ჩემს თანამოქალაქეს არცხვენდეს.

ბიძინას გამო შეიძლება შეგვრცხვეს — ჩვენ ავირჩიეთ და ვთხოვეთ, ქვეყანა ემართა, აი, მიშა მესხი რას იზამს — დაიკიდეთ.

**ირაკლი ღლონტი („რეფორმატორების“ ლიდერი)**

– მიშა მესხის ვიდეოს გავრცელება არ მიმაჩნია სწორ საქციელად! მიუხედავად იმისა, რომ ჩემში უკმაყოფილება გამოიწვია მისი ამ მდგომარეობაში ხილვამ, ვფიქრობ, რომ ამ ადამიანს აქვს უფლება, მისი სენის შესახებ არ ვრცელდებოდეს ნიუსები და თრობის ქვეშ გადაღებულ კადრებზე არ ქილიკობდეს საზოგადოება. უფრო მეტი პატივისცემა გვმართებს საკუთარი თანამოქალაქეების მიმართ!

**გიგლა თუმანიშვილი („რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი)**

– რატომ ამოხტით ტრუსიკებიდან მიშა მესხის გამო? ადამიანი არის ავად!!! მე დღეს მიშა მესხი ვარ!!! (ambebi.ge)



# ირაკლი ვაჭარაძეს „იდენტობის“ თანხების მითვისებაში ადანაშაულებენ და პროკურატურაში უჩივიან



„იდენტობის“ წარმომადგენელს და ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს, ირაკლი ვაჭარაძეს თანხების მითვისებაში ადანაშაულებენ.

როგორც „იდენტობის“ ყოფილი იურისტი ნინო ბოლქვაძე წერს, „ლგბტ“ თემის წარმომადგენლებმა ვაჭარაძის წინააღმდეგ სარჩელი უკვე შეიტანეს. საქმე ეხება ორგანიზაციისთვის განკუთვნილი თანხების მითვისებას. „იდენტობის“ წევრები ვარაუდობენ, რომ ვაჭარაძე ორგანიზაციის თანხებს პირადი კეთილდღეობისთვის და კომფორტისთვის იყენებდა.

ორგანიზაციის ყოფილი იურისტი ნინო ბოლქვაძე წერს, რომ ვაჭარაძე თანამშრომლებს აიძულებდა, საკუთარი ხელფასები მისთვის გადაეცათ, რის შემდეგაც ის ორგანიზაციისთვის შენობას შეიძენდა, თუმცა ვაჭარაძეს ორგანიზაციისთვის ოფისი არ უყიდია, საკუთარ სახელზე კი ამავე პერიოდში უძრავ ქონებას იფორმებს. საუბარია ლუბლიანას ქუჩაზე ახალაშენებულ კორპუსში მდებარე ბინაზე და ივერთუბანში 400 კვადრატულ მეტრ მიწაზე, მასზე განლაგებულ 150 კვადრატულ სახლზე – როგორც აღმოჩნდა, ვაჭარაძემ ბინა 2013 წელს შეიძინა.

ამ ამბავს წინ უძღოდა ვაჭარაძის კონფლიქტი ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომელიც შრომით ანაზღაურებას ეხებოდა. მოგვიანებით, სწორედ ამ თანამშრომლის განცხადების საფუძველზე გახდა ცნობილი, რომ ვაჭარაძე, იმავე პიროვნების დახმარებით ცდილობდა ქონების საკუთარ სახელზე რეგისტრაციას.

– 11 იანვარს „იდენტობის“ აღმასრულებელ დირექტორს, ირაკლი ვაჭარაძესა და „იდენტობის“ ერთ-ერთ თანამშრომელს, პირობითად დ.ბ.-ს შორის დაახლოებით 30 თანამშრომლის თანდასწრებით მოსდით კონფლიქტი, რომელიც შრომით ურთიერთობას ეხება. კამათის ძირითადი თემაა, ეკუთვნის თუ არა დ.ბ.-ს ანაზღაურებადი შვებულება (დ.ბ. ამტკიცებს, რომ ეკუთვნის, ხოლო ირაკლი ვაჭარაძე ამტკიცებს, რომ არა). იმავე დღეს დ.ბ. „იდენტობის“ თანამშრომლების თანდასწრებით აცხადებს, რომ ირაკლი ვაჭარაძეს ორგანიზაციის კუთვნილი ფულადი თანხებით აქვს შეძენილი და საკუთარ სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება. დ.ბ.-ს განმარტებით, ირაკლი ვაჭარაძემ ისარგებლა მისი დახმარებით, როდესაც აღნიშნულ ქონებას 2015 წლის ოქტომბერში საკუთრებაში იფორმებდა. დ.ბ.-სგან ვიგებ ასევე, რომ ირაკლი ვაჭარაძეს 2013 წლის აპრილში ნაყიდი აქვს კიდევ ერთი უძრავი ნივთი, კერძოდ 70 კვ. ბინა ახალაშენებულ კორპუსში ლუბლიანას ქუჩაზე, რომელიც ახლახან გაარემონტა.

12 იანვრიდან 15 იანვრამდე დ.ბ. ცდილობს, მიაღწიოს ირაკლი ვაჭარაძესთან შეთანხმებას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტაზე (მიიღოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაცია), ვინაიდან ირაკლი ვაჭარაძე ატყობინებს მას, რომ ის განთავისუფლებულია სამსახურიდან. ამ პროცესში მე ვცდილობ, ხელი შევუწყო დასაქმებულის, ანუ დ.ბ.-ს ინტერესებს, ვინაიდან სამსახურიდან განთავისუფლება აღმასრულებელ დირექტორთან კამათის გამო შრომის კოდექსის მოთხოვნებთან აშკარად შეუსაბამოა, – წერია განცხადებაში.

ირაკლი ვაჭარაძე კომენტარისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ ჭორებზე კომენტარს ვერ გააკეთებს. (argumenti.ge)



# კახა კალაძე — მე გადავწყვეტ, როდის უნდა მივიდე პარლამენტში და არა ბატონი წიკლაური, როდესაც ნაბახუსევზე გაიღვიძებს



ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა შოუს დადგმა მისი პარლამენტში მისვლით, თუმცა ის თანახმაა ამ შოუში მიიღოს მონაწილეობა. ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, აპირებს თუ არა ის „გაზპრომის“ საკითხზე პარლამენტში მისვლას.

– პარლამენტში მისვლაზე გავაკეთე განცხადება, რომ მზად ვარ, ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანთან – ექსპერტები იქნებიან ესენი, არასამთავრობოები თუ სხვა, ამ კონკრეტულ თემაზე შესახვედრად. ასევე, პარლამენტში აუცილებლად მივალ. ცხადია, მათ უნდათ შოუს დადგმა. მე თანხმა ვარ მონაწილეობა მივიღო ამ შოუში, თუმცა როდესაც დრო მექნება, ამასთან დაკავშირებით წინასწარ ვაცნობებ მათ და არა როდესაც ბატონი წიკლაური ნაბახუსევზე გაიღვიძებს და მოინდომებს კალაძის მისვლას პარლამენტში. ამას მე გადავწყვეტ, როდის უნდა მივიდე, – განაცხადა კახა კალაძემ. რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან „ნაციონალურ მოძრაობას“ წერილობით აცნობა პარლამენტში მისვლის თაობაზე უარი, კალაძე აცხადებს, რომ იმ პერიოდში ვენაში იყო და ამიტომ პარლამენტში მისვლას ვერ მოახერხებდა.

(bpn.ge)

# რა ბედი ელით გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელ ქართველებს



გერმანია ლტოლვილებისთვის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა – სწორედ ამიტომაც გასულ წელს მიგრანტების ყველაზე დიდი ნაკადი გერმანიის საზღვრებს მიადგა. თავშესაფრის მაძიებელთა რეკორდულად ზრდამ ქვეყანას სერიოზული პრობლემა შეუქმნა – 31 დეკემბერს გერმანიის რამდენიმე ქალაქში ძარცვისა და ქალებზე მიგრანტთა მიერ სექსუალური ხასიათის თავდასხმის ასობით ფაქტი დაფიქსირდა. პოლიციაში სულ 838-მა ადამიანმა შეიტანა საჩივარი, აქედან 381 სექსუალური ხასიათისაა. პოლიციის ინფორმაციით, თავდამსხმელების დიდი ნაწილი მიგრანტები იყვნენ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონიდან.

მსგავსი მასშტაბური თავდასხმები გერმანიაში უპრეცედენტო რაოდენობას აღწევს.

ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელთა ნაწილი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საზღვრების ჩაკეტვის ინიციატივით გამოდის. განსაკუთრებით კრიტიკულად უდგება მიგრაციის კრიზისს გერმანიის ყველაზე მდიდარი რეგიონი – ბავარია, რომელიც თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით ქვეყანაში ლიდერია. თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადის შეჩერების მიზნით, გასულ კვირას ბავარიის მთავრობა ე.წ. უსაფრთხო ქვეყნების სიის გაფართოების ინიციატივით გამოვიდა. სიაში საქართველოს შეყვანაც სურთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან გერმანიაში ჩასულ ლტოლვილებს თავშესაფარზე უარს ეტყვიან, რადგან საქართველო უსაფრთხო ქვეყნად ჩაითვლება.

გერმანიაში მცხოვრები ქართველების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანა ქვეყნის იმიჯისთვის კარგი იქნება, თავშესაფრის მაძიებელი ქართველებისთვის კი – ცუდი.

რამდენად გართულდება ქართველებისთვის გერმანიაში წასვლა, ეს გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. მანამდე კი ბერლინმა ომს გაქცეული მიგრანტების ბედი უნდა გადაწყვიტოს. (bpn.ge)



მაგთი
MAGTI
ბანი
როუმინგის დაბალი ტარიფები
უკვე ინტერნეტზეც!
ინტერნეტპაკეტები
5 ლარიდან
LTE
MAGTI
www.magticom.ge
11 00 11 ნებისმიერი ქსელიდან
მაგთიკომის ქსელიდან ზარი უფასოა
*137# OK

## იტალიაში კრიმინალური დაჯგუფების წევრი 10 ქართველი დააკავეს




იტალიის ქალაქ ფლორენციაში პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად 12 პირია დაკავებული, აქედან 10 ქართველია. პოლიციის ინფორმაციით, ყველანი სახლების დამლაგებლებად და მომვლელებად მუშაობდნენ. კრიმინალური დაჯგუფების წევრები სახლის მეპატრონეების გასაღებებს იყენებდნენ და ძვირფასეულობას იპარავდნენ.

პოლიციის ოპერაცია გასული წლის დეკემბერში დაიწყო. კრიმინალებთან დაკავშირებული ორი ადამიანი ამ დრომდე იძებნება. იტალიის პოლიცია დაკავებულების გვარებს ასახელებს. ესენი არიან: ალექსანდრე ბადუაშვილი, ვალერი დულარიძე, შაქრო ელიაშვილი, დემურ გობეჯიშვილი, უშანგი გორგოძე, ილია კოჩევი, ბესიკ მამალაძე, თამაზ მდივანი, ინა ნემსაძე, მიხალ პოლიაკი, დავით შუბითიძე და თეონა სილაგაძე. (kvira.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## „დაიოშ", „გაგჟიმონ", „ბლიად" — რას ასწავლიან არასრულწლოვნებს ქართულ სკოლებში


დაიოშ! მერე აბხაზებმა რომ დაგიჭირონ და გაგჟიმონ?
– რათ უნდა დამიჭირონ.
– როგორ რათ, ქართველი ხარ?
– ხო, მერე?
– მერე მაგათ ქართველები არ ევასებათ.
– რა ეცოდინებათ, რო ქართველი ვარ.

ქართული ენა და ლიტერატურა
IX კლასის სახელმძღვანელო
ვახტანგ როდონაია (ჯგუფის ხელმძღ...
ნინო ნაკუდაშვილი,
ავთანდილ არაბული,
მარინე ხუციშვილი

– დაიოშ! მერე აბხაზებმა რომ დაგიჭირონ და გაგჟიმონ?

– რათ უნდა დამიჭირონ?

– როგორ რათ? ქართველი ხომ ხარ?

– ხო, მერე?

– მერე მაგათ ქართველები არ ევასებათ, – ეს ამონარიდია ქართული ენისა და ლიტერატურის მე-9 კლასის წიგნიდან, რომელსაც გრიფი განათლების სამინისტრომ 2012 წელს მიანიჭა. წიგნი ვახტანგ როდონაიას ხელმძღვანელობით არის გამოცემული და სწავლება დღესაც მიმდინარეობს.

ამავე წიგნში კიდევ ერთ ტექსტს შეხვდებით:

– გადავწყვიტე გოშკა მენახა, იმან ყველაფერი იცოდა, ალბათ, ისიც ტყვარჩელში რომ უნდა ჩავსულიყავი.

– ნუ ბლიად, – მითხრა გოშკამ...

ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ განათლების სამინისტროს დავუკავშირდით და სკოლაში მსგავსი ტექსტების სწავლის მიზანშეწონილობაზე ვკითხეთ.

ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, განათლების სამინისტროში გვითხრეს, რომ ეს ტექსტი ნამდვილად არსებობს და რატომ მოხდა ეს კონკრეტული მასალა სასწავლო წიგნში, მათთვის უცნობია.

კითხვაზე, რა კრიტერიუმებით ხდება სასწავლო-საგანმანათლებლო წიგნებისთვის გრიფის მინიჭება, უწყების პრესსამსახურში გვითხრეს, რომ გრიფის მინიჭების წესები ახალია და ამ დროისთვის დადგენილი არ არის. უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნატა ასათიანის თქმით, საკითხს აუცილებლად შეისწავლის შესაბამისი სამმართველო და ინფორმაციას უახლოეს დღეებში მოგვაწვდიან.

– სამწუხაროდ, ეს ტექსტები ნამდვილად არის სასწავლო წიგნში, დეტალებს სამმართველოს შესაბამის უწყებებთან დავაზუსტებ და მოგაწვდით ინფორმაციას, – განაცხადა ნატა ასათიანმა. (argumenti.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## ელისო ჩაფიძეს ტყიბულის მაჟორიტარობაზე უარი უთხრეს, მას ოთარ აბესაძე ჩაანაცვლებს



საქართველოს პარლამენტის წევრი, ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე, მომავალ არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი აღარ იქნება.

გადაწყვეტილებმა კოალიცია „ქართული ოცნების" არაფორმალურმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა უკვე მიიღო.

ტყიბულში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად „ქართული ოცნება" განათლების მინისტრის მრჩეველს, „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის ლიდერს, ოთარ აბესაძეს დაასახელებს.

ივანიშვილი ამ ეტაპზე, ასევე არ აკმაყოფილებს ელისო ჩაფიძის თხოვნას კოალიციის საარჩევნო სიაში მისი ჩასმის შესახებ.

თუ ჩაფიძე სიაში საბოლოოდ ვერ მოხვდა, მისი შემდგომი დასაქმების ერთ-ერთ ვარიანტად „საზოგადოებრივი მაუწყებელი" განიხილება.

რა პოზიციაზე გააგრძელებს საქმიანობას ყოფილი ჟურნალისტი და ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრი საზოგადოებრივ მაუწყებელში, ამ დროისთვის უცნობია.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების" სიის ფორმირებასა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შერჩევის დასრულებას თებერვლის ბოლოსთვის აპირებს. (ghn.ge)

## „ქეთი! ჩემი სპექტაკლები ნანახი გაქვს? ამიტომაც ხელფასს არ მაძლევ, არა?" — რამაზ იოსელიანი ქეთი დოლიძეს მიმართავს



მსახიობი რამაზ იოსელიანი რეჟისორ ქეთი დოლიძეს მიმართავს და სოციალურ ქსელში წერს, რომ დოლიძეს მისთვის ხელფასი არ გადაუხდია.

– ქეთი! ჩემი სპექტაკლები ნანახი გაქვს? ამიტომაც ხელფასს არ მაძლევ, არა?.. შენსავით უნდა მერბინა ყველა დროს, – წერს რამაზ იოსელიანი. (primenewsgeorgia.ge)

## საქართველოში ყინვის გაძლიერებაა მოსალოდნელი



– ტემპერატურის კლება შემდეგ დღეებშიც გაგრძელდება. შესაბამისად, გზები მოიყინება. 26 და 27 იანვარს ყინვები გაძლიერდება დაბლობსა და ბარში, – აცხადებენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

– თოვლი შენარჩუნდება 25 იანვარსაც. 27 იანვარს ღამით მთლიანად საქართველოში მოსალოდნელია ყინვა, როგორც დაბლობში, ბარში, ასევე, მაღალმთიან რაიონებში. დასავლეთ საქართველოს დაბლობში, სანაპირო რაიონებში, მინიმალური ტემპერატურა დაახლოებით -7 გრადუსი იქნება მოსალოდნელი. აღმოსვლეთ საქართველოს ბარში, ზოგიერთ რაიონში ყინვამ შეიძლება 10 გრადუსს გადააჭარბოს, – განაცხადეს სააგენტოში. (ipress.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## ეკონომიკური პროგრამა „გირჩმაც" წარადგინა




„გირჩი"-ს შეფასებით „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენმა ეკონომიკამ დაკარგა ბევრი წელი და ათობით მილიარდი, მაშინ როცა სხვა ქვეყნები ვითარდებოდნენ. საქართველოს აქვს ერთადერთი არჩევანი – გადავდგათ თამამი ნაბიჯები და სწრაფად წავიდეთ წინ.

საქართველოს ეკონომიკას დღეს სჭირდება:

1. გადასახადების შემცირება – მეტი ფული დასახარჯად მოქალაქეებს, ნაკლები ფული მთავრობას გასაფლანგად! უნდა გაუქმდეს: მოგების გადასახადი; საშემოსავლო გადასახადი; ქონების გადასახადი; იმპორტზე გადასახადი; დაშვებული უნდა იქნას თავისუფალი სავალუტო რეჟიმი. ბიუჯეტი შემცირდება 7 931 411 683 ლარამდე, რაც სავსებით საკმარისია მთავრობის ფუნქციონირებისთვის. საქართველო უნდა იქცეს საუკეთესო ადგილად ბიზნესის საკეთებლად მსოფლიოში!

2. მთავრობის შეკვეცა და უფლებამოსილებების შეზღუდვა – გაბერილი სახელმწიფო ბიუროკრატია, რომელიც გამოიყენება საარჩევნო მიზნებისთვის, უნდა შემცირდეს და ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს პოლიტიკური პარტიების მიერ ძალაუფლების შენარჩუნების წყურვილისთვის ჩვენი შვილების მომავალი კეთილდღეობის შეწირვა! უნდა აიკრძალოს: ახალი სახელმწიფო ვალის აღება; დეფიციტური ბიუჯეტის მიღება; ქონების 1 ლარად გაჩუქება; მთავრობის ხარჯები, მათ შორის სახელფასო ხარჯი, არ შეიძლება გაიზარდოს ეკონომიკის ზრდის ტემპის ნახევარზე მეტად; საქართველოს მთავრობის შენახვა ხალხს და ბიზნესს არ უნდა უჯდებოდეს ძვირი!

3. სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილება ყველა მოქალაქეზე – დაუშვებელია ღარიბ ქვეყანაში სახელმწიფო ფლობდეს უამრავ ქონებას, რომელიც არ ხმარდება მოქალქეების კეთილდღეობას! მიწები, რომელთაც ჰყავს ტრადიციული მესაკუთრე უნდა დაურეგისტრირდეს მფლობელებს; უნდა მოხდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია; პრივატიზაციიდან მიღებული თანხები პროპორციულად უნდა გადანაწილდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე; მიწის მესაკუთრე ამავდროულად უნდა გახდეს ამ მიწაში არსებული ნებისმიერი რესურსის მესაკუთრე (ე.წ. ანგლო-საქსური მოდელი)

ყველა რესურსი რომელიც არსებობს ქვეყანაში უნდა იყოს კერძო მფლობელობაში და შესაბამისად ჩართული უნდა იყოს ეკონომიკურ აქტივობაში!

4. დახმარებების ზრდა – თანადგომა გაჭირვებული ოჯახებისთვის. შეძლებული მოქალაქეები უნდა ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს და არა პირიქით! უნდა დავეხმაროთ: ოჯახს და არა ინდივიდს; გაჭირვებულებს და არა ყველას; უნდა დავეხმაროთ ფულით და არა სახელმწიფო სერვისებით (ფინური მოდელი).

დღეს სოციალურ დახმარებებზე იხარჯება დაახლოებით 4 500 000 000 ლარი, მაგრამ მაინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს 432 622 მოქალაქე, იმიტომ რომ ეს დახმარება ყველაზე ნაწილდება ერთნაირად, მდიდარზეც და ღარიბზეც. აუცილებელია, ამ სისტემის შეცვლა და თანხების გაჭირვებული მოსახლებისაკენ მიმართვა. შეძლებული ოჯახი მიიღებს სარგებელს იმით რომ მათი შრომა და შემოსავალი არ დაიბეგრება. საშუალო ფენა მიიღებს დახმარებას სახელმწიფოსგან იმისთვის რომ არ ჰქონდეს ჯანმრთელობის პრობლემების შიში. ღარიბი ოჯახები მიიღებენ ყველაზე მეტ დახმარებას". – აღნიშნულია პროგრამაში. (newpost.ge)

## საქართველოში მალე ამერიკული ტანკები შემოვა



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე საბრძოლო მანქანა „აბრამსი" საქართველოში პოლიგონებზე მალე გამოჩნდება, რომლის წარმოება ამერიკაში 1978 წელს დაიწყეს და მას შემდეგ ის ქვეყნის ძირითად საბრძოლო ტექნიკას წარმოადგენს.

ამერიკული ტანკების საქართველოში გამოჩენა თავდაცვის მინისტრმა დააანონსა.

– საქართველოს მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა მივიყვანოთ კონდიციამდე, რომ ნებისმიერ ხელისუფალს ორჯერ დაფიქრება მოუწიოს, სანამ არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ჩვენთან დაკავშირებით, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ხიდაშელი ღიად საუბრობს იმაზე, რომ სამხედრო ტექნიკის გარდა, მთავარი მოკავშირისგან ოფიციალური თბილისი სხვა დახმარებასაც იღებს. ცნობილი ხდება, რომ ავღანეთიდან საქართველოში ამერიკულმა სარდლობამ 70 ტონა სამხედრო ტვირთი გამოაგზავნა და თბილისი-ქაბულის გავლით ვაშინგტონისგან დამატებით ტვირთს ელოდება. (accent.com.ge)

# რატომ გახშირდა თვითმკვლელობები და ვინ უნდა აგოს პასუხი ამ ტრაგედიებზე?!

ნანა სულავა
599 07-01-89



**ვინმემ ამიხსნას, ჟურნალისტისთვის რა მნიშვნელობა აქვს, პრესსამსახურებიდან დედის გინების ფონზე არ მოგცემენ ინფორმაციას, თუ კულტურულად გაგაპანღურებენ? ორივე შემთხვევაში, მუშაობაში ხელს გიშლიან!**







**„იმ საბედისწერო საღამოს ირაკლის ჩვეულებრივად დედასთან და დასთან ერთად უვახშმია, უმხიარულიათ. დედა და და ახლომდებარე მაღაზიაში გასულან, როცა დაბრუნებულან, ირაკლიმ კარი არ გაუღოთ. კარგა ხნის ბრახუნის შემდეგ კარი შეამტვრიეს და თოკზე ეკიდა. რომ ჩამოხსნეს, პულსი ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა“**

**მე, ჟურნალისტმა, პროკურატურის პრესცენტრში ერთი რეზონანსული საქმის გამო რომ დავრეკე და ვიკითხე ჩვეულებრივი მიმართვის ფორმით, ვინ ბრძანდებით-მეთქი?.. — რა შენი ტრ...ის საქმეაო, მიპასუხა და მკვდარი და ცოცხალი არ დამიტოვა...**

ბოლო ორი კვირის განმავლობაში მკვლელობებისა თუ თვითმკვლელობების სერიები ერთმანეთს ისე წაეწყო, საზოგადოება შოკირებულია... შიშნარევი ხმით ათასი კითხვა ისმის, ყველას თვალწინ, დღისით, მზისით... მართლაცდა, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში?! ხელისუფლება კი საარჩევნო სიით არის დაკავებული, იმ გრძელი სიით კი არა, რამდენმა ახალგაზრდამ დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით, ხელისუფლების გასაგონად ვამბობ – თვითმკვლელობამდე მიყვანა, ეს სისხლის დანაშაულის 115-ე მუხლია და ამაზე იფიქრონ და მერე შეიკრიბონ მეოცნებე ხელისუფლების წარმომადგენლები, თუ უნდათ საგურამოში და თუ უნდათ, ჯანდაბაში!.. აი, რა დონემდე მიიყვანეს ხალხი!

ამ ბოლო დროს, ჟურნალისტებსაც კი გვიჭირს, ინფორმაციების შენიღბვის გამო, გარდაცვლილთა ვინაობის დადგენა. სამართალდამცავი ორგანოები საერთოდ არ გვიკარებენ და ფაქტებს ასაიდუმლოებენ. ამიტომ ზუსტი ინფორმაცია ჩვენთვისაც მიუწვდომელია. სოციალური ქსელებიდან მწირ ინფორმაციებს ვიღებთ. მედიის თავისუფლება მედიისგან გამიჯვნას არ ნიშნავს. ყველა კარგად ხედავს, რა რთულ პირობებში უწევთ ჟურნალისტებს ინფორმაციის მოპოვება, რომლებსაც კარს უკეტავენ და ამას ყურადღებას არავინ აქცევს. მახსოვს, გაგანია რეჟიმის დროს ადეიშვილის პროკურატურის პრესცენტრში ერთი რეზონანსული საქმის გამო რომ დავრეკე და ვიკითხე ჩვეულებრივი მიმართვის ფორმით, ვინ ბრძანდებით-მეთქი?.. – რა შენი ტრ...ის საქმეაო, მიპასუხა და მკვდარი და ცოცხალი არ დამიტოვა (არ ვაქარბებ), ძალზე შეურაცხყოფილმა მაშინდელი პროკურატურა ფეხზე დავაყენე. ეს ინციდენტი ადეიშვილის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა წოწორიამ გაიგო (ის ახლა სტრასბურგში ჩვენს ბედს წყვეტს. – ნ.ს.). მან თავი იმართლა, – ალბათ, გარედან ვინმე იყო შემოსულიო... ის ველარ „მოტვინა“, პრესცენტრში უცხო პირს რატომ უნდა ეპასუხა ჟურნალისტისთვის?! ახლა, „ნაცებისგან“ განსხვავებით, ძალოვანი უწყებების პრესცენტრში დედას არ გაგინებენ, კულტურულად გექცევიან, მაგრამ ინფორმაციას არ გვაღირსებენ. მეტიც, ერთი და იგივე ტექსტით შემოიფარგლებიან – „კანონი ამის უფლებას არ გვაძლევს, რომ მკვლელის ან მოკლულის ვინაობა გავამხილოთო“, „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მეტს ვერაფერს გეტყვითო...“ ვინმემ ამიხსნას, ჟურნალისტისთვის რა მნიშვნელობა აქვს, პრესსამსახურებიდან დედის გინების ფონზე არ მოგცემენ ინფორმაციას, თუ კულტურულად გაგაპანღურებენ? ორივე შემთხვევაში, მუშაობაში ხელს გიშლიან!

ერთ ცნობილ იურისტს, რომელიც მთელი ცხოვრება გამოძიებაში მუშაობდა, ამ საკითხზე ვკითხე, მას ირონიულად ჩაეცინა და მიპასუხა, – გამოძიებას ნამდვილად არ უშლის ხელს ამა თუ იმ პირის ვინაობის გამხელაო. ახლა რაც ხდება, ეს არის სტანდარტი, მთელი სახელმწიფო უწყებები ჩაკეტეს, არც ხალხს უშვებენ და არც ჟურნალისტებს...

არადა, გასულ კვირას, თბილისში სამმა ახალგაზრდამ მოიკლა თავი.

პლეხანოვზე, 28 წლის ბიჭმა ირაკლი იმნაძემ საკუთარ სახლში თავი თოკით ჩამოიხრჩო, 15 წლის გოგონა თინა მარგოშვილი, რომელიც სახლიდან დილის 7 საათზე გაიპარა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე გადასასვლელი ხიდიდან გადმოხტა, თურმე ჩანთაში წერილი აღმოუჩინეს, რომელიც თვითმკვლელობაზე მიუთითებს. ვარკეთილში კი, 20 წლის ბიჭმა ნათესავის სახლში მოიკლა თავი. ამ სამი გარდაცვლილი ახალგაზრდიდან მხოლოდ 28 წლის ირაკლი იმნაძის საცხოვრებელი სახლის მისამართი ძლივს გავიგე. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ეს ის ახალგაზრდა კაცია, რომელმაც ამ ზაფხულს სტიქიური უბედურების დროს სვანიძის ქუჩაზე არაერთი ოჯახი გადაარჩინა სიკვდილს, მისი ვაჟკაცობისა და გმირობის შესახებ მაშინ პრესასა თუ ტელევიზიაში ბევრი დაიწერა და ითქვა. ახლა კი მთელი ინტერნეტსივრცე და სოციალური ქსელი გადაჭედილია მისი უეცარი გარდაცვალებისა და პიროვნული ღირსებების შესახებ ინფორმაციით.

შაბათს, პლეხანოვზე, ტოვსტონოგოვის №11-ში, სადაც ირაკლი იმნაძე მშობლებთან და დასთან ერთად ცხოვრობდა, ისეთ დროს მივედი, როცა ზღვა ხალხი მიაცილებდა მის ცხედარს. ამდენი ცრემლი კარგა ხანია, არ მენახა. ერთ-ერთ ახალგაზრდა გოგონას მორიდებით გავესაუბრე, მან თავი ოჯახის ახლობლად გამაცნო:

– ჩემი დიდი წუხილი და სამძიმარი „ფეისბუკზე“ გამოვხატე, ირაკლი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო, კულტურული, განათლებული, ის მარტო ოჯახსა და სანათესაოს კი არა, მთელ ქალაქს მოუკვდა... ასეთ უეცარ გადაწყვეტილებაში ბრალი ვის მიუძღვის და რამ განაპირობა მისი სუიციდამდე მიყვანა, ყველას გვაინტერესებს, თუმცა ქვეყანაში ისეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ყოფაა, ძალიან ბევრი ადამიანია უკიდურესად სასოწარკვეთილ მდგომარეობაში და ამიტომაც ხშირია გამოუვალი მდგომარეობის გამო ადამიანები სუიციდის გადაწყვეტილებამდე რომ მიდიან.

ამ საუბარში გარდაცვლილის სახლთან, იქვე, პირველ სართულზე, საიდანაც ირაკლი იმნაძე გამოასვენეს, საშუალო ასაკის ძალზე მგლოვიარე მამაკაცი შევნიშნე, მას არაქართული გარეგნობა ჰქონდა. ისიც დავინახე, ის მამაკაცი გარდაცვლილის სახლში შევიდა, კარზე ფრთხილად დავაკაკუნე, კარი ამ მამაკაცმა გამიღო. მივუსამძიმრე და სახლში შემიძღვა. ცარიელ ოთახში გარდაცვლილი ირაკლი იმნაძის სურათი ეკიდა. ოჯახის უახლოესი მეგობარი ვარო, გამეცნო, იგი პოლონელი წარმოშობის, თბილისში დაბადებული და გაზრდილი **ვლადიმერ კუშინსკი** გახლდათ.

– დიდი ხანია, ირაკლის მშობლებთან ვმეგობრობ, ის ჩემს ხელში გაიზარდა, უზომოდ კარგი პიროვნება, ულამაზესი გარეგნობისა და სულის ადამიანი, განათლებული და ამავდროულად, უღალატო იყო. მას ყველასთან – ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, არ გამიგია, ვინმესთან კონფლიქტი ჰქონოდა, რა მოხდა, ამ გადაწყვეტილებამდე რამ მიიყვანა, ყველა შეძრული ვართ. იმ საბედისწერო საღამოს ჩვეულებრივად დედასთან და დასთან ერთად უვახშმია, უმხიარულიათ. დედა და და ახლომდებარე მაღაზიაში გასულან, როცა დაბრუნებულან, ირაკლიმ კარი არ გაუღოთ. კარგა ხნის ბრახუნის შემდეგ კარი შეამტვრიეს და თოკზე ეკიდა. რომ ჩამოხსნეს, ჯერ კიდევ პულსი შეიმჩნეოდა. სასწრაფოს ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ვინც მას ვიცნობდით, ყველანი მგლოვიარეები ვართ. პოლიციამ მისი მობილური ტელეფონი ამოიღო, ბოლოს შემოსული ზარების დასადგენად. დარწმუნებული ვარ, ის თავს არ მოიკლავდა. შეიძლება ფინანსური პრობლემები ჰქონდა, ძალზე თავმოყვარე ბიჭი იყო და ეჭვი გვაქვს ამ მდგომარეობამდე ვიღაცამ მიიყვანა...

# ლარი გარბის! ხალხი აგრესიულ ტყემალაძე ტყემალზე ზის და „ვარდების რევოლუციიდან"

## ზაზა პაპუაშვილი: ,,გვეყოს! უნდა დავიწყოთ რეალურად

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





,,ამ ქვეყანაში ასეთი მდგომარეობაა და თუ ჰაერი მოიწამლება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ შემეხება. მე ვარ ხელფასზე დამოკიდებული ადამიანი, იგივე პრობლემები მაწუხებს, რაც სხვა დანარჩენ ადამიანებს, ბანკთან მიმართებაში იქნება, თუ სხვა ყოფითი პრობლემა. მეც მაქვს ძალიან ბევრი საფიქრალი და საზრუნავი“



,,მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელსა და მოქალაქეს, მაინტერესებს, ეს ყველაფერი გავიგეთ და რას აკეთებენ ეკონომისტები, ფინანსისტები, ექსპერტები, ეროვნული ბანკი და შესაბამისი სამსახურები იმისთვის, რომ ლარის ვარდნა შეაჩერონ, რომ ამ კრიზისული ვითარებიდან გამოვიდეთ. კითხვები მაქვს ეკონომიკურ გუნდთან, ვინც ქვეყანაში ფინანსურ პოლიტიკას განაგებს. რა არის გამოსავალი, უმოკლეს ხანში მათგან პასუხი უნდა მივიღოთ“

**ლარი გარბის, ისტორიული რეკორდი მყარდება, ხალხი აგრესიულ პანიკაშია, მთავრობა კი დაგვცინის. ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე ამ ფაქტს ლარის მცირედ გაუფასურებას უწოდებს. პარლამენტარი, პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წევრი ზურაბ ტყემალაძე აცხადებს: ლარი კი არ გაუფასურდა, მოხდა დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დაცემაო. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ტყემალაძე რომ ასეთ განცხადებას გააკეთებს და გეტყვის, რომ ლარის გაუფასურებაზე საზოგადოებაში საუბარი არასწორია, ეს იმას ნიშნავს, რომ ტყემალაძე ტყემალზე ზის და ბლის კურკებს ისვრის. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის პოზიციას, ასეთია: მოხდა ლარის კურსის კორექტირება და დოლართან მიმართებაში ლარი გახდა 2.50. მოკლედ, 2003 წელს თუ მივიღეთ „ვარდების რევოლუცია“, 2016 წელს ძალიან ახლოსაა „ლარების რევოლუცია“. ყველაზე ადეკვატური მინისტრის, ნოდარ ჯავახიშვილის ცნობილ განცხადებას შეგახსენებთ, რომელიც მან ჯერ კიდევ 2015 წლის 21 სექტემბერს გააკეთა: 2.55-ს ქართული ეკონომიკა ვერ გაუძლებს, თუ ასე გაგრძელდა, მღელვარების საშიშროება იქნება. დღეს ლარის სტაბილურობაზე პასუხისმგებელი არავინაა, ეს გაუგებარი ანომალიაა. ერთი რამის თქმა დარწმუნებით შემიძლია, რამდენიმე თვის წინანდელი მონაცემებით, აღებული სესხების 64% დოლარში იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობამ უარი უნდა თქვას გადახდაზე, ან გაყიდოს, თუ რამე აქვს დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ეკონომიკური გუნდი მუშაობს, არ ვიცი, შედეგებზე რატომ არ აისახება, რაც ქვეყანაში ხდება, ყველაფერზე მთავრობაა პასუხისმგებელი, — ამ განცხადების გამო ნოდარ ჯავახიშვილი მთავრობამ საყვედურით აავსო, თუმცა ყველაზე ადეკვატურმა მინისტრმა ჯერ კიდევ გასულ წელს იწინასწარმეტყველა, რომ სახალხო მღელვარების საშიშროების წინაშე დადგებოდნენ. თუმცა, ყური არავინ შეიბერტყა და დღემდე არ გვინახავს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა. არადა, საარჩევნო წელია, ფასები პროდუქტზე ტოტალურად იზრდება. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღატაკის ზღვარზე დგას, თითქმის ყოველ მეორეს საბანკო სესხი აქვს დოლარში, ბანკები კვლავ კაბალურ პირობებში ამყოფებენ საკუთარ მომხმარებელს, მთავრობა დუმს — სურათი შემაშფოთებელია.**

**რას ფიქრობს მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი, უმრავლესობის წევრი, ცნობილი მსახიობი ზაზა პაპუაშვილი ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე? „კვირის ქრონიკა“ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.**

**— ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2016 წელი იქნება ძალიან კრიზისული, მთავრობას დღემდე არ წარმოუდგენია ანტიკრიზისული გეგმა, ლარის ინფლაცია კრიტიკულ ზღვარზეა. არ იგრძნობა, რომ ხელისუფლებისთვის ლარის ინფლაცია მტკივნეულია. როგორც უმრავლესობის წევრი, როგორ აფასებთ ამ საკითხს?**

– ხელისუფლებაშიც ადამიანები არიან, მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ, დისტანცირებას ვერ გავაკეთებ ვერც აწმყოსთან და ვერც ჩემს წარსულთან. მოდით, გვერდით გადავდოთ ჩემი დეპუტატობა და ყველანაირი რეგალია, რაც ადამიანს გააჩნია და ვილაპარაკოთ ადამიანურ ენაზე. საზოგადოდ, ამ ქვეყანაში ასეთი მდგომარეობაა და თუ ჰაერი მოიწამლება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მინისტრსა და დეპუტატს არ შეეხება. მე ვარ ხელფასზე დამოკიდებული ადამიანი, იგივე პრობლემები მაწუხებს, რაც სხვა დანარჩენ ადამიანს, ბანკთან მიმართებაში იქნება, თუ სხვა ყოფითი პრობლემა. მეც მაქვს ძალიან ბევრი საფიქრალი და საზრუნავი. რაც ქვეყანაში ხდება, ეს ყველას პრობლემაა. ნუ გგონიათ, ხელისუფლებაში მყოფთ ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და არაფერზე დარდობენ. ჩვენზე მდიდარი ქვეყანაა აზერბაიჯანი და ვნახეთ, იქ რაც მოხდა, ტოტალურად გაუფასურდა მათი ეროვნული ვალუტა. ასევე, ჩვენზე მდიდარია თურქეთი და რუსეთი, იქაც იგივე პრობლემებია. გარე ფაქტორები ლარის დევალვაციის ერთ-ერთი მიზეზია, რასაც მტერი თუ მოყვარე დაეთანხმება. ჩვენი ქვეყანა და მისი სამეზობლო სახარბიელო მდგომარეობაში ნამდვილად არ არის, თითოეულ ჩვენგანს და განსაკუთრებით ხელისუფლებას მართებს, რომ ის შარები და ხაფანგები აირიდოს თავიდან და არ დაგვემატოს ისეთი უბედურება, რომლის გამოსწორება წარმოუდგენელი იქნება. ეს არის ძალიან ფაქიზი თემა, რასაც ზოგიერთი პოლიტიკოსი საკუთარი მერკანტილური ამოცანის გამო იყენებს და რაღაცებს გაჰყვირის. ეს არ არის ოპოზიციონერობა. თუ ქვეყანაზე ფიქრობ, მოსალოდნელი ხიფათი ყველამ ერთად უნდა გავითვალისწინოთ. თუმცა იმის ლაპარაკი, რომ ჩვენს გარშემო ანალოგიური პროცესი ხდება, ეს არ არის თავის მართლება, ეს არის რეალობა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ გამოსწორების გზებზე. მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელსა და მოქალაქეს, მაინტერესებს, ეს ყველაფერი გავიგეთ და რას აკეთებენ ეკონომისტები, ფინანსისტები, ექსპერტები, ეროვნული ბანკი და შესაბამისი სამსახურები იმისთვის, რომ ლარის ვარდნა შეაჩერონ, რომ ამ კრიზისული ვითარებიდან გამოვიდეთ. კითხვები მაქვს ეკონომიკურ გუნდთან, ვინც ქვეყანაში ფინანსურ პოლიტიკას განაგებს. რა არის გამოსავალი, უმოკლეს ხანში მათგან პასუხი უნდა მივიღოთ. მათი პასუხები მოგვეწონება თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მთავარია, სიმართლე გვითხრან. ხელისუფლებამ არ უნდა მოგვატყუოს. ასევე, ვსვამ კითხვას – ვაკეთებთ კი იმას, რომ ამ რეალური მონაცემებიდან ნაკლები დანაკარგით გამოვიდეთ, ამ პროცესს რამე დავაკელით და ამიტომ მოვედით ამ მდგომარეობამდე, თუ სხვა დანარჩენი ფაქტორებიც არსებობდა? საზოგადოებას უნდა აუხსნან, რა არის ხელისუფლების წილხვედრი ბრალი და რამდენად დიდია საგარეო ფაქტორების ბრალი. გვითხრან, რას ვაკეთებთ, რომ ამ სირთულიდან გამოვიდეთ.

**— 2016 წელი არის საარჩევნო წელი და ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“ ამ რთულ ვითარებაში არჩევნების მოგება.**

– მე ნაკლებად გავაკეთებდი აქცენტს, რომ საარჩევნო წელია და ამიტომ უნდა დასტაბილურდეს ლარის კურსი. მე უფრო მეტად მაინტერესებს იმ ინსტიტუციების გამაგრება, რომელიც ქვეყანაში რყევებს არ გამოიწვევს. თუ ჩვენ მხოლოდ არჩევნებზე ვიფიქრებთ, გამოდის, რომ მართლა ვიღუპებით და ჩვენი საქმე ცუდადაა. თითოეული ჩვენგანის ამოცანაა, როგორ გავუძლოთ ამ კრიზისს, როგორ მივაღწიოთ იქამდე, რომ ამ კრიზისიდან გამოვიდეთ და არა ის, რომ სულ ვიძახოთ, ლარის დევალვაცია გარე ფაქტორების ბრალიაო. იმაზე კი არ ვიფიქროთ, რა იქნება არჩევნებისთვის სასარგებლო და როგორ მივაღწიოთ იქამდე, არამედ იმაზე ვიფიქროთ, როგორ გადავარჩინოთ ქვეყანა და რა გამოიყვანს სახელმწიფოს ამ რყევების მდგომარეობიდან. ასე რომ, რა კითხვებიც მე მაქვს და რა კითხვებსაც თქვენ სვამთ, ვალდებული ვარ, ეს შეკითხვები დავუსვა მთავრობის წარმომადგენლებს და ასევე, ვალდებული არიან, პასუხი გაგვცენ! მე არანაირ სირთულეს თავს არ ავარიდებ, თუ საბრძოლველი იქნება, ვიბრძოლებ. აღარ უნდა შევიდეთ ისეთ ჩიხში, საიდან გამოსვლაც ძნელი იქნება. გვეყოს! უნდა დავიწყოთ რეალურად ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა.

**— ექსპერტები პირადად ჩემთან ინტერვიუში ყოფილ პრემიერს, ირაკლი ღარიბაშვილს ერთ-ერთ მთავარ ცოდვად მიაწერდნენ ლარის დევალვაციას. ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის გაპრემიერების შემდეგ უფრო უარესი მივიღეთ. თქვენ, როგორც დეპუტატს, არ გაქვთ კითხვა ხელისუფლებასთან, — რატომ გადადგა ღარიბაშვილი, რომელიც არც ღრმა ასაკში იყო და არც იმდენ ხანს ჩამოკიდებული ხელისუფლებაზე, რომ მისი ცქერით დავბრმავდით და კვირიკაშვილს არ ჰკითხავთ, რატომ შეინარჩუნა ეკონომიკური გუნდის მინისტრები? რაც მთავარია, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია ფინანსურ პოლიტიკაზე. არ დასვამთ კითხვას, რეალურად რატომ გადადგა ღარიბაშვილი?**

– ამ ხნის განმავლობაში ერთ დასკვნამდე მივედი, გაცილებით ადვილია ილაპარაკო, როცა არ ხარ ხელისუფლებაში, მაშინ არ ფიქრობ, კონტროლი გაუწიო შენს საუბარს, რადგან მეტი თავისუფლება გაქვს, მაგრამ როცა მოდიხარ ხელისუფლებაში, მაშინ პასუხისმგებელი ხარ თითოეულ სიტყვაზე. მე კარგად მესმის, რამხელა ჯვარია, იყო პრემიერ-მინისტრი, ყველა სფეროზე ხარ პასუხისმგებელი... რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, გეტყვით, რომ მისი გადადგომა ჩემთვის მოულოდნელი იყო, მე არ ვემხრობი მთავრობის ხელმძღვანელის ხშირ ცვლას, როდესაც ივანიშვილმა თქვა, მე უნდა წავიდეო და პრემიერის პოსტიდან გადადგა, ერთ-ერთი ვიყავი, ვინც მის გადადგომას დაეთანხმა. იმიტომ, რომ უნდა შექმნილიყო პრეცედენტი იმისა, რომ მთავრობის ხელმძღვანელს კი არ აგდებდნენ პოსტიდან, არამედ თავის ნებით მიდიოდეს... ჩემთვისაც ვერასდროს გახდება ვერავინ, მათ შორის ვერც ბიძინა ივანიშვილი, ღმერთი და მესია. მას სჭირდებოდა გადასულიყო სამოქალაქო სექტორში და მეტად გაეცნო საქართველო, ის თვლიდა, მომავალზე ეფიქრა და კოალიცია არის ურთულესი კონგლომერატი, ეს არ გახლავთ იოლი მოვლენა, არ უნდა იყოს ერთ ადამიანზე ჩამოკიდებული, ინსტი-

ტუციებმა უნდა მართოს ქვეყანა, ამიტომაც დავეთანხმე ივანიშვილის პრემიერობიდან წასვლას. რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, მასთან მაქვს საუკეთესო ურთიერთობა, ხშირად გვისაუბრია საჭირბოროტო საკითხებზე, მას ძალიან ბევრი გეგმა ჰქონდა, ბევრსაც შეუდგა შესასრულებლად. მაგრამ არის თამაშის რაღაც წესი და ყველაფერს საჯაროდ ვერ ილაპარაკებ.

ქვეყანაში რთული იქნებოდა ადამიანების დასაქმება, ეკონომიკა თუ ბიზნესი. თუ არ იქნებიან ის დონორები, რომლებიც ინვესტიციებს განახორციელებენ... ეს იქნება გადარჩენისთვის სისხლის გადასხმის ტოლფასი. ჩვენ რთულ პროცესში აღმოვჩნდით, დაგვხვდა გაქურდული ქვეყანა. ყოველთვის ნაღალატევი და ყოველთვის ცარიელი იყო ჯარი, ცარიელი იყო ყულაბა...

ისგან თავს შევიკავებ, თორემ ძალიან კარგად ვიცი, ვინ და რატომ უნდა შეიცვალოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირში წყალი მაქვს ჩაგუბებული, ჩემი აზრი ყოველთვის მქონდა, მაგრამ ერთია შენი აზრი და მეორე, რას ფიქრობს გუნდი. როცა გუნდურად თამაშობ, ანგარიშს უწევ მათ აზრს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარი პოზიცია დაკარგო.

**— ყველაზე მთავარი, 2016**

ეს, მას კარგად არ ვიცნობ, თუმცა რამდენადაც ვიცი, არა მგონია, რომ ეს ყმაწვილი უტაქტო და უზრდელი იყოს, ანდა მის ამოცანაში შედიოდეს კოლეგების დამცირება. ამიტომ მის ნათქვამს შეურაცხყოფად არ ვილებ, თორემ რაც შეეხება შეურაცხყოფასა და ღირსების შელახვას, ირაკლი კობახიძე კი არა, მთელი ბატალიონი რომ დამიდგეს წინ, სხვანაირი პასუხი მექნება, უზრდელობას

გამოც მე გული მიკვდება, რომ მათი ბრძოლა სათანადოდ ვერ დააფასეს. ასე რომ, იმის ძახილი – ჩვენ ვართ პოლიტიკოსები და ჩვენ უნდა ვიყოთ პარლამენტში, არასწორი მიდგომაა, რადგან პარლამენტში იურისტების, ეკონომისტების გარდა, ღირსეული ადამიანებიც უნდა იყვნენ. რა გამოდის, იურისტებმა ააშენეს ეს ქვეყანა და მსახიობებმა და სპორტსმენებმა მათი აშენებული დავა-

ბრალდებები, აზრის გამოთქმის ნაცვლად. ეს ყველაფერი გლადიატორების ომს ემსგავსება. ნაწყენი და გაბუტული კი არა ვარ, მინდა ამ ყველაფერზე მაღლა დავდგე და რასაც ვფიქრობ, რომ არ ითქვას, არც მასე შეიძლება. არავის ნიშნის მოგებით არ ველაპარაკები, მაგრამ თითის გამოშვერა და ისრის აქეთკენ მოზიდვა, კარგი არ იქნება.

**— რა განახათ განვლილმა ოთხმა სადეპუტატო წელმა? ღირს ხელახლა ბრძოლა იმისთვის, რომ ამ მორევში შეხვიდეთ?**

– ყველას უნდა ახსოვდეს, რა დროს დავიძარით და რა ვითარებაში დავიძარით 2012 წლის არჩევნებისკენ. ეს იყო ფორსმაჟორი, დენთის კასრზე იჯდა მთელი საქართველო.

# პანიკაშია! მთავრობა დაგვცინის! ბლის კურკებს გვესვრის!!!

## „ლარჩების ჩევთლეჭციისკენ“!!!

## ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა“



„რა გამოდის, იურისტებმა ააშენეს ეს ქვეყანა და მსახიობებმა და სპორტსმენებმა მათი აშენებული დავაქციეთ?!.“





„ამ ხელისუფლებისთვის პრობლემა აღმოჩნდა ადამიანების დასაქმება“

„რაც შეეხება შეურაცხყოფასა და ღირსების შელახვას, ირაკლი კობახიძე კი არა, მთელი ბატალიონი რომ დამიდგეს წინ, სხვანაირი პასუხი მექნება, უზრდელობას ვერ ვეგუები. ირაკლი კობახიძეს ამ განცხადების გამო ვერც თაფლს წავუსვამ და ვერც თავს მოვუქონავ. ცალსახად, მისი ეს განცხადება იყო შეცდომა, ცუდი და არასწორი“

მინისტრების ცვლილება გარკვეულ ლოგიკას უნდა ექვემდებარებოდეს. ასევე, გარკვეული ეტაპი იყო ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობიდან წასვლაც, თუმცა ვიმეორებ, ჩემთვის მოულოდნელი, თვისობრივად სხვა ეტაპი იქნება გიორგი კვირიკაშვილის მმართველობის პერიოდი. გვინდა თუ არ გვინდა, რაც ჩვენ არასოდეს არ ვიცოდით, ეს არის ქვეყნის მართვა. თურმე ქვეყნის მართვის სწავლას ძალიან ბევრი რამ სჭირდება, ამ მხრივ ძალიან ვართ ჩამორჩენილები განვითარებულ ქვეყნებს. ასეთი აზროვნებით საზოგადოებას ვერ დააპურებ. ჩვენ ვხედავთ, როგორ ვითარდება ქვეყანა და რა დინამიკით მიდის, მაგრამ ამ ხელისუფლებისთვის პრობლემა აღმოჩნდა ადამიანების დასაქმება. ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ჩვენნაირ

**— ის მაინც ვერ გავიგე, ყველა მკვდარი კატა ირაკლი ღარიბაშვილს რატომ აჰკიდეს, რატომ გაუშვეს და რატომ ინარჩუნებს დღემდე თუნდაც ნოდარ ხადური ფინანსთა მინისტრის სავარძელს?**

– ჩემი ვარაუდით, აუცილებლად განხორციელდება მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები. გიორგი კვირიკაშვილი წარდგენიდან ორ-სამ დღეში, თუნდაც ერთ კვირაში, ვერ მოასწრებდა მინისტრთა კაბინეტში რეფორმების განხორციელებას. კვირიკაშვილს სჭირდება, მისი გეგმებისა და ხედვების მიხედვითააწყოს კაბინეტი. იქ არიან ღირსეული მინისტრები, რომლებმაც უნდა გააგრძელონ მუშაობა, მაგრამ არიან მინისტრები, ვინც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

**— თქვენი აზრით, მინისტრთა კაბინეტიდან ვინ არის მოსახსნელი მინისტრი?**

– ამ ეტაპზე დაკონკრეტებ-

**წლის საარჩევნო სიის გამო ლამისაა ტყვიამფრქვევები დაუშინონ ერთმანეთს „ქართული ოცნების“ წევრებმა, ვინ მოხვდება სიაში, სამწუხაროდ, ყველაზე აქტუალური კითხვა დღეს ეს არის. რამდენად მოზომილი იყო პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, რომელმაც განაცხადა: გარანტირებულად ვაცხადებ, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში აღარ მოხვდებიან სპორტსმენები, მსახიობები, მომღერლები. კულტურის სფეროს წარმომადგენლებს ჩაენაცვლებიან ინტელექტუალური კლუბის მოთამაშეები და ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიო?**

– არ ვადასტურებ ინფორმაციას, თითქოს საარჩევნო სიაში მოხვედრის გამო „ქართული ოცნების“ წევრებმა ერთმანეთი დაჭამეს, რომ თითქოს არის კარების ატალახება, ეს სიმართლეს მართლა არ შეეფერება. რაც შეეხება ირაკლი კობახიძეს

ვერ ვეგუები. ირაკლი კობახიძეს ამ განცხადების გამო ვერც თაფლს წავუსვამ და ვერც თავს მოვუქონავ. ცალსახად, მისი ეს განცხადება იყო შეცდომა, ცუდი და არასწორი, ამის გამო მას ბოდიშიც მოუხდია, მაგრამ მას ყოველდღე არ დავდევ და არ ვეუბნები, ბოდიში მომიხადოს, ამ ყველაფერზე მაღლა მინდა დავდგე, მე, როგორც ერთ რიგით პარლამენტის წევრსა და მოქალაქეს, არასოდეს არაფრის მიმართ პრეტენზია არ მქონია და თუ რამე კარგი გამიკეთებია, საპასუხო არ მომითხოვია. მაგრამ გინდა პოლიტიკოსებმა და გინდა ექსპერტებმა გულში ჩაიხედონ, ეს პარლამენტი რომ არსებობს, არის ჩემი და ჩემი კოლეგების დამსახურება, უამრავი იმ ადამიანის დამსახურებაა, რომელიც არც ისე ცნობადი სახეა, იმ სისხლის, იმ ბრძოლის დამსახურებაა, რითაც ჩვენ მოვედით. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მებრძოლი ადამიანი დარჩა ყურადღების მიღმა, რომელთა

ქციეთ?!. არ არის ეს სწორი მიდგომა, პოლიტიკოსებს ხელოვანი ხალხისთვის რომ მოესმინა, იქნებ უკეთესად წასულიყო ქვეყნის საქმე. ვინც წესიერი და პატიოსანია და სამშობლოზე შესტკივა გული, ვის აქვს უფლება, მას პოლიტიკაში მოსვლა დაუშალოს?!. მე ვარ დეპუტატი, რომელსაც არც ერთი სხდომა არ გაუცდენია, უამრავ კანონპროექტზე მიმიღია მუშაობა. მე რომ მკითხოთ, ჩემთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და არა, იურისტებისა და ეკონომისტების რაოდენობა პარლამენტში. მიკროფონთან გამოსვლით და ლაპარაკით ხარისხი არ განიზომება, ზოგი ბევრ სისულელეს ლაპარაკობს. ტელევიზიებში ხშირად იმიტომ არ მივდივარ, ეს ფორმატები მომბეზრდა, სადაც აზრის გამოთქმის ნაცვლად მაყურებელი ხედავს გლადიატორების ომს, დასვამენ „ნაციონალებს“ და „ქართული ოცნების“ წევრებს სტუდიაში და მიდის გაუთავებელი ურთიერთ-

პროფესიაზე და სხვა რამეებზე ფიქრი აღარ შეიძლებოდა, ვისაც რა შეგვეძლო, ვისაც რა რეიტინგი და რა სიყვარულიც გვქონდა ხალხში, ეს ყველაფერი სამშობლოზე მივიტანეთ, ყველა დარტყმა, მეკუთვნოდა თუ არა, მაინც ჩემს თავზე ავიღე. ჩემი საქმისთვის და ამომრჩევლისთვის არ მიღალატია. არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი მომავალი. მე რომ მკითხოთ, პოლიტიკაში წასვლა თავის განწირვის ტოლფასი უნდა იყოს. ვინც 20-25 წელია პოლიტიკაშია, უნდა დასრულდეს მათი დრო, გავიდნენ ხალხში და ნახონ, რა რეიტინგი აქვთ. ვისურვებდი, რომ ისეთი პოლიტიკოსები მოვიდნენ, რომლებიც კანონმორჩილები იქნებიან, რითაც დასრულდება ამ ქვეყანაში ბანდების მიერ ქვეყნის მართვა. მე არც ბანდის წევრობა მინდა და არც ატამანობა. რას გადავწყვეტ, მომავალში არ ვიცი, რადგან არჩევნებამდე დიდი დრო აღარ არის დარჩენილი...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ინტერპარტიული ჯგუფი აანონსებს, რომ 25 იანვარს პრემიერ-მინისტრი მზადაა, მოუსმინოს ოპოზიციის საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ წინადადებათა პაკეტს. ისინი რომ ხელცარიელები გამოვლენ, უკვე ცალსახაა, რადგან ინტერპარტიული ჯგუფი ბოიკოტს უცხადებს 28 იანვარს გარდაბანში გამგებლის რიგგარეშე ადგილობრივ ილებენ ისინი პრემიერ-მინისტრისგან და ბრძოლის რა გზას აირჩევენ, თუკი მათი წინადადებათა პაკეტი არ დააკმაყოფილა კვირიკაშვილმა.

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს.**

**— პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის მოლოდინში ინტერპარტიული ჯგუფი რა გეგმის მიხედვით იმოქმედებს, თუკი თქვენი სურვილი საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა?**

– პირადად მე ამ შეხვესაუბრობდნენ ძალიან ბევრს დემოკრატიაზე, ქვეყნის აღორძინებაზე და რაც მივიღეთ, ვნახეთ... ახლა კვირიკაშვილისგან გვაინტერესებს, რამდენად შეძლებს თავისი სწორი განცხადებების პრაქტიკაში დანერგვას. სწორი განცხადებების გაკეთებას სჭირდება ტვინი, მაგრამ ამ სწორი განცხადებების განხორციელებას სჭირდება გაბედულებაც. კვირიკაშვილს რომ ტვინი აქვს, ეს ვნახეთ, თუმცა პრინციპულობა და გაბედულება აქვს თუ არა, რომ პრაქტიკაში თავისი ნათქვამი არის სწორი, თუმცა მეორე მხრივ აშკარაა, რომ მასზე ოლიგარქი ახორციელებს ზეწოლას. რამდენად შეძლებს, დარჩეს საკუთარი პრინციპების ერთგული და არ დაემორჩილოს ოლიგარქის კონიუნქტურას, ამის პირველი გამოცდა იქნება ორშაბათს, ინტერპარტიულ ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ.

**— რა გარანტია გაქვთ, რომ გიორგი კვირიკაშვილი იქნება დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში, როცა პრემიერმა განაცხადა, არ იკადრებს პრეზიდენტი, გამოასახლოს რეზიდენციიდან. ამის გამო** ჰყავდა ნათლულები. ბევრი ადამიანი ვალდებულად თვლის თავს ივანიშვილთან, ეს არის მახრჩობელა მეჯლანუაშვილის სისტემა, რომელიც მან შექმნა. თუ კვირიკაშვილს ეყოფა იმდენი გამბედაობა და მიხვდება, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს უფრო დიდი პასუხისმგებლობა აქვს ქვეყნის წინაშე, ვიდრე თავისი ოლიგარქის წინაშე, მაშინ ის წავა სწორი გზით, თუ არადა, მის მიმართ შეფასებები იქნება უფრო კრიტიკული, ვიდრე ეს იყო ღარიბაშვილის მიმართ.

**— საინტერესოა, რას ფიქრობთ „გაზპრომთან“ დაკავ**

მა ომი და შანტაჟის საშუალებით ითხოვს „სოკარისგან“ წილს. ეს არის ვითომ ამ პოლიტიკური აურზაურის თემა. დღეს არის ომი იმაზე, ვინ მიიღებს გაზის ტრანზიტით შავ ფულს, „ნაციონალური მოძრაობა“ თუ „ქართული ოცნება“, დანარჩენი საკითხები, როგორიცაა ქვეყნის სტრატეგიული უსაფრთხოება, ენერგოდამოუკიდებლობის შესახებ, ეს არის, უბრალოდ, ლაპარაკის თემა ორივე მხრიდან.

**— „ქრონიკის“ ინფორმაციით, სავარაუდოდ, კახი კალაძეს**

# „კალაძეს არა მარტო თანამდებობას დაატოვებინებენ... არ გამოვრიცხავ, რომ მოკლან“





არჩევნებს სწორედ იმ მოტივით, რომ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა საარჩევნო სისტემის რეფორმის მიზნით და მზად არიან, კვლავ სპეცუბნების გამოყენებით ჩაატარონ არჩევნები, როგორც ეს საგარეჯოს შემთხვევაში მოხდა. ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ თინა ხიდაშელს განცხადებით მიმართა და ურჩია, სპეცუბნები გაუქმდეს, თუკი კანონდარღვევა არ იქნება. ეს კი მიანიშნებს, რომ კახი კალაძე საკუთარ პოლიტიკურ რენომეზე მუშაობს. თუკი მას დასცალდა ენერგეტიკის მინისტრობა, ამ პოსტს საკუთარი პიროვნების გაძლიერებისთვის გამოიყენებს და თუკი უახლოეს მომავალში ვნახეთ, რომ ივანიშვილმა კალაძე ხელისუფლებას ჩამოაცილა, არ არის გამორიცხული, მან დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში წამოიწყოს, რაზეც არაერთხელ ითქვა და დაიწერა. საინტერესოა, რისი იმედი აქვს ინტერპარტიულ ჯგუფს, რა პასუხს მიდრას ვერ დავესწრები, რადგან სტრასბურგსა და ბრიუსელში მივფრინავ, სადაც იქნება „თავისუფალი საქართველოს“ შეხვედრები ევროსაბჭოს და ევროპარლამენტის ლიდერებთან. აქედან გამომდინარე, ჩემი პარტიის სხვა წარმომადგენელი დაესწრება პრემიერთან შეხვედრას. რა თქმა უნდა, ეს არის ტექნიკური დეტალი, რომელიც არაფერს ცვლის. ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრთან ინტერპარტიული ჯგუფის შეხვედრა იქნება წყალგამყოფი ხელისუფლებასა და ოპოზიციის ურთიერთობას შორის. ჯერჯერობით, რასაც კვირიკაშვილი საუბრობს, სწორი მიმართულებით მიდის, მის მესიჯებს ცალსახად მივესალმები, რომ ქვეყანას სჭირდება გაერთიანება, რეფორმები. ასე ყველაფერს სწორად ლაპარაკობდა გორბაჩოვიც, მაგრამ მისი მმართველობის შედეგები აღმოჩნდა საწინააღმდეგო. ასევე, სააკაშვილი და ივანიშვილი განახორციელოს, ამას სულ მალე ვნახავთ, შეძლებს თუ არა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით თავისი პრინციპების დაცვას, რაზეც ორი წელია ჩვენ ვსაუბრობთ, რომ პოლიტიკური საკითხები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის გზით უნდა წყდებოდეს. კოლექტიური ვოლსკების პოზიცია ზოგადად არის, რომ ვინ ჩემი ფეხებია ოპოზიცია, როგორც ჩვენ გადავწყვეტთ, ისე იქნება. ახლა ვნახავთ, რამდენად შეძლებს კვირიკაშვილი საკუთარი პოზიციების გატარებას, თუ იძულებული იქნება, დაემორჩილოს ვოლსკის კონიუნქტურას. კვირიკაშვილი აშკარად ამ დილემის წინაშე დგას. ყურადღება მივაქციე მის განცხადებას უშიშროების საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით. მან ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა. ერთი მხრივ თქვა, რომ პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლაზე და უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასწრება **ივანიშვილმა კვირიკაშვილი გააკრიტიკა... კვირიკაშვილმა დააანონსა, რომ მთავრობის სრული შემადგენლობით დაესწრება პრეზიდენტის საგაზაფხულო სესიაზე ანგარიშით გამოსვლას, თუმცა მოსალოდნელია გადათქვას და ამის წინაპირობაც არსებობს.**

– ჩვენ ხომ ვიცით, რა ხდება. მაგალითად, პარლამენტის სხდომასთან დაკავშირებით განცხადების გამო ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია მოვლენების განვითარების სურათი წარმოვიდგინოთ. სავარაუდოდ, გიორგი კვირიკაშვილი ივანიშვილმა შუშის სასახლეში დაიბარა და უთხრა, შენ ხომ არ გაგიჟდი, პრეზიდენტის გამოსვლას როგორ უნდა დაესწრო, ეს არის ჩემი შეურაცხყოფა. ახლა ცდილობენ, გადაათქმევინონ პარლამენტში დასწრება. მართალია, კვირიკაშვილმა იცის, რა არის სწორი, მაგრამ ის არ არის პოლიტიკოსი. ეს ადამიანი არის ბიძინა ივანიშვილის „ნათლული“, ზუსტად იმ გაგებით, როგორც კორლეონეს **შირებით, რა მაქინაციები იმალება ამ თემის მიღმა და რის მიღწევას ცდილობს კახი კალაძე?**

– ჩემი აზრით, ეს არის წმინდა წყლის კორუფციული სქემა, ძირითადი წამყვანი აქ პოლიტიკური ფაქტორი არ არის, შეგიძლიათ საჯარო რეესტრში ნახოთ „სოკარ ჯორჯიას“ 51% ეკუთვნის აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ნავთობკომპანიას, მაგრამ 49% არის დარეგისტრირებული ოფშორში, თუ თქვენ უცხოური ბიზნესჟურნალების გამოცემას ნახავთ, იქ წერია, რომ 49% გაფორმებულია სანდრა რულოვსზე, რაც იყო „ნაცმოძრაობის“ წილი, მას შემდეგ, რაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, არაერთხელ დაიბეჭდა, რომ იგი აშანტაჟებდა „სოკარს“, აზერბაიჯანის მთავრობას და სთხოვდა, რომ 49% გადაფორმებულიყო მის დეიდაშვილ უჩა მამაცაშვილზე, რაზეც მიიღო უარი და რის შემდეგაც დაიწყო შანტაჟი. კახი კალაძის საშუალებით დაიწყო ივანიშვილ**ძალიან მალე დაატოვებინებენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში პოსტს, მის წინააღმდეგ კონკრეტული ჯგუფი მუშაობს და კომპრომატებიც არსებობს, რომ კალაძე ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სხვადასხვა ბიზნესწილებში ჩაჯდა და ეს წილები გადააფორმა მის უახლოეს სანდო პიროვნებებზე, ოფშორულ ზონებში ქაჩავს ძალიან დიდ ფულს. რა იცით ამის შემახებ?**

– კალაძეს არა მარტო თანამდებობას დაატოვებინებენ, არ გამოვრიცხავ მასზე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, უარეს შემთხვევაში შეიძლება მასზე ფიზიკური ანგარიშსწორება ვნახოთ, რადგან, როცა უმაღლესი თანამდებობის პირი ერთვება შავ სამყაროსთან ბიზნესმოლაპარაკებებში, მათ, როგორც წესი, ცოცხალი მოწმეები არ უყვართ, როცა საქმე ვარდება და იშიფრება.

**— კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ ჟონავს ინფორმაცია, რომ დაწყებულია ნადირობა „თავისუფალი დემოკრატიის“**



**„რასაც კვირიკაშვილი საუბრობს, სწორი მიმართულებით მიდის, მის მესიჯებს ცალსახად მივესალმები, რომ ქვეყანას სჭირდება გაერთიანება, რეფორმები. ასე ყველაფერს სწორად ლაპარაკობდა გორბაჩოვიც, მაგრამ მისი მმართველობის შედეგები აღმოჩნდა საწინააღმდეგო. ასევე, სააკაშვილი და ივანიშვილი საუბრობდნენ ძალიან ბევრს დემოკრატიაზე, ქვეყნის აღორძინებაზე და რაც მივიღეთ, ვნახეთ...“**

**წევრებზე და შესაძლოა, არჩევნების წინ ალასანიას პარტია დაეშალოს.**

– ეხლა მე რომ კონკრეტული გვარ-სახელები გითხრათ, ვისზე მიდის ნადირობა, გამოიწვევს დიდ სკანდალს. თქვენ ხომ ისედაც კარგად იცით, ვის გადმობირებაზეა საუბარი. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი დავით ზალკალიანი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დააბრუნეს. ეს ნიშნავს, რომ პროცესი დაწყებულია. კიდევ არის რამდენიმე ადამიანი ალასანიას პარტიაში, რომელსაც გული „ქართული ოცნებისკენ“ მიუწევს. თუმცა არ მგონია, მათმა მისვლამ არსებითად შეცვალოს „ქართული ოცნების“ სურათი. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ალასანიას გუნდის მხრიდან უპრინციპობა იქნება, თუკი მას მიატოვებენ. როგორც ეს თეა წულუკიანმა გააკეთა. თავის დროზე საზოგადოებამ წულუკიანის ეს ნაბიჯი დადებითად არ შეაფასა. თუ პოლიტიკურ ლიდერს მხარს უჭერ და იზიარებ მის იდეოლოგიას, ბოლომდე მისი ერთგული უნდა დარჩე და მის გვერდით იდგე, მიუხედავად იმისა, ოპოზიციაშია ის თუ ხელისუფლებაში.

— **ინტერპარტიული ჯგუფი ბოიკოტს უცხადებს გარდაბანში გამგებლის არჩევნებს, რითაც თქვენ ლეგიტიმაციას აძლევთ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ ის იყოს მთავარი ოპოზიციური ძალა.**

– ეს არჩევნები იქნება საზოგადოების მოტყუება, არაფერს არ შეცვლის, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ საპარლამენტო არჩევნებში, ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება რეჟიმის დემონტაჟი. რეჟიმის დემონტაჟის გარეშე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს არც ერთ არჩევნებში მონაწილეობას, რატომ უნდა მივიღოთ იმ პროცესში მონაწილეობა, სადაც ვიცით, რომ წინასწარ არის დაწერილი შედეგები. მართალი ხარ, „ნაცმოძრაობამ“ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიითვისა მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი, რასაც ბევრმა ოპოზიციურმა პარტიამ შეუწყო ხელი, მაგრამ ამ სტატუსის შეცვლა გარდაბნის არჩევნებზე დამოკიდებული ნამდვილად არ არის, ამ სტატუსებსა და კონფიგურაციას განსაზღვრავს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. იქ გამოჩნდება, ვინ არის წამყვანი ძალა და ვინ – არა.

— **ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს ლარის კურსის ინფლაციაა, ხალხი უკიდურესი გაჭირვების ზღვარზეა, რას გამოიწვევს ეს პროცესი?**

– მხოლოდ საგარეო ფაქტორებზე ლარის ინფლაციის გადაბრალება არ არის სწორი. როცა აზერბაიჯანის მაგალითი მოჰყავს ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენი მეზობელია სომხეთიც, სადაც პროცესი ასეთი მტკივნეული არ არის. ბევრად მეტი ქვეყნებია, სადაც მოახერხეს ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება, ვიდრე ისეთი ქვეყნები, სადაც მოხდა მათი ვალუტის ვარდნა. რუსეთისა და აზერბაიჯანის ვალუტის ვარდნას აქვს თავისი მიზეზი, რაც დაკავშირებულია ნავთობის ფასზე. რატომ ვერ შეძლო საქართველომ, შეენარჩუნებინა ისეთი ფინანსური სტაბილურობა, როგორც სომხეთმა, უზბეკეთმა, ყირგიზეთმა?!

— **ჯერჯერობით ეს არ არის ისტორიული მაქსიმუმი, ლარის კურსის დაცემა კვლავ გაგრძელდება, ამას ყველა ექსპერტი ამბობს, ქვეყანას კი არანაირი ანტიკრიზისული გეგმა არ გააჩნია ამ პროცესის შესაჩერებლად, ჩვენ ვისმენთ მთავრობის წევრების განცხადებას, რომ, რაც ხდება, ნორმალურია, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ეს არის საზოგადოების დაცინვა და თვალში ნაცრის შეყრა...**

– ხელისუფლება არის იმის იმედად, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიიღებს ჩვენს მაგივრად რაღაც ზომებს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს არა მთავრობა, არამედ დროებითი მარიონეტული ადმინისტრაცია, ჩვენ რომ მთავრობა გვყავდეს, დაიწყებდა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას და არ დაველოდებოდით, როდის ჩამოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მორიგი მისია. ალბათ, გამოიყოფა რაღაც ტრანში, რაც რაღაც პერიოდისთვის ლარის ინფლაციას შეაჩერებს. რა ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გაატარონ ამათ, გადახედეთ, ვინ მართავს ფინანსურ პოლიტიკას, მარაზმატიკების გუნდი, „ქართუ ბანკის“ დამლაგებლებიც კი მინისტრებად ინიშნებიან, ვინ უნდა განსაზღვროს ფინანსური პოლიტიკა?

— **თქვენი ინფორმაციით, რატომ არ იცვლებიან ის მინისტრები, ვინც პასუხისმგებლები არიან ფინანსურ პოლიტიკაზე?**

– როცა კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრად ინიშნებოდა, მაგ მოითხოვა, საკადრო გადაწყვეტილებებში თავისუფლება მიეცათ მისთვის. შეჰპირდნენ და სთხოვეს, უხერხული რომ არ ყოფილიყო, ცვლილება თებერვალში განეხორციელებინა. ახლა უკვე მიდის მისი დამუნათება, რომ საჭირო არ არის საკადრო ცვლილებების გატარება, არწმუნებენ, რომ ხადური დატოვოს მინისტრის პოსტზე და შეცვალოს მოადგილეები... ახლა ამათ არ სცალიათ ფინანსური პოლიტიკის გასატარებლად, მიდის კვოტებით ვაჭრობა, „რესპუბლიკელები“ ითხოვენ გაზრდილ კვოტებს, „ოცნება“ „რესპუბლიკელებს“ გარიცხვით ემუქრება, ყველამ კარგად ვიცით, ვერ გარიცხავენ, საბოლოო ჯამში არის ჩაკეტილი წრე.

# რისთვის ხვდებიან ერთმანეთს ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ალასანია?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



ბოლო ხანს ძალიან აქტუალური გახდა „თავისუფალი დემოკრატების“ „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნების საკითხი. მართალია, ისინი გამორიცხავენ „ოცნების“ სხვა ლიდერებს. მათ მოახდინეს პროდასავლური კურსის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრული მონოპოლიზაცია, კოალიციაში მხოლოდ „რესპუბლიკელები“ აღიქმებიან პროდასავლური კურსის აქტიურ მხარდამჭერად და სხვა არავინ, რასაც თავად „რესპუბლიკელებიც“ ება ირაკლი ალასანია თავისი „თავისუფალი დემოკრატებითო“. ალასანიას პარტია დეკლარირებულად პროდასავლურია, დასავლეთში პატრონებიც ჰყავს და თუ კოალიციაში დაბრუნდებიან, „რესპუბლიკელებს“ ამ პროდასავლური კურსის პატრონის სტატუსი თავისთავად



კოალიციაში დაბრუნებას (ვიქტორ დოლიძეც ჩვენთან ინტერვიუში ამას ამტკიცებს – იხილეთ მეთორმეტე გვერდზე) და გავრცელებულ ინფორმაციას ჭორს უწოდებენ, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. „ქრონიკას“ ბიძინა ივანიშვილის ახლო გარემოცვასთან დაახლოებულმა ადამიანებმა აცნობეს, რომ ირაკლი ალასანიას გუნდის კოალიციაში დაბრუნების მოსურნე თავად ბიძინა ივანიშვილი ყოფილა და სწორედ მას შეუთავაზებია ალასანიასთვის თანამშრომლობა! მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი ალასანიაზე ძალიან ნაწყენია, მას უმადურ ადამიანსაც ეძახის და ამის შესახებ „ქრონიკა“ არერთხელ წერდა, ივანიშვილს პოლიტიკურმა რეალობამ აიძულა, ეს ნაბიჯი გადაედგა და ირაკლი ალასანიასთვის შეუთვლია, ეფიქრა „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნებაზეო. „ქრონიკის“ ერთ-ერთი წყარო აცხადებს, რომ ამის მიზეზი ის არის, რომ „რესპუბლიკელებმა“, როგორც იტყვიან, თავი წასჭამეს ივანიშვილსა და „ქართული მუდამ უსვამენ ხაზს... მაგალითად ლევან ბერძენიშვილის ნათქვამიც გამოდგება, – თუ „რესპუბლიკელებმა“ კოალიცია დატოვეს, მაშინ კოალიციის პროდასავლურ კურსს საფრთხე შეექმნებაო... მართალია, ივანიშვილი ყველა ღია გამოსვლისას მათზე აუგს კი არა, ერთ გადაბრუნებულ სიტყვასაც არ ამბობს, მაგრამ ბოლო დროს მათი ალტერნატივის ძებნას სერიოზულად შეუდგაო. მედიით გავრცელებული ინფორმაციით, 2016 წლის არჩევნებისთვის, „ქართული ოცნების“ გამსვლელ სიაში, სავარაუდოდ, პირველ 50 კაცში, 15 ადგილს ითხოვენ და არც უკან დახევას აპირებენ და მეტიც – წყარო ირწმუნება, რომ თავდაპირველად, პირველ 50 კაცში „რესპუბლიკელები“ ნახევარს, 25 ადგილს ითხოვდნენ და ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ, 15 კაცამდე ჩამოვიდნენ.

მოკლედ, ბიძინა ივანიშვილს „რესპუბლიკელების“ მოძალებული ამბიციების დაშოშმინება სურს და ამისთვის სჭირდება ირაკლი ალასანია...

წაერთმევათ. გავიხსენოთ, როცა ალასანია თავისი პარტიით კოალიციაში იყო, „რესპუბლიკელები“ ამდენს ვერ „ბლატაობდნენ“ სწორედ ამ პროდასავლური კურსის საკითხში. მათ „თავისუფალი დემოკრატები“ უწევდნენ კონკურენციას და შესაბამისად, სახელისუფლებო დონეზეც პარიტეტი დაცული იყო – ალასანია და მისი გუნდის წევრები „რესპუბლიკელებთან“ და კოალიციის სხვა სუბიექტებთან ერთად იყოფდნენ მინისტრის პორტფელებს. მოკლედ, ალასანიას დაბრუნება ბიძინა ივანიშვილს ძალთა ბალანსის აღსადგენად სჭირდება.

წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ალასანია ამ დღეებში აპირებენ შეხვედრას და „თავისუფალი დემოკრატების“ კოალიციაში დაბრუნების საკითხს განიხილავენ. ამ ეტაპზე კი მოლაპარაკებას ალასანიასთან ივანიშვილის წარმომადგენლები აწარმოებენ.

# ვიქტორ დოლიძე: „როგორც პოლიტიკური პარტია, პირველად გავდივართ არჩევნებზე დამოუკიდებლად და არავისთან ალიანსს არ ვგეგმავთ!“

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

**სიდუხჭირე, უპერსპექტივობა, შიმშილი და კიდევ უარესის მოლოდინი, ამ ნეგატიურ რეალობაში გვიწევს ცხოვრება, პროგნოზები კი კიდევ უფრო საგანგაშოა. პოლიტიკოსებს არჩევნებიდან არჩევნებამდე ერთსა და იმავე წრეზე დავყავართ... გვირაბის ბოლოს კი სინათლე არსად ჩანს, თუმცა ყოველ ახალ პოლიტიკურ ცვლილებას იმედის ახალი ნაპერწკალი მოაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია უკვე კარგა ხანია არაფორმალურ მმართველ ივანიშვილზე ღიად საუბრობს, გიორგი კვირიკაშვილის გაპრემიერებას მაინც ახალი მოლოდინით შეხვდა. რა მოლოდინი აქვს ახალი პრემიერისგან და რას უნდა ველოდეთ პრემიერყოფილი ივანიშვილისგან, რომელიც უკვე დაუფარავად აცხადებს, რომ წინასაარჩევნო პროცესში აქტიურად ჩაერთვება და ბევრ რამეს დაალაგებს „ოცნების“ გუნდში. ამაზე „კვირის ქრონიკა“ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტარ ვიქტორ დოლიძეს ესაუბრა:**

– ვითარება ნათელია, ვინ მართავს ქვეყანას. მე მგონი, ილუზიები არ უნდა გვქონდეს, მაგრამ კვირიკაშვილმა დაამტკიცა პარლამენტში გამოსვლისასაც, რომ ის არის ბევრად უფრო კომუნიკაბელური და ბევრად უფრო კონსტრუქციული, ღარიბაშვილთან შედარებით. არ ვფიქრობ, რომ იგი არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასმედიასთან ურთიერთობაში ისევე ხისტი იქნება, როგორიც მისი წინამორბედი იყო. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ გრძელდება არაფორმალური მმართველობა, ივანიშვილი მართავს პროცესებს, რაც ქვეყნისთვის არ არის კარგი. ამის მიუხედავად, მინდა კვირიკაშვილს წარმატებები ვუსურვო...

**— ხშირად „თავისუფალ დემოკრატებს“ მერყევ პოლიტიკურ ძალად და არასანდო პარტნიორად გასახელებენ, სხვათა შორის, ერთ-ერთი ამომრჩეველი ჩემთან საუბარში უკმაყოფილებას არ მალავდა თქვენს მიმართ, სადაც არიან, მაშინ კარგია ის ძალა და რომ წამოვლენ, ცუდი ხდება, რატომ დავუჯეროთო? მსგავსი მოსაზრება ბევრს აქვს, მე კი კითხვას ასე დაგისვამთ — დაგაგვიანდათ კოალიციიდან წამოსვლა თუ იჩქარეთ? და როგორ აპირებთ ხალხის ნდობის ახლიდან მოპოვებას?**

– არც ერთ ნაბიჯზე არ ვნანობ, რაც გადაგვიდგამს. კოალიცია და ის მთავარი მიზანი, რომ 2012 წელს ერთად დავამარცხეთ სააკაშვილი, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის უდიდესი როლი, და ამას ჩვენ არასდროს გავურბივართ, იყო ძალიან მნიშვნელოვანი. მაშინ ვიყავით ყველა ერთის წინააღმდეგ, ვებრძოდით უზურპირებულ ხელისუფლებას და მოვიქეცით ისე, როგორც უნდა მოვქცეულიყავით, კოალიციამ ერთად შევიმუშავეთ იდეოლოგიური დოკუმენტი, პროგრამა, ხელი ჩამოვართვით ამ თემასთან დაკავშირებით ერთმანეთს და მოვედით ერთად ხელისუფლებაში. მე აღარ წავალ ახლა დეტალებში, რატომ მოხდა გამოყოფა კოალიციიდან, ეს ყველამ იცის, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს იყო პიროვნული თემა ივანიშვილის მხრიდან, რაც ნათელი გახდა უკვე, კი ნახეთ კაბელების თემა ჩამოენგრა პროკურატურას თავზე და დანაშაული, რაშიც ბრალი დაედოთ ალასანიას გუნდის წევრებს, არ დამტკიცდა. ბუნებრივია, სამწუხაროა, რაც მოხდა, ორი აზრი არაა, მაგრამ ჩვენ არ გვიბრძოლია იმისთვის, რომ ისევ ერთპიროვნული მმართველობა ყოფილიყო, არაფერი შესრულებულიყო, დაპირებები, რომ ინსტიტუტებს განვავითარებდით, დამოუკიდებელი იქნებოდა პროკურატურა, მართლმსაჯულება და ა.შ... არ შესრულდა, არ იყო ამის პოლიტიკური ნება საკმარისად. მურუსიძის სასამართლოსთვის ჩვენ არ ვიბრძოდით, ხომ? მურუსიძე „თავისუფალ დემოკრატებს“ არ აღმოგვიჩენია და არ აღგვიზევებია, არც იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარედ დაგვინიშნავს და არც სააპელაციო სასამართლოში დაგვიჭერია მხარი არჩევნებზე. მეტიც, ის სამი ადამიანი, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ იმ პერიოდში მოსამართლეებად, მათაც მივმართეთ ახლა თხოვნით, დატოვონ თანამდებობა, რადგან ეს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური თემაა, ეს დამოკლეს მახვილივით ეკიდება დღევანდელი ხელისუფლების თავზე ბოლომდე. ამიტომ კითხვაზე ჩვენ მიმართ, მაშინ კარგი იყო კოალიცია, თქვენ რომ იყავით? – პასუხი ასეთია, სანამ ვიყავით, ბევრი რამ კარგი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რამ ცუდი მოხდა და ჩვენ იმით განვსხვავდებით სხვებისგან, რომ აღმოვჩნდით პრინციპული პასუხისმგებლობის მქონე, მორალურად გაწონასწორებული და უღალატო გვერდში მდგომი ძალა. მეგობართა კლუბი ხომ არ ვართ მართლა, მხოლოდ ალასანიას გამოვკიდებოდით?

**— ერთ-ერთი მთავარი გზავნილი, რაც გუნდიდან წამოსვლისას გააკეთეთ, იყო ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევა და საგარეო ვექტორის ცვლილების საფრთხე, ხომ არ იჩქარეთ ამ შეფასებებისასაც?**

– დავაზუსტოთ რა, პირველ რიგში, მაშინ ორიენტაციის ცვლილებაზე არ იყო საუბარი. ხალხისთვის, ალბათ, უკეთ უნდა აგვეხსნა, სწორად ვერ გაიგეს, საუბარი იყო იმაზე, რომ, როცა ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე, უმნიშვნელოვანეს მოლაპარაკებებზე იყო თავდაცვის მინისტრი ნატო-ში, ფაქტობრივად, ტრაპიდან მოხსნეს. სხვა არაფერი ერქვა ამას. ყველაზე გადამწყვეტ დროს დაუკავეს 5 ადამიანი უწყებაში. ჩვენ ვთქვით, რომ ამგვარი მოქმედება საფრთხის ქვეშ აყენებს ჩვენს ნატოსთან თანამშრომლობას და ინტეგრაციას, იგივეს გეუბნებით ახლაც. რომ გადაავლოთ თვალი ჩემს სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუებს, ნახავთ, რომ არსად მითქვამს, ნატოში აღარ უნდათ ამათ, ან ევროკავშირში და უნდათ რუსეთში, ან ევრაზიულ კავშირში... ორიენტაციის ცვლილება არა, მაგრამ ევროსტრუქტურებთან თანამშრომლობა საფრთხის ქვეშ დადგა. მიხარია, რომ ახლა გრძელდება, თუმცა არა იმ მასშტაბით, რასაც მე ვუყურებ.

**— აღარ სრულდება „გაზპრომის“ ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟიც, ამ შემთხვევაში რა საფრთხეებს ხედავთ? რუსეთისკენ ლტოლვას თუ მხოლოდ ენერგეტიკულ თანამშრომლობას?**

– რასაც ვაკვირდები და ვეცნობი ექსპერტთა აზრს, ამ თემასთან მიმართებაში ძირითადი პრობლემა არის ის, რომ გულწრფელად, ღიად და ტრანსპარანტულად ვერ მოახერხა ენერგეტიკის სამინისტრომ, ინფორმაცია მიეწოდებინა მომხმარებლისთვის, მათ შორის პარლამენტისთვის. მან, ფაქტობრივად, ყველა გზა მოჭრა კომუნიკაციის, თან გააკეთა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები, რამაც გააჩინა ლეგიტიმურ ეჭვი და უნდობლობა. ასევე, საგულისხმოა, რომ წელს ჩვენ გავხდებით ევროენერგოგაერთიანების წევრი და ბუნებრივია, ვალდებული ვიქნებით, მათი კრიტერიუმები დავაკმაყოფილოთ. ამიტომ რეგულაციებთან არც ერთი ნაბიჯი არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში და რაც ყველზე მთავარია, უნდა ახსოვდეს ხელისუფლებას, რომ „გაზპრომი“ არაა სანდო პარტნიორი ჩვენთვის. პოლიტიკურ იარაღად იყენებდა პუტინი, იყენებს და გამოიყენებს მომავალშიც, ამიტომ არ მინდა, დიდი დოზით ვიყოთ დამოკიდებული „გაზპრომზე“, როცა კარგა ხანია მოხერხებულია დივერსიფიკაცია და მადლობა აზერბაიჯანს. თუ მაინც გიწევს რამდენიმე პროცენტის წამოღება დამატებით „გაზპრომისგან“, ესეც უნდა აუხსნა პარლამენტს, ერთად მიიღოთ გადაწყვეტილება, რა როგორ იქნება და გააგებინო მოსახლეობას ღიად.

**— სხვათა შორის, გიორგი კვირიკაშვილმა გაპრემიერებისთანავე რუსეთის პროპაგანდისტების მასიურ გააქტიურებაზე გააკეთა აქცენტი და ოკუპანტის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე ისაუბრა, ესეც ეწინააღმდეგება კალაძის ბუნდოვან ქმედებებს და „გაზპრომთან“ დაახლოების სურვილს...**

– ის, რომ კვირიკაშვილმა წინამორბედისგან განსხვავებით პირდაპირ აღნიშნა, რუსეთის პროპაგანდა საქართველოში არის სერიოზული პრობლემა, ამას მივესალმები. მაგრამ საფრთხეს სჭირდება ბრძოლა. ჩვენ კი არა, მთელი ევროპა მიმართულია იმისკენ, რომ სერიოზულად ჩაახშოს რუსული პროპაგანდისტული მანქანა. კარგია, თუ ეს აღქმა აქვს მთავრობას და ამ კუთხით ნაბიჯებს გადადგამს, მაგრამ ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის, რას როგორ აკეთებენ, რას ფიქრობენ და ა.შ. კომუნიკაცია არ არის, თუ ამას ახალი პრემიერი მოახერხებს, კარგი იქნება, მაგრამ ჯერჯერობით საკუთარ საზოგადოებასთან გაუცხოება ჩანს. როცა ეს გაუცხოება მოხდა თავის დროზე სააკაშვილსა და ხალხს შორის, იქ დაიწყო მისი დასასრულის დასაწყისი... ჩვენ ასი დღე მივეცით პრემიერს, არა ულტიმატუმის სახით, ვთხოვეთ, რომ ასი დღის შემდეგ მობრძანებულიყო პარლამენტში, გვითხრას, კონკრეტულად როგორ აპირებს, რას აპირებს, იგივე ეკონომიკური კუთხით, რაც გაჟღერდა საგადასახადო ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სულ რამდენიმე ხნის წინ იგივე საშეღავათო პოლიტიკა „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ავსახეთ პროგრამაში...

**— ისე, „ნაციონალებიც“ სთავაზობენ ხელისუფლებას კრიზისიდან გამოყვანის გეგმასა და კონსულტაციებს...**

– „ნაციონალურმა მოძრაობამ“, თავიანთი კრიზისებიდან გამოსვლის გეგმა „გადაჭარბებით შეასრულეს“, მათ „გადაჭარბებით დაიცვეს ადამიანის უფლებები“, სააკაშვილმა დემოკრატიისკენ „გადაჭარბებული ნაბიჯები გადადგა“, მადლობა გადავუხადოთ, „რაც მათ გააკეთეს“, გავიდა მათი ეპოქა, წარსულის ეპოქის ხალხი არიან ისინი. როგორც პოლიტიკურმა ძალამ, რესურსი ამოწურა. ახლა კი სიახლე სჭირდება საზოგადოებას... ჩვენ ღიად ვაფიქსირებთ, რომ მოგვეცა კარგი საშუალება, როგორც პოლიტიკური პარტია, პირველად გავიდეთ არჩევნებზე, არავისთან ალიანსს არ ვგეგმავთ, ჩვენს თავსაც მოვსინჯავთ. დიდი გამოწვევაა, ჩემი აზრით, და ვფიქრობ, წარმატებული იქნება...








**„ჩვენ მიმართ კითხვაზე, მაშინ კარგი იყო კოალიცია, თქვენ რომ იყავით? — პასუხი ასეთია, სანამ ვიყავით, ბევრი რამ კარგი იყო“**

**„მეგობართა კლუბი ხომ არ ვართ მართლა, მხოლოდ ალასანიას გამოვკიდებოდით?“**

# ლუკა კურტანიძე: „ბიძინა ივანიშვილი არის ის ადამიანი, რომელიც ვაღიარე ერისკაცად. მან ძალიან ბევრი საქმით დაამტკიცა თავისი კაცობა“

## „რაც ჩვენს გარშემო ხდება, ამის ფონზე როცა საქართველოში ლარი 3-4 პუნქტით უფასურდება, ლამის კატასტროფად ხატავენ“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**„დგება დრო, როცა გაირკვევა, ვინ არის ერთგული და უღალატო!.. ვის რა მადა ეღვიძება... საქმეში თუ უსაქმურობაში! ვინ რა შეძლო და ვინ — ვერ! ვინ უღალატა და ვინ უღალატებს ერისკაცს! ჩვენ ვართ იდეის ირგვლივ გაერთიანებული კოალიცია და ეს ყველას უნდა ახსოვდეს! ჩვენ გვახსოვს... ვინმეს ხომ არ გავიწყდებათ?! დაუსვით კითხვა ყველამ თქვენს თავს და პასუხსაც მალევე მიიღებთ“! — ეს სიტყვები საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, ლუკა კურტანიძეს ეკუთვნის.**

**— ლუკა, ვინც სამი წლის განმავლობაში ვერ მოვიდა აზრზე, ახლა მოვა, რამდენიმე თვეში? ან ახლა არკვევ, ვინ არის ერთგული და ვინ მოღალატე? ან სჭირდება კი ამის გარკვევა ვინმეს? ამას ხალხი თვითონ გაარკვევს ამ წლის ოქტომბერში.**

– საერთოდ, ხელისუფლებაში ყოფნა არის საცდური და ამ საცდურში ვინც უფრო ღირსეულად მოიქცევა, ის მოიგებს. აი, სწორედ ამის გარკვევის დრო დგება. როგორც საქმეს სჭირდება, როგორც გუნდს სჭირდება და ქვეყანას, ჩვენ ისე უნდა ავაწყოთ სიტუაცია. ახლა მე ვხედავ რაღაც ნიშნებს, სადაც უფრო მეტი ემოციებია ჩადებული, ზოგი ვერ თოკავს ამ ემოციებს და მიდის გინება. უკვე ისე შეიჭრნენ როლებში, რომ ერთმანეთს უმტკიცებენ, ვინ ვისზე უკეთესია, ვის უფრო მეტი რეიტინგი აქვს, ვის ნაკლები და ასე შემდეგ. ამაზე საუბარი, საერთო ჯამში, გუნდს აკნინებს. მე ვფიქრობ, ყველამ თავი უნდა შეიკავოს და პრობლემები მოგვარდეს შიდა მსჯელობით. დადგა დრო, გავაანალიზოთ, რა მოხდა, ვინ იყო კარგი, ვინ იაქტიურა... მე ვგულისხმობ მართალ აქტიურობას, თორემ ზოგიერთი გიჟი ყველაზე მეტად აქტიურობს, ასეთების ადგილი იქ არ არის, სადაც ქვეყნის საქმე კეთდება. ასევე, უნდა დავინახოთ შეცდომები და ასე ჩავერთოთ საარჩევნო ბატალიებში.

**— ანუ, შენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ კოალიციაში დიიდი პრობლემებია.**

– არის, ამას ყველა ვხედავთ... კოალიციაში უკვე მიდის საუბარი, ვინ ვისზე მეტია, ვინ ვისზე განათლებულია, ვინ ვისზე მაგარი ტიპია და ასე შემდეგ. ეს ჩვენ ნამდვილად არ გვმატებს ღირსებას და ვფიქრობ, ყველა უნდა დაფიქრდეს.

**— მე მგონი, უკვე გვიანია თითზე კბენანი.**

– არა, გვიანი არ არის... არჩევნებამდე თითქმის ერთი წელია დარჩენილი და ასეთი ღელვა ნაადრევად მეჩვენება. ახლა მთავარია ის პრინციპები, რაც ჩვენ ბიძინა ივანიშვილთან ერთად მოვიპოვეთ – ეს არის ადამიანის უფლების დაცვა, საკუთრების დაცვა, სოციალური საკითხები... ასევე, ეროვნული ინტერესები, რა მხრივაც გლობალური შემოტევაა. კი, ბევრი რამ არ მოგვწონს, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ საქართველოს ბრალი, ეს გლობალური პრობლემაა, ყველა ქვეყანას აწუხებს.

**— ყველა ქვეყანას რა აწუხებს?**

– პირველ რიგში, აწუხებს სოციალური მდგომარეობა. მეორე არის ეროვნული ღირებულებები, რომელიც მაქსიმალურადაა დასაცავი. მე გერმანიაში 12 წელი ვცხოვრობდი და იქაც დგას ეს პრობლემა.

**— ჩვენ დღეს ძალიან გვაწუხებს ლარის გაუფასურება... მეგონა, ამით დაიწყებდი.**

– რაც ჩვენს გარშემო ხდება, ამის ფონზე როცა საქართველოში ლარი 3-4 პუნქტით უფასურდება, ლამის კატასტროფად ხატავენ.

**— ნამდვილად! როდესაც ადამიანისთვის, რომელსაც ბანკიდან სესხი აქვს აღებული და იმას არავინ უწევს შეღავათს, იმისთვის კატასტროფაა. აგერ, ორი დღის წინ ლარის კურსი იყო 2,44 და უცებ ავარდა 2,50-ზე. ეს ნამდვილად კატასტროფაა!**

– ჩვენში ბანკები სცოდავენ... ჩემი აზრით, ეს სისტემა საერთოდ მოშლილია. აქ ბევრი რამეა დასარეგულირებელი, რადგან სიტუაცია თვითდინებაზეა მიშვებული.

**— და რატომ?**

– იმიტომ, რომ ეს არ არის გუშინდელი პრობლემა. ვაჟბატონი ქადაგიძე რომ გამოდის და მამა აბრამის ბატკანივით ლაპარაკობს, ასე არ არის. იქით საკონსტიტუციო სასამართლოს ჰყავს კიდევ „ნაციონალი“ თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი. ჩვენ კარგად ვიცით, ვინ სად იყო და როგორ იყო. რომ არა ეს ხალხი, ბევრი რამე სამართლიანად გადაწყდებოდა. ეს პრობლემები უახლოეს ხანში გადაიჭრება, ამაზე წავა აქტიური მუშაობა. ბანკების მიშვება ასე არ შეიძლება, ისინი თვითნებურად ზრდიან პროცენტებს და კურსის რყევასაც ხელოვნურად იწვევენ.

**— სხვათა შორის, მაგ ქადაგიძეზე ივანიშვილს ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდენია, პირიქით. ჩვენ ვიცით, რომ მას დასაჭერად ჰქონდა საქმე და ივანიშვილის წყალობით, პოსტიც კი შეინარჩუნა... კარგი, გავაგრძელოთ. ამ თქვენს დაპირებებში სამი წელი გავიდა და ამასობაში ჩვენ ტყავი გაგვაძრეს. ჩვენ რა ვქნათ? თქვენს გადანაწილებებსა და კარგ ცხოვრებას ვუყუროთ?**

– კი ბატონო, მართლაც ბევრი პრობლემა იყო, ბევრი მოგვარდა და ბევრიც დარჩა. ჩვენი გუნდის პრობლემა ისიც არის, რომ გაკეთებულ საქმეებზე არ ვლაპარაკობთ, არ ვუხსნით ხალხს იმ მოსაზრებით, ხომ არ დავაყვედრით? თუმცა მე ვიტყოდი, რომ ეს არის მინუსი, მოსახლეობას არ მიეწოდება ინფორმაცია. უნდა იყოს იმედი და არა პიარი. მალე შეიცვლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც და ის არ იქნება პოლიტიკურად ანგაჟირებული. ახლა გაურკვეველია, ქადაგიძე საიდან და ვის მიერ იმართება.

**— ერთმა გენიოსმა ბანკირმა თქვა, ქვეყანაში მომეცით ფულის მოჭრის საშუალება და თქვენ გინდათ პრემიერ-მინისტრები იყავით, გნებავთ — პრეზიდენტები, გნებავთ — პარლამენტარები, ფეხებზეც არა მკიდიხართო. თქვენ „ნაციონალებს“ დაუტოვეთ ყველაზე მთავარი — „ფულის მოჭრის“ საშუალება და ბანკები. კი, ბატონო, იყავით მინისტრები და დეპუტატები, იმათ ფეხებზეც არა ჰკიდიხართ, ვერაფერსაც ვერ აკლებთ.**

– კი, ეს პრობლემა მოსაგვარებელი და გადასაწყვეტია. ერთ თვეში ეს ამბავი გადაწყდება.

**— ერთ თვეში ქადაგიძე ისედაც მიდის და მის ადგილზე „ნაცები“ ვის დანიშნავენ, ისიც არ იცით.**

– ეროვნულ ბანკში მოვა ის ადამიანი, რომელიც იქნება თავისუფალი ნებისმიერი პოლიტიკური ძალისგან. სამწუხაროდ, საქართველოში უმტკივნეულოდ არაფერი ხდება.

**— ლუკა, შენ თავიდან ისე დაიწყე, რომ მომეჩვენა, მე მგონი, პარლამენტში მშვიდობის მტრედის ფუნქცია დაგაკისრეს.**

– არა ვარ არა მშვიდობის მტრედი... უბრალოდ, არ მინდა, საზოგადოებამ დაინახოს, რომ ერთი გუნდის წარმომადგენლები იწყებენ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას და იმის მტკიცებას, ვინ ვისზე უკეთესია. თუ ჩვენ დავიწყებთ ერთმანეთის გინებას, ხალხი იტყვის, ესენი ერთმანეთს ვერ იტანენ და საქართველოს აიტანენო? ყველაფრის გამოტანა სააშკარაოზე არ შეიძლება.

**— მალეთ, მალეთ, ჭირი თავს მაინც არ დამალავს. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვხედავთ, რა უბედურებაც გვჭირს.**

– ჩვენ გვჭირდება თვითკრიტიკა, თვითანალიზი და ამის შემდეგ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: ვარ კი მე მზად შემდეგი ბრძოლისთვის თუ არა? თუ ადამიანი მზად არ არის, მაშინ უკვე პრობლემაა.

**— როდესაც შენ ერთიანობაზე ლაპარაკობ, ეს შეიძლება კეთილშობილი საქმეა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა უკვე თქვა, რომ პარლამენტში ბევრი ვეღარ მოხვდება. აქედან დასკვნა, ერთიანობაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია.**

– გასაგებია, სწორედ ეს უნდა გადავწყვიტოთ გუნდში. როდესაც მე მსოფლიო ჩემპიონატებზე გავდიოდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, შემეძლო თუ არა შედეგის გაუმჯობესება. როცა კითხვის ნიშანი გაჩნდა, მაშინ დავამთავრე კარიერა. ამიტომ, ყველამ ჰკითხოს თავის თავს, შეუძლიათ, დარჩნენ პარლამენტში?

**— კარგი რა, რომელი გეტყვის, გავაანალიზე და აქედან მივდივარო? ვის ეთმობა თბილი სავარძელი?**

– როდესაც წინსწრებით მიდის ლაპარაკი, ვინ იქნება მომავალ პარლამენტში, ესეც შეცდომაა. ამაზე საუბარი იქნება შიგნით, გუნდში.

**— სად შიგნით, ბიძინა ივანიშვილთან?**





– ბიძინა ივანიშვილი არის ის ადამიანი, რომელიც ვაღიარე ერისკაცად. მან ძალიან ბევრი საქმით დაამტკიცა თავისი კაცობა და იმდენი გააკეთა, ერთად აღებულ მთელ პოლიტიკურ სპექტრს არ გაუკეთებია. ამ ადამიანთან დავსხდებით და დავილაპარაკებთ, ეს არ არის დასამალი. ახლა ყველა ლაპარაკობს, რომ მაგარია... 2012-ში ბევრი ხმას არ იღებდა, მაშინ სარისკო იყო, შეიძლებოდა ადამიანს სიცოცხლე საპყრობილეში დაესრულებინა. თუ იქიდან გამოხვიდოდი, ცოცხალ-მკვდარი იქნებოდი. ბიძინა ივანიშვილმა უსისხლოდ მოაშორა სააკაშვილის რეჟიმი. დღეს მე რა უფლება მაქვს, ამ ადამიანს არ მოვუსმინო და რჩევები არ გავითვალისწინო? პარლამენტში ჩქარობენ, უნდა დაველოდოთ, შეიძლება ხვალ სულ სხვა მოცემულობა იყოს. ყველამ აკეთოს თავისი საქმე, ერთმანეთის ლანძღვით ვერაფერს მოვიგებთ. მე მაქვს და კიდევაც მექნება ივანიშვილთან საუბარი, თუ მეტყვის, ახლა პარლამენტში კი არა სხვაგან მჭირდებიო, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და ისე წავალ ბრძოლის ველზე.

# რას უშველის ქართულ გაუბედურებულ ბიზნესს „ესტონური მოდელი“?

## საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სქემას გვიშიფრავს

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19








მოგების გადასახადისგან განთავისუფლება და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრა, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია და მთელი მთავრობისთვის ერთიანი ე.წ ფრონტ ოფისის შექმნა – ეს ის ახალი ინიციატივებია, რომელიც ბიზნეს-საქართველოს გიორგი კვირიკაშვილმა გაპრემიერებიდან 20 დღეში წარუდგინა.

მოგების გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით ინიციატივა გიორგი კვირიკაშვილმა ჯერ კიდევ ეკონომიკის მინისტრობისას გააჟღერა. მაშინ საუბარი იყო მოგების გადასახადის ეტაპობრივ შემცირებაზე. კვირიკაშვილის ინიციატივას რეალურს უწოდებდა ხადური და ბიზნესსექტორს ჰპირდებოდა, რომ მოგების გადასახადისგან გაათავისუფლებდა და მხოლოდ დივიდენდი დაიბეგრებოდა. სქემა კი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

მოგების გადასახადი: 15% პირველი ეტაპი, 10% მეორე ეტაპი, 5% მესამე ეტაპი, 0% მეოთხე ეტაპი;

დივიდენდის საშემოსავლო: 5% პირველი ეტაპი, 10% – მეორე, 15% – მესამე და 20% – მეოთხე.

საინტერესოა, როგორ გამოიყურება დეტალებში თავად ესტონური მოდელი, რომლის გადმოღებასაც აპირებს ჩვენი მთავრობა და რამდენად ზედმიწევნით მოხდება მისი პუნქტების შესრულება.

ესტონეთის მოდელი, სადაც განაწილებული მოგების გადასახადი 15 წელია, მოქმედებს და 1999 წელს მიღებული საშემოსავლო გადასახადის აქტით **(Income Tax Act)** რეგულირდება. ამ აქტის მიხედვით, განაწილებული მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება:

1. საკუთრივ განაწილებული მოგება;
2. თანამშრომლების სახელფასო სარგებელი;
3. ჩუქება, შეწირულობა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
4. ზოგიერთი ხარჯი ან/და განაცემი, რომელიც არ არის დაკავშირებული კომპანიის სამეწარმეო საქმიანობასთან.

საშემოსავლო გადასახადის აქტის თანახმად, მოგების განაწილება მოიცავს: ფულადი და არაფულადი სახით დივიდენდის გაცემას, კაპიტალის შემცირებას, წილის/აქციის გამოსყიდვას ან კაპიტალის სალიკვიდაციო განაწილებას, თუ ის აღემატება შენატანებს.

რადგან ესტონეთში მოგება განაწილებისას იბეგრება, დივიდენდების დამატებით დაბეგვრა აღარ ხდება. ამასთანავე, განაწილებული მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების განაკვეთი ერთნაირია, რათა აღიკვეთოს გადამხდელების მხრიდან მოგების განაწილების ხელფასებად „გაფორმების“ ან საპირისპირო მცდელობები.

ესტონური მოდელის თავისებურებაა ისიც, რომ ზოგიერთი ტიპის ხარჯი მოგების გადასახადით იბეგრება, რაც, სავარაუდოდ, ხარჯების გავლით მოგების შეფარულად განაწილების პრევენციაა. ეს ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იმ ხარჯების ანალოგია, რომლებიც არ გამოიქვითება დასაბეგრი შემოსავლებიდან და მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

– ხარჯები (მათ შორის, უძრავი ქონების შეძენისთვის) ან განაცემები, რომლებიც არ არის დაკავშირებული კომპანიის ბიზნესსაქმიანობასთან;

– ხარჯები ან განაცემები, რომლებიც არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული;

– გაცემული სესხები ან ავანსები შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის და სხვა.

თუმცა ჩვენთან ისმის კითხვებიც, რომელზე პასუხებიც ჯერჯერობით ბუნდოვანია – როგორ მოხდება ბიუჯეტის შევსება, რამდენად იგრძნობს შვებას და რეალურად გაფართოვდება წვრილი და საშუალო ბიზნესი, რომელთა სტიმულირებაა ამ კანონის მთავარი ამოცანა.

„კვირის ქრონიკასთან“ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ნოდარ ებანოიძე ამ თემაზე უფრო დეტალურ განმარტებებს აკეთებს: „ამ მოდელის მთავარი ინტრიგა ისაა, რომ ესტონეთში ეფექტი სწორედ უფრო იყო მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, რომ ესტონური მოდელის ძირითადი არსი ის არის, რომ გაუნაწილებელი მოგების შემთხვევაში, რეინვესტირების შემთხვევაში, ბიზნესი განთავისუფლდა მოგების გადასახადისგან.

იმ შემთხვევაში, როცა საკმაოდ დიდ შეღავათს იღებ, რა თქმა უნდა, ბიზნესი ჭკვიანია, იქ, სადაც რეზერვები და რესურსები არის, ის შეეცდება, რომ თავის წარმოება გააფართოოს და შემდგომში მეტი მოგება მიიღოს. ესტონური მოდელის შემთხვევაში გადასახადების გადახდა ხდება, როცა უკვე დივიდენდად გაიცემა. ანუ დივიდენდად გაცემის შემთხვევაში ის გადაიხდის დივიდენდის გადასახადს 5 პროცენტს და მოგების გადასახად 15 პროცენტს, ანუ ჯამში 20%-ს“.

ჩვენს შეკითხვაზე, მაგალითისთვის ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში რეინვესტირება როგორ განისაზღვრება, ახალი მაღაზიის გახსნით თუ პროდუქტის? ასევე, როგორ მოხდება მეწარმის შემოწმება? ნოდარ ებანოიძე პასუხობს:

„აუცილებელი არაა ახალის გახსნა, ვთქვათ, მიიღო წელიწადში სუფთა 10000 მოგება, ანუ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა. ამ შემთხვევაში ის ვალდებულია, 2000 ლარი გადაიხადოს ბიუჯეტში ამ კანონით, იმ შემთხვევაში კი, თუ მოგების გადასახადს მოახმარს, გაზრდის მოცულობას ან ასორტიმენტს. არც რეინვესტირების შემოწმებაა რთული საქმე, როდესაც ხდება აუდიტი გადასახადის გადამხდელის, იმ დროს თუ აღმოჩნდება, რომ მან თანხები უბრალოდ გამოიყენა და არ გადაიხადა გადასახადი, ეს უკვე დამალვაა და დასჯადია.

მსხვილ ბიზნესშიც ასეა, მაგრამ აქციონერების შეთანხმებაზეა ამ შემთხვევაში დამოკიდებული, ჩააბრუნონ უფრო დიდი მოგების იმედით თუ არა.

რაც შეეხება ბიუჯეტის შევსებას, ებანოიძის თქმით, ეს ხელისუფლებამ ხარჯების დაზოგვით და თუ საჭირო გახდა, სესხის აღებითაც უნდა მოახერხოს:

„მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი არის მილიარდ ლარამდე, რა თქმა უნდა, ამას სჭირდება შევსება, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ პირველივე წელს ყველას არ ექნება გაფართოების საშუალება. მთავრობის ვარაუდით, პირველ წელს დაახლოებით 300-400 მილიონის ფარგლებში ისარგებლებენ, გარკვეული საექსპერტო წრეები ვარაუდობენ 500-600 მლნ ლარს, რაშიც ეჭვი მეპარება... დანაკლისი კი, რაც ექნება ბიუჯეტს, უნდა აღმოიფხვრას სამთავრობო ხარჯების შემცირებით, ანდა შემოსავლის წყარო უნდა იშოვო. შემოსავლები, აქციზის გარდა, ფაქტობრივად, არ რჩება, ისიც უკვე საკმაოდ დაიჭიმა და მომატების რეზერვი ნაკლებად არის, სხვა შემთხვევაში, სხვა გადასახადებთან, თავისუფლების ქარტიიდან გამომდინარე, რეფერენდუმი სჭირდება. ამიტომ დაგვჭირდება სესხის აღება, მაგრამ გრძელვადიანი შედეგისთვის ეს ნამდვილად ღირს. რამდენიმე წელიწადში ეკონომიკა ქვეყანაში ბევრად კარგ მდგომარეობაში იქნება“ – აცხადებს ებანოიძე.

„კვირის ქრონიკასთან“ საუბარში ერთ-ერთი ინდმეწარმე, რომელსაც საშუალო ზომის ე.წ. მეორადის მაღაზია აქვს, ამბობს, რომ რეალურად მისი მცირე ბიზნესისთვის მოგების გადასახადისგან განთავისუფლებისთვის დასაკმაყოფილებელი პირობები შედარებით ბუნდოვანია, გაუგებარია ასევე კონტროლის მექანიზმი...

ლია აბულაძე: „წლიური მოგება ჩვენთან არც ისე დიდია, ყოველ შემთხვევაში რეინვესტირებისთვის ეს ხარჯები ძალიან მიზერულია, თან გაფართოებაში საინტერესოა, რას გულისხმობენ, ახალი მაღაზია უნდა გავხსნა თუ გავზარდო ტანსაცმლის რაოდენობა?

ასევე, ისმება საკითხი, გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრისგან განთავისუფლება ხომ გამოიწვევს საგადასახადოს მხრიდან სალაროს ნაშთების მუდმივ შემოწმებებს და გაურკვევლობებს? მოკლედ, მგონია, რომ ამ ცვლილებით კვლავ მსხვილი ბიზნესი ისარგებლებს და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მხოლოდ პურის ფულს ვშოულობთ ამ ე.წ. ბიზნესით, ვერაფერი შეღავათი იქნება. ვნახოთ, მაინც ველოდები დეტალებს. ისე, საშემოსავლოს გარდა, ნეტა დაინტერესებულიყვნენ ამ საკასო აპარატების ტექნიკურად მომსახურე კომპანიით, ყოველწლიურად, ფაქტობრივად, არაფერში ვიხდით 60 ლარს. თუ რამეა გასაკეთებელი, მაინც გვახდევინებენ. აპარატი გამიჩერდა, მეხსიერების კარტაა გამოსაცვლელი და 50 ლარი გადაიხადე, რომ მივიტანე. აბა, რა ტექნიკურს ვიხდი, თუ მაინც ყველა მომსახურებას ცალკე გადასახადი აქვს, მივალ და ერთჯერადად გადავიხდი თუ გამიფუჭდა“, – აცხადებს ქალბატონი ლია.

მიუხედავად იმისა, რომ საკასო აპარატების მომსახურების თემა, მოგების გადასახადის თემასთან კავშირში არ იყო, მომხმარებლის საჩივარი კომპანიაში მაინც გადავამოწმე, როგორც „ჯორჯიან სერვის ნეთვორკში“, რომელიც საკასო აპარატების მფლობელებს ტექნიკურად ემსახურება, განმიცხადეს, მომხმარებლის პრეტენზია უსაფუძვლოა, რადგან მეხსიერების შეცვლა ტექნიკურ მომსახურებაში არ შედის, 1200 ზეტის ამორტყმის შემდეგ მისი შეცვლის აუცილებლობა დგება, რაც ფასიანია და 50 ლარი ღირს. ასევე, კომპანიის მომსახურება ფასიანია იმ შემთხვევაში, თუ საკასო აპარატს დაასველებენ, ეკრანს გატეხენ, ანუ მათი მიზეზით გაფუჭდება, დანარჩენ შემთხვევაში უფასოა.

ლაურა აბრამია
591 97-67-09



# რით დამთავრდება ქართულ-სომხური ინტერნეტდაპირისპირება?

**„მარეხ გოძიაშვილმა, რბილად რომ ვთქვათ, სომხური „ოხ სირუმ სირუმ“ გადმოაქართულა და „ახ ტურფავ, ტურფავ“, დაარქვა. რა ქნან ახლა სომხებმა, ამის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვიჩივლონ?“**







ამ დღეებში სოციალური ქსელი ლამის ააფეთქა ორმა ფაქტმა – ქართული ცნობილი სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ სომხებმა რომ „სომხურ ბალადად“ გადააკეთეს, გააჰიტეს და ევროვიზიაზე წარსადგენ სიმღერადაც მოიაზრეს, მეორე – ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა გევორქიანის ცეკვის აკადემიამ ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი ცეკვა „დაისი“ სომხური საქორწილო ცეკვის სახელით რომ წარმოადგინა. მოგვიანებით კიდევ გავრცელდა ვიდეომასალა სახელწოდებით: „სოს! სომხები გვპარავენ კულტურას“, სადაც სომხური ანსამბლი „ნავასარდი“ საფრანგეთში წარადგენდა კიდევ რამდენიმე ქართულ ცეკვას, მათ შორის „მთიულურსა“ და „შალახოს“.

**„კვირის ქრონიკა“ ესაუბრება ჟურნალისტს, ექსტრასენს თამაზ ჭეიშვილს, რომელსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვს.**

– დღე არ გავა, რომ ,,ვიღაც კეთილისმსურველმა“ რუსული ან ქართულ ენოვანი ინფორმაციები არ ,,შემოაგდოს“ სოციალურ ქსელებში სომხების მტრობის თემაზე ქართველების მიმართ... ეს არის აშკარად შემოგდებული ანტისომხური თემები. საერთოდ, ვინ არიან სომხები, არ გვესწავლება, მაგრამ ასე ხელაღებით თქმა იმის, რომ არ ვარგანან, არ შეიძლება, ცუდი და კარგი ერი არ არსებობს, არსებობენ ცუდი და კარგი ადამიანები...

**— მაგრამ, ბატონო თამაზ, რთული საყურებელია, როგორი ეროვნული აღტყინებით ასრულებენ მეზობელი სომხები ჩვენთვის საამაყო „დაისს“...**

– ერთ მაგალითს მოვიყვან: 50-60-იან წლებში, მაშინდელმა საესტრადო ვარსკვლავმა მარეხ გოძიაშვილმა, რბილად რომ ვთქვათ, სომხური ,,ოხ სირუმ სირუმ“ გადმოაქართულა და ,,ახ ტურფავ, ტურფავ“, დაარქვა. რა ქნან ახლა სომხებმა, ამის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გვიჩივლონ?.. იგივე „ლაზური გენოციდი“ რომ ავიღოთ, ამწვავებენ. ამით ცდილობენ, წაგვკიდონ სომხებთან. ამ დროს ჯავახეთში მხოლოდ სამი ქართული სოფელია, დანარჩენი სულ სომხები არიან. გეკითხებით, რას აკეთებს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამსახური, როცა ასე წმინდა პროვოკაციულ თემებს გვიგდებენ? ეს პრობლემა არ უნდა წყდებოდეს რიგითი მოქალაქეების დონეზე, აქ უნდა ჩაერიონ ოფიციალური სტრუქტურები, გამონახონ რაღაც კონტაქტები, გაარკვიონ, პირველ რიგში, საიდან და ვინ ავრცელებს ამ ვიდეოებს და ნათელი შეიტანონ საქმეში, თორემ აშკარაა, ეროვნული შუღლი ღვივდება. დღეს ჩემს უბანში ერთი სომეხი ბიჭი სცემეს, კონკრეტული მიზეზი არ ჰქონია მის ცემას, პასუხი იყო ასეთი: როცა ვიკითხე, რას ერჩოდნენ, ესენი არიან ყველა ერთნაირები, ესენი არავის ინდობენო.

**— „ლაზების გენოციდი“ ახსენეთ, საიდან წარმოიშვა ეს ბრალდება სომხების მიმართ?**

– დიახ, იყო ასეთი ინფორმაცია, თითქოს სომხებმა მოუწყვეს ლაზებს გენოციდი. ინფორმაციას თან ერთვოდა ილუსტრაცია, გამძაფრებული, სულისშემძვრელი ტექსტებით, სწორედ ემოციებზე გათვლილი. ბევრი რამ სინამდვილეს არ შეესაბამება, იყო მსგავსი კონფლიქტი, მაგრამ გენოციდი ლაზებისთვის სომხებს არ მოუწყვიათ, თურქებმა მოუწყვეს. ეს ერთი, მეორე, სპარსეთი ისტორიულად იყო ჩვენი პირველი მტერი, ეხლა რა ვქნათ, გავუხსენოთ ძველი ამბები და მშვილდ-ისრებით გავწიოთ თეირანისკენ? ეგრე მონღოლები იყვნენ დაუძინებელი მტრები ჩვენი და ისტორიას რომ გადავწვდეთ, ძალიან ბევრი მაგალითია და ძალიან შორს წაგვიყვანს... ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ, გამოსავალი უნდა მოიძებნოს ზედა დონეზე... ბოლოს სომხებზე სახუმარო ამბებს მოგიყვებით და ამით შევეცდები, განვმუხტო ეს სიტუაცია. ჩემს მოპირდაპირე მხარეს ერთი სომეხი ცხოვრობს, გრძელი კიბე მქონდა და გამომართვა ადრე, წელიწადზე მეტია, მე დამავიწყდა, რომ ვათხოვე, ინტერნეტი შემომყავდა ამ დღეებში, მოვიდა და მეკითხება, თამაზჯან, რას აკეთებ, აი, დავიტანჯე, მოკლეა კიბე და ვერა წვდება- მეთქი. პასუხად მეუბნება, – თამაზჯან, შენ რო შარშან კიბე მათხოვე, გინდა გათხოვოო? ეხლა რა ვქნა, ამით ავაგო სომხებზე მთელი ისტორია? ახლა მეორე ამბავიც მაქვს: 1973 წელს, როცა ჩემი მეუღლე პირველ ბავშვზე ფეხმძიმედ იყო, მე მაშინ მეორე კურსზე ვსწავლობდი, თან „საქინფორმის“ ფოტოქრონიკაში ვმუშაობდი ფოტოფირების გამოსამჟღავნებელ ლაბორატორიაში, თვეში 60 მანეთად.

ჩემი მეუღლეც სტუდენტი იყო და ისიც „საქინფორმის“ ფოტოქრონიკაში მუშაობდა, ფოტოების მბეჭდავ ლაბორანტად, თვეში 90 მანეთად. ძალიან გვიჭირდა, ნაქირავებში ვცხოვრობდით, ფული არ გვყოფნიდა.

ერთ დღეს, იბარებს ლენას „საქინფორმის“ ფოტოქრონიკის მთავარი რედაქტორი ოთარ თურქია და ეუბნება, სურენ ვართანესოვი მიდის სხვა სამსახურში და მის ადგილას შენ გნიშნავო. ეს იყო ფოტოლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობა, საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით. ამ დაწინაურებით მე და ლენამ „ამოვისუნთქეთ“, ვალები გავისტუმრეთ და ყველა პრობლემა მოგვეხსნა. რამდენიმე თვის შემდეგ გავიგეთ, სურენ ვართანესოვს, ორი შვილის მამას, ოთარ თურქიასთვის უთქვამს, ჩემს ადგილას ლენა დანიშნეთ, თამაზს და ლენას ეკონომიურად ძალიან უჭირთ, ოღონდ პირობა მომეცით, რომ, რაც მე გითხარით, არც თამაზს და არც ლენას არ ეტყვითო.

აი, აქ, „ფეისბუკში“, ჩემ მეგობრებს შორის არის ფოტოხელოვანი, მსოფლიოში ცნობილი მხატვრული ფოტოს ოსტატი, სერგო ედიშერაშვილი, რომელიც იმ დროს „საქინფორმის“ ფოტოქრონიკაში მუშაობდა და იცის ამ ფაქტის შესახებ. სხვათა შორის, სურენ ვართანესოვი სამი თვე თურმე უმუშევარი დადიოდა. როცა მე და ლენამ ამის შესახებ შევიტყვეთ, მთელი ჟურნალისტური სამყარო ფეხზე დავაყენეთ, ქვეყანას მოვდეთ ჩვენი მეგობრის კეთილშობილების ამბავი და სამუშაო ვუშოვეთ... კი, ძალიან მეტკინა გული, „დაისი“ რომ სომხურ ცეკვად მიიწერეს, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკაზე, მაგრამ ეგრე შეიძლება ნიკარაგუელებმა აიღონ, ესპანელებმა. ფაქტია, რომ ვიღაცამ ეს განგებ შემოგვიგდო და ჭრილობაზე მარილი დაგვაყარა.

სხვათა შორის, მასალა უკვე მზად იყო, როდესაც გავრცელდა ანსამბლის დირექტორის, ვარდან გევორქიანის ოფიციალური მიმართვისა და ბოდიშის მოსახდელი წერილი საქართველოს მოქალაქეებისადმი. ინფორმაციის ავტორი დასაწყისში აღნიშნავს: „იმედი მაქვს, რომ ეს წერილი, რომელიც სიმართლეს ასახავს, ისევე გავრცელდება სოციალურ ქსელსა და მედიაში, როგორც არასწორი, მცდარი ინფორმაცია გავრცელდა“.

ვარდან გევორქიანის წერილის შინაარსი ასეთია: „ჩემო ძვირფასო ქართველო მეგობრებო, გთხოვთ მიიღოთ ეს წერილი, როგორც განმარტება იმ გაუგებრობასთან დაკავშირებით, რომელიც მოჰყვა **YouTube**-ზე „**MENQ meroncov**“ ექაუნტის მიერ ატვირთულ ვიდეოს. მნიშვნელოვანია, რომ სიცხადე შევიტანოთ იმაში, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი ფაქტობრივი ან იურიდიული კავშირები ამ ექაუნთთან. ამავდროულად, ამ ექაუნტს არ ჰქონდა ოფიციალური ან სიტყვიერი ნებართვა, აეტვირთა ჩვენი მასალები. ჩვენ ოფიციალურად მოვითხოვეთ „**MENQ meroncov**“ **YouTube**-ს ექაუნტს, რათა გაასწორონ შეცდომა და ამოიღონ ვიდეო ქსელიდან. ასეთივე მოთხოვნა გავუგზავნეთ ჲოუთუბე-ს ადმინისტრაციას და ველოდებით პასუხს. 1987 წელს, სომხეთში, ქ. ერევანში ჩამოყალიბდა ეროვნული ქორეოგრაფიული ანსამბლი „დრუჟბა“ (მეგობრობა). მრავალი ქორეოგრაფი სხვა ქვეყნიდან იქნა მოწვეული, რათა მიეცათ საკუთარი ეროვნული ცეკვების გაკვეთილები ანსამბლისთვის. ქორეოგრაფთა შორის იყო ქართველი ქორეოგრაფი, რომელიც იქნა მოწვეული ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ შესრულების მასტერკლასის მიცემისთვის.

2000 წელს, აკადემიის ყოველწლიური კონცერტის დროს, მე ცოლთან ერთად გადავწყვიტეთ, აუდიტორიისთვის სიურპრიზი გაგვეკეთებინა და შევასრულეთ ეს კონკრეტული ცეკვა, რომლის ვიდეო აიტვირთა ჩვენს **YouTube**-ს და **Facebook**-ის ოფიციალურ გვერდებზე. მე მესმის თქვენი იმედგაცრუების და მინდა გულწრფელი ბოდიში მოვიხადო მესამე მხარის შეცდომის გამო. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, ეს გაკეთდა ჩვენი თანხმობის და ინფორმირების გარეშე. ჩევორკიან **Dance Academy** არის ცეკვების საერთაშორისო სკოლა. ჩვენ ვასრულებთ სომხურ, ამერიკულ, რუსულ, მოლდავურ, ქართულ, ბერძნულ, ებრაულ, ციგნურ და სხვა მრავალ ცეკვას. მე არ მიმაჩნია, რომ ეს სხვა კულტურების ცეკვების მოპარვას ნიშნავს, არამედ არის კარგი გზა მათი კულტურების პრეზენტაციისთვის. ამ წერილთან ერთად მე გიგზავნით ჩვენი გამოსვლების ბანერების/აფიშების ფოტოსურათს, სადაც აღნიშნულია თითოეული ცეკვის წარმომავლობა. ჩვენ არასდროს გვქონდა სურვილი ან განზრახვა, მოგვეპარა ქართული კულტურის ან რომელიმე სხვა კულტურის ნაწილი და მათი წარმოჩენა სომხური კულტურის ნაწილად. პატივისცემით, ვართან გევორქიანი“.

# რას მოითხოვენ ხელისუფლებისგან ექსპერტები ემზარ ჯგერენაია და

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ეკონომიკის საკითხებში ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კრიზისი ჯერ კიდევ წინ არის, ლარი კვლავ გააგრძელებს ვარდნას, მაგრამ რა იქნება პიკი, არავინ იცის. არ არის გამორიცხული, მივიღოთ ისეთი სურათი, როცა 1 დოლარი ეღირება 3 ლარი, უკიდურეს შემთხვევაში – 4 ლარი. ამის ფონზე ყველაფერს აზრი ეკარგება, რადგან პური ჩვენი არსობისა, ეს იგივეა ფული ჩვენი არსობისა და თუ ქვეყანაში ლარის ინფლაციის პარალელურად გაიზრდება პროდუქტზე ფასები, ლარი მსყიდველობითუნარიანობას დაკარგავს და მოსახლეობას ელემენტარული პირობებისთვის არ ექნება საარსებო მინიმუმი. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა დიდი მღელვარების წინაშე დადგება.









**ეს მხოლოდ ჟურნალია, კინო კი წინ გველოდება. ეს იქნება მძაფრსიუჟეტიანი ფილმი, რომლის ღატაკი გმირები ვიქნებით ჩვენ, ხოლო მდიდრები, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, განაგრძობენ ჩვენს დაცინვას...**

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებაში არ მოიპოვება ეკონომისტი, რომელიც ლართან დაკავშირებით არგუმენტირებულ ანალიზს გააკეთებს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ დღემდე ანტიკრიზისული გეგმა წარმოდგენილი არ არის. „დიდი ეკონომისტი“, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, რომლის მინისტრობის დროსაც საქართველოს ეკონომიკამ დაღმასვლა დაიწყო, დღეს კი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ვალდებული იყო, პარლამენტში დამტკიცებისას პირველ საკითხად წარედგინა ანტიკრიზისული გეგმა. ვინ-ვინ და მას ყველაზე კარგად უნდა სცოდნოდა, რომ დღეს თუ არა ხვალ, ამ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებოდით და რაც ხდება, როგორც ამბობენ, ეს მხოლოდ ჟურნალია, კინო კი წინ გველოდება. ეს იქნება მძაფრსიუჟეტიანი ფილმი, რომლის ღატაკი გმირები ვიქნებით ჩვენ, ხოლო მდიდრები, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, განაგრძობენ ჩვენს დაცინვას, ისევე, როგორც ამას წარმატებით ახერხებს პარლამენტარი ზურაბ ტყემალაძე, როცა ჟურნალისტებს ტერმინოლოგიას უსწორებს და ამტკიცებს, ლარის ინფლაცია კი არ ხდება, არამედ გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში დაეცაო. არადა, კრედიტების 65% უცხოურ ვალუტაშია გაცემული, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დოლარში სესხი გაუძვირდა, რაც უკიდურესად მძიმე ფონს ქმნის და თუ ვინმე მაძღარია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვაც მაძღარი ეგონოს. სამთავრობო ქანდარაზე შემომჯდარო მინისტრებო, დაეშვით მიწაზე და იმოქმედეთ ხალხის კრიზისიდან გამოსაყვანად. დღეს საარჩევნო სიებსა და კოალიციის ტინგიცობაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ მმართველი გუნდი და მთავრობა უნდა დაირაზმოს და კრიზისიდან გამოსავალს ეძებდეს. უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მოქმედებს ისრაელი, როგორც ეს გააკეთა იტალიამ და სხვა ქვეყნებმა. პრემიერ-მინისტრი უნდა იჯდეს ექსპერტებთან და ეკონომისტებთან ერთად 24-საათიან რეჟიმში და ეძებდეს გამოსავალს და თხოვნით მიმართავდეს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ ქართველ მილიონერებს და მილიარდერებს, და მოსთხოვოს ამ პროცესში დახმარება... და თუ ბიძინა ივანიშვილს ქვეყანაზე გული შესტკივა, პირველმა მან უნდა მისცეს მაგალითი.

**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია „კვირის ქრონიკის“ კითხვაზე — გადალახა თუ არა ყველა წითელი ხაზი ლარის ინფლაციამ, რა არის საჭირო მის შესაჩერებლად და რა სცენარით განვითარდება მოვლენები, პასუხობს:**

– გარე და შიდა ფაქტორები ერთმანეთს გადაება, თქვენ ნახეთ, რაც მოხდა აზერბაიჯანში, ასევე ხედავთ, რაც ხდება რუსეთში, რუსეთში ჩვენი ექსპორტი შემცირდა, რადგან რუსული ვალუტა დოლართან მიმართებაში კატასტროფულად დაეცა, ამიტომ მოხდა ჩვენი ექსპორტის შემცირება რუსეთში. რუსეთში მყოფ ქართველებს გაუძვირდათ დოლარის შეძენა, რომელსაც საქართველოში რიცხავდნენ. ეს ნიშნავს, რომ დაგვერღვა ბალანსი. უფრო მეტიც, მსოფლიო ეკონომიკა კრიზისში ეხვევა, ნავთობის ფასი ეცემა, ყოველ წამს დინამიკაში მიდის ცვლილებები და რა იქნება, არავინ იცის. მსოფლიოში ვარაუდობენ ფინანსურ კრიზისს, ჩვენ უნდა ვიყოთ მზად და ვიფიქროთ გამოსავალზე, საჭიროა, შეიქმნას სპეციალური კომისია, სადაც გაერთიანებული იქნება საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლობა, ოპოზიცია, ექსპერტები, უნდა ვაწარმოოთ მონიტორინგი და გადაწყვეტილებები იყოს მიღებული. დამიჯერეთ, ახლა გეგმების წერისა და თავის მართლების დრო აღარ არის, არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს არაფერი არ ხდება, როგორ შეიძლება ასეთი კომენტარის გაკეთება, როცა დევალვაცია ეხება ათიათასობით მეწარმეს, ასი ათასობით ადამიანს, ვისაც კრედიტი დოლარში აქვს აღებული. საჭიროა მყისიერი გადაწყვეტილებების მიღება, დრამატულად იცვლება სიტუაცია, ამიტომ უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს. ყველანაირი სცენარი უნდა დაიდოს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, დაიმახსოვრეთ, რაც ახლა ხდება, ეს არის პრელუდია, კრიზისი წინ არის. კრიზისი წინ არის – ამით ყველაფერი ვთქვი. სასწრაფოდ მოსაძიებელია სავალუტო ნაკადი, რომ დროებით შეჩერდეს ლარის ვარდნა.

**მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები 2008 წლის კრიზისს ვარაუდობენ, იმედია, ხელისუფლება საქმის კურსშია, როგორ მოვახერხებთ კრიზისიდან თავის დაღწევას. რა პროგნოზებს აკეთებს ეკონომიკის საკითხებში ექსპერტი დემურ გიორხელიძე, „კვირის ქრონიკა“ გთავაზობთ მის მოსაზრებას.**

**— გასულ კვირას აზერბაიჯანმა ეროვნული ვალუტის კრახი განიცადა, იგივე ხდება რუსეთში, თურქეთში, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა პრევენციის გატარება, რომ არ მომხდარიყო დოლარის საქართველოდან გადინება. აზერბაიჯანის შემდეგ საქართველო დგას თუ არა ტოტალური ინფლაციის წინაშე?**

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ პოლიტიკას გაატარებს ეროვნული ბანკი და მთავრობა შეთანხმებულ რეჟიმში, რაც მოხდა მოულოდნელი არაფერია, ეს ყველაფერი იყო გათვლადი, თავს უფლება მივეცი, თვეებით ადრე მეთქვა ის სცენარი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ისევ და ისევ ჩვენ ვართ ძალიან ცუდი ფაქტის წინაშე, საგარეო ფაქტორები არ გაუმჯობესდება. ის, რაც ხდება ნავთობის ფასზე და დოლარის გამყარებაზე, განვითარებული ქვეყნებიდან ფულს ექაჩება ისევ შეერთებული შტატები, საქართველოში ინვესტიციების იმედი დიდად არ შეიძლება

# ლარის კურსის შესაჩერებლად დემურ გიორხელიძე?

**— ივანიშვილმა 100 მილიონის ინვესტიცია რომ განახორციელოს და მაგალითი მისცეს დანარჩენ ქართველ მილიონერებს, რაც თავის დროზე გააკეთა ისრაელმა, იტალიამ ეკონომიკური კრიზისის დროს. ეს იქნება თუ არა გადარჩენის ერთ-ერთი გზა?**

**— ისინი ებრაელები იყვნენ და საკუთარი სახელმწიფო უნდოდათ, რომ ჰქონოდათ, ისინი კვერცხებიანი მამაკაცები იყვნენ, რომლებმაც უზარმაზარი ძალისხმევა გაიღეს ისრაელის სახელმწიფოს შესაქმნელად**





**სამთავრობო ქანდარაზე შემომჯდარო მინისტრებო, დაეშვით მიწაზე და იმოქმედეთ ხალხის კრიზისიდან გამოსაყვანად**

გვქონდეს. საქართველოს სტაბილიზაციისთვის დღეს სჭირდება სავალუტო ნაკადები, არც ერთი შიდა წყარო სავალუტო ნაკადებისა არ მუშაობს, ექსპორტი მცირდება, ისიც მწირია. უცხოეთში მყოფი მოქალაქეები ამ პრობლემების გამო ბევრს ვერაფერს გადმორიცხავენ, ვალებზე ვერ დავჯდებით, იმიტომ, რომ შეიძლება საშიშროების წინაშე ალმოვჩნდეთ. რაღაც უნდა მოხდეს და ვიღაცამ უნდა შემოიტანოს ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს კლასიკური სავალუტო კრიზისი, იმპორტზე ჩამოკიდებულ ქვეყანას არ ჰყოფნის ვალუტა. ახლა იწყება კორპორაციული ვალის გადახდები, რომლის პროცენტიც ძალიან მაღალია, ბანკებს დავალიანება ორ მილიარდზე მეტი აქვთ, რომელიც უახლოეს წლებში უნდა დაიფაროს. ბუნებრივია, ამისთვის მათ სჭირდებათ მყარი ვალუტა, ზეწოლა რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე იქნება ძალიან დიდი, ამიტომ საუბარი იმაზე, თურმე რაღაც კურსის კორექცია ხდება, ძალიან არასერიოზულია, რბილად რომ ვთქვათ. ლარის დევალვაციის მეორე ტალღა აუცილებლად მიგვიყვანს ინფლაციამდე. რადგან არანაირი დადებითი ფაქტორები რაც დევალვაციას ინფლაციაში არ გადაზრდის, არ არსებობს. ამიტომ ვისურვებდი, რომ ეროვნული ბანკის და ხელისუფლების წარმომადგენლები ღია დისკუსიებში საუბრობდნენ ამ პრობლემებზე და ჩვენ გვესმოდეს კრიზისიდან გამოსვლის გზები, მთავრობის განცხადება, რომ არაფერი ხდება, ნიშნავს იმას, რომ ან საზოგადოების დამშვიდება უნდათ, რომელსაც ვერაფრით დაამშვიდებ, რადგან საზოგადოება რეალობას ხედავს, რომ ვითარება უარესდება, ანდა გაქვს არასწორი ხედვები, როცა მართლა ვერ გრძნობ სიტუაციას, რაც უფრო საშიშია.

**— 2015 წლის სექტემბერში ნოდარ ჯავახიშვილმა გააფრთხილა ხელისუფლება, რომ ანტიკრიზისული გეგმა დაედოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლარის დევალვაციის გამო ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა. თქვენი აზრით, რატომ არ წარადგინა ხელისუფლებამ ანტიკრიზისული გეგმა?**

– დიდი ხანია, ვსაუბრობ, რომ საჭიროა კრიზისიდან გამოსვლის გეგმა დაიდოს, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ტერმინებით, სადაც იქნება გაწერილი მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მუშაობის დროს ვინ რა უნდა აკეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა პარამეტრით, რაც კი ჩვენ გაგვაჩნია, ლარის დევალვაციის შეჩერებას მთავრობა ვერ შეძლებს. დღეს იგი უკვე სერიოზულ ნიშნულს მიუახლოვდა და არანაირი იმედი არ არსებობს იმისა, რომ მოძრაობას არ გააგრძელებს ქვევით. შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის პროცენტების ტოტალურ არგადახდებს, რადგან ადამიანები ვერსაიდან ვერ მოიტანენ იმ ვალუტას, რომლითაც ვალები უნდა დაფარონ, რადგან მათი შემოსავლები ძირითადად ლარშია და ისიც ძალიან მწირი, ლარი უფასურდება და, ფაქტობრივად, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა პროცენტებს ველარ გადაიხდის. აქ უკვე პროგნოზირება იმისა, როგორ განვითარდება მოვლენები, ამ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე. თუ ხელისუფლება პროცესს მიუშვებს, თითქოსდა ეს ბუნებრივია, მაშინ კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. სიტუაცია ისე ვითარდება, კარგს არაფერს უნდა ველოდოთ, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, საარჩევნო წელია, ეს ყველაფერი დესტაბილიზაციის კიდევ დამატებით საფრთხეს ქმნის.

**— ფინანსური პრობლემების გამო თვითმკვლელობის სტატისტიკა მატულობს, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ მოსახლეობას საბანკო დავალიანება შეუმსუბუქოს და კომერციულ ბანკებს პროცენტი დააწევინოს?**

– ბანკები შესანიშნავად გრძნობენ თავს, გასულ წელს ქვეყანაში მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ბანკების საერთო მოგება ნახევარ მილიარდ დოლარს აჭარბებს, ბანკები თავის საქმეს აკეთებენ ისე, რომ საბანკო ფუნქციას არ ასრულებენ. კიდევ უფრო აუბედურებენ ადამიანებს და პერსპექტივას, რომ ქართულ ეკონომიკაში რაიმე დადებითი შეიძლება მოხდეს. სამწუხაროდ, არ ჩანს, რომ ხელისუფლება გრძნობდეს იმ სიმახინჯეს, რაც საბანკო სექტორში ჩამოყალიბდა.

**— ივანიშვილი ხალხს ჰპირდებოდა, რომ კომერციულ ბანკებს პროცენტებს დააწევინებდა, ამის ნაცვლად ბანკი უფრო და უფრო ამკაცრებს პირობებს, რის გამოც მათი კლიენტები გადაუხდელობის გამო თავს იკლავენ. ამის გამო არც ერთი ბანკი არ დასჯილა და სახელმწიფოს ადამიანების სიცოცხლეზე პასუხისმგებლობა არ აუღია.**

– საბანკო პროცესები არანორმალურად მაღალია, ლარებში 17,5%-ია, რაც უსაშველოდ დიდია, პოლიტიკის სისუსტემ სიტუაცია აქამდე მიიყვანა, ახლა ისეთი პროცესები მიდის, რომ ხელისუფლებას უნდა უბიძგებდეს ამ ნეგატიური განწყობების ჩაქრობას. თუ ხელისუფლება კანონის ფარგლებში იმოქმედებს, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია, მიიღოს სერიოზული გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყალბ ლიბერალიზმზე აპელირება, თითქოსდა ეს საინვესტიციო კლიმატს გააფუჭებს, ქვეყანაში სიტუაცია უკვე გაფუჭებულია ძალიან მაგრად, ამიტომ ბანკების ლობირების გამტარებელი საზოგადოებამ ძალიან ნეგატიურად უნდა მიიღოს.

**— ივანიშვილმა 100 მილიონის ინვესტიცია რომ განახორციელოს და მაგალითი მისცეს დანარჩენ ქართველ მილიონერებს, რაც თავის დროზე გააკეთა ისრაელმა, იტალიამ ეკონომიკური კრიზისის დროს. ეს იქნება თუ არა გადარჩენის ერთ-ერთი გზა?**

– ისინი ებრაელები იყვნენ და საკუთარი სახელმწიფო უნდოდათ რომ ჰქონოდათ, ისინი კვერცხებიანი მამაკაცები იყვნენ, რომლებმაც გაიღეს უზარმაზარი ძალისხმევა ისრაელის სახელმწიფოს შესაქმნელად. დღეს საქართველოში სტაბილიზაცია რომ მოხდეს, ამისთვის საჭიროა მინიმუმ 200-300 მილიონი დოლარის ნაკადი შემოვიდეს დასაწყისში, თუ საკუთარი ჯიბიდან ამას არ გააკეთებს ბიძინა ივანიშვილი, შემოიტანოს 300-მილიონიანი ნაკადი, ვინ უშლის, მაგრამ 3-წლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ამ მოლოდინისგან არაფერი გამოდის. ახლა საიდანაც უნდა ხელისუფლებამ ფული უნდა გააჩინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ლარის კურსის გაჩერება შეუძლებლად მიმაჩნია, არ მინდა განსაკუთრებული პროგნოზები ვთქვა, თუმცა სანამ ეს პროცესები დაიწყებოდა, ვთქვი, რომ, თუკი დევალვაციას ვერ შეაჩერებდნენ, დოლარის ღირებულება 3-4 ლარი გახდებოდა. მეგონა, ხელისუფლებაში გონიერი ადამიანები ამ პრობლემაზე დაფიქრდებოდნენ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ახლა ჩვენ ვდგავართ იმ გარდაუვალი პროცესების წინაშე, რომლის მართვა ხელისუფლების დონეზე ვერ ხერხდება.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**სოსო ცინცაძე**, პოლიტოლოგი: „ისეთ ხელშეკრულებას დაგვიდებს „გაზპრომი“, რომ „სითი პარკი“ მონაგონი იქნება. ხომ ხედავთ, თავის დროზე უგულავამ ისეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომ „სითი პარკთან“ ვერაფერს ახერხებენ, უარესი გველის „გაზპრომთან“. ევროპელი იურისტები „გაზპრომის“ იურისტებთან შეხვედრის წინ ტირიან და ქართველებს რას უზამენ, ხომ წარმოგიდგენიათ“

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**რობერტ სტურუა**, რეჟისორი: „ვიღაც უკვე უკრაინელი ჭკუას გვასწავლის, რუსების მაგიდას თუ მიუჯექი — მოღალატე ხარო, თითქოს „ბილაინი“ და „ვითიბი“ მე და თქვენ შემოვუშვით და წილებში ვუზივართ“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**გიგა ბოკერია**, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი: „8 თვეში ჩვენ ყველანი ერთად გადავირჩევთ ივანიშვილის რეჟიმს, ეს აუცილებლად მოხდება და შემდეგი მთავრობა — ჩვენ, ამ ანტიკრიზისულ გეგმას აუცილებლად გავახორციელებთ, რათა ჩვენი ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**მამუკა არეშიძე**, ექსპერტი: „ჩვენ ვნახავთ „ნაციონალების“ მხრიდან დესტრუქციულ მოქმედებას, კომპრომატების ომს. არ გამოვრიცხავ, იგივე კადრებით დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას, რა კადრებითაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, იმ განსხვავებით, რომ შესაძლოა, ამ კადრებში ჩვენ ვნახოთ პატიმრების წამება და არა, გაუპატიურება“

# რატომ ეცემა ლარი, რა სქემა მუშაობს ამ კონკრეტულად რა თაღლითობასთან გვაქვს საქმე

*გელა ზედელაშვილი*
*555 48-48-61*



22 იანვარი. 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4694 ლარი გახდა. ჩვენმა ეროვნულმა ვალუტამ ისტორიული გაუფასურების მაქსიმუმს მიაღწია, მსგავსი რამ აქამდე არ ყოფილა. 21 იანვარს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი ჯერ კიდევ 2.4445 ლარი იყო. მეორე დღეს იგივე ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 20 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა. ოფიციალური ინფორმაციით, „საშუალო შეწონილმა“ გაცვლითმა კურსმა 1 დოლართან მიმართებაში 2.4705 შეადგინა. დაუკვირდით, ჩვენ გვიცხადებენ, რომ 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4694 ლარია, ხოლო სავალუტო აუქციონზე 2.4705 დაფიქსირდა, ანუ უფრო მეტი. ბუნებრივია, ამ უძალლო ქვეყანაში ამით ისარგებლეს როგორც კომერციულმა ბანკებმა, ისე მათმა შვილობილმა სავალუტო ჯიხურებმა და 22 იანვარს დოლარის ფასი 2.50-2.52-მდეც კი ასწიეს. შედეგი: ჩვენი მოსახლეობა უფრო გაღატაკდა, ხოლო ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 537 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2014 წლის მაჩვენებელზე 63 მილიონით მეტია. 2014 წელს ბანკების წმინდა მოგება 475 მილიონი ლარი იყო. 2015 წლის ბოლო თვეში – დეკემბერში, ბანკების მოგება 84.5 მილიონი ლარით გაიზარდა ნოემბერთან შედარებით. როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, ლარი კი არ გაუფასურდა, მოხდა დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დაცემა:

„ეს გამოწვეულია იმ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, რაც მიმდინარეობს არა მარტო ჩვენს გარშემო ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო, რა მდგომარეობაშია ნავთობის ფასი, მგონი, სარეკორდო ნიშნულამდეა დასული. ჩვენთან ფასები მხოლოდ გარკვეულ პროდუქტებზე გაიზარდა, გარკვეულ პროდუქტებზე კი პირიქით – შემცირდა. ზამთარში, როცა ვაშლის ფასი 4-5 ლარი იყო, ნახეთ, დღეს რა ფასია. იმ საქონლის ფასი, რომელიც იმპორტზეა მიბმული, გარკვეული ნაწილით არის გაზრდილი, მაგრამ პროდუქტის, რომელიც ადგილობრივ წარმოებაზეა მიბმული – არა. ამიტომ არის, რომ ქვეყანა უნდა ზრუნავდეს, რათა ბაზარი ადგილობრივი საქონლით იყოს დაკმაყოფილებული, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდი რაოდენობით მაინც“.

სოციალურ ქსელებში ზურაბ ტყემალაძეს მკვდარი და ცოცხალი აგინეს. მართლაც ამათ რა ენაღვლებათ, ცხოვრება გიტარასავით აქვთ აწყობილი! მისი ფორმულა ასე გამოიყურება: მართალია, დოლარი გაძვირდა, მაგრამ სამაგიეროდ გაიაფდა ვაშლი, თუ დოლარში გადაიხდი მეტს, სამაგიეროდ ვაშლში გადაიხდი ნაკლებს და ფაქტობრივად, იგივე გეხარჯება. ვერაფერს იტყვი, „გენიოსური“ მიგნებაა. თუმცა ბატონი ტყემალაძე აქვე აღიარებს, რომ გაძვირდა „იმპორტნი“ საქონელი და არ აღიარებს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 98 პროცენტს ბანკებიდან სესხები გამოტანილი აქვს დოლარში, რაც კანონის უხეში დარღვევაა. საქართველოში დღეს ერთადერთი საგადამხდელო საშუალება გახლავთ ლარი და კრედიტებიც უნდა გაიცემოდეს ლარში. გარდა ამისა, თუ გადავხედავთ, რა მოგება ნახეს კომერციულმა ბანკებმა 2015 წელს, კარგად დავინახავთ, როგორ ხეირობენ ოფიციალური ყაჩაღები ლარის კურსის თამაშით. თუმცა, რატომღაც, ჩვენი ხელისუფლება ოპტიმისტურადაა განწყობილი და გრძელვადიან პერსპექტივაში ნეგატიურს ვერაფერს ხედავს. სწორედ ამაზეა ნათქვამი, შენსას ვერაფერს ხედავ და სხვისი არ გეყურებაო...

ჯერ იყო, ივანიშვილმა „დაგვამშვიდა“, – ეს ჯანსაღი პროცესია, ლარი ჯანმრთელი რომაა, იმიტომ დახტუნაობს, თორემ ავადმყოფს გატრაკების თავი არა აქვსო... მერე მისმა შემდგომმა პრემიერმა ღარიბაშვილმა ჩვენ დაგვადოვალი, – პანიკობთ და ლარი იმიტომ გარბის, ნუ აშინებთო. ახლა მოქმედმა პრემიერმა კვირიკაშვილმა მოიფიქრა ახალი ტერმინი, ეს ლარის ინფლაცია კი არ არის, ლარის კორექტირება მოხდაო!

მოკლედ, ამ თავის მართლების სულელურ განცხადებებს ბოლო ორი წლის განმავლობაში ვისმენთ, მაგრამ რეალობა სხვა რამეს გვიჩვენებს. რა ხდება, რა სქემა მუშაობს ამ სფეროში და როგორ კეთდება ჰაერიდან, ანუ ხალხის ჯიბიდან დიდი ფული? კონკრეტულად რა თაღლითობასთან გვაქვს საქმე და როგორ უნდა იქცეოდეს ამ დროს მთავრობა? ამაზე „ქრონიკას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, **სერგო ჯავახიძე** ესაუბრება:

**— სერგო, აქ რაღაც ფინანსურ პარადოქსთან გვაქვს საქმე: ეროვნულ ბანკს აუქციონზე გამოაქვს 20 მილიონი დოლარი, ატარებს მონეტარულ პოლიტიკას, წესით, ლარი უნდა გამყარდეს, მაგრამ ხდება პირიქით.**

– კი, ბატონო, ეროვნულმა ბანკმა 20 მილიონი დოლარი იმიტომ გაყიდა, რომ იყო





**„ნაცების“ დროს ვინ გაბედავდა, რომ ეროვნულ ბანკს დაედგინა 1,60 და ვინმეს დოლარი გაეყიდა 1,70-ად? ასეთი რამე არ ყოფილა“**

**„როდემდე შეიძლება, რომ იყოს დოლარზე უფრო მეტი მოთხოვნილება? სად მიდის, ვინ ყიდულობს? ქუჩაში არავის გამოუტანია, წაიღეს კომერციულმა ბანკებმა რაღაც კონკრეტული მიზნებისთვის“**



*გაგრძელება ოცდამესამე გვ.*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რეჟისორი კოტე ...
2. ციტრუსი
3. ფანქრის შავი გული
4. საეკლესიო კრება
5. მსახიობი ამირან ...
6. „ნატვრის ხე“ ქავჟარა-ძე
7. სიმძიმე საჰაერო მურთზე
8. ქართ. საესტრადო ანსამბლი
9. აღორძინების ეპოქა
10. ვეტერინარი, ანუ ...
11. მუსლიმანური მარხვა
12. სასვენი ნიშანი
13. შექსპირი „მეფე ...“
14. მწერალი ... ტოლსტოი
15. იაპონიის ძველი დედაქალაქი
16. ერთგვარი ავტომობილი
17. მხ/ფ „... მარჯვენა“
18. უნგრეთის დედაქალაქი
19. ეგვიპტის ფარაონი
20. ბერძ. ანბანის მეორე ასო
21. „კუკარაჩა“ ინგა ...
22. ცხენებშებმული ტრანსპორტი
23. გამოუწვავი აგური
24. კენიის დედაქალაქი
25. მდინარე რუსეთში
26. ცხენის კუდის ბალანი
27. დიდი საჯარისო შენაერთი
28. მსახიობი ჩარლი ...
29. მსახიობი სილვანა ...
30. ხილი
31. გეოდეზიური ხელსაწყო
32. მომღერალი ... გეგელია
33. ვაჟა-ფშაველას გვარი
34. ფეხბურთელი რობერტ ...
35. სამხატვრო გამოფენა
36. მდინარე იტალიაში
37. ნაჭუჭიანი ნაყოფი
38. ლურჯი ნივთიერება სარეცხისთვის
39. მცენარე. ისხამს ყურძენს
40. ბრტყელი თონის პური
41. მსახიობი ... ფაროუ
41ა. მსახიობი ... ჟირარდო
42. თავაშვებული ლრეობა
43. სიო
44. გრძელი კბილი
45. ლაზათი
46. მსახიობი ნუგზარ ...
47. მწერალი ... ლომოური
48. შეიარაღებული დაცვა
49. მსახიობი ... ტაილერი
50. ფიცრის სუფრა
51. ვერცხლისწყალი
52. კომპოზიტორი ... პაულსი
53. მდინარე ჩრდილოეთ ამერიკაში
54. პოეტი ... ახმატოვა
55. პატარა ჩიტი
56. რუსული ავტომობილი
57. ხელისუფლების მოწინააღმდეგე
58. შესყიდვის პირობები
59. მხ/ფ „... 11 მეგობარი“
60. წერილობითი მიმართვა
61. ძვირფასი ქვა
62. სიმებიანი საკრავი
63. ნივთიერება თამბაქოში
64. ფილმის დაწყების დრო
65. სახელმწიფო აფრიკაში
66. ღმერთი სკანდინ. მითებში
67. ლეშის მჭამელი ფრინველი
68. რეპტილია
69. მსახიობი ... ბერიმორი
70. ფედერიკო ფელინის ფილმი
71. კუნძული იტალიაში
72. ნახატი წიგნში
73. სოფლის ტრანსპორტი
74. ევროპული ვალუტა
75. „ნატვრის ხე“ კოლელიშვილი
76. ცოლის დედა
77. ჩილეში: ავგუსტო ...
78. ტალღებზე ფიცრით სრიალი
79. ნამი
80. მსახიობი ... არტმანე
81. მწერალი ტომას ... რიდი
82. მომღერალი ... ბრეგვაძე
83. სახის ნაწილი
84. თხელი, სიფრიფანა
85. ბედი
86. შტატი აშშ-ში
87. კურორტი თურქეთში
88. შემოდგომის თვე
89. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
90. ნილოსის რეპტილია
91. მიდამოს ხედი
92. სომხეთის ძველი დედაქალაქი
93. მსახიობი სტივ ...
94. მსახიობი ჰოლი ...
95. მსახიობი ... ლანკასტერი
96. რუსული ხის თოჯინები
97. ხის ჯიში
98. ნუშის ფქვილი შაქარში
99. რეჟისორი კვენტინ ...
100. მოტორიანი ველოსიპედი
101. ტერმინი იურისპრუდენციაში
102. სამხედრო წოდება
103. იაპონური ფულის ერთეული
104. ერნესტო ... გევარა
105. საყანედ გაჩეხილი ტყე
106. ოპერა „აბესალომ და ...“
107. ... ამდგარსა კურდღელსა
108. წყალქვეშა კლდე
109. წერილი (მოძვ.)
110. რეპტილია ზოგადად
111. ავსტრიის დედაქალაქი
112. მწერალი ვიტალი ...
113. ჩოგბურთელი იანიკ ..
114. მარცვლოვანი მცენარე
115. სამზარეულოს ჭურჭელი
116. რაზა
117. უტოტო ხე
118. შეძახილი თეატრში
119. მსახიობი ედრიან ...
120. ზღაპრული ცხენი
121. მსახიობი ბენ ...
122. აფროდიტეს სატრფო
123. მდინარე ციმბირში
124. კომპოზიტორი ... კალმანი
125. საქონლის სადგომი
126. მშვილდით სასროლი ჯოხი
127. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
128. დათვის თათი
129. მსახიობი ... აბაშიძე
130. მსახიობი ... მონტანი
131. ჩვენთან ... ღმერთი
132. ადამიანის ფეხის ნაწილი
133. მომღერალი ... მჟავია
134. ხილი
135. რუსი გოლიათი ილია ...
136. მხატვარი კამილ ...
137. გამის ნოტი
138. „... ნახვით სიყვარება“
139. დიუმა. „სამი მუშკეტერი“ კარდინალი
140. აბატი ფარიას ციხე
141. მხატვარი ... ახვლედიანი
142. ბილიარდის ჯოხი
143. ... მწამს, ბოლო მაკვირვებს
144. ნამუსი
145. მეცნიერი ... ვეკუა

პასუხები: 1. მარჯანიშვილი; 2. მანდარინი; 3. გრაფიტი; 4. სინოდი; 5. ამირანაშვილი; 6. მარიტა; 7. ბალასტი; 8. „ივერია“; 9. რენესანსი; 10. ბეითალი; 11. რამაზანი; 12. ტირე; 13. ლირი; 14. ლევ; 15. ნარა; 16. ლიმუზინი; 17. დიდოსტატის; 18. ბუდაპეშტი; 19. ტუტანხამონი; 20. ბეტა; 21. ლალიაშვილი; 22. ეტლი; 23. ალიზი; 24. ნაირობი; 25. დონი; 26. ძუა; 27. არმია; 28. შინი; 29. მანგანო; 30. ვაშლი; 31. ნიველირი; 32. ლილი; 33. რაზიკაშვილი; 34. ლევანდოვსკი; 35. ვერნისაჟი; 36. პო; 37. თხილი; 38. ლილა; 39. ვაზი; 40. ლავაში; 41. მია; 41ა. ანი; 42. ორგია; 43. ნიავი; 44. ეშვი; 45. შნო; 46. შარია; 47. ნიკო; 48. ბადრაგი; 49. ლივ; 50. ტაბლა; 51. სინდიყი; 52. რაიმონდ; 53. მისისიპი; 54. ანა; 55. სკვინჩა; 56. „ნივა“; 57. დისიდენტი; 58. ტენდერი; 59. ოუშენის; 60. პეტიცია; 61. იაგუნდი; 62. არფა; 63. ნიკოტინი; 64. სეანსი; 65. სომალი; 66. ლოკი; 67. სვავი; 68. კუ; 69. დრიუ; 70. „რვანახევარი“; 71. სიცილია; 72. ილუსტრაცია; 73. ურემი; 74. ევრო; 75. შეთე; 76. სიდედრი; 77. პინოჩეტი; 78. სერფინგი; 79. ცვარი; 80. ვია; 81. მაინ; 82. ნანი; 83. ყბა; 84. ფარატინა; 85. სვე; 86. ნევა; 87. ანტალია; 88. ნოემბერი; 89. მარტინა; 90. ნიანგი; 91. პანორამა; 92. ანისი; 93. მარტინი; 94. ბერი; 95. ბერტ; 96. მატრიოშკა; 97. ტირიფი; 98. მარციპანი; 99. ტარანტინო; 100. მოპედი; 101. ალიბი; 102. ეფრეიტორი; 103. იენა; 104. ჩე; 105. ახო; 106. ეთერი; 107. ადრე; 108. რიფი; 109. უსტარი; 110. გველი; 111. ვენა; 112. ბიანკი; 113. ნოა; 114. სიმინდი; 115. ტაფა; 116. ურდული; 117. ტლუ; 118. ბის; 119. ბროუდი; 120. რაში; 121. აფლეკი; 122. ადონისი; 123. ლენა; 124. იმრე; 125. ბოსელი; 126. ისარი; 127. მემ; 128. ტორი; 129. ლეილა; 130. ივ; 131. არს; 132. ტერფი; 133. ანანო; 134. ატამი; 135. მურომეცი; 136. კორო; 137. სი; 138. ერთი; 139. რიშელიე; 140. იფი; 141. ელენე; 142. კიი; 143. ფიცი; 144. სინდისი; 145. ილია. იკითხება: ჯოდი ფოსტერი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სამხედრო წოდება
2. ბოსტნეული
3. კომპოზიტორი დიმიტრი ...
4. გრძელი ხალიჩა
5. დირიჟორი ჰერბერტ ფონ ...
6. საფრანგეთის ექს-პირველი ლედი ... ბრუნი
6ა. რეპტილია
7. კლდიაშვილი. „... გაჭირვება“
8. მსახ. ... ვერტინსკაია
9. ... ფონ ბისმარკი
10. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
11. ... ისკარიოტელი
12. მსახ. ... ნიკულინი
13. კავშირებითი სიტყვა
14. მსახიობი ჰიტ ...
15. „კაპიტან ... შვილები“
16. სიტყვების თამაში
17. მოსამართლე აღმ. ქვეყნებში
18. მხ/ფ „ნეილონის ... ხე“
19. მოცულობის ერთეული აშშ-ში
20. გიორგი სააკაძის ვაჟი
21. ტკბილი ხივთიერება
22. ... და ობელიქსი
23. ძაღლის ჯიში
24. დრამატურგი ... იოსელიანი
25. ... ანანიაშვილი
26. შიიზმის მიმდევარი
27. ჭადრაკის ფიგურა
28. ტყის მასივი ციმბირში
29. რკინა, სპილენძი, ოქრო, ალუმინი
30. მთაგრეხილი, ანუ ...
31. მხ/ფ „... ტბა“
32. სანელებელი
33. „დათა თუთაშხია“ თაყაიშვილი
34. ქსოვილი. კერავენ კარვებს
35. ქალაქი აფხაზეთში
36. ორსახა ღმერთი
37. სანთლებიანი ნამცხვარი
38. შტატი აშშ-ში
39. ღვინის დეგუსტატორი
40. დასაძინებელი ნაყენი
41. სოფელი თელავის რაიონში
42. ნაგვის ასაღები
43. ნიშნავს ცხოველურს
44. მისი დედაქალაქია დელი
45. გულისცემა
46. ხორბლის ჯიში
47. რეჟისორი ... ლი
48. შვეულმფრენი
49. თბილისის ძველი უბანი
50. მომღერალი ... დედალამაზიშვილი
51. ცეცხლგამძლე კარადა
52. ესპანელი მხატვარი
53. გამადიდებელი მინა
54. ცხვრების სადგომი
55. ... ფიტცჯერალდი
56. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
57. კურორტი ბორჯომთან
58. მსახიობი ... დიუპუი
59. მალვინას პუდელი
60. მხატვარი ... გრეკო
61. მწვანე ადგილი უდაბნოში
62. მსახიობი ანჟელინა ...
63. სოფ. თერჯოლის რაიონში
64. მსახიობი ... სუონკი
65. ... კურდღლის მადევარი
66. მარკების შემგროვებელი
67. ხის ჯიში
68. ქალაქი იტალიაში
69. საკლასო ოთახის ინვენტარი
70. ხერხემლის ძვალი
71. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
72. ებრაელთა წმინდა წიგნი
73. მისი დედაქალაქია ლისაბონი
74. გაზაფხულის თვე
75. აუქციონზე გატანილი ნივთი
76. მოგზაური ... პოლო
77. ქორეოგრაფი მარის ...
78. ... შენი დაიკვეხნო, იქ ჩემიცა თქვიო
79. ზრდადაუსრულებელი ქათამი
80. მსახიობი ... დე ფიუნესი
81. მსახიობი ჯულიეტა ...
82. ქიმიური ელემენტი
83. ესპანელი დამპყრობელი
84. მომღერალი ... პიაფი
85. წყალსაცავი აზერბაიჯანში
86. თამაში კიით
87. წლის ძუძუმწოვარი
88. პოეტი ... მაჭავარიანი
89. პეპინიას ძაღლი
90. ის, ვინც ფილმს იღებს
91. რეჟისორი ... კუსტურიცა
92. ჩაით გაშენებული ადგილი
93. ფეხბურთის „მეფე“
94. ელდარ რიაზანოვის ფილმი
95. მწუხარე სახის ...
96. უქონრო თუთიყუში
97. გოია. „შიშველი ...“
98. პატრუქიანი თოფი
99. ტალახი
100. ალა პუგაჩოვას საკულტო სიმღერა
101. გასული საუკუნის ცეკვა
102. საზეიმო წვეულება
103. რეჟისორი რობიკო ...
104. დოსტოევსკის რომანი
105. წყლის ტრანს-
106. პრეზიდენტი ... ობამა
107. მსახიობი ბრედ ...
108. მხ/ფ „... ხვიტია“
109. უფლის სამოსი
110. ფრინველი. იმეორებს სიტყვებს
111. ცხვრის ქონი
112. შინაური ფრინველი
113. ტიბეტური ხარი
114. უკრაინის პარლამენტი
115. სასამართლოში: ... მსაჯული
116. ტურგენევის მოთხრობა
117. ჯიქანი
118. მსახიობი ... ნოლტი
119. წერილი (მოძვ.)
120. მსახიობი ... ფაროუ
121. სირაქლემას სახეობა
122. რას უჩნდება კარიესი
123. მცენარე. ისხამს ყურძენს
124. ... ფოიხტვანგერი
125. წინაღობის ერთეული
126. რა ეფარება მზეს
127. მეტყველების ორგანო
128. ამერიკელების მეტსახელი
129. გარგანტუას ავტორი
130. მხ/ფ „ნატვრის ...“
131. იანის საპირისპირო
132. ტენორი ... ლანცა
133. ადამიანის წინაპრები: ... და მზია
134. სატანვარჯიშო იარაღი
135. საჯდომი ნერვის ანთება
136. სახის ნაწილი
137. სამიანი ნარდში
138. მწვანე ძვირფასი ქვა
139. რძის პროდუქტი
140. ... სუხიშვილი
141. კოშკი პარიზში
142. თევზის წვნიანი
143. შვედური ხურდა ფული
144. წყლის შინაური ფრინველი
145. გამოთქმა: ჭკუის ...
146. ანწლი

პასუხები: 1. მარშალი; 2. ბადრიჯანი; 3. არაყიშვილი; 4. ფიანდაზი; 5. კარაიანი; 6. კარლა; 6ა. კუ; 7. ქამუშაძის; 8. ანასტასია; 9. ოტო; 10. არამეული; 11. იუდა; 12. იური; 13. და; 14. ლეჯერი; 15. გრანტის; 16. შარადა; 17. ყადი; 18. ნაძვის; 19. ბარელი; 20. პაატა; 21. შაქარი; 22. ასტერიქსი; 23. როტვეილერი; 24. ოტია; 25. ნინო; 26. შიიტი; 27. ლაზიერი; 28. ტაიგა; 29. ლითონი; 30. ქედი; 31. პალიასტომის; 32. პილპილი; 33. ასინეთა; 34. ბრეზენტი; 35. გაგრა; 36. იანუსი; 37. ტორტი; 38. ოკლაჰომა; 39. სომელიე; 40. ბანგი; 41. ნაფარეული; 42. აქანდაზი; 43. ზოო; 44. ინდოეთი; 45. პულსი; 46. იფქლი; 47. ენგ; 48. ვერტმფრენი; 49. კალა; 50. გიგი; 51. სეიფი; 52. გოია; 53. ლუპა; 54. ფარეხი; 55. ელა; 56. ონდატრა; 57. ლიკანი; 58. როი; 59. არტემონი; 60. ელ; 61. ოაზისი; 62. ჯოლი; 63. სიმონეთი; 64. ჰილარი; 65. ორი; 66. ფილატელისტი; 67. ტირიფი; 68. ბოლონია; 69. დაფა; 70. მალა; 71. ციალი; 72. თორა; 73. პორტუგალია; 74. მაისი; 75. ლოტი; 76. მარკო; 77. ლიეპა; 78. სადაც; 79. ვარია; 80. ლუი; 81. მაზინა; 82. ნატრიუმი; 83. კორტესი; 84. ედიტ; 85. მინგეჩაური; 86. ბილიარდი; 87. სელაპი; 88. მუხრან; 89. პერი; 90. რეჟისორი; 91. ემირ; 92. პლანტაცია; 93. პელე; 94. გარაჟი; 95. რაინდი; 96. არა; 97. მახა; 98. არკებუზი; 99. ლაფი; 100. „არლეკინო“; 101. ჩარლსტონი; 102. რაუტი; 103. სტურუა; 104. „იდიოტი“; 105. გემი; 106. ბარაკ; 107. პიტი; 108. მაცი; 109. კვართი; 110. თუთიყუში; 111. დუმა; 112. მამალი; 113. იაკი; 114. რადა; 115. ნაფიცი; 116. „მუმუ“; 117. ცური; 118. ნიკ; 119. უსტარი; 120. მია; 121. ნანდუ; 122. კბილი; 123. ვაზი; 124. ლიონ; 125. ომი; 126. ღრუბელი; 127. ენა; 128. იანკი; 129. რაბლე; 130. ხე; 131. ინი; 132. მარიო; 133. ზეზვა; 134. დვირი; 135. იშიაზი; 136. ყბა; 137. სე; 138. ზურმუხტი; 139. დო; 140. ილიკო; 141. ეიფელი; 142. უხა; 143. ერე; 144. იხვი; 145. კოლოფი; 146. ავი. იკითხება: შარლ აზნავური.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



აქაო-და, რევოლუციები მოდაშიაო, დავოსში შეიკრიბნენ ძლიერნი ამა სოფლისანი მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოსამზადებლად (წინა სამი ხომ სულ გრიალით ჩაარახრახეს). რევოლუცია ახსენესო და საქართველო ამ საქმეს დააკლდებოდა? გამოწვიპეს ჩვენი ქვეყნის

და გაუდგნენ გზას

1. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
2. მოხარშული ზეთი
3. იანის საპირისპირო
4. სათავსო ფუნდამენტში
5. ცხიმის გამოსახდელი ხელსაწყო
6. პროტესტანტი მღვდელი
7. მდინარე ქუთაისში
8. ავტონომია ჩინეთში
9. რეპუტაცია
10. იაპონური თეატრი
11. მდინარე ორინოკოს ველი
12. თოვლის ბაბუა ...-კლაუსი
13. მსახ. ... მანჯგალძე
14. მსახიობი ... პაჩინო
15. ქალაქი საფრანგეთში
16. თევზის ძვალი
17. ხმლის ბუდე
18. ქიაჩელი. „... ბიგვა"
19. მსახიობი ... კრუზი
20. მსახიობი ... გარდნერი
21. ძველი სტილი მოდაში
22. მსახიობი ედდი ...
23. მწერალი სომერსეტ ...
24. ოჯახის ქალი ძველ რომში
25. ეგზოტიკური ფრინველი
26. ბალეტი „ბედების ..."
27. ნათურის აფეთქების საფარი
28. ავეჯის ჯგიმი ...
29. ლოტოს შეგავსი თამაში
30. მევიოლინე ... ვირსალაძე
31. ფოლადის სადნობი ღუმელი
32. მტაცებელი ფრინველი
33. ბომათა საბჭოთა თეატრი
34. ყვავილი
35. მიმიკის უქონლობა
36. „მაუგლი" პითონი
37. ორგანული ნივთიერება
38. ...-დე-ჟანეირო
39. სატრუნაო ინვენტარი
40. მგალობელი ფრინველი
41. ოპერა „აბესალომ და ..."
42. „საქორწილო მარში" კომპოზიტორი
43. რუსი ქიმიკოსი
44. პოლიტიკოსი ... მანდელა
45. რუსი ილუზიონისტი
46. ძალიან იშვიათი ნივთი
47. ყვავილზე კალმით ვარცლი
48. მდინარე ინდოეთში
49. ნიავი
50. რეპტილია
51. ... შარიფი
52. ამერიკული ავტომობილი
53. ცეცხლის ენა
54. ქორბუდა ცხოველი
55. პარკოსანი მცენარე
56. ძალიან ტკბილი ნივთიერება
57. კრედიტი ურწყავი ქონების დადებით
58. სირქლემის საზომი
59. მწერალი ... აბე
60. შმ/ფ „... მეზურნეები"
61. მსახიობი ჯორჯ ...
62. ჯგუფის მონაწილე ადამიანი
63. რაიმეს სახელური
64. კავშირეობის სიტყვა
65. თეატრალური განცხადება
66. მსახიობი ... ჩახავა
67. სამოთხის ბაღი
68. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
69. ბუღალტერიის ფულის ერთეული
70. ნაჭრის მრგვალი ქუდი
71. ხის ჯიში
72. კავადორის დედაქალაქი
73. ქალაქი შიდა ქართლში
74. პოეტი ახმადულინა
75. ფილმი „...ველი ოპერა"
76. შმ/ფ „... ოფისტრი"
77. ბგერის გრძელი, გამოსახვლება
78. ძროხის ნაშიერი
79. შეძახილი ლოთისათვის
80. ომში: ... და ნადირა
81. გამარჯვების ქალღმერთი
82. ჟანგბადი ... ადამიანი"
83. მომღერალი ... სუმაკი
84. არგენტინული ჩაი
85. საბავშვ. ... და ტომბაგო
86. ქალაქი ვოლგის დელტაში
87. ვაზის საყრდენი ჯოხი
88. ფირმა ... პარი"
89. გულიანი კანფეტი
90. პოლგარული არაყი
91. კუზიანი ... კუზანოვი
92. უქორწინო თუთი-ყუში
93. მსახიობი ... როტი
94. მსახიობი ... დილონი
95. მწერალი ... ვიტალი
96. ქალაქი გერმანიაში
97. შმ/ფ „... და მეგობრები"
98. მსახიობი ... არტმანე
99. კრების ჩანაწერი
100. სიახლე ჩაცმულობაში
101. ტროას ბერძნ. სახელწ.
102. ფოლგა
103. ფრედი მერკურის ანსამბლი
104. ლიტონი ფაბი ... და მისი მეგობრები
105. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
106. მსახიობი ... ფაროუ
107. მან კოდონიანი ააგო
108. მხატვარი ... გრეკო
109. მდინარის დინებ ...ლი შემაერთებელი
110. მომღერალი ... ბურჭულაძე

ვის აღარ ნახავდით დავოსში, რა ჯიშსა და რა ჯილაგს. ობამამ მის მაგივრად ინდიელები გამოაგზავნა ყალიონებითა და ტომაჰავკებით. დაფეთდნენ დავოსში, ამ ხალხს ტომაჰავკევი როგორ დავამარხინოთო. -ნუ გეშინიათო, -დასჭექა ჩვენმა პირისმომბანელმა, -მე ვიცი მაგის წამალიო, და, ქართლის დედა მიუსვა გვერდით ჯამითა და ხანჯლით. შერცხვათ ინდიელებს და ტომაჰავკები სასწრაფოდ





რუსები ტრადიციული ლაპტებით ჩამოვიდნენ, აქაოდა, მშვიდობა გვინდა, ხომ ხედავთ ჩექმა გაგვიხადეთ. ამ დროს

დეპეშა მოვიდა-ოკეანის სანაპიროზე რუსის ჩექმა დევს და რა ვუყოთო. -აქაც ქართველმა იძარჯვა. -მაინც ფეხის დასველება უნდოდათ იდიოთის ოკეანეში და ჩაახრჩვეთ მაგის ლანჩიაც არ იყოსო

დაგვაყაჩაღეს და გუდასტვირები ნაგვართვესო. -ფუი, უოლესის მოდგმისანი მაინც არ იყოთო, -დაანამუსა ჩვენმა პირისმომბანელმა და აჭარული გუდასტვირები აჩუქა.

იქვე, კუთხეში, შოტლანდიელი კილტოსნები იდგნენ დაღონებულები: გზაზე





-ეს ვინ ყოფილხართ ქართველები, რა გენი და რა გონი გქონიათო.- გაიბადრნენ ქართველები და რაც

ჰქონდათ, აყარეს და აყარეს თვალებში ფორუმელებს. დრომ უცებ გაირბინა, დავოსიც უკან დარჩა. მაგიდაზე კი ინდუსტრიული რევოლუციის სამოქმედო გეგმა იდო. მაგრამ რად გინდა, მთელი „სამუშაო მასალა" დავოსში დაეხარჯათ მტრის თვალის დასაფსებად. ახლა ისხდნენ და ფიქრობდნენ რა

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. კაის მეგობარი გოგონა
2. ... ცოცხი კარგად გვის
3. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
4. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
5. პოეტების საკრებულო მთა
6. ტაძარი კახეთში
7. მხ/ფ „... ჩამოვიდნენ მთიდან"
8. მედიცინის დარგი. სამკურნალოდ გამოიყენება ტალახი, თერმული წყალი
9. მსახიობი ან ...
10. სახედარი
11. ყურძნის ჯიში
12. შოთა რუსთაველის პოემა
13. თაღი
14. კომპოზიტორი ... კალმანი
15. სოფელი გორის რაიონში
16. მომღერალი ... გულედანი
17. ხარაზის იარაღი
18. მხ/ფ „101 ..."
19. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
20. ხორბლის შეჭამანდი
21. მუსლიმანური მარხვა
22. ტბა აშშ-ში
23. ღვინის საწყაო ერთეული
24. სეილი, ანუ ...
25. იაპონელი თვითმკვლელი
26. მსახ. ... ფრეინდლიხი
27. „მაუგლი" მგელი
28. მომღერალი ... ჯაგერი
29. ათქვეფილი კვერცხის ცილა
30. მსახიობი ... დალტონი
31. „მატრიცა" ჰაკერი
32. ... შეჯდა მწყერი ხესა
33. ... ხეთაგუროვი
34. მსახიობი ... მური
35. ქართ. ეპოსის გმირი
36. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
37. ჯამის ფორმის სასმისი
38. ისტორიიდან: ... ბერია
39. დედნიდან გადაღებული პირი
40. მცენარის სურნელ. სქელი წვენი
41. უბანი თბილისში
42. პროვინცია ესპანეთში
43. მდინარე თერგის ხეობა
44. მსახიობი ... როჯერსი
45. ფასიანი ქაღალდი
46. მომღერალი მარია ...
47. მსახიობი ... არამოვი
48. ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი
49. ნუარე ფილმში „... თოფი"
50. რაც ... გერგება,... შეგერგება
51. მთიდან არეკლილი ხმა
52. დოსტოევსკის რომანი
53. „ბითლზი" რინგო ...
54. მსახიობი ... ჭანკვეტაძე
55. ბრონტე. „ჯეინ ..."
56. რეჟისორი ალფონსო ...
57. მომღერლი ... მინოუგი
58. თაფლიანი ნამცხვარი
59. კურორტი ხაშურთან
60. მწყემსის მოსასხამი
61. ევროპის პირველი მესტამბე. გამოიგონა შრიფტი და დაზგები
62. შვეიცარიის დედაქალაქი
63. მსაჯი, ანუ ...
64. ათასწლეულის დასასრული
65. ხორცის ნაჭერი
66. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
67. დასაძინებელი ნაყენი
68. მსახიობი ჯონ ...
69. ცხენების ჭენება
70. სპექტაკლი ბიბლიურ თემაზე
71. მსახიობი ... მინელი
72. შექსპირი. „მეფე ..."
73. წლის მომჭერი სამზარეულოში
74. ტილ ულენშპიგელი და ... გუძაკი
75. ქალაქი სომხეთში
76. ქალაქი. დანვეს ჟანა დარკი
77. მგალობელი ფრინველი
78. მსახიობი მაკოლეი ...
79. ეპერეული მომღერალი ... სუმაკი
80. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
81. ცხენირემი
82. დიეტოლოგი პოლ ...
83. მდინარე რუსეთში
84. მსახიობი დაიან ...
85. ავღანეთის დედაქალაქი
86. თირკმლების ექიმი
87. ქალაქი ინგლისში
88. არქიტექტორი. ააშენა პეტერბურგი
89. სიმსივნის ფორმა
90. გამოთქმა: ... ამართლებს საშუალებებს
91. რუსი ცალთვალა მხედართმთავარი
92. იაპონური ჭადრაკი
93. შხამი. ამზადებენ ინდიელები
94. ბულგარული არაყი
95. მეტამორფოზის ბოლო სტადია
96. ჯეიმს კამერონის ფილმი
97. ჭედურობის ოსტატი კობა ...
98. მსახიობი რობერტ დე ...
99. მსახიობი ჯულიეტა ...
100. სტუდენტის ხელფასი
101. კოფეინიანი სასმელი
102. ვირის ნაშიერი
103. ღვიძლის მეხვი
104. მწერალი ... როდარი
105. არაკი
106. ...-კლარჯეთი
107. მსახიობი ... ოტული
108. მსახიობი ... როტი
109. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
110. მგზავრობა გადაჯდომით
111. კაშხალი ეგვიპტეში
112. ტყის სული წვეტიანი ყურებით
113. მწერლის წერის მანერა
114. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
115. უკმაყოფილების გამოხატვა
116. ძვირფასი ლითონი
117. მსახიობი ... მერფი
118. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
119. ცხენბურთი
120. მსახიობი ... მანჯგალაძე
121. გასართობი პარკი. დააარსა დუმბაძემ
122. ძაღლის ჯიში
123. მდინარე ჩინეთში
124. ... არაბეთს როსტევან
125. მხ/ფ „ზოლიანი ..."
126. საბავშვო მატროსული კოსტიუმი
127. ფეხბურთელი ... მესი
128. მსახიობი ... ჰეპბერნი
129. ძვ. ინგლისური სიგრძის ერთეული
130. ყურის ანთება
131. მხ/ფ „... სრული სვლით"
132. მსახიობი ... ლი ჯონსი
133. უნივერსიტეტი ... მატერი
134. ამერიკელების მეტსახელი
135. საყანედ გაჩეხილი ტყე
136. სოფელი რაჭაში
137. მსახიობი ... ჰოუკი
138. მსახიობი ... ჟირარდო
139. მსხვილი ნაწლავის ანთება
140. ისრის წვერი
141. მსახიობი ... დელონი
142. იუპიტერის თანამგზავრი
143. სახოტბო ლექსი
144. ... ჰო, ... არა



პასუხები: 1. გერდა; 2. ახალი; 3. „ოსკარი"; 4. ტატამი; 5. პარნასი; 6. ალავერდი; 7. ისინი; 8. ბალნეოლოგია; 9. პარიიო; 10. ვირი; 11. რქაწითელი; 12. „ვეფხისტყაოსანი"; 13. არკა; 14. იმრე; 15. იკორთა; 16. აჩიკო; 17. სადგისი; 18. დალმატინელი; 19. კინტო; 20. წანდილი; 21. რამაზანი; 22. მიჩიგანი; 23. ჩაფი; 24. ფასდაკლება; 25. კამიკაძე; 26. ალისა; 27. აკელა; 28. მიკ; 29. ბეზე; 30. ტიმოთი; 31. ნეო; 32. არა; 33. კოსტა; 34. დემი; 35. ამირანი; 36. მარტინა; 37. ფიალა; 38. ლავრენტი; 39. ასლი; 40. ბალზამი; 41. კუკია; 42. მალაგა; 43. დარიალი; 44. მიმი; 45. ობლიგაცია; 46. კალასი; 47. ვლად; 48. ლარინგოლოგი; 49. ძველი; 50. არ; 51. ექო; 52. „იდიოტი"; 53. სტარი; 54. ნინელი; 55. ეარი; 56. არაუ; 57. კაილი; 58. იდეალი; 59. სურამი; 60. ნაბადი; 61. გუტენბერგი; 62. ბერნი; 63. არბიტრი; 64. მილენიუმი; 65. არტალა; 66. ნეორეალიზმი; 67. ბანგი; 68. ტრავოლტა; 69. რბოლა; 70. მისტერია; 71. ლაიზა; 72. ლირი; 73. ონკანი; 74. ლამე; 75. აბოვიანი; 76. რუანი; 77. ტოროლა; 78. კალკინი; 79. იმა; 80. სოკრატე; 81. ლოსი; 82. ბრეგი; 83. ოკა; 84. კიტონი; 85. ქაბული; 86. უროლოგი; 87. მანჩესტერი; 88. რასტრელი; 89. კისტა; 90. მიზანი; 91. კუტუზოვი; 92. გო; 93. კურარე; 94. რაკია; 95. იმაგო; 96. „ტიტანიკი"; 97. გურული; 98. ნირო; 99. მაზინა; 100. სტიპენდია; 101. ჩაი; 102. ჩოჩორი; 103. ლივერი; 104. ჯანი; 105. იგავი; 106. ტაო; 107. პიტერ; 108. ტიმ; 109. კარატი; 110. ტრანზიტი; 111. ასუანი; 112. ელფი; 113. სტილი; 114. გორილა; 115. პროტესტი; 116. ოქრო; 117. ედი; 118. ლორდოზი; 119. პოლო; 120. ეროსი; 121. „მზიური"; 122. სეტერი; 123. იანძი; 124. იყო; 125. რეისი; 126. მატელოტი; 127. ლიონელ; 128. ოდრი; 129. იარდი; 130. ოტიტი; 131. ორერა; 132. ტომი; 133. ალმა; 134. იანკი; 135. ახო; 136. ირი; 137. იტან; 138. ანი; 139. კოლიტი; 140. ზრო; 141. ალენ; 142. იო; 143. ოდა; 144. ან. იკითხება: მონიკა ბელუჩი.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**ირაკლი აბესაძე**, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი: „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ ინფორმაციით, ავტობუსების შეძენაზე ხელშეკრულება 2016 წლის თებერვალში უნდა გაფორმდეს, მაგრამ ჯერ სასესხო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებებიც არ დასრულებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, 2016 წლის განმავლობაში ქალაქს ახალი ავტობუსები არ ეყოლება და ეს ნარმანისა და „ქართული ოცნების“ მორიგი ტყუილია“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**ზაზა ხატიაშვილი**, „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე: „ამიხსენით, ვიდრე ლარი 2,5 არ გახდება დოლართან მიმართებაში, ხადური მინისტრი უნდა იყოს?! ფინანსური გუნდი ქვეყანას აქცევს, სასამართლო რეფორმა დაინგრა, პოლიციაში წამებები მიდის და ამ საქმეს ისევ პოლიცია იძიებს, ივანიშვილი გამოდის და ამბობს, მე კარგი გუნდი მყავსო“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**ვასო ურუშაძე**, ავტომფლობელთა უფლებების დამცველი: „ვეცდებით, ჩვენი არგუმენტებით დავარწმუნოთ, რომ შსს-მ კანონპროექტიდან ამოიღოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა. თუ ეს ვერ შევძელით, თუ კანონი ამ სახით მიიღეს, ჩვენ არ გავჩერდებით, აქციებს გავაგრძელებთ, მინიმუმ, ხუთჯერ 900 ავტომობილს გამოვიყვანთ და ამ აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**დავით კირკიტაძე**, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი: „ჩვენ ვაპირებთ ამ არჩევნებში გამარჯვებას. სწორედ გარდაბნიდან ვიწყებთ ამ ხელისუფლების დემონტაჟს. დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენ ასეთივე წარმატებით მოვიგებთ დიდ არჩევნებს“.

***მეთვრამეტე გვერდიდან***

მოთხოვნა. დავუშვათ, „თიბისიდან“ და „საქართველოს ბანკიდან“ შევიდა განაცხადები, რომ გვინდა დოლარის ყიდვა. არავინ არ იცის, მაგათ რამდენის ყიდვა უნდოდათ, შეიძლება განაცხადები 50 მილიონზე ჰქონდათ შეტანი-ში უარესი კრიზისი შეიქმნება. ახლა ნახე, ამათ დაუშვათ, იყიდეს 2,45-ში, თვითონ გაუშვებენ 2,50-ში, ასეთი დიდი სხვაობები აქვთ. აი, ამ კვირაში ნახავთ, რამხელა განსხვავება იქნება ყიდვასა და გაყიდვას შორის. ამ ყველაფერს უნდა არეგულირებდეს ეროვნული ბანკი. ქვეყანას კიბოსავით მოედო ინტერნეტ-

...პროცენტს გართმევს, ზოგი – 40 პროცენტს. თუ წლიურ პროცენტზე გადავალთ, ამჟამად ლომბარდები თანხებს იძლევიან 250-300 პროცენტში. ამას ვინ არეგულირებს, რას აკეთებს ეროვნული ბანკი, ამ ყველაფრის უკან რა ხალხი დგას? ნახეთ, რა ხდება ინტერნეტში, 1000 ლარი რომ ისესხო ერთი თვით, უნდა გა-

...ყოფილა.

**— სერგო, როდესაც აუქციონზე დგინდება შეწონილი კურსი, ეს არის თუ არა გასაყიდი კურსის წინაპირობა?**

– აგიხსნი: დავუშვათ, ეროვნულმა ბანკმა გამოიტანა 20 მილიონი დოლარი და ამდენივე ლარი, დოლარი გაიყიდა სულ, ლარი – ვერა, აქ დგინდება შეწონილი კურსი,

...მპანიებს. აქ ერთი ნიუანსიც მოქმედებს – ვინაიდან ბანკებს სესხების დიდი ნაწილი დოლარში აქვთ გაცემული, ლარი არ სჭირდებათ, კლიენტებისგან დოლარს იღებენ. მაგალითად, შენ ლარში კი გაქვს შემოსავალი, მაგრამ ბანკის ვალის დასაფარად მაინც დოლარს ყიდულობ. რა თქმა უნდა, ამას უნდა დაამ-

...მანათით რომ იყიდოს, ძალიან ზარალობს. მაქვს ინფორმაცია, რომ დოლარი აზერბაიჯანიდანაც გააქვთ, შვეიცარიის ბანკში დეპოზიტები გაიზარდა 40 პროცენტით. ვინ არიან ეს ტიპები, რომლებიც ფულს ქაჩავენ შვეიცარიის ბანკში? ესენი არიან ტიპები, რომლებიც გახვეულები არიან შავი ფულის ტრიალში.

**— ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ქართული ბანკების კლიენტებმა საზღვარგარეთ, დეკემბერში, პლასტიკური ბარათებით 80,3 მილიონი დოლარი დახარჯეს. როგორც ეროვნული ბანკი გვეუბნება, რეზიდენტი ბანკების ბარათებით, ტრანზაქციები, წინა წლის ანალოგიური თვის გადახდებს 11 მილიონი ლარით აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან გადის დოლარი?**

– აი, სწორედ ეგ არის, რაზეც ჩვენ აქამდე ვლაპარაკობდით. დაუკვირდი, აქ არ არის დაფიქსირებული, კონკრეტულად ვინ გაიტანა, უბრალოდ, ბანკების კლიენტები არიან და მორჩა. აქ შეიძლება იყვნენ ჩინელებიც, აზერბაიჯანელებიც, თურქებიც, ირანელებიც და ასე შემდეგ. თუ ერთ თვეში 80 მილიონი გავიდა პლასტიკური ბარათებით, მთელი წლის განმავლობაში რამდენი გავიდოდა? შენ რომ 20 მილიონს გამოიტან გასაყიდად, ეს რას უშველის?

# სფეროში, როგორ კეთდება დიდი ფული, და როგორ უნდა იქცეოდეს ამ დროს მთავრობა?!

**„არ არის გამორიცხული, დოლარი მიჰქონდეთ ბანკების საშუალებით საქართველოში მოქმედ აზერბაიჯანულ კომპანიებს“**






**ჯერ იყო, ივანიშვილმა „დაგვამშვიდა“ — ეს ჯანსაღი პროცესია, ლარი ჯანმრთელი რომაა, იმიტომ დახტუნაობს, თორემ ავადმყოფს გატრაკების თავი არა აქვსო... მერე მისმა შემდგომმა პრემიერმა ღარიბაშვილმა დაგვადო ვალი, — პანიკობთ და ლარი იმიტომ გარბის, ნუ აშინებთო. ახლა მოქმედმა პრემიერმა კვირიკაშვილმა მოიფიქრა ახალი ტერმინი, ეს ლარის ინფლაცია კი არ არის, ლარის კორექტირება მოხდაო!.. მოკლედ, ამ თავის მართლების სულელურ განცხადებებს ჩვენ ბოლო ორი წლის განმავლობაში ვისმენთ, მაგრამ რეალობა სხვა რამეს გვიჩვენებს**

ლი, ხვალ კიდევ 30-ს მოითხოვენ. როცა ბანკები დოლარს ყიდულობენ, მერე ხომ უნდა გაყიდონ? წესით, რამდენიმე დღეში, მინიმუმ ორშაბათიდან უნდა დაიწყონ, მაგრამ ვინმემ შეისწავლა, კომერციულმა ბანკებმა დოლარი საქართველოშივე გასაყიდად შეიძინეს თუ გარეთ გააქვთ? იქნებ ვიღაც აზერბაიჯანელები ყიდულობენ და ქვეყნის გარეთ გადის? ამ შემთხვევა-

...სესხები, ინტერნეტლომბარდები, სადაც 20-30 პროცენტად იძლევიან სესხებს. ადრე საგადასახადო კოდექსში იყო ჩადებული ასეთი რამ: თუ რომელიმე კომპანიას რომელიმე კომპანიის ვალი ჰქონდა, გადახდა ხორციელდებოდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთით. ეს ვალდებულება ახლა აღარ არსებობს, ახლა არის სრული ანარქია, ზოგი 30

...დაიხადო 1200 ლარი, ანუ თვეში 20 პროცენტი. ეს გავამრავლოთ 12 თვეზე, რამდენი გამოდის? 240 პროცენტი. ლომბარდები რეკლამებს აკეთებენ, ფულს 4 პროცენტში ვიძლევითო, ესეც გავამრავლოთ 12-ზე, ხომ გამოდის 48 პროცენტი? სიტყვაში გვატყუებენ, ადრე პროცენტი დადგენილი იყო წლიურად – 9-12 პროცენტი. „ნაცების“ დროს ვინ გაბედავდა, რომ ეროვნულ ბანკს დაედგინა 1,60 და ვინმეს დოლარი გაეყიდა 1,70-ად? ასეთი რამე არ

...ანუ აღმოჩნდა, რომ დოლარზე მოთხოვნილება მეტია და დაჯდა 2,47-ზე. ახლა მე ვსვამ კითხვას: როდემდე შეიძლება, რომ იყოს დოლარზე უფრო მეტი მოთხოვნილება? სად მიდის, ვინ ყიდულობს? ქუჩაში არავის გამოუტანია, წაიღეს კომერციულმა ბანკებმა რაღაც კონკრეტული მიზნებისთვის, ხვალაც წაიღებენ, ზეგაც და ასე შემდეგ. არ არის გამორიცხული, დოლარი მიჰქონდეთ ბანკების საშუალებით საქართველოში მოქმედ აზერბაიჯანულ კო-

...ატოთ რეგიონში მიმდინარე მოვლენებიც – მაგალითად, დღეს აზერბაიჯანელებს რომ ბიზნესები აქვთ საქართველოში, ისინი ყიდულობენ დოლარს. ერთ ჩემს მეგობარს აღებული აქვს კრედიტი აზერბაიჯანში, 100 ათასი დოლარი. მანქანა იყიდა მაშინ, როცა იქ 1 დოლარი ღირდა 0,79 მანათი. ამას ბიზნესი აქვს საქართველოში. ახლა 1 დოლარი ღირს 1,70 მანათი, თითქმის 100 პროცენტით გაიზარდა. ახლა დოლარს საქართველოში ყიდულობს და მიარბენინებს ბაქოში.

აი, სწორედ აქ არის შესასწავლი სიტუაცია, უცხოეთში წასული კლიენტები მეტს რატომ ხარჯავენ, ყველა ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გადავიდა თუ ჭამას მოუმატეს? ან საქონელი უნდა იყიდონ, ან კიდევ უბრალოდ გადაქაჩონ. აქ ვერ გაიგებ, ამ კლიენტებში მოქალაქეები არიან, კომპანიები თუ ორგანიზაციები. თუ მომდევნო თვეებშიც იგივე გაგრძელდა და ეროვნულმა ბანკმა 20 მილიონის ინტერვენცია განახორციელა, რა თქმა უნდა, ლარი განაგრძობს ვარდნას.

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**წინასაახალწლოდ მერიამ თანამშრომლებს „სიურპრიზი“ მოუმზადა — ჯერ დასუფთავების სამსახურის 300 თანამშრომელი, ხოლო შემდეგ უსაფრთხოების სამსახურის 120 თანამშრომელი, ახალი წლის წინა დღეს სამსახურიდან დაითხოვა. არასამთავრობო ორგანიზაცია „მონიტორინგის ცენტრის“ ხელმძღვანელი გივი კუბლაშვილი „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში აცხადებს, რომ მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების დათხოვა პოლიტიკური ნიშნით მოხდა და „ზევით“, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიგეგმა.**

– დედაქალაქის მერმა, მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ახალი წელი „მიულოცა“ და, ჩვენი ინფორმაციით, 120 თანამშრომელი გაათავისუფლა სამსახურიდან. იმიტომ, რომ „ზევიდან“ მიიღეს დირექტივა. ეს ყველაფერი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საარჩევნო წელს პარტაქტივისთვის ათავისუფლებენ ვაკანსიებს. ეს ადამიანები 3 წელია, მუშაობენ მერიის ამ სტრუქტურაში და ასე ერთბაშად 31 დეკემბერს მათი განთავისუფლება რამდენად ადეკვატურია, საზოგადოებამ შეფასოს.

**— მაინც რა გახდა მიზეზი მათი განთავისუფლების?**

– განთავისუფლებული თანამშრომლების ადგილზე ახალი თანამშრომლები მიიღეს. განთავისუფლებული თანამშრომლებიდან ერთ-ერთი გიგი უგულავას საქმეზეა დაკითხული, მეორის მეუღლე გამგეობაში მუშაობდა. ასეთი გარემოებებია ძირითადად. განთავისუფლებული თანამშრომლები პოლიტიკური ნიშნით იდევნებიან. ადამიანი, რომელიც 3 წელზე მეტია, მუშაობს და გადაცდომები არ აქვს, რის გამო უნდა გაათავისუფლო?

**— თუმცა 120 თანამშრომელი ყველა უგულავასთან კავშირის მიზეზით ხომ არ იქნება განთავისუფლებული?**

– ისინი, ვინც სამსახურიდან დაითხოვეს, ყველა არის 2012 წლის ნოემბერში დასაქმებული. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხელშეკრულება, რომელიც სამ წელზე მეტხანს გრძელდება, არის უვადო. ამიტომაც მათი დათხოვნა კონკრეტული მიზეზის გარეშე დაუშვებელია. გაუგებარია, რა მიზეზით გაუშვეს ისინი სამსახურიდან. მერიის უსაფრთხოების სამსახურში, ამაზე პასუხი არ აქვთ. ჩვენ მოვითხოვეთ ოფიციალური მიზეზის დასახელება, რის გამო მოხდა მათი სამსახურიდან განთავისუფლება. არსებობს ბრძანება, სადაც წერია, რომ ხელშეკრულებას გაუვიდა ვადა და ის აღარ გაგრძელდება.

**— თუ დაეხმარებით მათ, რომ სამართლებრივად იბრძოლონ თავიანთი უფლებების დასაცავად?**

– რა თქმა უნდა, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია დაეხმარება მერიიდან უკანონოდ განთავისუფლებულ ადამიანებს, რომ სასამართლოს საშუალებით თავიანთი დარღვეული შრომითი უფლებები აღიდგინონ. ისინი უნდა დაბრუნდნენ სამსახურში.

მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უკვე ყოფილი თანამშრომლები სასამართლოსთვის მიმართვას გეგმავენ. როგორც ისინი აცხადებენ, გადაწყვეტილება უსაფუძვლო იყო და ის მერიაში კი არა, უფრო „ზემოთ“ მიიღეს. 120 თანამშრომლიდან უმეტესობა ამ სამსახურში დაარსების დღიდან მუშაობდა. თვლიან, რომ სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს. ეს არის პოლიტიკური ნიშნის მიხედვით სამსახურიდან დათხოვნა, სხვა რა უნდა დავარქვა?

**დიმიტრი ვაჭრიძე, მერიიდან დათხოვილი თანამშრომელი:**

– უსაფრთხოების სამსახურიდან დამიკავშირდა ჩემი თანამშრომელი და შემატყობინა, რომ მერია ხელშეკრულებას ვეღარ გამიგრძელებდა. არ დავიჯერე და სხვა თანამშრომლებს დავუკავშირდი, რომლებმაც დამიდასტურეს, რომ მერობის დროს რადგანაც დავიწყე უსაფრთხოების სამსახურში მუშაობა, ამიტომ. ისინი, ვინც სამსახურიდან გაათავისუფლეს, ძველი კადრები იყვნენ. სანამ სამსახურიდან დაგვითხოვდნენ, ერთი თვის წინ ხელახლა გავიარეთ ნარკოლოგიური შემოწმება, რაშიც ფული გადავიხადეთ. თუ სამსახურიდან გვაგდებდნენ, ფულებს რატომღა გვაყრევინებდნენ? ნასამართლობის ცნობაც მიგვატანინეს. რაში სჭირდებოდათ, ჩვენ ხომ ვმუშაობდით უკვე მერიის უსაფრთხოების სამსახურში? ალბათ, მიზეზს ეძებდნენ და რომ ვერაფერი გვიპოვეს, მაინც გამოგვაგდეს სამსახურიდან.

**— რას აპირებთ?**

– რას უნდა ვაპირებდეთ? სამართალს ვერ ვიპოვით. 3 წელი და 3 თვე ვიმუშავე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთი მიზეზიც არ მიმიცია ვინმესთვის, რომ ჩემი მუშაობა რა მოსწონებოდათ. პირიქით, 13 ივლისის წყალდიდობის დროს აქტიურობისთვის პრემიერ-მინისტრის მადლობაც მივიღე. არ ვიცი, მიზეზად იმას თუ ჩათვლიან, რომ მადლობა მივიღე. გვაინტერესებს, რას იტყვის ქალაქის მერია, რატომ გახდა საჭირო ჩვენი სამსახურიდან გაშვება და სხვა კადრებით ჩანაცვლება...

**— სასამართლოში გაასაჩივრებთ?**

– მერიაში სამართალს ვერ ვიპოვით, ახლა მხოლოდ სასამართლოს იმედი გვაქვს. თუ ის სამართლიანი იქნება, წესით, უნდა დაგვაბრუნონ სამსახურში.

**გიორგი ბოჭორიშვილი, უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი:**

– ვარდების მოედანზე წინასაახალწლო ღონისძიებაზე ვიყავით გაყვანილი, ჩვენი თანამშრომელი მოვიდა და გამოგვიცხადა, რომ ხელშეკრულება აღარ გაგვიგრძელდებოდა. განყოფილების უფროსს ვკითხე, რა ხდებოდა? მითხრა, თქვენი ამბავი ზევიდან გადაწყდაო. შემდეგ მერიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შევედი, მანაც იგივე გამიმეორა.

**— რას ნიშნავს ზევიდან გადაწყდა, ნარმანიამ გადაწყვიტა?**

– არა, უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურიდანო.

**— მაინც რას მიაწერთ თქვენს განთავისუფლებას?**

– ალბათ, იმას, რომ ნაციონალების მიმართ სიმპათიები მაქვს.

**მერიის უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი აცხადებს:**

– ვარდების მოედანზე ვიყავით გაყვანილები ახალი წლის ღამეს და იქ მითხრეს, ხელშეკრულება აღარ გაგიგრძელდება, შეგიძლია, სახლში წახვიდეო. განყოფილების უფროსთან მივედი ვითარებაში გასარკვევად და მითხრა, მე არ ვწყვეტო. ჩემი განთავისუფლება მას შემდეგ მოხდა, რაც „თავისუფალი ზონის“ წევრებთან ერთად, გალაკტიონის ხიდზე საბჭოთა სიმბოლიკა უკრაინის დროშის ფერებში შევღებე.

**რამდენიმე დღის წინ „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ „ფეისბუკზე“ დაწერა:**

„ჩვენი დაცვის ყოფილი და ცნობილი უფროსი, თემურ კოვზიაშვილი, რომელიც ჩვენ მიერ საფუძვლიანად ეჭვმიტანილია ჩვენს ოფისში სახელმწიფო სტრუქტურების დავალებით სათვალთვალო აპარატურის დამონტაჟებაში, დღეს შემჩნეულია მთელი დღის განმავლობაში მერ ნარმანიასთან ერთად გადაადგილებისას. როგორც წყაროები გვიდასტურებენ, მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა მერიის უსაფრთხოების სამსახურში“.

ჩვენ ეს ინფორმაცია მერიის პრესსამსახურში გადავამოწმეთ, სადაც კოვზიაშვილის დანიშვნა არ დაგვიდასტურეს... თუმცა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან იქ ჩვენი მცდელობის მიუხედავად, არც უსაფრთხოების სამსახურიდან გაშვებულ თანამშრომლებზე ამბობენ რამე კონკრეტულ მიზეზს.

# სინამდვილეში რისთვის დაითხოვეს მერიის უსაფრთხოების სამსახურიდან 120 კაცი?




## „რუსთავი 2“-ის დაცვის ყოფილი უფროსი მერიაში მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს?!







**სერგო ბიჩიაშვილი, უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი:**

– მოულოდნელად გაგვათავისუფლეს. როგორც ჩანს, ახლა არჩევნები მოდის და ამისთვის სჭირდებათ უფრო მეტი მობილიზაცია. ჩვენ არ გავჩერდებით და შევიტანთ სარჩელს სასამართლოში ჩვენი უფლებების აღსადგენად, რადგანაც მერიიდან უკანონოდ დაგვითხოვეს. მერიამ ულუკმაპუროდ დატოვა ჩვენი ოჯახები.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გამოგიშვეს?**

– მე ვფიქრობ, საარჩევნო წელი მოდის და ჩვენს მაგივრად თავიანთი ხალხი დაასაქმეს. ჩვენ, უბრალოდ, გამოგვყარეს სამსახურიდან. ამ დროს „ოცნების“ აქტივისტებს არჩევნებში კარგად გამოიყენებენ. ეს არის პოლიტიკური ნიშნის მიხედვით სამსახურიდან განთავისუფლებული ვიყავი. თუმცა მიზეზი არ დაუსახელებიათ. ასე, უმიზეზოდ 120 თანამშრომელი 31 დეკემბერს ბატონ მერის ხელმოწერით დაგვითხოვეს.

**— ხელშეკრულების ვადა გასული იყო?**

– ხელშეკრულების ვადა გასული იყო, მაგრამ, წესით, უნდა გაეგრძელებინათ. ჩვენ გამოგვყარეს და ჩვენს ადგილას სხვები მიიღეს.

**— რამდენი წელი იმუშავეთ?**

– 3 წელი და 3 თვე.

**— სამსახურიდან დათხოვის მიზეზი რატომ არ გითხრეს?**

– არანაირი მიზეზი არ უთქვამთ. მერიის უსაფრთხოების სამსახურში ყოფილი მერის, გიგი უგულავას მერობის დროს დავიწყეთ მუშაობა. არც „ნაციონალი“ ვარ, არც „ოცნების“ აქტივისტი, მაგრამ ჩემი ვარაუდით, გიგი უგულავას

ბელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის 4 კანდიდატის დოსიე

**ახლა კი რა გამოდის, ისევ დამნაშავეებს ვაბარებთ ეროვნულ ბანკს? სად არიან ახლა ნარმანია და ხადური, ხმას რატომ არ იღებენ? პრინციპში, რატომ უნდა ამოიღონ, თვითონ კარგად არიან და არ ჰკიდიათ ერთ ადგილას ხალხის აზრი?!**







**მაშინ კომისიამ ბიზნესის ფაკულტეტიდან „დაბრაკა“ ორი ცნობილი ეკონომისტი (არ გაგეცინოთ): დავით ნარმანია და ნოდარ ხადური. დიახ, დღეს ერთი თბილისის მერია, ხოლო მეორე — ფინანსთა მინისტრი. ხომ მაგარია? ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე ესენი უნივერსიტეტიდან გამოყარეს, უნდა ჩააბარონ ახლა ეროვნული ბანკი**



**რომან გოცირიძეს ვკითხეთ და კონკრეტულ პასუხს ვერ გვაძლევს, ჯერ არ ვიცით, ბიოგრაფიები არ შეგვისწავლია, კიდევ იქნება კანდიდატურები, ჯერ პროცესი არ დამთავრებულაო. ვააა, ჯერ რომ ბიოგრაფიები შეისწავლონ და მერე წარუდგინონ მარგველაშვილს, ვერა? როგორც ამბობენ — ვერა! ჰოდა, ახლა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გაარკვიოს თავისი ადმინისტრაციის საშუალებით, ემანდ ვინმე თაღლითი არ შეგვეპაროს ეროვნულ ბანკში. რა, თუკი ციხეებიდან ნარკომანები და მკვლელები გვეპარებიან „ჩერეზ“ შეწყალების კომისია, ეს რაღა გასაკვირი იქნება?!**

**საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს ექსპერტებმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის 4 კანდიდატურა წარუდგინეს. რომელმა ექსპერტებმა დაგვდეს პატივი, უცნობია (ერთი რომან გოცირიძე გახლავთ). საბჭოს წევრობის კანდიდატები არიან: გიორგი ფაილოძე, გიორგი ბაქრაძე, ნია შარაშიძე და არჩილ იაკობაშვილი. ამათგან მხოლოდ გიორგი ბაქრაძეა ცნობილი, გარდა იმისა, რომ ცნობილი მოაზროვნე და „ოქროს ბუს“ მფლობელია, ეროვნული ბანკის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის მრჩეველიცაა. ბაქრაძე „ნაციონალ“ ქადაგიძეს რას ურჩევდა და მათ „ოცნების“ ხელისუფლების სრული ხელშეწყობით საით წაიყვანეს ლარის კურსი, ეს უკვე ვნახეთ. სადაც სამართალია, ეს ადამიანი თებერვლის ბოლოს თავის პრეზიდენტს უნდა გაჰყვეს უკან, მაგრამ ეროვნულ ბანკში, ანუ ქერის ორმოში ისეთი „ჯიგრული“ ხელფასებია, რატომმაც არ ექნება სურვილი, იქ დარჩეს?**

**ნია შარაშიძე** - ეკონომისტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (კომისიის მდივანი). ამ ქალბატონის ბიოგრაფია ფართო მასებისთვის ცნობილი არ არის, მაგრამ შევეცდებით, სხვა კუთხით გავაცნოთ საზოგადოებას: 2012 წლის აგვისტო, ხელისუფლებაში ჯერ კიდევ „ნაციონალები“ არიან და არჩევნებში კვლავ გამარჯვებას აპირებენ, მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება წააგონ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება სპეციალური კომისია, რომელმაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უნდა შეარჩიოს სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა კანდიდატურები. ამ კომისიის წევრები სხვებთან ერთად არიან გიორგი ბაქრაძე და ნია შარაშიძე. მაშინ კომისიამ ბიზნესის ფაკულტეტიდან „დაბრაკა“ ორი ცნობილი ეკონომისტი (არ გაგეცინოთ): დავით ნარმანია და ნოდარ ხადური. დიახ, დღეს ერთი თბილისის მერია, ხოლო მეორე — ფინანსთა მინისტრი. ხომ მაგარია? ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე ესენი უნივერსიტეტიდან გამოყარეს, უნდა ჩააბარონ ახლა ეროვნული ბანკი. მაშინ „დაბრაკული“ ეკონომისტები ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ „ფეისბუკში“:

***დავით ნარმანია: „8-წლიანი მუშაობის შემდეგ, თსუ-ს კონკურსზე ვერ გავედი. გამოდის, რომ გამოცდა ვერ ჩავაბარე ეკონომიკაში და ჩავიჭერი. ახლა გერმანიაში ვცდი ბედს“.***

***ნოდარ ხადური: „პარადოქსია, მაგრამ დღეს ძალიან მძიმე დღის შემდეგ, როდესაც გავიგე, რომ საკონკურსო კომისიამ და უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ჩათვალეს, რომ არ ვიმსახურებ უნივერსიტეტის პროფესორობას, ძალიან ბედნიერი ვარ, იმდენი თბილი სიტყვა მოვისმინე ჩემი კოლეგებისგან (ყოფილს ვერ დავწერ) და განსაკუთრებით სტუდენტებისგან, რომ ამ ყველაფერმა გადაფარა! გულწრფელი მადლობა საკონკურსო კომისიას და აკადემიურ საბჭოს, რომ ასეთ სიყვარულში დარწმუნების საშუალება მომცა! ერთიცაა, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი უსაყვარლესი საქმე ჩემს უსაყვარლეს უნივერსიტეტში გავაგრძელო“!***

ნარმანიასაც და ხადურსაც კოჭი ალჩუზე დაუჯდათ, ორივეს დღეს უმაღლესი თანამდებობებიც უკავიათ და ლექციებსაც კითხულობენ, მაგრამ იმათ რა ქნან, რომლებიც ამ კომისიამ „დაბრაკა“ და კოჭი ალჩუზე ვერ დაუჯდათ, ანუ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ვერ მოხვდნენ? მაშინ ხომ ერთიც და მეორეც თვლიდა, რომ კომისიამ დანაშაული ჩაიდინა? ახლა კი რა გამოდის, ისევ დამნაშავეებს ვაბარებთ ეროვნულ ბანკს? სად არიან ახლა ნარმანია და ხადური, ხმას რატომ არ იღებენ? პრინციპში, რატომ უნდა ამოიღონ, თვითონ კარგად არიან და არ ჰკიდიათ ერთ ადგილას ხალხის აზრი?!

სხვათა შორის, მაშინ სტუდენტები ძალიან განიცდიდნენ უნივერსიტეტიდან ამ ლექტორების გაშვებას, ყველა აღიარებდა, რომ მათზე უკეთესებს ვერ მიიყვანდნენ. კიდევ გაფრთხილებთ, არ გაიცინოთ: როდესაც ესენი უნივერსიტეტიდან გამოუშვეს, ანდრო ბარნოვი (სააკაშვილის ბიბლიოთეკარი) გახდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. მაშ, აი, ასეთი სამართალი ჰქონდა ახლა ენაწაგრძელებულ მიშა სააკაშვილს **(ხოდა, რა გამოდის, რომ მიშა მართალი ყოფილა!!! - გ.ბ.)**!

გიორგი ფაილოძე – გვაცნობეს, ეს ადამიანი ფინანსების მიმართულებით მუშაობს, თანაც ამჟამად უცხოეთშიაო. ზუსტად ვერ გეტყვით, ეს ის გიორგი ფაილოძეა თუ არა, მაგრამ ერთი ამ გვარისა და სახელის ადამიანი სკანდალურ საქმეში ფიგურირებს: 2013 წელს რაღაც თაღლითური სქემა გათამაშდა, რომელშიც ნოტარიუსებიც იყვნენ ჩართულები, საბუთები გააყალბეს და თბილისში, ბარნაბიშვილების ოჯახს ბინა წაართვეს. 120-ათასდოლარიანი ბინა იპოთეკით ისე დაუტვირთეს, თავად ვერაფერი გაიგეს. ოჯახის უფროსი თავის ჩვენებაში ასეთ რამეს ყვება:

„მაკა ჩინჩალაძე, ხშირად მოდიოდა, სამსახურსაც დამპირდა. ერთ დღეს მამაკაცი გამაცნო, ვინმე დათო (სინამდვილეში გიორგი ფაილოძე), რომელიც დამპირდა, ენერგეტიკის სამინისტროში დაგაწყებინებ მუშაობასო, მინისტრ კახი კალაძის სახელზე განცხადებაც დამაწერინა და ვითომ კადრების განყოფილებაში მიიტანა. მითხრა, მორჩა, უკვე მუშაობო“.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: გიორგი ფაილოძის შესახებ არსად მეტი ინფორმაცია არ იძებნება და არც ეკონომისტ-ექსპერტებმა იციან რამე. ყოველ შემთხვევაში, რომან გოცირიძეს ვკითხეთ და კონკრეტულ პასუხს ვერ გვაძლევს, ჯერ არ ვიცით, ბიოგრაფიები არ შეგვისწავლია, კიდევ იქნება კანდიდატურები, ჯერ პროცესი არ დამთავრებულაო. ვააა, ჯერ რომ ბიოგრაფიები შეისწავლონ და მერე წარუდგინონ მარგველაშვილს, ვერა? როგორც ამბობენ – ვერა! ჰოდა, ახლა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გაარკვიოს თავისი ადმინისტრაციის საშუალებით, ემანდ ვინმე თაღლითი არ შეგვეპაროს ეროვნულ ბანკში. რა, თუკი ციხეებიდან ნარკომანები და მკვლელები გვეპარებიან „ჩერეზ“ შეწყალების კომისია, ეს რაღა გასაკვირი იქნება?!

არჩილ იაკობაშვილი – ეს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ყოფილა. მიმართულება – ფინანსები და ეკონომიკა. სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კონსტანცისა (გერმანია) და ლივერპულის (ინგლისი) უნივერსიტეტებში. 2011 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2007 წლიდან მუშაობს სავალუტო რეზერვების პორტფელის მენეჯერად საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური ბაზრების დეპარტამენტში. მანამდე მუშაობდა აღმოსავლეთ ევროპის საინვესტიციო პორტფელების ანალიტიკოსად. როგორც ჩანს, არჩილ იაკობაშვილი განათლებული პიროვნებაა თავის სფეროში, მაგრამ მაინც გიორგი ქადაგიძის „მოწაფეა“, ანუ მისი „სასტავიდანაა“. ამას წინებზე სოციალურ ქსელებში ერთმა საქმეში ჩახედულმა ადამიანმა დაწერა, ცოტა ეჭვი მეპარება, ეს რომან გოცირიძე გიორგი ქადაგიძის მამა ხომ არ არისო? ბატონი რომანი ისე უხუჭუჭებს საქმეებს ამ ქადაგიძეს და მის მეგობრებს, ადამიანს მართლა შეგეპარება ეჭვი.

ერთი სიტყვით, გიორგი ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა 2016 წლის თებერვლის ბოლოს ეწურება და უკვე დაიწყო მისვლა-მოსვლა მარგველაშვილებში. ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი საბჭოს წევრებმა უნდა აარჩიონ და შემდეგ მარგველაშვილს წარუდგინონ დასამტკიცებლად. ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის საბჭოს 7 წევრი ინიშნება 7 წლით, ამ საბჭოს წევრებიდან ირჩევა პრეზიდენტიც.

როგორც ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა, გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა, ის მარგველაშვილის დავალებით უკვე იწყებს კონსულტაციებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დარგის ექსპერტებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, საბანკო სექტორთან, ეკონომიკური პროფილის სამინისტროებთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან. ვნახოთ, რას გამოადნობენ და ვის ჩააბარებენ საბოლოოდ ეროვნულ ბანკს, რომელიც ლარის კურსს საერთოდ ველარ ან აღარ აკონტროლებს.

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# ბიძინა კუჭავა — მსხვერპლი

## რა ინფორმაციები





მთავარმა პროკურატურამ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო საოლქო პროკურორის, ვახტანგ ქირიას მკვლელობაში ბიძინა კუჭავას დასდო ბრალი და საქმე გახსნილად გამოაცხადა. მკვლელობაში ბრალდებულმა კუჭავამ კი, პროკურატურის განცხადებით, ვინმე დავით პოპოვის მანქანაში, ორთაჭალაში, იუსტიციის სახლთან, როცა მისი აყვანის ოპერაცია ხორციელდებოდა და პოლიციის თანამშრომლებმა პოპოვს მანქანის გაჩერება აიძულეს, საკუთარი ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა თავი. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა აცხადებს, საქმე გახსნილია და ქირიას მკვლელი კუჭავააო, ამ საქმეში მაინც ბევრი კითხვის ნიშანია. ამბობენ, რომ არც ქირიას ოჯახის წევრებს სჯერათ, რომ მკვლელი კუჭავაა. შეგახსენებთ, რომ შს მინისტრის მოადგილის, არჩილ თალაკვაძის განცხადების თანახმად, 13 იანვარს, ბიძინა კუჭავამ წინასწარ ნაქირავებ ბინაში (ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-7 კვარტალის 24-ე კორპუსი) მიიყვანა ვახტანგ ქირია, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა – თავში ესროლა, შემდეგ გვამი ჩამოკიდა, რომ სისხლისგან დაწრეტილიყო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა გვამის დანაწევრება და საამისოდ ელიავას ბაზრობაზე წინასწარ იყიდა „ბარგალკა“, რომელიც ბინაში აღმოჩნდა და რომელსაც ასევე ემჩნეოდა, სავარაუდოდ, ადამიანის სისხლის კვალი. ბინაში იპოვეს დიდი საგნების გადასატანად საჭირო გორგოლაჭებიანი ჩანთა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჩანთა კუჭავას ქირიას დანაწევრებული გვამის ბინიდან გასატანად სჭირდებოდა. თალაკვაძის თქმით, კუჭავამ, სავარაუდოდ, გვამის დანაწევრებისას დაიზიანა ფეხი, ანუ გაიჭრა, განუვითარდა ძლიერი სისხლდენა და საქმეს თავი მიანება. თალაკვაძის განცხადებით, ბიძინა კუჭავამ ვახტანგ ქირიას ტანსაცმლით დატოვა ბინა. ამ ეჭვს ის ფაქტი აძლიერებს, რომ ბინიდან გამქრალია ქირიას ფეხსაცმელი და შარვალი. შემთხვევის ადგილს ემჩნეოდა დანაშაულის დაფარვის მცდელობის კვალიც. კერძოდ: სისხლის კვალის მოსასპობად აბაზანაში დამაგრებული იყო მასის ასაწევად საჭირო ე.წ. ტალი.

საგულისხმოა, რომ, როცა ბიძინა კუჭავამ, სავარაუდოდ, თავი მოიკლა, მას ჯიბეში აღმოაჩნდა ვახტანგ ქირიას საბუთები, მათ შორის, ავტომობილის ტექპასპორტი, თანაც სისხლიანი, ასევე, ხელთათმანები, რომლებიც, სავარაუდოდ, ბინაში ეკეთა კვალის დაფარვის მიზნით. ეს გამოძიების კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ ქირია კუჭავამ მოკლა. თუმცა, ეს ფაქტი დაცვის მხარის არგუმენტიც არის. ჭკუათმყოფელი ადამიანი მკვლელობაში მისი მონაწილეობის მტკიცებულებებს თავიდან მოიშორებდა და ჯიბით არ ატარებდა. ამ სისხლიანი საბუთებისა და ხელთათმანების თავიდან მოშორების დრო და საშუალება კი კუჭავას ჰქონდა. ამას მანამდე გააკეთებდა, სანამ პოპოვებს შეხვდებოდა, ადგებოდა და სანაგვე ურნაში ჩაყრიდა. გამოძიება ამტკიცებს, რომ ბიძინა კუჭავას ერთ-ერთი ქვეყნის ვიზა ჰქონდა და ის სასწრაფოდ აპირებდა ქვეყნის დატოვებას. გამოძიების ვერსიით, კუჭავა დაუკავშირდა საზღვარგარეთ უკვე იდენტიფიცირებულ პირს, რომელსაც ქვეყნის დატოვების თხოვნით მიმართა. საზღვარგარეთიდან განხორციელდა ზარი პოპოვთან და მის მეუღლესთან და მათ სთხოვეს, რომ დახმარებოდნენ კუჭავას ქვეყნის დატოვებაში. თუ კუჭავა სასწრაფოდ აპირებდა ქვეყნის დატოვებას და საზღვარგარეთ მიდიოდა, მას თვითმფრინავის ბილეთი, მინიმუმ, უცხოეთის რომელიმე, ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით დაჯავშნული უნდა ჰქონოდა. ამგვარი ჯავშანი კი კუჭავას სახელზე არც ერთ ავიაკომპანიაში არ აღმოჩნდა. ბიძინა კუჭავა დააკავეს სავარაუდო მკვლელობის მე-4 დღეს, ამავე დღეს დაიწყო მან გვამის დანაწევრება, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. საინტერესოა, მთელი 4 დღის განმავლობაში რატომ არ დაანაწევრა გვამი კუჭავამ, არ მოიშორა თავიდან და მაინცდამაინც, როცა გაქცევას აპირებდა საქართველოდან, იმ დღეს გადაწყვიტა საქმის ბოლომდე მიყვანა? ამის გაკეთება მას გაცილებით ადრე და აუჩქარებლად შეეძლო... ბიძინა კუჭავას საფეთქელთან, სავარაუდოდ, იარაღის ნაჭდევი ეტყობა, რაც იმის საფუძველს იძლევა, ვთქვათ, რომ მან მართლა მოიკლა თავი, თუმცა ამას არც ოჯახის წევრები და არც ადვოკატი, ნათია კორკოტაძე არ ეთანხმებიან. ნათია კორკოტაძე აცხადებს, რომ ეს არის განზრახ მკვლელობა, მეტიც, მისი თქმით, კუჭავაც და ქირიაც ერთმა და იმავე პიროვნებამ ან ადამიანთა ჯგუფმა მოიშორა თავიდან, თუმცა, ორმაგი მკვლელობის მოტივის შესახებ ადვოკატი ჯერ ვერაფერს ამბობს.

ამ სკანდალური დანაშაულის შემდეგ, ბიძინა კუჭავას სახელი რამდენიმე გახმაურებულ მკვლელობასა და სხვა სახის დანაშაულში ამოტივტივდა. „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქირიას მკვლელობის გამოძიებამ გააცოცხლა, ამოსწია კითხვის ნიშნები სხვა ოთხ საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც 2005-09 წლებში მოხდა და რომლებიც დღემდე გაუხსნელია. ეს არის ბიძინა კუჭავას დის გაუჩინარება – ეს საქმე დღემდე გაუხსნელია; ეს არის მისი გერის მკვლელობა; ეს არის ცოლ-ქმარ ნინუების მკვლელობა, რომელზეც მართალია, ერთი ადამიანი მიეცა პასუხისგებაში, მაგრამ გამოძიება მუშაობს დამატებით, ეს საქმეც იქნა შესწავლილი; ასევე, ეს არის მაღალთაძის მკვლელობა, რომელზეც ასევე არსებობს კითხვის ნიშნები. ამ საქმეებში არის გარკვეული დეტალები, რომლებსაც, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს ამ ბოლო საქმესთან“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ და დასძინა, რომ გამოძიება ამ საქმეებს შორის შესაძლო კავშირის დადგენაზე მუშაობს“, – ეს შს-ს მინისტრის მოადგილის, არჩილ თალაკვაძის განცხადებაა.

### გოჩა მაღალთაძის მკვლელობა

ბიძინა კუჭავა აზარტული მოთამაშე იყო და ეს მთელმა თბილისმა იცოდა. ერთ-ერთი ვერსიით, მან ვახტანგ ქირია სწორედ ფულის გამო მოკლა. მისი ვალი ჰქონდა, რომელსაც ვერ უბრუნებდა, ადგა და თავიდან მოიშორა. სწორედ ფულს უკავშირდება ბიძინა კუჭავას მიერ გოჩა მაღალთაძის მკვლელობის ვერსიაც. მას შემდეგ, რაც კუჭავას ქირიას მკვლელობა დაჰბრალდა, გოჩა მაღალთაძის ახლობლები უკვე ღიად ალაპარაკდნენ მის მიერ მაღალთაძის მკვლელობაზე. მაღალთაძის მეგობარი, თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი „ნაცმოძრაობიდან“ მამუკა გუგეშაშვილი აცხადებს, რომ 2007 წელს, გოჩა მაღალთაძე, თბილისში, მცხეთის ქუჩაზე სწორედ კუჭავამ მოკლა, რადგან მას მაღალთაძის ვალი ჰქონდა. გუგეშაშვილის თქმით, იმ პერიოდში გოჩა მაღალთაძე სამორინე „ფორტუნას“ ფლობდა, ხოლო კუჭავა „ასტორია პალასს“. „სამორინეს მფლობელებში, ერთმანეთში მიღებული იყო დიდი ფულის თხოვება. უმეტესობა ერთმანეთის სამორინეებში თამაშობდა კიდეც. იმ პერიოდში, დანამდვილებით ვიცი, რომ ნახევარი მილიონი მოუგო კუჭავამ სამორინეს, რომელიც მაღალთაძის მფლობელობაში იყო და შემდგომ დაიწყო თამაში სხვადასხვა სამორინეებში, სადაც დიდი თანხები წააგო. ბოლოს, გოჩასგან ვიცი, რომ კუჭავას 100 000-ის ფარგლებში ჰქონდა მისი ვალი. მან მაღალთაძეს სთხოვა თანხა, რათა წასულიყო და ეთამაშა. გოჩა სანამ ცოცხალი იყო, ამბობდა, რომ კუჭავას მისი ვალი ჰქონდა. მე ბოლო სამი თვე, არ ვიყავი აქ და ყველა ინფორმაციას ფლობს ვაჟა ნუცუბიძე, რომელიც იმ პერიოდში სამორინე „ბერიკონს“ ფლობდა“, – განაცხადა მამუკა გუგეშაშვილმა.

მაღალთაძის მეგობრის განმარტებით, მას ეჭვი ჰქონდა სამ პიროვნებაზე, მათ შორის ბიძინა კუჭავაზე.

„ყველაზე დიდი ეჭვი მქონდა ბიძინა კუჭავაზე. თვითონ თუ არა, მაგის დაკვეთით მოკლა ვიღაცამ გოჩა. ამას ზუსტად ვერ ვამბობდი, მაგრამ ყოველთვის ასე ვფიქრობდი“, – აცხადებს მამუკა გუგეშაშვილი. მისი ინფორმაციით, მაღალთაძის მკვლელობის საქმეზე გამოძიების ფარგლებში კუჭავა არაერთხელ დაკითხეს.

სხვათა შორის, გოჩა მაღალთაძეც მცხეთის ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში მოკლეს 2007 წლის 9 მაისს.

### ცოლ-ქმარ ნინუების საქმე

2009 წლის 13 ნოემბრის საღამოს, თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, მოკლული იპოვეს ზვიად გამსახურდიას მთავრობის უშიშროების სამინისტროს უკანასკნელი ხელმძღვანელი, 67 წლის თამაზ ნინუა, და მისი მეუღლე, 64 წლის ეთერ ნინუა. ცოლ-ქმარს ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობები თავის არეში ჰქონდათ მიყენებული. მკვლელმა მტკიცებულების მოსპობაზეც იფიქრა. როგორც წესი, დანაშაულის გასახსნელად ყველაზე ეფექტიანი გზა, ცხელ კვალზე მაძებარი ძაღლის მეშვეობით გასვლაა. ამ შემთხვევაში ძაღლის გამოყენება ძალოვნებმა ვეღარ შეძლეს, რადგან ცხედრების ირგვლივ, სავარძლებზე, კომპიუტერთან, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც შეიძლებოდა დამნაშავეს შეხება ჰქონოდა, დაფქული წიწაკა იყო მოყრილი, ამ გზით კი კვალი გაქრა... გამოძიებამ მკვლელობის იარაღს ვერ მიაგნო, თუმცა საქმეში დევს ორი მასრა, რომლებზეც ბალისტიკური ექსპერტიზა ჩატარდა. ამოღებული მასრები უიშვიათესი მოდელის უხმო რევოლვერს ეკუთვნოდა.

ნინუას მკვლელობა გამსახურდიას დაღუპვის საგამოძიებო კომისიის შექმნას დაემთხვა, რაც სხვადასხვა ეჭვების მიზეზად იქცა. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩის 18 ნომერში, საკუთარ ბინაში მოკლული თამაზ და ეთერ ნინუები მათმა შვილმა საცხოვრებელი ბინის კარის შემტვრევის შემდეგ იპოვა. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა ორივე გარდაცვლილს შუბლის არეში აღენიშნებოდა. ეთერ ნინუა საძინებელში იპოვეს, ხოლო თამაზ ნინუა – სავარძელში. სროლის ხმა არავის გაუგია. სავარაუდოდ, მკვლელს კარი თავად ნინუებმა გაუღეს.

67 წლის თამაზ ნინუა სიკვდილამდე ბოლო წლებში არსად მუშაობდა და არც რაიმე სახის პოლიტიკურ აქტივობაში იყო ჩართული. გავრცელებული ინფორმაციით, ის კერძო ბიზნესს ეწეოდა, თუმცა, საბოლოოდ, პოლიტიკური მოტივით მკვლელობის ვერსია გამოირიცხა. მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ, 27 ნოემბერს, ძალოვნებმა განაცხადეს, რომ ყოფილი ფეხბურთელი, 60 წლის თამაზ გოგია ცოლ-ქმრის მკვლელობაში იყო მხილებული. გოგიას მეგობრისა და მისი მეუღლის მკვლელობა დღემდე არ ულიარებია. თამაზ გოგიას 30 წელი მიუსაჯეს და დღემდე სასჯელს იხდის, შესაძლოა, იმ დანაშაულისთვის, რომელიც მას არც ჩაუდენია.

მკითხველს გაუჩნდება კითხვა, რა კავშირშია ბიძინა კუჭავა ამ შემზარავ მკვლელობებთან? საქმე ისაა, რომ 2007 წელს თბილისში, ვაკეში მომხდარი გოჩა მაღალთაძის მკვლელობისა და ნინუების მკვლელობის ხელწერა იდენტური იყო. მაღალთაძის სხეულიდანაც სწორედ ის უიშვიათესი მასრა ამოიღეს, რაც ნინუებთან და ვერც იქ იპოვეს იარაღი. ოთახშიც ანალოგიური სურათი იყო – ყველგან დაფქული წიწაკა მოყრილი და ელექტროგამათბობელი ჩართული(?!). მაღალთაძესაც სასიკვდილო ტყვია

# თუ სერიული მკვლელი?

## მოაწოდეს „ქრონიკას“?



საფეთქელთან ჰქონდა ნასროლი. სხვათა შორის, ვახტანგ ქირიას მკვლელობის ადგილას, ნაქირავებ ბინაში, გამათბობელი ჩართული იყო, ქირიასაც, მაღალთაძესაც და ნინუებსაც ტყვია შუბლში ჰქონდათ ნასროლი. შეიძლება ითქვას, წრე შეიკრა. თამაზ და ეთერ ნინუების, გოჩა მაღალთაძისა და ქირიას მკვლელობები ერთი ხელწერითა და სავარაუდოდ, ერთი კაცის მიერ არის ჩადენილი და გამოძიება ეჭვობს, რომ ეს კაცი ბიძინა კუჭავა იყო.

სხვათა შორის, ბიძინა კუჭავას კავშირს თამაზ და ეთერ ნინუების მკვლელობებთან, მომხდარიდან 7 წლის შემდეგ, არ გამორიცხავს მათი ქალიშვილი ეკა ნინუა. იგი მისი მშობლებისა და გოჩა მაღალთაძის მკვლელობის საქმეებთან ბიძინა კუჭავას კავშირს უსვამს ხაზს და საეჭვო გარემოებებზე აკეთებს აქცენტებს. „ბატონი ბიძინა არის ერთადერთი შემაერთებელი რგოლი ორ მკვლელობას შორის, რომელიც იყო რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე მოხდებოდა ჩემი მშობლების მკვლელობა. ორივე მკვლელობა ჩადენილია აბსოლუტურად ერთნაირი მეთოდით, ძალიან პროფესიონალურად, შესრულებულია ძალიან სპეციფიკური იარაღით, რომელიც თბილისში, ასე ვთქვათ, არსად არ ჩანს და არის ძალიან ფარული იარაღი“, – აცხადებს ეკა ნინუა. თუ ბიძინა კუჭავამ დახოცა ცოლ-ქმარი ნინუები, გამოდის, რომ თამაზ გოგია სრულიად უდანაშაულოა. „ქრონიკას“ პროკურატურიდან სანდო პირმა მოაწოდა ინფორმაცია, რომ გამოძიება ამ მიმართულებით მუშაობს, დიდი ალბათობით, ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, ნინუების მკვლელობის საქმის გამოძიება განახლდება. გამოძიება სერიოზულად და მტკიცებულებების საფუძველზე ეჭვობს, რომ ნინუები ბიძინა კუჭავამ დახოცა. ამ ეტაპზე გამოძიება კუჭავას მიერ ნინუების მკვლელობის მოტივის ძიებაშია. ასევე, ამავე წყაროს ინფორმაციით, ასევე ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, განახლდება გოჩა მაღალთაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და ცხადია, ამ შემთხვევაშიც, გამოძიებას ეჭვი ბიძინა კუჭავაზე აქვს. წყარო აცხადებს, რომ ძალიან მალე ამ საქმეების გამოძიების განახლებისა და მათში ბიძინა კუჭავას ბრალეულობის შესახებ, პროკურატურა განცხადებას გააკეთებს.

გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიძინა კუჭავას სახელს უკავშირდება მისი დის გაქრობა და შემდეგ მისი სახლის გაყიდვა, ასევე, კუჭავას გერის, ვაჟის სიკვდილიც. შესაძლოა, ეს მეტისმეტია, ვინმეს ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ სერიულ მკვლელთან გვქონია საქმე...

### ვინ არის დავით პოპოვი?

ამ პიროვნებამ, დავით პოპოვმა ბევრს აუბნია თავგზა და მათ შორის, რაღა დაგიმალოთ და მეც. ოფიციალური ვერსიით, სწორედ დავით პოპოვს უნდა უზრუნველეყო ბიძინა კუჭავას საზღვარგარეთ გამგზავრება. მოკლედ, პოპოვი მეკავშირე იყო კუჭავასა და იმ პიროვნებას შორის, ვინც მას უცხოეთში უნდა დახვედროდა. გამოძიება დავით პოპოვისა და მისი მეუღლის შესახებ ამაზე მნიშვნელოვანს არაფერს ამბობს (დავით პოპოვს მანქანაში მეუღლეც ახლდა, როცა იუსტიციის სახლთან მისავე „მერსედესში“ კუჭავამ თავი მოიკლა, პოპოვის მეუღლე მანქანაში წინ იჯდა, კუჭავა – უკან). დავით პოპოვის შესახებ საინტერესოა ადვოკატ ნათია კორკოტაძის მონათხრობი: „როგორც გავიგე, წინათ მას 17 წელი ჰქონია მისჯილი, მერე 5 წელი რუსეთში ყოფილა. მოკლედ, საკმაოდ ბუნდოვანი წარსული აქვს. კუჭავას ოჯახის წევრებმა მისი და ბიძინას ახლობლობის შესახებ არაფერი იციან. ...დამიკავშირდა კუჭავას ქალიშვილი და მითხრა, ერთ-ერთი ჩვენი ახლობელი იცნობს პოპოვს, რომელმაც გვითხრა, რომ დავითს სურვილი აქვს ადვოკატს შეხვდეს, მომცა ტელეფონის ნომერი და იქნებ დაურეკოთო. ცხადია, გადავურეკე და ვუთხარი, ასეთი ინფორმაცია მომაწოდეს და თუ სურვილი გაქვთ, შევხვდეთ-მეთქი. 5.30 სთ-ზე დავთქვით შეხვედრა, რადგან მითხრა, მერე დაკავებული ვარ, 7 საათზე ბავშვი უნდა მოვნათლოო. წარმოგიდგენიათ, როგორც ამბობენ, ამხელა რაღაც მოხდა მის ავტომანქანაში და ორი დღის შემდეგ, კაცი ბავშვის მოსანათლად წავიდა. ჩემთან ერთად იყვნენ ჟურნალისტები და მათაც გაიგეს ეს ყველაფერი, თუმცა ვთხოვე, რომ შეხვედრის დროს არ გამოჩენილიყვნენ. საინტერესოდ მომეჩვენა ის ფაქტი, რომ პოპოვი ოჯახს არ დაუკავშირდა, მაგრამ უნდოდა ადვოკატთან შეხვედრა. წინდაწინ ისიც ვიფიქრე, ჩემი „წამოკიდება“ ხომ არ უნდა-მეთქი? ალბათ, გამოუცდელი რომ ვყოფილიყავი, ჩანაფიქრი გამოუვიდოდა კიდეც. მოკლედ, დიღმის მასივში, მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე შევხვდით მას მე და მეორე ადვოკატი. სახე საშინლად ჰქონდა გაფითრებული. საუბრის დროს კი შევნიშნე ყურსასმენების შნური. ვიფიქრე, რომ ტელეფონის იყო და ხმა არ ამოვიღე. პოპოვმა გვკითხა, რა გნებავთ ჩემგანო? შევახსენე, რომ თავად დაგვიბარა და მისი ინიციატივით ვიყავით მოსულები, მაგრამ პოპოვი გვეუბნებოდა, გინდა თუ არა თქვენ დამიბარეთო. ამის შემდეგ ვუთხარი, რომ გაშიფრული იყო და არ გამოუვიდოდა ეს თამაში. – პოპოვს ეცვა პერანგი, რომელსაც ჰქონდა ღილები. ყველა ღილს ჰქონდა ოთხი ნახვრეტი, მაგრამ შუაში დამაგრებულ ღილს, ნახვრეტი საერთოდ არ ჰქონია და არ ჩანდა, როგორ იყო პერანგზე მიკერებული. ეს ვუთხარი თუ არა, პალტო მაშინვე შეიკრა. ამის შემდეგ მოვთხოვე, მოეხსნა ვიდეოთვალი. გამოუცდელი ადვოკატი არ ვარ და ზუსტად ვიცი, პოპოვს შეხვედრა ჩვენს დასაშანტაჟებლად უნდოდა, ამიტომ „გვაწვებოდა“, გინდა თუ არა თქვენ დამიბარეთო. მერე ამ ჩანაწერს მიიტანდა პროკურატურაში, სადაც იტყოდნენ, რომ მოწმეზე ვახდენდით ზეწოლას. პროკურატურა აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეს და ადვოკატებს დაგვიბარებდნენ იმ საქმეზე დასაკითხად, რომელსაც ვაწარმოებთ. ისე კი, კანონით არავის აქვს უფლება, იმ საქმეზე ადვოკატი დაკითხოს, რომელიც მას წარმოებაში აქვს. მოგეხსენებათ, ამ დღეებში მე მკვეთრ განცხადებებს ვაკეთებდი და ვამბობდი, რომ კუჭავას მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამ შანტაჟით კი მათ უნდოდათ ჩვენი საქმიდან ჩამოცილება, მაგრამ არ გამოუვიდათ“. ნათია კორკოტაძის ნათქვამს თუ დავეყრდნობით, დავით პოპოვი ერთი ბნელით წარსულის კაცია, რომელიც გამოძიების „ოქროს მოწმეა“ და სავარაუდოდ, არც ცდება. პროკურატურაში უკვე ღიად საუბრობენ იმის შესახებ, რომ გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რომ კუჭავამ მოკლა ქირია, პოპოვის ჩვენებამ გაამყარა. ამბობენ, რომ პოპოვმა მეტად ღირებული ინფორმაცია მისცა გამოძიებას, რომელიც ამ ეტაპზე არ ხმაურდება, მათ შორის, ბიძინა კუჭავასა და დავით პოპოვის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. მოკლედ, სასჯელის შემსუბუქების მიზნით, პოპოვმა პირი მოაღო და გამოძიებას მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციები მიაწოდა კუჭავას საწინააღმდეგოდ. სასჯელის შემსუბუქება კი პოპოვს, სავარაუდოდ, იმისთვის სჭირდება, რომ შარშია გახვეული. გამოძიებას ჰქონია მტკიცებულებები, რომ პოპოვმა იცოდა, რომ მკვლელი უნდა გაემგზავრებინა უცხოეთში. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუ პოპოვმა მკვლელობის შესახებ იცოდა, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვისაც ეკუთვნის სასჯელი და დამნაშავის მიმალვის ხელშეწყობისთვისაც.

თავად დავით პოპოვი კი ასე ყვება ბიძინა კუჭავასთან ნაცნობობას და შემდგომში განვითარებულ მოვლენებს. „პირველად ბიძინა კუჭავას 30 დეკემბერს შევხვდი. საქართველოში 28 დეკემბერს ჩამოვფრინდი თბილისი-მოსკოვის რეისით. როდესაც მოვფრინავდი, მოსკოვში მყოფმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ თბილისში ბიძინა კუჭავას უნდა შევხვედროდი, იმ მიზეზით, რომ ბიძინას რაღაც პროექტი ჰქონდა. მე უბრალოდ უნდა გამერკვია, რა ბიზნესპროექტი ჰქონდა. 30-ში ბიძინას დათქმულ ადგილას, გლდანში შევხვდი. ამ კაცს ბიზნესპროექტი ჰქონდა აფრიკაში, რისთვისაც დიდი თანხები იყო საჭირო, 780 000 დოლარამდე სჭირდებოდა. საქმე ოქროს მოპოვებას ეხებოდა, რაც ჩემთვის მისაღები არ აღმოჩნდა. ამაზე უარი ვუთხარი. 16 იანვრამდე ბიძინა არც მინახავს. 16-ში გვიან, დაახლოებით თორმეტი საათისთვის დამირეკა ჩემმა მეგობარმა, გოჩა კუჭავამ და მთხოვა, რომ ბიძინას რაღაც პრობლემა ჰქონდა და გამერკვია, რა ხდებოდა. რამდენიმე წუთში გადავრეკე ბიძინასთან და შევთანხმდით შეხვედრაზე ისევ იმ ადგილას, გლდანში. მანქანაში არაფერზე არ გვისაუბრია. როდესაც მანქანა გავაჩერე, წინ იდგა ტაქსი, ტაქსიდან კაცი გადმოვიდა და ჩემს მანქანაში ჩაჯდა, ეს იყო ბიძინა კუჭავა. ბიძინა სახლში წავიყვანე. ვკითხე, რა პრობლემა ჰქონდა, რაზეც მითხრა, რომ დიდი პრობლემა ჰქონდა და ქვეყნიდან წასასვლელად მხოლოდ 24 საათი ჰქონდა დარჩენილი. მითხრა, რომ 17 იანვარს ოთხი საათისთვის გადიოდა რეისი თბილისი-მინსკი, მან ფული მთხოვა. ბილეთი არ ჰქონდა, მე ბილეთის ფული მთხოვა. მას თან ჰქონდა 160 ლარამდე. ვუთხარი, რომ ბილეთები არ ვიცი, რა ღირდა და დავპირდი, რომ სახლში რაც მქონდა ფული, მივცემდი. ჩემს მეუღლეს ვთხოვე, ბილეთის ფასი გაეგო, მეუღლემ გაარკვია, რომ ბილეთი 600 ლარი ღირდა. თანხა არ გვყოფნიდა, მე მხოლოდ 250 ლარამდე მქონდა, ბიძინას კი 160 ლარი. შემდეგ მთხოვა ჩემს სახლში, ჩემი ინტერნეტით ესარგებლა, რადგან შეემოწმებინა, რამდენი თანხა ჰქონდა კარტაზე. როდესაც შეამოწმა, მითხრა, რომ ფული ჰქონდა. თქვა, რომ ფული ან „ვაგზალზე“ უნდა მოეხსნა, ან კოსტავას ქუჩაზე. წამოსვლისას მეუღლემ მთხოვა, რომ ჩემთან ერთად წამოვიდოდა, რადგან მე გზები კარგად არ ვიცი და თან მანქანა მეუღლეზეა გაფორმებული. წავედით სამივე, მე და ჩემი მეუღლე წინ დავსხედით, კუჭავა უკან იჯდა. მივედით ფილარმონიასთან, გადავიდა კუჭავა, შევიდა „აჭარაბეთში“, 10 წუთში გამოვიდა და ისევ მანქანაში ჩაჯდა. ჩაჯდომისას უკან იდგა პატრული, მან პატრულს რაღაცა უთხრა და ჩაჯდა მანქანაში. წავედით აეროპორტისკენ. როგორც კი გავედით სანაპიროზე, პატრულმა გაგვაჩერა. მოვიდა საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი და მითხრა, რომ საბუთები წარმედგინა. პატრულის თანამშრომელი უკანვე დაბრუნდა ძალიან მალე და მანქანაში მყოფების საბუთები მომთხოვა. როდესაც ბიძინა კუჭავას საბუთები მოსთხოვეს, უკანა შუშა ჩავუწიე, მან საბუთები მიაწოდა. როგორც კი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ჩემს მანქანას გასცდნენ, უცბად მოცვივდნენ შავი ჯიპებით შეიარაღებული ხალხი. მათ გვიბრძანეს, ხელები აგვეწია. ამ აურზაურში ჩემს მანქანაში გაისმა გასროლის ხმა. უკან გავიხედე და დავინახე სისხლიანი კაცის თავი. ერთადერთი დავინახე, რომ ჩემი მეუღლე ცალკე გაჰყავდათ. დანარჩენი ეს იყო, რაც მოხდა, ძალიან დაბნეული ვიყავი“. – იხსენებს პოპოვი.

**პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობის საქმის გამოძიება როგორ დასრულდება, კაცმა არ იცის. შესაძლოა, გარდაცვლილ ბიძინა კუჭავას ვერც ეს მკვლელობა დაუმტკიცონ და შესაძლოა, ესეც დაუმტკიცონ და კიდევ სხვა 5 მკვლელობაც — გოჩა მაღალთაძის, თამაზ და ეთერ ნინუების, საკუთარი დისა და გერისა.**

ნანა სულავა
599 07-01-89



**სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის ვახტანგ ქირიას შემზარავი მკვლელობა თითქოსდა გახსნა პოლიციამ, მაგრამ საზოგადოებაში ამ საქმის გამო ბევრი მითქმა-მოთქმაა. გაჩნდა ეჭვი, არის თუ არა ეს მკვლელობა კავშირში ბიძინა კუჭავასთან, რომელმაც თითქოსდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. კუჭავას თვითმკვლელობის ფაქტიც საფუძვლიან ეჭვს ბადებს სხვადასხვა გარემოებების გამო. ამ გახმაურებულ მკვლელობებზე თუ როგორ ობიექტურად მიმდინარეობს გამოძიება, „კვირის ქრონიკის“ კითხვებზე პასუხობს გენერალური პროკურატურის „ტერორიზმის, დივერსიებისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა გამოძიების სპეციალური ჯგუფის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა“ ყოფილი უფროსი გამომძიებელი, სამართლის პროფესორი დავით ზირაქიშვილი.**

– თითქმის ყველა რეზონანსულ დანაშაულთა გამოძიებამ ხელისუფლებაში „ნაციონალების“ მოსვლამდე ჩემს ხელში გაიარა. ქალაქის პროკურორის, მიხეილ ქურდაძის მკვლელობა ორი წელი გაუხსნელი იყო, წარმოებაში რომ მივიღე და მალევე, 6 თვეში გავხსენი. ასევე ჩემ მიერ მოხდა ლოტკინის კრიმინალური ბანდის საქმის გახსნა, რომლის დროსაც ხუთი განზრახ მკვლელობის საქმე იქნა გახსნილი. ალბათ, ყველას კარგად ემახსოვრება მაშინ ლოტკინზე ბანდიტური თავდასხმების 40-მდე ეპიზოდი და პასუხისგებაში იქნა მიცემული 21 საშიში დამნაშავე ბანდის წევრი. ვინ მოთვლის, რამდენი ფაქტი იქნა გახსნილი იარაღის უკანონო ვაჭრობაზე და ყაჩაღურ თავდასხმებზე. ამ ორ გახმაურებულ მკვლელობასთან დაკავშირებით კი შემიძლია ვთქვა, რომ გამოძიება არაობიექტურად მიმდინარეობს, მკვლელობის მოტივი არ არის დამაჯერებლად გამოკვეთილი და იმიტომაცაა ამდენი ეჭვი საზოგადოებაში. ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს მთავარი მოწმის, დავით პოპოვის პიროვნება, რომელიც ჯერ ურიგდება ადვოკატებს შეხვედრაზე თავისი ინიციატივით და მერე, ჩამწერით ხვდება მათ და იქ აწყობს სკანდალებს. ადვოკატებიც ამბობენ, რომ ეს კაცი მართალი არ არის, ისიც უნდა ითქვას, რომ შს სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებები საზოგადოებაში ბევრ ეჭვს იწვევს და პასუხგაუცემელ კითხვებს ტოვებს. ჩვენ ვიცით ჟვანიას მკვლელობა, როდესაც თავად საქმის გამომძიებელი ახდენდა მტკიცებულების გაყალბებას, რისთვისაც პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამიტომ, ობიექტურად მტკიცებულების მოპოვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმის ეფექტური გამოძიებისთვის. ასევე აღსანიშნავია შს მინისტრის მოადგილის არჩილ თალაკვაძის კატეგორიული განცხადებები, კუჭავას მიერ ქირიას მკვლელობაში კატეგორიულად დადანაშაულებაში მაშინ, როდესაც მკვლელობის მოტივი გამოკვეთილი არ არის.

**— თქვენი აზრით, ვინ უნდა იყოს დაინტერესებული, ორივე საქმის გამოძიება ასე საეჭვოდ რომ მიმდინარეობს?**

– პირდაპირ ხელის გაშვერა ძალიან რთულია, იგივე უპასუხისმგებლობა იქნება, როგორც აქამდე გაკეთებული განცხადებები, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ქირიას სამსახურებრივ საქმიანობასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

ლის ადგილებიდან აღებულია პრეპარატები გამოსაკვლევად, ამის გამო პასუხს ვერ იძლევა, ის ჩართულია ექსპერტიზაში, მისი განმარტებიდან რაიმე დასკვნის გაკეთება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

**— მანქანაში მსხდომი პიროვნებების ტანსაცმლის გამოკვლევით რა შეიძლება დადგინდეს? სროლის მიმართულება ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული, რომლის გამოც კონკრეტული დასკვნის გაკეთება შეუძლებელია?**

– მათ ტანსაცმელზე სისხლის ლაქების ინტენსივობის მიხედვით გაირკვევა სროლის მანძილი და შესაბამისად, თვითმკვლელობას ჰქონდა ადგილი, თუ სხვა გარეშე ფაქტორებს, ესეც ნათლად გამოჩნდება. თუ მაინცდამაინც პროკურატურის ვერსიას გავიზიარებთ, რომ კუჭავას დიდი ვალები ჰქონდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ ამ ვალის გადახდის ან პატიებისთვის შეიძლება მას ქირიას მკვლელობა შეუკვეთეს, იმან ვის შესახებაც ქირიას ჰქონდა კომპრომატები, რომელიც მან მოიპოვა გამოძიების პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე და სამეგრელოში კასრების საქმის გამოძიების პროცესში, რომლის შესახებ „ქრონიკა“ უკვე წერდა. ეს არის ერთადერთი რეალური მოტივი ქირიას მკვლელობისა, თუ ჩავთვლით, რომ კუჭავამ მკვლელობა ჩაიდინა. თუმცა ისიც საკითხავია, კუჭავამ თვითონ მოიკლა თავი, თუ არა. დასაფიქრებელია ის ფაქტორები, რომ ქირიას, რომელიც 10 წელი უმუშევარი იყო, რა ბიზნესი უნდა ჰქონოდა ისეთი, რომ 50 ათასი მიეცა სესხად ნათესავისთვის?.. ამ თანხის არსებობას ხომ უნდა ადასტურებდეს ოჯახის რომელიმე წევრი, საერთოდ, ჩვენი მთავარი პროკურატურა რომ იყოს ის ორგანო, თავიდანვე საქმის გამოძიებას ობიექტურად რომ წარმართავდეს, მაშინ გაცილებით ადვილი იქნებოდა სწორ ვერსიებზე მსჯელობა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც ჩაიდინა ჟვანიას მკვლელობასთან, ე.წ. კორტების საქმესთან, ბუტა რობაქიძის, გირგვლიანის და სხვადასხვა განზრახ მკვლელობებზე, ჩვენ, საზოგადოებას, ორმაგად აზროვნების დატვირთვა გვიწევს, პირველ რიგში იმის გარკვევა, რამდენად ობიექტურად იძიებს პროკურატურა. სულ ის უნდა ვიფიქროთ, ადგილი ხომ არა აქვს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას, დამნაშავის დაფარვას, ჯერ პროკურატურის ობიექტურობაზე ვმსჯელობთ და შემდეგ კონკრეტული დანაშაულის ფაქტობრივ დანაშაულებზე. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ზემოჩამოთვლილი გახმაურებული მკვლელობები, ის 22 ათასი განუხილველი განცხადება, სადაც მხილებული არიან თავად პროკურატურის თანამშრომლები, რომლებიც დღესაც არიან თანამდებობებზე. პროკურატურის ორგანოებმა თუნდაც პირადად ჩემს საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა შარშან, მაგრამ არ გაგრძელდა. იგივე თქვენი, ჟურნალისტი ქალის მდგომარეობა, თქვენი პროკურორი დღესაც დიდ თანამდებობას ინარჩუნებს, რომელიც დიდი ხნის წინათ უნდა ყოფილიყო პასუხისგებაში მიცემული... რომელი ერთი ჩამოვთვალო, ქვეყანაში დღეს, ფაქტობრივად, პროკურატურა არ არსებობს, ჩვენ თუ გავიზიარებთ იმ ოფიციალურ ვერსიებს ამ ახალ ორ გახმაურებულ მკვლელობასთან დაკავშირებით, რაც მთავარმა პროკურატურამ და შს მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ, პროფესიით ექიმმა, გაახმოვანა, მაშინ ქირიას მკვლელობა ჩაიდინა კუჭავამ. მკვლელობის მოტივი უნდა იყოს იმ მხარის მიერ მიცემული შეკვეთა, ვის წინააღმდეგაც ქირიამ მოიპოვა გარკვეული სახის მაკომპრომეტირებელი მასალები, უსათუოდ „ნაცების“ კვალი გამოიკვეთება კუჭავას ვალის გადასახდელად, ან მის გასაქვითად.

## „თუ მაინცდამაინც პროკურატურის ვერსიას გავიზიარებთ, რომ კუჭავას დიდი ვალები ჰქონდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, ამ ვალის გადახდის ან პატიებისთვის შეიძლება მას ქირიას მკვლელობა შეუკვეთეს!“

**„და შეუკვეთა იმან, ვის შესახებაც ქირიას ჰქონდა კომპრომატები, რომელიც მან მოიპოვა აფხაზეთის ტერიტორიაზე და სამეგრელოში კასრების საქმის გამოძიების პროცესში...“**









შეიძლება მონახეს კაცი, კუჭავას სახით, რომელსაც ჰქონდა ვალი და როგორც თქვენი გაზეთი პირველად წერდა, მკვლელობა შეიძლება შეკვეთილი იყოს. უფრო მეტიც, ეს არის კლასიკური შეკვეთილი მკვლელობა, მსხვერპლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურატურამ ზუსტად უნდა გამოიკვლიოს კუჭავასა და ქირიას შორის ვალის წარმოშობისა და გადაუხდელობის ყველა ფაქტობრივი გარემოება. ერთი ვერსიაა – ვალის გადაუხდელობა, მეორე ვერსია – შეკვეთილი მკვლელობა...


გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

განვაგრძობთ წერილების ციკლს 2015 წელს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების, გადაწყვეტილებებისა თუ დადგენილებების შესახებ, რომელთა შესახებაც ან საერთოდ არ გსმენიათ, ან კიდევ ყურმოკვრით. ალბათ, უკვე ყველამ იცით, რომ უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე პარლამენტიდან საპარტნიორო ფონდში გადაიყვანეს. როგორც იტყვიან, მას ტუზი დაეცა, ჯერ ერთი, „აბეზარ-ინტრიგანი“ კოლეგებისგან დაისვენა და მეორეც – 5-ათასლარიანი ხელფასი 27 ათასით შეუცვალეს. პარლამენტში ხომ იყო მეფესავით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახლა მისთვის ცხოვრება გაცილებით მშვენიერი გახდა. ვინ შეცვალა პარლამენტში დავით საგანელიძე? ვინმე ვლადიმერ აჩბამ, რომლის შესახებაც საერთოდ არაფერია ცნობილი. სიტყვა „ვინმე“ იმიტომ ვიხმარე, რომ მე პირადად ასეთი „უბიოგრაფიო“ ადამიანი მეორე არ მინახავს, თანაც ისეთი, „გუგლიც“ კი ვერ ძებნის. როგორღაც მოუხერხებიათ და პარლამენტის ვებგვერდზე მისი ფოტოც განუთავსებიათ, თითქოს ბიოგრაფიაც, მაგრამ აქედან მხოლოდ იმის გაგებაა შესაძლებელი, რომ დაბადებულია 1948 წელს და კენჭს იყრიდა „ქართული ოცნების“ პარტიული სიით. მორჩა, მეტი არაფერი ვიცით. თქვენი არ ვიცი და... მე სამი წლის შემდეგაც კი პასუხს ვერ ვპოულობ, საიდან მოიყვანა „ოცნებამ“ ასეთი ხალხი, სად მოძებნა და როგორ ჩასვა თავის საარჩევნო სიაში? 2012 წელს ისეთი აჟიტირებულები ვიყავით ყველა, ვერც კი შევამჩნიეთ, ვის ერეკებოდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. თურმე თავზე მეტეორი გვეცემოდა და საერთოდ ვერ ვგრძნობდით. იმედია, 2016-ში ცოტა სხვანაირად იქნება და ჩვენც ფხიზლად ვიქნებით.

სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც: „შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით“. ესე იგი, თუ მზრუნველმა ფეხები მიაჭირა და არ გასცა წერილობითი თანხმობა, შეზღუდული უნარის მქონე სრულწლოვანი ვერ დაქორწინდება.

ცვლილებაა განათლების ხარისხის შესახებ კანონშიც: „სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სამაგისტრო სასწავლო გრანტი გაიცემა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, გარდა მართლმადიდებლური სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებისა, იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია, ან რომლის აკრედიტაცია განხორციელდა ცენტრის მიერ აღიარებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე უცხოური ორგანიზაციის მიერ“.

დაუკვირდით, სახელმწიფო გრანტი გაიცემა ყველა უმაღლეს სასწავლებელზე, გარდა მართლმადიდებლური საგანმანათლებლო დაწესებულებისა, აქ რომ ეწეროს, გარდა რელიგიურისაო, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ რა გამოდის, კათოლიკურზე, მუსლიმანურსა და სხვა სექტანტურ სასწავლებლებზე გაიცემა? ყოჩაღ, სახელმწიფოვ, ყოჩაღ!

ცვლილებებია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონში, რაც განპირობებულია იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მთავრობის აზრით, ვინაიდან სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია ჩართული, კოოპერაციის სწორი განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას. ვერაფერს იტყვი, კარგი სადღეგრძელოა. ახლა კანონი დასაშვებად მიიჩნევს ისეთი კოოპერატივების არსებობას, რომლებიც მხოლოდ წევრთა კაპიტალის გაერთიანებასა და ამ კაპიტალის პროპორციულად მოგების განაწილებაზე იქნება ორიენტირებული. თურმე 2013 წელს მიღებული კანონი ამას არ ითვალისწინებდა. მართალია, ეს ძალიან ჰგავს 1933 წელს დაწყებულ კოლექტივიზაციას, მაგრამ ახლა ყველაფერი ნებაყოფლობითია და თანაც ევროპული, სადაც შემოდის სავალდებულო პაი, დამატებითი პაი, კოოპერატივის ასოცირებული წევრი და ასე შემდეგ. ამ მოვლენის მაკოორდინებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სადაც უკვე 1000 კოოპერატივი დარეგისტრირებულა. როგორც გვიმტკიცებენ, სააგენტოს უმთავრესი ამოცანაა კოოპერატივების არა მარტო შექმნის, არამედ ფინანსური გაძლიერებაც სახელმწიფო გრანტების საშუალებით. აქ საყურადღებოა, რომ კოოპერატივები საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის საფუძველზე სარგებლობენ შეღავათებით. კერძოდ, გადასახადისგან განთავისუფლებულია მიღებული გრანტები, კოოპერატივის წევრის შენატანი (პაი), სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება და ასე შემდეგ. ცვლილება შევიდა კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის საქმიანობის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები შესაძლოა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. აი, სად „დაგვიჭირეს“ სტალინივით: კიო, შექმენით კოოპერატივები, გაერთიანდით, თქვენი ქონება ჩადეთ, ჩვენც წაგეხმარებით, მაგრამ სამაგიეროდ უნდა გაკონტროლოთ, მონიტორინგი ჩაგიტაროთ, თუ თქვენი მუშაობა არ მოგვეწონება, სტატუსს შეგიჩერებთ, ანუ დაგხურავთო. პრინციპში, აქ ბევრს ვერც „გაახურებ“, ვინაიდან სააგენტოს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გრანტების გაცემის უფლებამოსილება, ის გაგაკონტროლებს კიდეც, რათა მიღებული ფული კაზინოში არ წაიღო და არ წააგო, მაგრამ თუ მაკონტროლებ და რაღაცებს მაიძულებ, მაშინ გამოდის, სახელმწიფო ერევა კერძო საკუთრების მართვაში, ანუ შიდა საქმიანობაში. მაგალითად, კოოპერატივს უნდა ჰქონდეს სავალდებულო სარეზერვო ფონდი, სადაც შენატანები არ უნდა იყოს კოოპერატივის წლიური მოგების 15%-ზე ნაკლები. კოოპერატივის წინა საანგარიშო წლის მოგების არანაკლებ 15%-ის აკუმულირება უნდა მოხდეს წლის დასაწყისში. ასევე, კოოპერატივი ვალდებულია, აწარმოოს წევრთა რეესტრი, რომლის წარმოების წესს ამტკიცებს სოფლის მეურნეობის მინისტრი. დავუშვათ, არ ან ვერ მივიღე გრანტი და კოოპერატივი თანამოაზრეებთან ერთად ავაწყვე საკუთარი სახსრებით, მაქვს გარანტია, რომ სახელმწიფო არ ჩაერევა ჩემს საქმიანობაში? არა, ეს კანონი მაინც მოქმედებს, სააგენტოც მაკონტროლებს, თუ რამე არ მოეწონათ, შეიძლება სტატუსიც შემიჩერონ. გრანტი მაქვს თუ არ მაქვს, ამას არავინ უყურებს.

არ დაიჯერებთ, ასევე, ცვლილება შევიდა უკვე გარდაცვლილ მეცნიერებათა აკადემიის კანონშიც:

„მეცნიერებათა აკადემია იხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნოლოგიური ინსტიტუტის) სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს“.

მოგეხსენებათ, დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უკვე გადაქცეულია მოხუცთა თავშესაფრად, სადაც არცთუ ურიგო ხელფასები და პენსიები აქვთ დანიშნული (2000-3000 ლარი). სამაგიეროდ, ჩვენ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერი გვსმენია მათი საქმიანობის შესახებ. პრინციპში, არაფერს აკეთებენ და რა უნდა გაგვეგო? ჰოდა, ახლა მიუნიჭებიათ უფლება, განიხილოს და შეაფასოს როგორც უმაღლესი სასწავლებლების, ისე სამეცნიერო ინსტიტუტების წლიური ანგარიშები. ჯერ ერთი, სადღაა საქართველოში სამეცნიერო ინსტიტუტები და მეორეც – დავუშვათ, შეისწავლეს, შეაფასეს, მერე რა? არაფერი, ეს მოხუცები დაწერენ დასკვნებს, დაიწყებენ რეკომენდაციების გაცემას, რომელსაც არავინ შეასრულებს და არც არავის დააინტერესებს. რასაკვირველია, რეკომენდაციები არავისთვის იქნება სავალდებულო. ასე რომ, ტყუილად აწვალებს ჩვენი მთავრობა ბაბუებსა და ბებიებს, დაანებეთ თავი, ეგენი კიდევ რის შემსწავლელ-შემფასებლები არიან?!

გარკვეული ცვლილებებია „იარაღის შესახებ“ კანონშიც. კერძოდ, აქ გვიზუსტებენ, ვის აქვს დღეს იარაღის ტარების უფლება – პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, პრემიერ-მინისტრს, მთავრობის სხვა წევრებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს (აფხაზეთის ხელისუფლების წევრებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ, ტერიტორიები აქვთ დასაბრუნებელი), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელებს. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება არა აქვთ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მოსამსახურეებს. ესე იგი, ამ ქვეყანაში იარაღის ტარების უფლება აქვთ ისევ იმათ, ვისაც 9-10 კაცი დაჰყვებათ დამცველებად. ჩვენ კი, რომლებსაც არავინ გვიცავს, თავში ქვა გვიხლია. არ ვარგა ასე, ჩემო სახელმწიფოვ, ანუ თბილ სკამებზე მოკალათებულო ჩინოვნიკებო, თქვენ ვისგან იცავთ თავს, ხალხისგან? კი, მაგრამ ამისთვის ხომ დაცვა გამოგიყავით და ფულსაც ვიხდით? სულ მაინტერესებს, ეს ზოგიერთი ევროპელი მაღალჩინოსანი ველოსიპედით რომ დადის სამსახურში, სადმე 9 ველოსიპედით დაცვა დაჰყვება ფარულად, თუ როგორაა? რავი, მეუბნებიან, მაგათ არავინაც არ დაჰყვება, ხალხისა არ ეშინიათო. ვა, იმათ თუ არ ეშინიათ, თქვენ რაღამ შეგაშინათ და დაგაფრთხოთ ასე? არა, აი, აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების წევრები რომ დადიან შეიარაღებულები, ეს არის ყველაზე მაზალო.

მოკლედ, როცა ამ თემაზე სტატიას ვწერ, ხან ვიცინი, ხან კიდევ ვტირი... სად შეკრიბა ივანიშვილმა ამდენი ერთნაირი?! ალბათ, კითხვისას თქვენც ასე ხართ. ბევრი არ ინერვიულოთ, „ქრონიკის“ მომდევნო ნომერშიც გექნებათ მსგავსი კანონების შესახებ წასაკითხი, ენერგია შემოინახეთ.



მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19




# რეპორტაჟი მეტრო „დელისის“ „ოცნების“ სასაფლაოდან...









პიკის საათებში მეტროზე მოსახერხებელი და სწრაფი ტრანსპორტი, მით უფრო ქალაქის ცენტრალური უბნიდან „დელისამდე“, არ მეგულება, შესაბამისად, სხვა ალტერნატივაზე არც მიფიქრია, ისე ჩავუყევი ესკალატორს. ზოგადად, საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან, განსაკუთრებით მეტროთი მგზავრობას გავურბივარ, არსად ვნახულობ იმდენ ხელგაწვდილ და სასოწარკვეთილ ადამიანს, რამდენსაც მიწისქვეშა დედაქალაქში. ამჯერად ვაგონში ისეთი ხალხმრავლობა დამხვდა, მოწყალების მთხოვნელებისთვის თავისუფალი სივრცე აღარ იყო, არც გამოჩენილან, ისე გავედი საჭირო ადგილამდე, თუმცა რამდენიმეწუთიანი კმაყოფილება, რომ დღეს მაინც არ შემხვდა ლეიკემიით დაავადებული შვილის დედა, საშოვარზე გამოსული არასრულწლოვანი „მოჯიბგირო“ ბავშვი, მოულოდნელმა აყალმაყალმა დამირღვია.

მეტროს გამოსასვლელთან, მიწისქვეშა გადასასვლელის კუთხეში მდგარ თმააგაბურძგნულ, წვერგაუპარსავ ახალგაზრდა მამაკაცსა და მის გვერდით ინვალიდის ეტლში მჯდომ ქალს სიტყვიერი ჩხუბი ჰქონდათ მათგან რამდენიმე კიბით ზემოთ მდგომ მოხუც ხელგაწვდილ ქალთან. გამვლელები გაკვირვებულები უყურებდნენ წივილ-კივილს, ორიოდე წუთით ყოვნდებოდნენ და გზას აგრძელებდნენ. იქვე მდგომ სანთლის გამყიდველს გამოველაპარაკე, რომლისგანაც გავიგე რომ, ჩხუბის მიზეზი ადგილის გაყოფა იყო. მოხუცი ქალი უმტკიცებდა ეტლში მჯდომსა და მის მეუღლეს, რომ მათზე მეტად უჭირდა, შვილი ონკოლოგიურში ეწვა და სხვა ტერიტორიაზე დამდგარიყვნენ.

„ყოველდღე ასეა, ჩხუბობენ, არ ასვენებენ ერთმანეთს, ერთმანეთს უმტკიცებენ, ვის უფრო უჭირს, ესენი ცოლ-ქმარი არიან, ქალი ავადაა, კარგა ხანია უკვე რაც აქ დგანან და ღამესაც აქვე ათევენ, მოხუცი კი, ამ ადგილზე, მათზე სტაჟიანია და ეტყობა, უნდა, მარტო ის იდგეს“. – მიყვება სანთლებით მოვაჭრე.

ცოტა ხანში აურზაურიც მიწყნარდა, ცოლ-ქმართან მივედი, მამაკაცი საუბარზე დამთანხმდა, ეტლიანმა ქალმა კი ალმაცერად შემომხედა და თავისი „საქმის“ გაგრძელებას შეუდგა...

როგორც აღმოჩნდა, მძიმე ავადმყოფობამ და პირადმა ტრაგედიამ მიიყვანა ამ ზომამდე ოჯახი. ზურაბ კელენჯერიძის საუბრიდან შევიტყვე, რომ მიუხედავად მრავალმხრივი მატერიალური თუ ჯანმრთელობის პრობლემებისა, ამ დრომდე სახელმწიფოსგან რაიმე ფასეული დახმარება არ მიუღიათ.

„მე და ჩემი ლტოლვილი, ინვალიდი მეუღლე ნანა კალანდია ვდგავართ აქ და ასე ვირჩენთ თავს. ინვალიდის საბუთსაც არ აძლევენ, არ აკმაყოფილებს ამის „ფორმა 100“ ინვალიდობის ჯგუფის მინიჭებასო. მეტი რა უნდა დააკმაყოფილოს, ეს საწყალი ფეხზე ველარ დადის... სახსრების მწვავე ანთება აქვს, თიაქარი მთლიან ხერხემალზე... მე ვუვლი, ვაგორებ იქით-აქეთ და ვცდილობთ, კაპიკი ფული ვიშოვოთ. ღამეს ვათევდით „პადზემკის“ კუთხეში, ყინვების პერიოდში აქვე ერთ-ერთი კომპანიის ძველი, გაფუჭებული მანქანაა და იქა გვძინავს... დახმარება რამდენჯერაც ვითხოვეთ, გვითხრეს, მეტროში ვერ მოვალთო. დახმარება თუ ვინმეს უნდა, სადაც ვიმყოფებით, იქ უნდა მოვიდნენ...

რაც შეეხება მიუსაფართა თავშესაფარს, ამბობს, რომ მათ პირობებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან თბილისში არაა ჩაწერილი, თან იქ არც ეტლიან ბენეფიციარებს იღებენ.

„ჩვენ საერთოდაც ვცხოვრობთ ქობულეთში, რუსთაველის 138 ნომერში, მაგრამ გვაქვს უმძიმესი პირობები, მე თვითონ ეპილეფსია მაქვს და სამსახურის შოვნაც რთულია ჩემნაირი ადამიანებისთვის. მეშინია, მძიმის აწევაზე და ოდნავ ნერვიულობაზეც კი შეიძლება გული წამივიდეს და ვერ გამოვიდე მდგომარეობიდან, ან სულაც გამისკდეს და მოვკვდე. ქუჩაში ქობულეთში რომ დავდგე, იქ ფული არ კეთდება. არ მინდა მაგათი თავშესაფარი, იქნებ დამეხმარონ და ქობულეთში გამიკეთონ იატაკი და კარი სახლში, ერთი საწოლიც დამიმატონ, ორმა ავადმყოფმა ადამიანმა ერთ საწოლში რომ არ ვიწვალოთ“...

ზურაბ კელენჯერიძე ყვება, რომ მეტროს გამოსასვლელთან დღეში 10-15 ლარამდე შოულობს, საიდანაც საჭმლის და საჭირო მედიკამენტების ყიდვას ახერხებს, თუ გაუმართლათ და ცოტა მეტი იშოვეს, ქობულეთში წასასვლელად აგროვებენ. გარკვეული პერიოდი დაზოგილი ფულით და 45-ლარიანი დახმარებით გააქვთ თავი, სწორედ დღეს ღამით აპირებენ ქობულეთში ცოტა ხნით დაბრუნებას და ამის გამო ეტლში მჯდომი ცოლი ბრაზობს კიდეც, ამდენ დროს რომ უთმობს ვიღაცას ქმარი, თან ბუზღუნიდან ვარკვევ, აღარავის და აღარაფრის სჯერა...

„ოჯახში მე და ეს საწყალი ვართ, წლინახევრის შვილიც მოგვიკვდა, უფრო სწორად მოგვიკლეს ექიმებმა, მერე მოიგონეს, გულის მანკი ჰქონდა და ვერ გადარჩებოდაო. არც არანაირი დახმარება გვაქვს, მხოლოდ 45 ლარი ლტოლვილის სტატუსის.

სოციალურიც მომიხსნეს, ქობულეთში გვქონდა დანიშნული, მაგრამ რამდენიმე თვე ვიმუშავე დასუფთავების სამსახურში, დამიფიქსირდა შემოსავალი და გამიუქმეს. შემდეგ მუშაობაც ველარ გავაგრძელე, ეპილეფსია დამემართა, მძიმედ ვიყავი, საავადმყოფოში მოვხვდა და დავრჩი სულ უშემოსავლოდ, თავიდან რომ დაგინიშნონ, ერთი წელი მაინც უნდა იყოს გასული, ისე შემოწმებაზე არ მოდიან და კი ვართ ახლა ასე უპატრონოდ დაგდებულები. ნანა თავის დასთან ცხოვრობდა და ცალკე ბინა არ ჰქონდა, ლტოლვილის საბუთიც ახლახან აღვადგინეთ, დაკარგული ჰქონდა, სოხუმიდანაა. ბინები რიგდება ვიღაცებისთვის, მაგრამ ჩვენთვის არაფერია, ახლა „ოლიმპიურ სოფელში“ რომ არიგებენ, იქ ლტოლვილთან ერთად სოციალურად დაუცველის სტატუსსაც ითხოვენ, რაც ჩვენ აღარა გვაქვს. საერთოდ, ვის რატომ აძლევენ დახმარებას, ბინებს, ვერ გავიგე... ერთი ვიცი, რომ უპატრონო კაცისთვის არავინ არ არის, მე რა ვიცი, სახალხო დამცველთან ან მსგავს ორგანიზაციებთან როგორ მივიდე, გზაც არ ვიცი თბილისში ნორმალურად... დღე-დღეზე ველოდებით სიკვდილს... როდის მოვკვდებით გარეთ, ყინვაში“...

ცოლ-ქმარს ვემშვიდობები, რამდენიმე საფეხურს ავდივარ, რომ ოჯახთან მოქიშპე სტაჟიან მოხუცსაც გავესაუბრო, მაგრამ ჩემთან საუბარში გაცდენას, რამდენიმე თეთრის შოვნას ამჯობინებს... დიდი ხანია საკუთარი გაწვდილი ხელის გარდა, არავის გაწვდილი ხელის იმედი არ აქვს...

# რა ხდება საავადმყოფოებში და რას ამბობენ „ღორის გრიპით“ დაავადებულების ახლობლები?

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



თბილისსა და რეგიონებში ე.წ. ღორის გრიპი მძვინვარებს. უკვე რამდენიმე ადამიანი ამ ვირუსს ემსხვერპლა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები გამოძახებებს ველარ აუდიან. ჯანდაცვის სამინისტრო საგანგებო მდგომარეობაზეა გადასული და დამატებითი მანქანები გამოყო ოჯახის ექიმების გადასაყვანად.

საიდან მოდის ე.წ. ღორის გრიპის ვირუსი? ვირუსის პრეისტორია ასეთია: „ღორის გრიპი“ საკმაოდ საშიში დაავადებაა. ვირუსი ძირითადად ღორს აავადებს, თუმცა ბოლო პერიოდში, მან შეძლო ადამიანის დასნებოვნება და ადამიანიდან ადამიანზე გავრცელდა.

2009 წლის მარტ-აპრილში ეს ვირუსი გავრცელდა მექსიკაში, შემდეგ ამერიკაში. 2009 წლის 11 ივნისს ჯანმომ გამოაცხადა პანდემიის მეექვსე ფაზის შესახებ, რაც ფართოდ გავრცელების მაჩვენებელია.

ისტორიული მონაცემები: ღორებში აღნიშნული ვირუსი პირველად 1918-1919 წლებში აღმოაჩინეს, ხოლო ადამიანზე პირველად 1974 წელს გადავიდა. 2005 წლამდე მხოლოდ 37 შემთხვევა აღიწერა ადამიანებში. აქედან 6 შემთხვევა დამთავრდა სიკვდილით.

ჩვენთან „ღორის გრიპის“ ვირუსი 2009 წლიდან დაფიქსირდა. ათიათასობით ადამიანმა უკვე გადაიტანა ეს ვირუსი, ყოველგვარი გართულების გარეშე, ზოგმა მძიმედ, ზოგმა უფრო მსუბუქად, – აცხადებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახლა ეს ვირუსი დადის, ისევე როგორც, ჩვენს ყველა მეზობელ ქვეყანაში, ევროპის მთელ რეგიონში. შემიძლია ვთქვა, რომ ათიათასობით ადამიანმა უკვე გადაიტანა ეს ვირუსი ყოველგვარი გართულების გარეშე, ზოგმა მძიმედ, ზოგმა უფრო მსუბუქად. მთავარი და ძირითადი რჩება ისევ ექიმთან მიმართვა“.

**დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე „კვირის ქრონიკას“ ესაუბრება და აცხადებს, რომ გართულების თავიდან აცილების მიზნით მოსახლეობამ დროულად უნდა მიმართოს ექიმს.**

– ჩემი თხოვნა იქნება, რომ ავადმყოფმა ბავშვებმა არ იარონ სკოლებში. ჯანმრთელებმა უნდა იარონ, ხაზს ვუსვამ და ასევე, სამსახურებში ავადმყოფი ადამიანები ავრცელებენ გრიპს.

**— ამ ვირუსით საქართველოში უკვე რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, გვაქვს თუ არა პანიკის საფუძველი?**

– პანდემიის საფრთხე დგება მაშინ, როდესაც ამ ვირუსით დაავადდება 100 ათას ადამიანში 500 ადამიანია. დღეისთვის 100 ათასში 232 ადამიანია დაავადებული. ასე რომ, პანიკის საფუძველი ჯერ კიდევ არ გვაქვს.

**— ვირუსის გავრცელებამ იმატა თუ იკლო?**

– ჯერჯერობით ასეთი სურათია, ცოტათი მომატებულია, ეს დაკავშირებულია სეზონთანაც, თებერვლიდან ამ დაავადების კლებას უნდა ველოდოთ. პაციენტებს ვურჩევ, დაიცვან ყველა ჰიგიენური წესი და პირველივე სიპტომების გამოვლენისთანავე ოჯახის ექიმს მიმართონ.

**— ვინ არის რისკის ჯგუფში?**

– რისკის ჯგუფში, ზოგადად, დაავადება შესაძლოა, შეგვხვდეს ნებისმიერ ასაკში, თუმცა მცირე ასაკის ბავშვებსა და მოხუცებში უფრო მძიმედ მიმდინარეობს.











იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში თითქმის ყოველდღე ბავშვები გრიპის სიმპტომებით მოჰყავთ. ხალხმრავლობაა და შეშფოთება. ხშირად ნახავთ თვალცრემლიან ადამიანებს. „ღორის გრიპის“ ვირუსის მიმართ შიში დიდია.

**კლინიკის შესასვლელში პაციენტების ახლობლებს გავესაუბრე.**

**ლაშა, 35 წლის:**

– ერთი საათის წინ ჩემი 5 წლის შვილი „ღორის გრიპის“ ვირუსის სიპტომით მოვიყვანეთ. ბავშვს მაღალი სიცხე და ღებინება ჰქონდა. მართალია, ყველაფერი უფასოა, მაგრამ სისხლის გადასხმაა ფასიანი. როგორც ჩანს, სისხლის ბანკები ვერ აუდის პაციენტებს. ამიტომ ექიმმა გვითხრა, რომ სისხლი ვიყიდოთ. მთავარია, ჩემი შვილი კარგად იყოს და გაუჩენელს გავაჩენ.

**ელზა, 55 წლის:**

– ამ დილით ჩემი შვილიშვილი მოვიყვანეთ. ორი დღეა, მაღალი სიცხე აქვს. ერთი თვის წინ ბავშვმა ფილტვების ანთება გადაიტანა, ამიტომაც მეშინია. პატარა რეანიმაციაშია. ექიმი ჯერჯერობით ვერაფერს ამბობს. უკვე რამდენიმე საათია, ჩემი ქალიშვილიც ქვევით არ ჩამოსულა. ვლოცულობ, რომ ბავშვი გადაგვირჩეს. ექიმები ყველაფერს აკეთებენ, მათი მადლობელი ვარ.

ინგოროყვას სახელობის კლინიკაში ღორის გრიპის ვირუსის სიპტომებით ბევრი პაციენტი მიდის. პაციენტთა უმეტესობა საშუალო ასაკის ზევითაა. პაციენტთა ნაკადი ყოველდღე მატულობს. კლინიკის შესასვლელში არეული სახეები და გაქცევ-გამოქცევაა. თავად ექიმები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ და კომენტარისთვის არავის სცალია. რა დროს ეგ არისო, გპასუხობენ. ჩაწერაც ამიკრძალეს. რამდენიმე პაციენტის ახლობელს მაინც გავესაუბრე.

**მარიამი, 60 წლის:**

– გუშინ ჩემი მეუღლე ცუდად გახდა, მოულოდნელად სიცხემ აუწია, ისე ცუდად იყო, მეტყველების უნარიც დაკარგა. დავრეკეთ 112-ზე და მაშინვე ოჯახის ექიმთან გადმოგვამისამართეს. ოჯახის ექიმიც მალე მოვიდა და აქ გადმოვიყვანეთ. გადასხმებზეა, ექიმები მამშვიდებენ, რომ კარგად იქნება. მაგრამ მადლობელი ვარ, ჯანდაცვის სამინისტროს ყველა სტრუქტურა მობილიზებულია. როგორც კი დავრეკეთ, 15-20 წუთში ოჯახის ექიმი მოვიდა.

**დავითი, 47 წლის:**

– დედაჩემია ღორის გრიპით ავად. ორი დღეა, რაც ვმკურნალობთ. 70 წლისაა და რისკის ქვეშაა. თუმცა ექიმები, რაც საჭიროა, ყველაფერს აკეთებენ. ყველაფერი უმაღლეს დონეზე კეთდება და საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ვმკურნალობთ. ასეთ მომსახურებას არ ველოდი.

მართალია, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და თვით დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძეც გვამშვიდებს, რომ „ღორის გრიპის“ ვირუსი არც ისე საშიშია და პანიკის საფუძველი არ გვაქვს. თუმცა, სიფრთხილე ყველას გვმართებს. განათლების სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომ ინფიცირებული მოსწავლეები სკოლაში არ მივიდნენ. რისკის ქვეშ არიან საბავშვო ბაღის ბავშვებიც. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, „ღორის გრიპის“ ეპიდემიის საშიშროება და პანიკის საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სტატისტიკას და ვირუსის ზრდის დინამიკას, ვერც ოლიმპიურ სიმშვიდეს შევინარჩუნებთ.

# რას გვიყვებიან უკრაინიდან მიშა მესხის გახმაურებულ სკანდალზე?

ლაურა აბრამია
591 97-67-09





„ეს იყო მთელი რეალობა“




ამ დღეებში ინტერნეტ-სივრცეში უკრაინულმა „ესპრესო ტვ“-მ კადრები გაავრცელა. სიუჟეტი ასე იწყება – ბორისპოლის აეროპორტთან ახლოს გაჩერებულ ტაქსიში წინა სავარძელზე გადაწოლილი მიშა მესხი ჩანს, ხოლო უკანა სავარძელზე, მისი მეგობარი. ტაქსის მძღოლი, მას შემდეგ, რაც მგზავრები მის კითხვებზე არ პასუხობდნენ, იძახებს საპატრულო პოლიციას, რომლებიც ჯერ მანქანაში მსხდომ უგონო მდგომარეობაში მყოფ, თავგადაგდებულ მგზავრებს ათვალიერებენ, შემდეგ ნიშადურის სპირტიანი ბამბა მიაქვთ ნესტოებთან, რაზეც არ რეაგირებენ. ამის შემდეგ ორი პოლიციელი ექიმების მოსაყვანად გარბის... ადგილზე მოსული ექიმი ნარკოტიკული ზედოზირების დიაგნოზს სვამს და ერთ-ერთ მგზავრს, მიშა მესხის მეგობარს, სავარაუდოდ, ე.წ. ნარკანს უკეთებს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი გონზე მოდის, თუმცა, მიშა მესხის გონზე მოსაყვანად, ვიდეოს მიხედვით, მისი ჰოსპიტალიზაცია ხდება საჭირო. ის მანქანიდან გადმოჰყავთ და შემდეგ უკვე მოვლენები საავადმყოფოში გრძელდება.

სიუჟეტი უკრაინაში სპეციალურ გადაცემაში გავიდა, სადაც პატრულის ყოველდღიური მუშაობის შედეგები ჯამდება და ის ვიდეოები ქვეყნდება, რასაც პოლიციელები იღებენ. გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილის მმართველობის დროინდელი ანალოგიური გადაცემები, რომელიც „რუსთავი 2“-ზე გადიოდა. მოკლედ, ამ გადაცემაში პოლიციელები ამბობენ, რომ მათ მოახერხეს ერთ-ერთი მათგანის იდენტიფიცირება... რომ საქართველოს მოქალაქე, რომელიც მათ გრძნობაზე მოიყვანეს, მსახიობია და საკმაოდ პოპულარული. ამ ადამიანის ბაბუა კი საქართველოში საუკეთესო ფეხბურთელი იყოო. იქვე ექიმები ასკვნიან, რომ გონების დაკარგვა მეტადონმა გამოიწვია.

კადრებში, ასევე, ჩანს, მეორე პირის მოსულიერების შემდეგ, მისი მანქანიდან გადმოსვლისას, როგორ უვარდება მას რაღაც აბები და როგორ რეაგირებენ ამაზე იქ მყოფი ექიმები და სამართალდამცავები.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლის თქმით, ორივე მგზავრი მეტადონის ზემოქმედების ქვეშ იყო, ხოლო მათ თან ჰქონდათ აბები და სხვა საშუალებები, რომლებიც, შესაძლოა, ნარკოტიკების ჯგუფს ეკუთვნოდეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ინციდენტი ახალი წლის წინა დღეებში მოხდა. დაახლოებით სამი კვირის წინ, მოგვიანებით, ასევე, გავრცელდა მიშა მესხის დის, მარი მესხის პირველი კომენტარი, სადაც ის ამბობს, რომ ეს ამბავი ახალ წლამდე ადრე მოხდა, კერძოდ, ნოემბერში, მიშა და მისი მეგობარი რეზი ოძელაშვილი კიევში მეგობრის ქორწილში ერთი კვირით წავიდნენო, მთელი ერთი კვირა არ დაუძინიათ და წამოსვლისას ტაქსიში ამიტომ გაითიშნენო, ისინი სასმელით მოიწამლნენო, მაგრამ შემდეგ დასძენს, რომ ამ ამბის შემდეგ მიშა ისე განიცდიდა, მონასტერშიც კი წავიდაო. ასევე, მოუწოდა ინტერნეტმომხმარებლებს, თავი შეეკავებინათ ლანძღვისა და შეჩვენებისგან, რადგან ეს ისეთი რამეა, არავინ იცის, ვის დაემართება, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა ნარკოტიკით არისო გაუბედურებული... დედები, დები და ძმები არა ხართო? მიშა მესხის და ასევე შურისძიებაზე საუბრობს და ამბობს, რომ უკრაინულმა მედიამ საგანგებოდ გაუვრცელა და აუგორა მის ძმას ეს ამბავი, რადგან საქვეყნოდ ცნობილია, რომ მიშა მესხი სააკაშვილს უპირისპირდებოდაო.

„როდესაც ეს ფაქტი დაფიქსირდა, იმ დღესვე ჩავედი უკრაინაში. სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ მიშასა და მის მეგობარს სასმელისგან და ლირიკისგან მოეწამლა ორგანიზმი, ასე ვთქვათ, „პერედოზი“ დაემართათ. ძალიან დაგვიდგა გვერდით საკონსულო და დიდ მადლობას ვუხდი მათ. ახლა ვნახე ვიდეო, ძალიან ცუდად არის ნაჩვენები ყველაფერი. ფაქტია, რაღაცაშია საქმე, შავი პიარის აგორება უნდოდათ მიშას მიმართ. სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, სამი დღით ადრე დაიწერა, რომ მიშა მესხი მოკვდა. მინდოდა მეჩივლა, მაგრამ აღარ ვიჩივლე. ენას დიდი ძალა აქვს, ალბათ“, – ამბობს ერთ-ერთ სააგენტოსთან მარი მესხი.

სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა ამ ინციდენტს, ზოგი მართლა ქოქოლას აყრიდა, ზოგი წერდა, როგორ მენანები, შვილო, ნიჭიერო, მიწისთვის, რად იკლავ თავსო; ზოგი, ეგ უარესის ღირსია, აბა რამდენჯერ უნდა მოგვჭრას თავი მსოფლიო მასშტაბით, ეგ არ იყო „ოსკარის“ ცერემონიალზე ასე თავგადაგდებული რომ ხვრინავდაო? ეჰ, რა ბაბუის შვილიშვილი სადამდე დახვედიო; მეორე ფლანგმა ამ წინაზე მიიტანა იერიში, თავი გაანებეთ, უნიჭიერესია და ყველაფერი უხდება და ეპატიება მაგასო; ზოგმა, ავადმყოფებს არ განიკითხავენო...

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მიშა მესხი და მისი მეგობარი, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს დახმარებით, უკრაინელმა ექიმებმა გადაარჩინეს. უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, უკრაინაში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლების ძალისხმევითა და ფინანსური დახმარებით, საქართველოს ორ მოქალაქეს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

ასევე, ერთ-ერთი ქართული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მკურნალობის შემდეგ, მიშა მესხი და მისი მეგობარი უკრაინიდან საქართველოში მაშინვე გამოემგზავრნენ. მიშა მესხი 7 იანვარს, სამების საკათედრო ტაძარში იმყოფებოდა და შობის ღამეს იქ შეხვდაო.

სხვაგვარად ყვება ამბავს ჩვენი ინკოგნიტო წყარო, რომელიც უკრაინაში საქართველოს დიპლომატიური კორპუსიდან ფლობს ინფორმაციას. მისი თქმით, ინციდენტი სწორედ ახალ წლამდე, დეკემბერში მოხდა და არა ნოემბერში, როგორც ამას მარი მესხი ამტკიცებს. „მთელი დიპლომატიური კორპუსი იყო ჩართული, პირადად კონსული და მისი სტაფი ჩავიდა კიევიდან მაშინვე, საავადმყოფოში იყვნენ მისულები, უფრო მეტიც, ენაგადმოგდებულები დარბოდნენ, პირადად ხელმძღვანელობდნენ გადარჩენა-გადმოფრენის ოპერაციას. ამბავი რომ არ გახმაურებულიყო, მიშა მესხი სასწრაფოდ მოტეხეს იქიდან, კადრშიც ამიტომ ჩანს მხოლოდ მეორე ადამიანი, რომელმაც, სხვათა შორის, შემდეგ თავისი „ხოდით“ ძლივს ჩამოაღწია საქართველოში, მიშა კი მაშინვე და მარტო გადმოაფრინეს. იმ დონეზე იჩალიჩეს, რომ ამოღებულ აბებზეც რეაგირება აღარ მოახდენინეს პოლიციას. ინტერვიუში პოლიციელი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთლის მიხეილ მესხის შვილიშვილიაო და ეს ფაქტიც ჩვენმა სახელოვანმა კონსულმა უთხრა, „დიდი მიშა მესხის შვილიშვილიაო“ და თან დაუკონკრეტა, ვინ იყო დიდი მიშა მესხი. ასე რომ არა, საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა, სამართლებრივი მსვლელობა მიეცემოდა, რა თქმა უნდა, და ციხეც არ ასცდებოდათ ბიჭებს. ეს იყო მთელი რეალობა. ის აბები იყო როგორც ნარკოტიკული, ასევე ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული საშუალებები, დიდი ოდენობით. ისიც გეგმის ნაწილი იყო, ალბათ, ეჭვების გასაფანტად, შობის დღესასწაულზე რომ სამებაში გამოჩნდა მიშა მესხი. ის, თუ როგორ მოხდა, რომ ინციდენტის ამსახველი კადრები უკრაინულ მედიაში მაინც გავრცელდა, დაზუსტებით არავინ იცის. ალბათ, იმ მიზეზით მოხდა, რომ გაირკვა, მიშა მესხი საქართველოში ცნობილი მსახიობი რომ იყო“...



**ჩვენ, პოეტები საქართველოსი!**

# რაზე „წააყარეს“ „ნაცებმა“ ნიკა გვარამიას?

**„გენიოსი“ კომპოზიტორ-შემსრულებლები მარტო სააკაშვილის ხელისუფლებას კი არა, ამათაც ჰყავთ, ამ „მეოცნებეებს“ — აგერ, გორის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლებს გამგებელ დავით ონიაშვილისთვის სიმღერა დაუწერიათ, გოგა ხაჩიძესაც კი შეშურდება**




**ერთი დავით ონიაშვილი დახვრიტეს, მეორეს ლექსებსა და სიმღერებს უწერენ. როგორც ამბობენ, თურმე მაგან თანამშრომლებს იმდენი პრემია გამოუწერა, ლექსებს კი არა, მალე პოემებს დაუწერენ**




გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ოპერისა ბავშვობიდანვე ვერაფერი გავიგე, ვერ ავუღე ალღო. მით უმეტეს, საერთოდ ვერ გავიგე, რატომ ატყდა ამ დღეებში აჟიოტაჟი, რატომ დადგა ხელახლა გარემონტებულ ოპერის შენობასთან რიგები და რატომ დაიტაცეს ბილეთები, რომლის ფასიც 30 ლარიდან იწყება და 350 ლარამდე ადის, აკი მთელი ქვეყანა უმუშევარია და 95 პროცენტს შიმშილით კუჭი უხმებაო? სამაგიეროდ, „ნაციონალებს“ ესმით ოპერა, მისი არსი და მნიშვნელობა. ჯერ იყო და ძებნილი დავით კეზერაშვილი გახდა ოპერის მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარე (მაშინ ჯერ არ იყო ძებნილი), ახლა კიდევ ნიკოლოზ გვარამიამ „წამოაწვინა“, „აბესალომ და ეთერი“ ერთი უბადრუკი სპექტაკლია, ხოლო ზაქარია ფალიაშვილი ერთი უნიჭო კომპოზიტორიო. გვარამიას თავისიანებივე (მაგალითად, მაია ორჯონიკიძე) „აუხტნენ“, შენ ცოტა ალაოდ ხომ არა ხარო? კარგახნის კამათის შემდეგ ერთმა თეთრი მანდილის ჩაგდება სცადა, – ხალხო, რა დროს აბესალომი და ეთერია, ჯერ ოლიგარქი ივანიშვილი გვყავს მოსაშორებელიო. ვა, ეწყინა „ყველაფრისტ“ ტრულაილას, ეგ როგორ მაკადრეთ, მე თავისუფალი სიტყვის შემზღუდავ ხალხთან ერთად ოლიგარქის მოშორება საერთოდ არ მეპიტნავებაო. არა, მე და ჩემნაირებს რომ ოპერისა არაფერი გაგვეგება, ეს თავიდანვე ვაღიარე, მაგრამ მალხაზ თოფურიას თქმისა არ იყოს, ამ ხუთნომრიანმა იდიოტებმა რომ არ განიხილონ ხელოვნება და ქართულ ოპერაზე თავიანთი ზიზღი არ არწყიონ, არ შეიძლება? მაგალითად, ჩვენ მივდივართ „ნაცების“ ოფისში და ფალოსის კულტზე გეკამათებით? ან „მიშა მაგარია“-ზე რამეს გეუბნებით? ისე, რაღა დაგიმალოთ და... „გენიოსი“ კომპოზიტორ-შემსრულებლები მარტო სააკაშვილის ხელისუფლებას კი არა, ამათაც ჰყავთ, ამ „მეოცნებეებს“ – აგერ, გორის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლებს გამგებელ დავით ონიაშვილისთვის სიმღერა დაუწერიათ, გოგა ხაჩიძესაც კი შეშურდება. სიმღერის პრემიერა 2016 წლის 15 იანვარს რესტორან „ნაჭარმაგევში“ შედგა, როცა გამგეობამ სრული შემადგენლობით ბედობა აღნიშნა. ქეიფს მაჟორიტარი დეპუტატი, სოსო ვახტანგაშვილიც შეერთებია, როცა ის დარბაზში შევიდა, ყველა ფეხზე წამოუდგა. მოკლედ, სიმღერის ტექსტი ასეთია:



**„მოვიდა ბოლოს ის გზა,**
**ბატონო გამგებელო,**
**ჩვენს გარეშე ძნელია,**
**კულტურის სამსახური,**
**ჩვენი გჯეროდეთ და ნახავთ,**
**როგორ, როგორ, როგორ**
**ავაყვავოთ სოფელი!**
**ეს ხომ ჩვენი მიზანი**
**და ოცნებაა ცისფერი.**
**კარგად დაიმახსოვრეთ და**
**გულის ხმასაც მიენდეთ,**
**ბოლომდე მიხვდებით,**
**რომ დღეს მსხვერპლი**
**ხართ თქვენ!**
**ჩვენო დიდო კაცო,**
**გამგეობის თავკაცო**
**და გამგებლის მოადგილევ,**
**არასდროს არ დაივიწყო,**
**რომ კულტურის სამსახური**
**სიმღერასაც გიმღერებთ.**
**სოფლის აშენებას**
**სიმღერა სჭირდება,**
**ჰო და,**
**ჩვენც გიმღერებთ!“**

აი, ეს სულ სხვა დონეა, ამას რატომ ვერ აკრიტიკებთ ყველაფრისტი „ნაციონალები“? ისე, საოცარია ეს ცხოვრება, დავით ონიაშვილის პაპა თუ პაპის პაპა, დავით ეფრემის ძე ონიაშვილი 1937-ში დაუხვრეტია სტალინს. დახვრეტის ოქმზე ხელმოწერები: სტალინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი. დაბადების ადგილი – საქართველო, გორი. სოც. წარმომავლობა – გლეხი. პარტიულობა – რსდმპ (მენშევიკების) წევრი 1904 წლიდან.

სამუშაო ადგილი – რუსთაველის თეატრის პედაგოგი. დანაშაულის ხასიათი – კ/რ საქმიანობა, შპიონაჟი. სასჯელის ზომა – დახვრეტა. ჰოდა, იმას ვამბობდი... ერთი დავით ონიაშვილი დახვრიტეს, მეორეს ლექსებსა და სიმღერებს უწერენ. როგორც ამბობენ, თურმე მაგან თანამშრომლებს იმდენი პრემიები გამოუწერა, ლექსებს კი არა, მალე პოემებს დაუწერენ. თუმცა, მაინც ვურჩევ, ცოტა ფრთხილად იყოს, დროებამ შეტრიალება იცის, შეიძლება მაგ პრემიებისა და სიმღერების გამო ესეც დახვრიტონ. არა, ჩვენთან დახვრეტის მუხლი გაუქმებულია, მაგრამ ჩამოხრჩობის მუხლი ჯერ არ გაგვიუქმებია. რაღა დაგიმალოთ და... ეს გორელი კულტმუშაკებიც მაგრად აჟუილებენ! ერთი რჩევა ასეთებსაც უნდა მივცეთ, თორემ მაგათ ისე აქვთ „აწყვეტილი“, საპირველმაისოდ უარესს ჩაიდენენ (ავტორი ევა ლიქოკელი):

**„ადგები დილით,**
**ჩაიხედავ სარკეში,**
**მიესალმები საკუთარ თავს:**
**— გამარჯობა, ჩემო თავო!**
**მერე გაუღიმებ და ეტყვი:**
**— რა ლამაზი ხარ!**
**ეს ფსიქოლოგიური თერაპია,**
**დღის განწყობისთვის,**
**ერთმა ჩემმა შორეულმა**
**მეგობარმა გამომიწერა,**
**რამდენი წელია ეგრე**
**ვაკეთებ და ძალიან**
**ამართლებსო. ჰოდა,**
**ავდექი, ჩავიხედე და იქ,**
**სადაც გამარჯობა**
**უნდა მეთქვა...**
**რას გავხარ, შე**
**საწყალო მეთქი,**
**ეს ვთქვი და იქ,**
**სადაც უნდა გამეღიმა,**
**ტირილი დავიწყე“.**

ვატყობ, გორელი კულტმუშაკები ვერ გაიგებენ... ამიტომ, ორიოდე სიტყვით უნდა ავუხსნა: ესე იგი, დილით რომ ადგებით, სარკეში ჩაიხედავთ და საკუთარ თავებს ეტყვით, რა ლამაზები ვართ, რა მაგარი სიმღერა და ლექსი დავწერეთ ამას წინებზეო... კარგად ჩაიხედეთ, დააკვირდით საკუთარ თავებს და სადაც უნდა გაიღიმოთ, ტირილი დაიწყეთ, ასე აჯობებს (ავტორი ეკა დარბაიძე):

**„მიდი, გაიშიშვლე სულის ნაწილები,**
**ძვლებზე ჭუჭყიანი ხორცი აიკეცე.**
**ახლა პატრონობენ მიწას ნაძირლები,**
**ვერ აგიტანენ და ცაში გაიქეცი.**
**წერენ სირეგვნეებს ახლა არნახულებს,**
**გმეტობს პოეზიის ვიღაც ანთოლოგი,**
**შენ კი ძველებურად ნერვებს ამარხულებ,**
**სულით შეშლილი და სისხლით პათოლოგი.**
**ყველა თანაგრძნობა არის სისულელე,**
**როცა ტკივილისგან ცაა ნაცრისფერი.**
**გარეთ არ გამოვლენ სახლში მისულები.**
**მიდი, ნუგეშია ახლა არაფერი.**
**მიდი, წინაალმდეგ ყველა დინებისგან,**
**უნდა მოდიოდე, წასვლის დრო თუ არის.**
**მიდი, გაამტვრიე მკერდით მინები და**
**წითლად გადაღებე დაბლა ტროტუარი.**
**მიდი, წერე შენი ყველა სიგიჟიდან,**
**ფეხზე დაიკიდე თუ არ გაღიარეს.**
**მიწა მიატოვე, ცამ თუ მიგიზიდა“.**

არა, რააა... მე ისევ იქ ვარ, ამ ხალხს რომ ფული არ აქვს და ოპერის თეატრთან კიდევ თავ-პირის მტვრევაა. ამას წინებზე ჩემი კორპუსის თავმჯდომარემ ჩამოიარა, ჭერი უნდა გავარემონტოთ, 80 პროცენტით მერია გვაფინანსებს, ჩვენ კიდევ 12-12 ლარი უნდა დავდოთო. მეზობლებმა თავი გაიგიჟეს, არა გვაქვს და ვერ დავდებთო. გადის ორი-სამი დღე. იგივე მეზობლები ატყდნენ, ამდენი რამე გადაგვიტანია, ერთად რამდენი ხანია არ გვიქეიფია, მოდი, სადმე ჩავუსხდეთო. მოკლედ, რესტორანში წავედით, ჩავუსხედით, დალიეს, დათვრნენ... გავიხედე, სამი ტიპი შემობანცალდა, ერთს კლარნეტი უჭირავს, მეორე დოლს მოათრევს, მესამე გარმონს წელავს. როგორც შეეძლოთ, შეუბერეს: დეეედიიი, დეეედიიი, საყვარელო, ჩემო დეეედიიი... ამათ, ამ მეზობლებს გაუდით შაბაში, გადადის 5-ლარიანები და 10-ლარიანები. ვაა, თქვე კაი ხალხო, ჭერისთვის ფული არ გქონდათ, ახლა საიდან გააძრეთ-მეთქი? ჭერის დედაცო, მაგას მერია გააკეთებს, თუ წვიმა ჩამოგვივა კიდევ, გვკიდია, მეცხრე სართულმა იდარდოსო. აი, ეგეთები ვართ ქართველები.



სვანი სახლს ყიდის. წაიყვანა კლიენტები სახლის სანახავად, ეძება, ეძება და რომ ვერ მიაგნო, ჩაილაპარაკა:

- ეტყობა, ჩემმა ძმამ გაყიდა უკვე...

*****

კოტე ბარში ზის. ბარმენი ეკითხება:

– თქვენი ჭიქა ცარიელია, ბატონო, კიდევ ერთს ხომ არ ინებებდით?

– და ორი ცარიელი ჭიქა რა ჩემ ფეხებად მინდა რო?!

*****



გურულ ქალთან საყვარელი მივიდა. ქალი ჩაწვა ლოგინში, მოემზადა, საყვარელი კი დგას ჩაფიქრებული.

– შენ არ წობი?

– არა!

– რეიზა?

– არ შემიძლია, წეღან ავტობუსში საფულე მომპარეს...

– რავა, საფულეში გედვა?!

*****

– ქალების ჯოჯოხეთში ყველა მამაკაცი გეია! სხვათა შორის, მამაკაცების ჯოჯოხეთშიც...

*****

ცოლი ქმარს:

– შეხედე, საყვარელო, როგორ სრულყოფილად თეთრი გახდა შენი მაისური მას შემდეგ, რაც ის ახალი ფხვნილით გავრეცხე.

– ჰო, მართალი ხარ, მაგრამ სიმართლე გითხრა, მე ის ზოლებიანი უფრო მომწონდა!!!

*****

დაქალები ჭორაობენ:

– ჩემი ქმარი ძილში ძალიან ხშირად ლაპარაკობს, აღარ შემიძლია უკვე! შენმაც იცის ასეთი სისულელეები?

– არა, მხოლოდ იღიმის... რეგვენი!..

*****

– გამარჯობა, ლამაზო, როგორი მაგარი მაისური გაცვია!

– დიდი მადლობა! ისე, მის შიგნით საერთოდ არაფერი მაქვს.

– არ ინერვიულო, გაგეზრდება!..

*****



– ღმერთო, მომეცი მოთმინების უნარი და ყოველი შემთხვევისთვის, 3 მილიონი დოლარიც!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

# 25–31 იანვრის ჰოროსკოპი

## *ვერძი 21.03-21.04*

**სიყვარული** – კვირის დასაწყისი იმედს გაუცრუებს იმ ვერძებს, რომლებიც პირადი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებაში გადაჭარბებულ აქტიურობასა და წინდაუხედაობას გამოიჩენენ. ამ პერიოდში უმჯობესია, მათ ყურადღება მიაქციონ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ჩაიტარონ სამედიცინო გამოკვლევების კურსი.

კვირის ბოლოსკენ დადგება უკვე ის დრო, როცა ვერძებს ექნებათ საშუალება, გამოავლინონ ინტელექტუალური, საქმიანი და სასიყვარულო აქტიურობა.

**სამსახური** – ხუთშაბათამდე ახალ საქმეებს ხელს ნუ მოჰკიდებთ, არ მოაწეროთ ხელი მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 იანვარი.

## *კურო 22.04-21.05*

**სიყვარული** – კვირის პირველ დღეებში შეძლებთ რთულად გადასაჭრელი დავალებებისა და პარტნიორული ურთიერთობების მოგვარებას. ასევე, იპოვით გამოსავალს საკმაოდ მძიმე სიტუაციიდან.

თუკი გადაწყვიტეთ, რომ დახუროთ ცხოვრების უკვე წაკითხული გვერდი და ახლის წერა დაიწყოთ, ამისთვის ზედგამოჭრილი დრო გაქვთ. კვირის ბოლო დღეებში კარგს იზამთ, შინაგან ხმას დაუჯერებთ და მიენდობით. გადაჭარბებული აქტიურობა და სიჩქარე ამ დროს სასიყვარულო ფრონტზე უარყოფით შედეგებს მოგიტანთ.

**სამსახური** – ბრწყინვალე დროა პროფესიულ საქმიანობაში რაიმე სიახლე შეიტანოთ. იფიქრეთ ახალ პროექტებზე, გაგიმართლებთ!

**სასიკეთო დღეები:** 25, 30, 31 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 იანვარი.

## *ტყუპები 22.05-21.06*

**სიყვარული** – ტყუპების კვირის პირველი დღეები რთული გამოცდების პერიოდი იქნება. საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობა არცთუ დიდი წარმატებების მომტანია. გელოდებათ კონკურენცია და ბრძოლა, რათა მზის ქვეშ საკუთარი ადგილი დაიკავოთ. სამაგიეროდ, კვირის ბოლოს შეგეძლებათ, მოდუნდეთ, თუმცა ყურადღების გამოჩენა მაინც არ დაივიწყოთ. გელით სასიამოვნო სიურპრიზები. საუკეთესო დროა იმისთვის, რომ თბილ ქვეყნებში გაემგზავროთ.

**სამსახური** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა, ოღონდაც, არ უნდა დაიზაროთ და საზოგადოებრივ პროექტებში აქტიურად უნდა ჩაებათ.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 იანვარი.

## *კირჩხიბი 22.06-22.07*

**სიყვარული** – კვირის პირველი დღეები ის პერიოდია, როცა საწინააღმდეგო სქესში თქვენი ავტორიტეტი და გავლენა საგრძნობლად მოიმატებს. გამოიყენეთ შესაფერისი მომენტი სასურველი სიმაღლეების დასაპყრობად. ერთი კია, უნდა იფრთხილოთ, რადგან კვირის ბოლო დღეებში ასეთივე წარმატებების იმედი აღარ უნდა გქონდეთ. გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ გაგეზრდებათ ხარჯები და შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ.

**სამსახური** – შესანიშნავი პერიოდია საქმიანი მივლინებებისთვის საზღვარგარეთ, პრეზენტაციების გამართვისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 29, 31 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 იანვარი.

## *ლომი 23.07-22.08*

**სიყვარული** – მიმდინარე კვირა არანაკლებ საფიქრალსა და პრობლემას გაგიჩენთ, როგორც თვის დარჩენილი დღეები. შეეცადეთ, არ აჰყვეთ პროვოკაციებს და მდგომარეობიდან არ გამოხვიდეთ. ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესთან მწვავე და დრამატული იქნება. გარანტირებული გაქვთ გრძნობების აფეთქება და ურთიერთობების გარკვევა. კვირის ბოლოს სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება უკეთესობისკენ. პარასკევი და შაბათი გადასარევი დღეებია შერიგებისთვის. გამონახეთ დრო რესტორანში ვახშმობისთვის.

**სამსახური** – არ არის გამორიცხული, კვირის ბოლოს სამსახურის საქმეების მოსაგვარებლად საზღვარგარეთ მოგიწიოთ გამგზავრება.

**სასიკეთო დღეები:** 29, 30 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 იანვარი.

## *ქალწული 23.08-22.09*

**სიყვარული** – უკანასკნელ თვეებში დაგროვილი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. პირველ რიგში, ეს ოჯახში არსებულ ურთიერთობებს ეხება. პარტნიორობაში საჭიროა, მოძებნოთ კომპრომისული გადაწყვეტილებები და ასეთ შემთხვევაში, წარმატება ზურგს არ შეგაქცევთ. კვირის პირველი დღეები ბევრად დაძაბული იქნება, ვიდრე პარასკევსა და შაბათ-კვირას. კვირის ბოლო დღეებში შესაძლოა, იმ ადამიანებს შეხვდეთ, რომლებიც დიდი ხანია, აღარ გინახავთ.

**სამსახური** – კვირა არც ისე წარმატებულია. დიდი ალბათობით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გადაიდება.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27, 28 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** არ გექნებათ.

## *სასწორი 23.09-22.10*

**სიყვარული** – მთელი კვირა ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს ვიღაცის რაღაც გმართებთ. დათმობა და კომპრომისი შეგაძლებინებთ, დააშოშმინოთ სიტუაცია, თუმცა ამით თავს უკეთ მაინც ვერ იგრძნობთ. ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესთან შორს იქნება სრულყოფილებისგან. არ ღირს, მხოლოდ საკუთარ აზრს ენდოთ, ასევე, არ არის რეკომენდებული, მიმდინარე კვირაში დათქვათ პაემნები, რომანტიკული შეხვედრები და ეძებოთ ახალი ნაცნობობა.

**სამსახური** – მიმდინარე კვირაში ვარსკვლავები საქმიან აქტიურობას არ გირჩევენ. დაისვენეთ.

**სასიკეთო დღეები:** 3, 6 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 4, 5 იანვარი.

## *მორიელი 23.10-21.11*

**სიყვარული** – კვირა ღრიანკალებს სიყვარულსა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენაში წარმატებას ჰპირდება. ნუ დააყრით თქვენს ტალანტს მიწას, იყავით სრულფასოვნად ღია როგორც შემოქმედებაში, ისე ბიზნესში. საწინააღმდეგო სქესის ყურადღება გარანტირებული გაქვთ. ერთი ეგ არის, კვირის ბოლო დღეებში შესაძლოა, ჯანმრთელობა გაგიუარესდეთ, რის გამოც საყვარელ საქმიანობაზე დროებით უარის თქმა მოგიწევთ.

**სამსახური** – თუკი საქმეს შემოქმედებითად მიუდგებით, წარმატება და დაწინაურება არ აგცდებათ.

**სასიკეთო დღეები:** 25, 26 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 იანვარი.

## *მშვილდოსანი 22.11-21.12*

**სიყვარული** – მიმდინარე კვირა ტიპური მშვილდოსნებისთვის საოჯახო პრობლემების გადაწყვეტის, უძრავი ქონებისა და მემკვიდრეობის საკითხების მოგვარების პერიოდია. შესანიშნავი მომენტია სახლის შეძენისთვის. გარდა ამისა, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ხანშიშესულ მშობლებს, შეეცადეთ, მათი პრობლემებიც მოაგვაროთ. კვირის ბოლო დღეებში სასიყვარულო ფრონტსა და ბიზნესში განსაკუთრებულ წარმატებებს ელოდეთ.

**სამსახური** – დაელაპარაკეთ ხელმძღვანელობას დაწინაურებაზე.

**სასიკეთო დღეები:** 26, 27 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 31 იანვარი.

## *თხის რქა 22.12-19.01*

**სიყვარული** – შეხვედრების, ნაცნობობისა და რომანტიკული ურთიერთობების დროა. რაც უფრო გულღია იქნებით, მით მეტ წარმატებას მიაღწევთ. კვირის ბოლოს მოგიწევთ საოჯახო პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა და პირად ცხოვრებას მცირე ხნით გვერდზე გადადებთ. საქმიანი აქტიურობა, ასევე, მეორე პლანზე გადაიწევს. არ არის გამორიცხული, ახლობლების ჯანმრთელობის საკითხები თქვენი მღელვარების მთავარი მიზეზი გახდეს.

**სამსახური** – შესანიშნავი კვირაა მოლაპარაკებების წარმოებისთვის, საქმიანი შეხვედრებისთვის და კონტრაქტების გაფორმებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 31 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 იანვარი.

## *მერწყული 20.01-18.02*

**სიყვარული** – კვირის პირველ დღეებში აუცილებელია, ყურადღება დაუთმოთ ფულის შეგროვებას, ფინანსების გადანაწილებას, მსხვილი შენაძენების გაკეთებას. არ დაგავიწყდეთ ახლობელი და საყვარელი ადამიანები — გაანებივრეთ ისინი საჩუქრებით. კვირის ბოლო დღეები შეგიძლიათ, წარმატებით გამოიყენოთ მოლაპარაკებების წარმოებისთვის, ასევე, საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობისთვის.

**სამსახური** – დროა, დაწინაურებაზე იფიქროთ და ამისთვის ეფექტური ნაბიჯები გადადგათ. შედეგს მალე მიიღებთ, დიდხანს ლოდინი არ მოგიწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 29, 30 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 იანვარი.

## *თევზები 19.02-20.03*

**სიყვარული** – მთელი კვირის მანძილზე, შესაძლოა, ისეთი გრძნობა გქონდეთ, თითქოს, რაც შეგემთხვევათ, ყველაფერი ერთხელ უკვე გადატანილი გაქვთ. ერთი მხრივ, ეს კარგია: შეცდომებს აღარ გაიმეორებთ. თუმცა აუცილებელია, რომ შედეგები შეაჯამოთ და ცხოვრება ახალ ეტაპზე გადაიყვანოთ. კვირის ბოლო დღეები საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობისთვის წარმატებული იქნება.

**სამსახური** – დროა, ყველაფერი ახალი ფურცლიდან დაიწყოთ.

**სასიკეთო დღეები:** 27, 28 იანვარი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 იანვარი.



## ანომალია



მაია იასეშვილი
599 94-64-58



**„ქრონიკა“ აგრძელებს ეზოთერული საუბრების ციკლს პარაფსიქოლოგ ნინო ვარსიმაშვილთან. დღეს ქალბატონი ნინო გათვალვის ნეგატიურ ზემოქმედებაზე გვესაუბრება.**

> **„ხშირად გათვალვის მსხვერპლი ქალები და ბავშვები არიან, ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მგრძნობიარე და სენტიმენტალურები არიან, მათზე ზემოქმედება გაცილებით იოლია“**

– ენერგეტიკული ზემოქმედების შემთხვევაში გათვალვა შედარებით მსუბუქი სახეა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ბოროტების მოტანა არ შეუძლია, პირიქით, შესაძლოა, ეს სერიოზული დაავადების გამომწვევი მიზეზიც კი გახდეს. გათვალვის ფუძე ენერგეტიკაში უნდა ვეძებოთ, რაც ბიოენერგიის მეცნიერული შესწავლა დაიწყო, ბევრი მაგიური მოვლენა, რომელიც მისტიკურ საბურველში იყო გახვეული, სრულიად ახალი სახით წარმოჩინდა. ხალხური გადმოცემით საკმარისია ავი მზერა, რომ ადამიანი აიღებს თვალს, მაგრამ სინამდვილეში, თვალი, როგორც ხედვის ორგანო, არაფერ შუაშია, ადამიანის შინაგანი ბიოენერგია გამოსხივდება კიდურებით, მაგრამ ყველაზე ძლიერად ის თვალის საშუალებით მოქმედებს. ამ დროს თვალი ერთგვარი გამტარის ფუნქციას ასრულებს. თვალი მინიმალური დანაკარგით ასხივებს პოზიტიურ ან ნეგატიურ ენერგიას. ადამიანის შინაგანი განწყობა შესაბამისად მოდულირდება ენერგეტიკულ დამცავ გარსზე, ე.წ. აურაზე, რაც გავლენას ახდენს ენერგეტიკულ გარსზე, რაც ენერგეტიკულ ველს არღვევს. უარყოფითი ენერგეტიკული ველი ორგანიზმში აღწევს, ორგანიზმი შინაგან ორგანოებამდე მიდის და აზიანებს მთელ სხეულს. ამ მაგალითით კარგად სარგებლობენ ენერგოვამპირები, ისინი ორგანიზმიდან, ან ცალკეული ორგანოებიდან ქაჩავენ და ისრუტავენ ენერგიას, შედეგი კი ცნობილია, ეს ქმედება იწვევს მრავალ ენერგეტიკულ დაავადებას, რომელიც არც სამედიცინო დიაგნოზით ვლინდება და შესაბამისად, არც მედიკამენტოზურ ჩარევას ემორჩილება. საქმე კი მეტად სავალალოა, ადამიანმა არ იცის, რა სჭირს, სათანადო დიაგნოზს ვერ იგებს, თუმცა იცის, რომ თავს ძალიან დასუსტებულად და დათრგუნულად გრძნობს. ხშირად ასეთ შემთხვევებს ნევროზს აწერენ, ადამიანი იღებს ანტიდეპრესანტებს, მდგომარეობა კი უფრო და უფრო რთულდება. დარღვეული ბიოველი დაავადებების გავრცელებისა და პროგრესირების სათავე ხდება. ორგანიზმი ცდილობს თავდაცვას, მაგრამ ამაოდ, იმუნური სისტემა საშინლად არის დასუსტებული, რაც ხშირად ორგანიზმის შინაგანი რეზერვების ხარჯზე მიმდინარეობს და ფიტავს მას. შეიძლება ადამიანს შინაგანი ენერგეტიკული ხვრელი ჰქონდეს და ამის შესახებ მთელი სიცოცხლის განმავლობაში არაფერი იცოდეს, თუმცა იცის ერთი რამ, რომ ის ცუდად არის, მაგრამ ექიმები არწმუნებენ, რომ ყველაფერი რიგზეა მის ორგანიზმში. გათვალვის საშიშროება განსაკუთრებით მათთვის არის დამახასიათებელი, ვინც გარკვეულ მდგომარეობას მიაღწია საზოგადოებაში, არიან ყურადღების ცენტრში და უამრავი თვალია მათკენ მიმართული. მიპყრობილ თვალთა შორის კი ჭარბია მოშურნეთა მზერა. ეს სამუდამოდ აჩნდება მათ ბიოველს და მძიმე დაავადებათა გამომწვევი მიზეზი ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკული ისრები ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს, თუ ადამიანს ძლიერი ბიოველი აქვს, მასზე გათვალვა ძლიერ გავლენას ვერ ახდენს, კოსმოსიდან მიღებულ ენერგიას ისინი სათანადოდ განკარგავენ და სუფთა სახით აგროვებენ ორგანიზმში და საჭიროებისამებრ იყენებენ. შინაგანი ძალა და სუფთა ბიოველი ადამიანს სხვათა თავდასხმებისგან საიმედოდ იცავს. თუმცა ყველა ვერ დაიქადნის ასეთი ბიოველით და ამიტომაც თუ შეამჩნიეთ, თქვენი მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა, წარმატება წარუმატებლობით ჩანაცვლდა, რაღაც ისე არ გამოგდით, შეგიძლიათ, იფიქროთ, რომ გათვალვის მსხვერპლი გახდით. ასეთ დროს თვითონაც შეგიძლიათ,



ბიოველი გაისუფთაოთ, განმენდა მხოლოდ პარაფსიქოლოგთან მისვლით არ შემოიფარგლება, რადგან გასუფთავებულ ბიოველს გაფრთხილება სჭირდება. აუცილებელია, საკუთარ მორალურ მხარეს გადახედოთ და თუ რამე საჩოთირო და მოუწონებელია, შეეცადეთ კორექტივების შეტანა. თუ მიგაჩნიათ რაიმეს სწორედ არ აკეთებთ, ამით ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან. ყველაზე ხშირად გათვალვის მსხვერპლი ქალები და ბავშვები არიან, ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მგრძნობიარე და სენტიმენტალურები არიან, მათზე ზემოქმედება გაცილებით იოლია.

**— გათვალვისთვის შეხედვა და უშუალო კონტაქტები აუცილებელია?**

– გათვალვა ფიქრითაც შეიძლება, შეიძლება ფოტოსურათზე ზემოქმედება ფიქრის ძალის დახმარებით და თქვენ წარმოიდგინეთ, ტელეფონზე საუბრის დროსაც.

**— თუ აღმოჩნდა, რომ ზემოქმედების ქვეშ ვართ, რა უნდა გავაკეთოთ?**

– უარყოფითი ენერგია გამოდის ორგანიზმიდან და ტანსაცმელზე ილექება, ამიტომ საგულდაგულოდ უნდა გარეცხოთ და დიდხანს უნდა ეკიდოს მზეზე. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შელოცვას, ფაქტობრივად, შელოცვა ვიბრაციაა, რომელიც რეზონანსში მოდის ადამიანის ბიოველთან და იწვევს მის გააქტიურებას. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაავადებათა ნუსხა იყო შედგენილი, რომელსაც ავი თვალი იწვევდა. სწორედ ასეთი დაავადებებისთვის იყო საჭირო ლოცვებით მკურნალობა. ასეთ დაავადებათა ნუსხას ეკუთვნის – წონის სიჭარბე, სიგამხდრე, ონკოპათოლოგიები, დამბლა, კრუნჩხვა, მელანქოლია, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, სიბრმავე, ეპილეფსიური შეტევები, ბავშვებში უძილობა, უმადობა, თავის ტკივილი, ასეთ დროს ადამიანებს ხშირად ეცვლებათ სახის ფერი, ეწყებათ მუცლის არეში ტკივილი, ხელების ოფლიანობა. ბავშვებში გათვალვის ნიშნებს მაშინ ატყობდნენ, თუ ფერს კარგავდა და პულსი უჩქარდებოდა, სიცხე უწევდა და ოფლიანობდა. უძველესი დროიდან ხალხს სხვადასხვა ნიშანი ჰქონდა ავთვალიან ადამიანთა ამოსაცნობად, გათვალვა და ახლობლებისთვის ზიანის მიყენება, რა თქმა უნდა, ნებისმიერს შეუძლია, თანაც გაუცნობიერებლად. თუ გეჩვენებათ, თქვენს ნაცნობთა შორის ვიღაცას ავი თვალი აქვს, ან რკინას უნდა მოჰკიდოთ ხელი, ან თითები გადააჯვარედინოთ. თუ თანამოსაუბრისგან თქვენამდე დადებითი ენერგია არ მოდის და დაღლას გრძნობთ, ფეხები და ხელები უნდა გადააჯვარედინოთ და ამით თქვენ კეტავთ ბიოველს, რომლისგანაც მესაუბრეს შეუძლია თქვენი სასულდგმულო ენერგიის მიტაცება. ენერგიისგან დაცლილი და დასუსტებული ადამიანი კი ყველაფერში ხელმოცარულია, რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი. ასე რომ, გათვალვა თავისი ნეგატიური ზემოქმედებითა და დაბრკოლებებით თითქმის არ ჩამოუვარდება ისეთ მავნე ზემოქმედებას, რომელსაც ჰქვია ჯადო და რომელიც ანგრევს და შთანთქავს ადამიანის სასიცოცხლო რესურსს. ჩვენი საქმიანობა თავიდან ბოლომდე ეძღვნება იმის დიაგნოსტიკას, რამ გამოიწვია ადამიანებში ესა თუ ის წარუმატებლობა და შემდეგ ამ მავნე ზემოქმედების განეიტრალებას ვანდომებთ ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას. მაგრამ მაინც არსებობს მარტივი ოქროს წესები, რაც შეიძლება ჩვენს მკითხველებს გავუზიაროთ, თუ, რა თქმა უნდა, მათ სჯერათ იმ უარყოფითი ენერგეტიკული პროგრამების არსებობა, რასაც გათვალვა ჰქვია. ზოგიერთ ნივთს, რკინისგან შექმნილ ნაკეთობებს მართლაც შეუძლიათ, დამცავი ფუნქციის შესრულება. რატომ იყო, რომ ჩვენი წინაპრები ახალშობილ ბავშვებს სასთუმალთან დანებს უდებდნენ, ეს არ გახლავთ მხოლოდ ცრუმორწმუნეობა. დანა, ხანჯალი, გასაღები, ნალი, ცული, ბოქლომი, ლურსმანი, გიშრის ქვა დამცავ საშუალებად არის მიჩნეული და მაგიურ სახელმძღვანელოებში უამრავი ექსპერიმენტი წერია მათი დამცავ თილისმად გამოყენების შემთხვევაზე. ადამიანთა მზერაში ბევრი რამის ამოცნობა შეიძლება. ბევრი ადამიანისგან გამიგია, რომ ამა თუ იმ ადამიანთან შეხვედრა ცუდად აქვს დაცდილი და გრძნობს, იმ დღეს უსიამოვნება გარდაუვალია. ამას ადამიანები დაცდას ეძახიან. შეიძლება ის ადამიანი სულაც არ იყოს ზოგადად მათთვის გამაღიზიანებელი, ვისთან შეხვედრაც ცუდად დასცადეს და მათ ემალებიან, ასეთ გათვალვებს მოსდევს უბედური შემთხვევები, წარუმატებლობა, უიღბლობა და ა.შ. ადამიანთა თვალიდან წამოსულ გამოსხივებას როგორც უბედურების, ისე ბედნიერების მოტანა შეუძლია. არსებობს ავი თვალი და არსებობს კეთილი თვალი. გათვალვა თავისი ძლიერი პროგრამის წყალობით გათვალული ადამიანის შთამომავლობაზეც მოქმედებს. გათვალვის დროს ადამიანს ეწყება შიშები, თავის ტკივილი, ხშირი მთქნარება, თავს შეუძლოდ გრძნობს, ბედში და ბარაქასთან და სიყვარულთან დაკავშირებით ძალიან წარუმატებელია. საკუთარი დაკვირვებიდან ვიცი, რომ გათვალვის მსხვერპლი ხშირად ლამაზი და წარმატებული ადამიანი ხდება. ამიტომაც, თუ იგრძენით ამა თუ იმ ადამიანმა გაგათვალათ, დილით დაინახეთ და წარუმატებელი დღე გქონდათ, სახლიდან გამოსული უკან მიბრუნდით, ეს არამც და არამც არ უნდა გაუმხილოთ თქვენს გამთვალავს, რადგან ამ დროს ავის მოსურნის მზერა თავის უარყოფით ენერგიას აორმაგებს. ეს მისგან დამოუკიდებლად ხდება. გათვალვას ნუ ჩათვლით მარტივ და ადვილად მოსაშორებელ ინფორმაციად, რადგან მას შეუძლია, თქვენი ბედი რადიკალურად შეცვალოს და ამ ნეგატიურ პროგრამას ისევე სჭირდება მოცილება, როგორც ინფექციას, და დამარცხება, რათა თავი შრომისუნარიანად იგრძნოთ. გარდა იმისა, გათვალვა ბლოკავს თქვენი წარმატების მომტან არხებს, სერიოზულ ზიანს უქმნის თქვენს ჯანმრთელობას და სასიცოცხლო ენერგიას. ამიტომაც მოერიდეთ შემთხვევით ადამიანებთან თავის მოწონებას თქვენი შესაძლებლობების გამო, რადგან ეს თქვენი გათვალვის რისკს ხელს უწყობს. და თუ მაინც ყველაფერი ისე აღარ არის თქვენს ცხოვრებაში, როგორც იყო და როგორც მოგწონთ, ავი თვალისგან დამცავი ლოცვები და ფსალმუნები უნდა იკითხოთ, თუ ამანაც არ გიშველათ, მიმართოთ სათანადო დარგის სპეციალისტს, პარაფსიქოლოგს, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ნეგატიური პროგრამისგან თქვენი განთავისუფლება და ბედისწერაში სასიამოვნო კორექტივების შეტანა.

# „რატომ იყო, რომ ჩვენი წინაპრები ახალშობილ ბავშვებს სასთუმალთან დანებს უდებდნენ... ეს არ გახლავთ მხოლოდ ცრუმორწმუნეობა“



> **„თუ გეჩვენებათ, თქვენს ნაცნობთა შორის ვიღაცას ავი თვალი აქვს, ან რკინას უნდა მოჰკიდოთ ხელი, ან თითები გადააჯვარედინოთ. თუ თანამოსაუბრისგან თქვენამდე დადებითი ენერგია არ მოდის და დაღლას გრძნობთ, ფეხები და ხელები უნდა გადააჯვარედინოთ“**



# ჰობი



ლაურა აბრამია
591 97-67-09



მეგრული სიმღერების ცნობილი ავტორი და შემსრულებელი **ნანა ბელქანია** მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ წლებია, რუსთავში ცხოვრობს და ძალიან საინტერესო გატაცება აქვს, რაზეც თავად გვიყვება... დაიბადა და გაიზარდა სამეგრელოში, წალენჯიხის რაიონში, ახლაც დიდ დროს ატარებს ხოლმე მშობლიურ სოფელში, თავის სახლ-კარში, როცა ვერ ახერხებს ჩასვლას, მეზობლები პატრონობენ იქაურობას. ჰყავს ერთი ვაჟიშვილი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს. ჰყავს, ასევე, უამრავი ოთხფეხა მეგობარი.

**გყავთ უამრავი ცხოველი...**

– ჩემი მეორე და, ასევე, მთავარი გატაცება და საქმე რითიც ვსულდგმულობ, მავსებს და დიდი მონდომებით ვაკეთებ, არის შინაური ცხოველების მოვლა, ჩემდაუნებურად ხდება ისე, რომ მიტოვებულ და ქუჩაში გასაწირად დაგდებულ კატებს ვმფარველობ, ასევე, ძაღლებსაც, არ შემიძლია სხვანაირად, ათეულობით კატა მყავს, მომყავს, ვუვლი, არ ვაკლებ მზრუნველობას, ყველაფრით უზრუნველყოფილი დიდად არ ვარ, მოგეხსენებათ, რომ ჩემი შემოსავალი ძირითადად ჰონორარებია, მაგრამ ვანაწილებ, შეიძლება ჩემს თავს დავაკლო, მაგრამ ამ ჩემს ფისოებს ვერ მოვაკლებ, ზოგს „ვისკასი“ უყვარს და ვყიდულობ, ზოგს დასავლეთში მივდიოდი, მანქანის „ბაგაჟი“ სავსე მქონდა პურებით. თუ სადმე ტრასაზე, ე.წ. „პერევალზე“ ძაღლს ვნახავდი, მანქანას ვაჩერებდი და ვაპურებდი, „გაი“-ს რომ გავუჩერებივარ და მანქანაში ჩაუხედავთ, გაკვირვებით უკითხავთ, შიმშილობა დაიწყოო, ზუგდიდში არ იშოვება, რომ პურით გაქვთ მანქანა სავსეო? შეიძლება ბევრ რამეს ვნანობ, რაც გავაკეთე, ან ვერ გავაკეთე ცხოვრებაში, მაგრამ ამას არა, არ შემეძლო სხვანაირად.

**— ახლა, რაც შეეხება ერთ კონკრეტულ მეგრულ სიმღერას, „დიდოუ ნანას“, რომელიც თქვენი დაწერილია და მსმენელმა პირველად თქვენი უბადლო შესრულებით შეიყვარა. წლებია, ამ სიმღერამ დიდი პოპულარობით**

ძალიან ბევრი ვიფიქრე, გავიხსენე დედას ნამღერი, მამას ნამღერი, ვასილ ხარაბაძე ჩემი ლექტორი იყო, მისგან შესწავლილი ბევრი სიმღერა, მაგრამ ვერ მოვირგე რაღაც ვერც ერთი. დღესაც ასეთი ჩვევა მაქვს, მობეზრებული სიმღერები არ მიყვარს, რაღაც ახალი უნდა იყოს, მერე დავჯექი და დავწერე „დიდოუ ნანა“. ერთი კვირის თავზე დედა ჩამოვიდა თბილისში. იცი, დედა, მეგრული სიმღერა დავწერე-მეთქი. არ გაჰკვირვებია სიმღერის დაწერა, მეგრული რომ ვუთხარი, ამან ცოტა გააკვირვა, მივუჯექი პიანინოს და ვუმღერე, ვერ ვიმღერე ბოლომდე, ავცრემლიანდი, დედაც ავატირე, მაშინ მითხრა, მოგიკვდი მე შენო... მერე მეორე თუ მესამე დღეს ომარ

შემდეგ გარკვეული პერიოდი აბსოლუტურად „აბსაითში“ ვიყავი, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კონცერტების ბუმი იყო, მაგრამ ვერსად ვერ მივიღე მონაწილეობა, ყველა კარი დაიხურა ჩემთვის რატომღაც...

**— მაგრამ თქვენს სიმღერებს ხალხი მღერის, საქართველოს ფარგლებს გასცდა თქვენი „დიდოუ ნანა“, „სამარგალო გვალო შხვა რე“, „თოლიგე“...**

– მართალია, მაგრამ ბარემ ამაზეც გეტყვით. როგორც ზემოთ ვთქვი, ყველა ჯერზე, როცა სხვადასხვა ავტორების ღერები და კონკრეტულად „დიდოუ ნანა“ წლებია მსოფლიოს უვლის გარშემო, როგორც თურქული სიმღერა, უფრო მეტიც, თურქულ სერიალებს ადევს მელოდიად, ქაზიმ ქოიუნჯუ ასრულებს, რომელიც ცოცხალი არაა, ასევე, ერთ-ერთ თურქულ სერიალში. ძლივს მივაღწიე იმას, რომ თურქეთიდან გარკვეული

## „რადიოში ვიღაცამ ითხოვა მანანა თოდაძის „დიდოუ ნანა“, ვიფიქრე, მსმენელს შეეშალა-მეთქი! ასევე, შეასრულა თამრიკო ჭოხონელიძემ... რატომ არ შეიძლება, ეს ჩემთან შეთანხმებით მოხდეს?!“

## რას ითხოვს „დიდოუ ნანას“ ავტორი?





„სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კონცერტების ბუმი იყო, მაგრამ ვერსად ვერ მივიღე მონაწილეობა, ყველა კარი დაიხურა ჩემთვის“



„ახლა ამ დღეებში ამბავი რომაა ატეხილი, სომხებმა ქართული ცეკვები მიითვისესო, ჩემი სიმღერები და კონკრეტულად „დიდოუ ნანა“ წლებია, მსოფლიოს უვლის გარშემო, როგორც თურქული სიმღერა, უფრო მეტიც, თურქულ სერიალებს ადევს მელოდიად, ქაზიმ ქოიუნჯუ ასრულებს“

**— ქალბატონო ნანა, თქვენი ჰობი რა არის? ბავშვობის მოგონებები როგორია, ოცნებები, რომლებიც აიხდინეთ ან პირიქით?..**

– ჩემი მთავარი გატაცება იცით თქვენ, მეგრული სიმღერების შექმნა და მათი შესრულებაა, სიმღერა ჩემი ცხოვრებაა, ამით დავიწყე და მოვდივარ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ აეწყო ჩემი შემოქმედებითი გზა, ისე როგორც ეს მესახებოდა, ბევრი სიხარული და ამავე დროს იმედგაცრუება და გულისტკივილი მომიტანა სიმღერამ, მაგრამ მიყვარს და მასულდგმულებს ის, რაც შემიქმნია და შემისრულებია... ციკნები მყავდა ბევრი, სააღდგომოდ მამაჩემი ყველაზე მოვლილს გამოარჩევდა და დაკლავდა ხოლმე, ამაზე გაუთავებლად ვტიროდი. ოცნება, ალბათ, მომღერლობა იყო, რაც ავიხდინე, თუმცა ჩემი შემოქმედებითი გზა ცრემლიანიც იყო.

**— კიდევ რით ხართ დაკავებული ამჟამად, მე ვიცი, რომ**

– „კიტკატი“, ძალიან დიდ შრომაში ვარ, მთავარი ამ დროს სისუფთავის შენარჩუნებაა სახლში... ბევრი მიცნობს უკვე რუსთავში, თუ სადმე მიტოვებული კატაა, ყველა ჩემთან მოჰყავთ, როგორ შევძლო, არ ვუპატრონო, მერე ვასაჩუქრებ ხოლმე, მაგრამ ისე ვეჩვევი თითოეულს, რომ ძალიან მიჭირს მათი გაჩუქება. აი, გუშინ შევესწარი, ძაღლი როგორ ათრია მანქანამ ბორბლებით, გავეკიდე, მძღოლი გავაჩერე, შემდეგ გამოვიძახე საპატრულო პოლიცია, სანამ მოვიდნენ, დიდი დრო გავიდა, გავცივდი კიდეც, ვერ მივატოვე ეს ძაღლი, ცოცხალი იყო და მთელი ამბები. რა ვქნა, გული მისკდება მსგავს რამეებზე, ვერაფრით ავუვლი გვერდს.

**— როდის დაიწყო თქვენი შინაური ცხოველებით გატაცება?**

– ზუსტად ვერ ვიტყვი, ან ასე ვიტყვი, ყოველთვის „გამოუსწორებელი“ ვიყავი. გაგანია კომუნისტობისას, როცა საკუთარი მანქანით

**მოიარა თითქმის მსოფლიო, ბევრი ასრულებს, მაგრამ ამბობენ, რომ თქვენნაირად მაინც ვერავინ მღერის. გარდა იმისა, რომ მოგიტანათ აღიარება, ასევე, მოგიტანათ ბევრი იმედგაცრუება და გულისტკივილი...**

– დავიწყებ იქიდან, რომ ამ სიმღერას წლებია, მოიაზრებენ როგორც ხალხურს, ამიტომ დეტალურად მოვყვები მისი შექმნის ისტორიას. 1985 წელს დაიწერა „დიდოუ ნანა“, აწ განსვენებული ომარ კელაპტრიშვილი შემხვდა ფილარმონიაში, მე და მაყვალა ჩიხლაძე გიტარაზე ვასრულებდით სიმღერებს, მათ შორის ჩემს სიმღერებსაც. იმ კონკრეტულ დღეს ფილარმონიაში ძალიან ბევრი ხალხი იყო, ცალკე კაპელა, მოცეკვავეთა და მომღერალთა ანსამბლები. როცა სცენიდან გამოვდიოდით, ომარმა დამიძახა შორიდან, მივიხედე, გამიხარდა შენი ნახვა-მეთქი, მეც მიხარია, ტელევიზიაში ვარ, მოდი ჩემთან და რამე მეგრული სიმღერა მოიტანე თანო. იმ ღამეს დავჯექი, კელაპტრიშვილთან რომ ჩავედი ამ სიმღერით, მე რომ შევასრულე, ომარი მოშორებით იდგა და თვალებდახუჭული ისმენდა, კარგა ხანს ჩუმად იყო, მერე ტაში დაუკრა და მითხრა, ეს სიმღერა საიდან მოიტანეო, საიდან და აქ რომ მოვსულიყავი, მაგისთვის დავწერე-მეთქი, უიმე გადასარევიაო, მოიწონა. მას შემდეგ ჩავწერეთ ეს სიმღერა რამდენჯერმე, კონცერტებისთვის, ტელევიზიისთვის, მაგრამ დღეს ფონდში არც ერთი ჩანაწერი არ ინახება იმდროინდელი. რაც შეეხება იმას, რომ ათწლეულებია ეს სიმღერა ჟღერს, სიყვარულის ბალადაა, ასე ვთქვათ, და მოიაზრება ხშირად, როგორც ხალხური. მე ხომ არაფერს ვითხოვ განსაკუთრებულს, ამის გამოა სულ გაურკვევლობაში და ბრძოლაში ვარ, ვიბრძვი საავტორო უფლებისთვის, გარკვეულწილად მივაღწიე სამართალს, ჩვენი საავტოროს მიერ მიღწეულ იქნა გარკვეული შედეგი.

...მოსკოვში ვიმოღვაწევე თითქმის 11 წელი. სამშობლოში დაბრუნების

მიერ სრულდება ჩემი ეს სიმღერა, რომელთა ტექსტისა და მუსიკის ავტორიც მე გახლავართ, მიწევს მტკიცება, რომ ეს არ არის ხალხური, ეს უფრო 90-იანი წლების მერე დაიწყო, როცა მოსკოვიდან ჩამოვედი, ვუსმენდი ერთ-ერთ ქართულ რადიოს, სადაც ვიღაც ახალგაზრდა ბიჭმა დარეკა და ითხოვა მანანა თოდაძის „დიდოუ ნანა“. ვიფიქრე, მსმენელს შეეშალა-მეთქი და გაიჟღერა ჩემმა სიმღერამ თოდაძის შესრულებით, კი ბატონო, ტკბილი ხმა აქვს და კარგადაც ასრულებს, მაგრამ რატომ ხდება ამ სიმღერების სტუდიური ჩაწერა ჩემი გვერდის ავლით? ეს ხომ ელემენტარული უპატივცემლობაა. მეორე ფაქტი – ასევე, შეასრულა თამრიკო ჭოხონელიძემ. მე არ ვამბობ ცუდს არაფერს, თამრიკო კარგი მომღერალია, მოგეხსენებათ, უბრალოდ, რატომ არ შეიძლება ეს ჩემთან შეთანხმებით მოხდეს? ახლა ამ დღეებში ამბავი რომაა ატეხილი, სომხებმა ქართული ცეკვები მიითვისესო, ჩემი სიმღერები და კონკრეტულად „დიდოუ ნანა“ წლებია მსოფლიოს უვლის გარშემო, როგორც თურქული სიმღერა, უფრო მეტიც, თურქულ სერიალებს ადევს მელოდიად, ქაზიმ ქოიუნჯუ ასრულებს, რომელიც ცოცხალი არაა, ასევე, ერთ-ერთ თურქულ სერიალში. ძლივს მივაღწიე იმას, რომ თურქეთიდან გარკვეული ჰონორარი მერიცხება. ეს ბევრი არაა, თუმცა ესეც საქმეა, მაგრამ ხან ლაზურ სიმღერად მოიხსენიება, ხან მეგრულად. ხშირად როგორც თურქული.

**— მაინც რაზე გწყდებათ გული?**

– გული მწყდება რომ ჩემი გვერდის ავლით ჩემი სიმღერებით ფულს აკეთებენ, ბევრი მაგალითი მაქვს ამისი, მაგრამ არ დავკონკრეტდები. ბაზარში შევსულვარ, ქალები იძახდნენ, აუწიე, აუწიეო და იქ გამიგონია ჩემი სიმღერა, რომელიც ჩემი გვერდის ავლით ჩაწერეს და ფული აკეთეს. უკრაინაში გოგონა მღეროდა და რომ უთხრეს, სიმღერის ავტორი აქ დგასო, ფერი წაუვიდა. „ყვავილების ქვეყანაზე“ რომ ატყდა კიდევ ამბავი, 2003 წელს ბალეტი დაიდგა სახელწოდებით „ნეფესი“ ჩემს სიმღერაზე, ორი თურქი აწერს ხელს, ლიცენზია გაცემულია ჩემს მაგივრად, გერმანიის საავტოროს მივაკვლიე, რადგან ეს ბალეტი სხვადასხვა ქვეყნებში იდგმება, აი, ასეთ გაურკვევლობაში ვარ მთელი ეს წლები...



„კამერა არ ამუშავდა, შევამოწმე აკუმულატორი, ყველაფერი რიგზე იყო, კამერა არაფერს იღებდა. როგორც კი იქაურობა დავტოვე, კამერა ამუშავდა. ეს კიდევ არაფერი, როცა იერუსალიმში გადაღებულ ფირს ამჟღავნებდნენ, აღმოჩნდა, რომ ის კადრები, რაც გოლგოთაზე და უფლის საფლავთან გადავიღე, მთლიანად დაზიანდა“

# რა სასწაული მოხდა მერაბ თავაძის ცხოვრებაში?

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**რუბრიკის სტუმარია სამეფო უბნის თეატრის დამაარსებელი, მსახიობი და რეჟისორი მერაბ თავაძე.**

– არასოდეს მიფიქრია, მსახიობი ან რეჟისორი თუ გავხდებოდი. ჩემი მშობლები ინჟინრები იყვნენ, ვფიქრობდი, მათ გზას გავყვებოდი. მაგრამ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება. თბილისში ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის შემდეგ (რუსულ სკოლაში ვსწავლობდი), ხრუშჩოვის მოხსენების წაკითხვა დაიწყეს. მე გავაპროტესტე, არ მინდოდა ამ სისულელის მოსმენა და იქაურობის დატოვება გადავწყვიტე. სწორედ ამ მიზეზით გამრიცხეს სკოლიდან და ყველა სკოლის კარი „მგლის ბილეთის“ გამო ჩემთვის დაიკეტა. ბოლოს, ერთადერთმა ღამის სკოლამ მიმიღო და შევძელი ატესტატის აღება, მაგრამ ამ ატესტატით უმაღლეს სასწავლებელში არ მიღებდნენ. აკრძალვა მხოლოდ უცხო ენისა და თეატრალურ ინსტიტუტში არ ვრცელდებოდა. უცხო ენებზე ჩაბარებამ არ მიმიზიდა, რადგან იქ ძირითადად გოგონები სწავლობდნენ. სხვა არჩევანი არ მქონდა, თეატრალურში უნდა ჩამებარებინა და იმ იმედით გადავწყვიტე იქ ჩაბარება, რომ ერთი წლის შემდეგ სხვა ფაკულტეტზე გადავიდოდი. ამიყვანეს პედაგოგი და მასწავლეს ტურებზე გადასასვლელი მასალა. მისაღებში კომისიაში იყვნენ აკაკი ხორავა და დოდო ალექსიძე, რაღაცით მოვახერხე მათი მოწონება, როგორც ამბობდნენ, გარეგნულადაც არამიშავდა და მოხდა საოცრება, ჩავირიცხე სამსახიობო ფაკულტეტზე. როგორც გითხარით, იმ იმედით, რომ აუცილებლად შევიცვლიდი პროფესიას, მაგრამ, როგორც ჩანს, ბედისწერამ სწორედ იმ ადგილზე მიმიყვანა, სადაც ნამდვილად იყო ჩემი ადგილი, ჩემი პროფესიული არჩევანი კი შემდეგმა გარემოებამ განსაზღვრა. რეზო ჩხეიძე იღებდა ფილმს „ზღვის ბილიკი“ და მთავარი როლისთვის სჭირდებოდა ახალგაზრდა, რომელმაც კარგად იცოდა ცურვა. მე ბავშვობიდანვე ვცურავდი, ტიპაჟს პირველ რიგში თეატრალურზე დაუწყებდნენ ძებნას და ასე დამამტკიცეს როლზე. „ზღვის ბილიკის“ გადაღებები ბათუმში გვქონდა, ამ დროს ვიდექი ისეთი ლეგენდარული მსახიობის გვერდით, როგორიც იყო სერგო ზაქარიაძე, ერთად ვცხოვრობდით ინტურისტში, ჩვენი აივნები ერთმანეთს უყურებდა, სწორედ ამ პერიოდში ემზადებოდა ბატონი რეზო „ჯარისკაცის მამის“ გადასაღებად და ჩემს თვალწინ იქმნებოდა ფრაგმენტები ფილმისთვის, იძერწებოდა ჯარისკაცის მამის სახე. სწორედ აქ გადავწყვიტე, თავდაუზოგავად მეშრომა, რომ იმ მწვერვალს მივახლოებოდი, რასაც ნამდვილი მსახიობობა ჰქვია. ასე რომ, სერგო ზაქარიაძესთან ურთიერთობას გადამწყვეტი როლი მიუძღვის ჩემს პროფესიულ არჩევანში, რადგან მასთან ურთიერთობით ვეზიარე ამ პროფესიის ხიბლსა და საიდუმლოს. შემდეგ კი იმ ფილმში აღმოვჩნდი, რა სიტუაციასაც შეგნებულად გავერიდე. ეს გახლავთ ფილმი „თოჯინები იცინიან“, სადაც მე მომხიბვლელი ყმაწვილის, რეზიკო ბელთაძის როლი შევასრულე. საინტერესო აღმოჩნდა ამ როლზე მუშაობა, იყო ცოტა ფლირტი, ცოტა სიყვარული და ძალიან ბევრი ხალისი.



„ამ ამბის მერე ჩემში ბევრი რამ შეიცვალა, უკან დარჩა ახალგაზრდა მერაბ თავაძე, ბოჰემური ცხოვრება, სიფიცხე, სიმსუბუქე, სიჯიუტე, ახლა ჩემს ცხოვრებაში სხვა ეტაპია“

**— როგორც მსახიობს, 50-მდე როლი გაქვთ შესრულებული, თუმცა მსახიობის პროფესიას არ დასჯერდით და რეჟისურაში გადაინაცვლეთ. რამ განაპირობა ეს არჩევანი?**

– რეჟისორს მეტი საშუალება აქვს, შემოქმედებითი ფანტაზიის თვალსაზრისით, მსახიობი ერთ კონკრეტულ სახეს ქმნის, რომელსაც რეჟისორი სთავაზობს, ამიტომ გადავწყვიტე სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრება. სულ შვიდი ფილმი გადავიღე და შვიდივე ჩემი სცენარით. ეს იყო თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალება, თუმცალა კინოინდუსტრიას ჩემთვის ფინანსური წარმატება არ მოუტანია. გამორჩეულად მიყვარს მირზა გელოვანზე გადაღებული ფილმი „მე დავბრუნდები“, ფილმს უნდა აესახა უმძიმესი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, 1937 წელს ქართველი მწერლების ფიზიკური განადგურება და 1941 წელი, ახალგაზრდა კორიფეების მონაწილეობა დიდ სამამულო ომში. ეს ფილმი ცენზურისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ბოლოს გაფრთხილება მომივიდა მოსკოვიდან, თუ ერთ ეპიზოდს არ შევცვლიდი, ფილმი ვერასოდეს ნახავდა მზის სინათლეს. ზოგი კადრები ამომიჭრეს, ზოგი იძულებით შემაცვლევინეს და მაინც კარგა ხანს იყო დაბლოკილი ეს ფილმი საერთაშორისო ფესტივალებისთვის.



**— ბატონო მერაბ, ჩვენთვის ცნობილია, რომ ბედისწერის საჩუქარი იყო თქვენთვის იზა გოგიშვილის სიყვარული და მასთან ერთად გატარებული თანაცხოვრება. როცა ის პირველად გაიცანით, მიხვდით, რომ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდებოდა?**

– იზა და მე ერთად ვსწავლობდით და საუკეთესო მეგობრები ვიყავით, მეოთხე კურსიდან მიხეილ თუმანიშვილმა წაგვიყვანა რუსთაველის თეატრში, დგამდა მარსელ კარნეს „მატყუარებს“, დაგვამტკიცეს მთავარ როლებზე, სრულიად ახალგაზრდები. მე და იზამ აქ არაჩვეულებრივი სკოლა გავიარეთ. ჩვენი მეგობრობა ნელნელა სიყვარულში გადაიზარდა. ამ დროს ორივე გაშორებული ვიყავით პირველ მეუღლეებს, ჩვენ ერთად 40 წელი ვიცხოვრეთ და ეს იყო სიყვარულით სავსე 40 წელი, იგი არაჩვეულებრივი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, შეუპოვარი პიროვნება იყო. ჩემი ოჯახის თბილი და მოსიყვარულე დიასახლისი.

**— ბატონო მერაბ, თქვენსა და ქალბატონ იზას ცხოვრებაში იყო შემთხვევა, რაც სასწაულთა ქრონიკაში განიხილება, გვიამბეთ თქვენი პილიგრიმობის შესახებ თბილისიდან იერუსალიმამდე.**

– 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ იზამ გამოგვიცხადა, ფეხით უნდა ჩავიდე იერუსალიმში და უფლის საფლავი უნდა მოვილოცოო. თავდაპირველად მის განაცხადს არასერიოზულად შევხედე, ერთ დღეს იზა უჩვეულოდ აღელვებული დამხვდა და მიამბო ხილვის შესახებ. მითხრა, აივანზე ვიდექი და დავინახე, მოფრინავდა ვარდისფერი მანდილი და ვიფიქრე, მომეჩვენაო. ახლა სახლის მეორე მხარეს გავედი აივანზე და იგივე მანდილი დავინახე, ეს ზეციური ნიშანია და აუცილებლად უნდა წავიდე იერუსალიმის მოსალოცადო. ჩემი აზრი არც აინტერესებდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩემს შვილს ნიკას გავუმხილე, რომ დედამისს იერუსალიმში ფეხით წასვლა უნდოდა, გადავწყვიტეთ, მარტოს ვერ გავუშვებდით, ვიფიქრეთ, გავყოლოდით და ფილმი გადაგვეღო, რა თქმა უნდა, თურქეთის გავლით წავიდოდით, სადაც უამრავი ქართული საეკლესიო ძეგლია. მერე წავიდოდით საბერძნეთში, შემდეგ ეგვიპტეში და ასე ჩავაღწევდით იერუსალიმამდე. ჩვენს სურვილს სხვებიც შემოუერთდნენ, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ოპერატორები, გვჭირდებოდა საძილე ტომრები, წყლის ჭურჭელი, ბარგმა მთელი ოთახი აავსო, შეუძლებელი იყო ამ ბარგის გადატანა. ჩემმა მეგობარმა, საავიაციო ქარხნის დირექტორმა პანტიკო თორდიამ იყიდა რამდენიმე მანქანა ბარგის გადასატანად, ეს იყო არა მარტო პილიგრიმთა სვლა, არამედ სამეცნიერო ექსპედიცია. თითქმის ხუთი თვე დავყავით გზაში, დღეში 25 კმ-ის გავლა გვიწევდა, გვეძინა მიწაზე, ქარში, წვიმაში, გამოვცადეთ შიმშილი, წყურვილი, მაგრამ ამის გამო არავის დაუჩივლია. გადავიღეთ ისტორიული ძეგლები, გვიწევდა ძეგლების დასუფთავება, უამრავი დაბრკოლება შეგვხვდა, ომი სირიაში, ტერაქტი ეგვიპტეში, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ისრაელში. მოსახლეობა უდიდესი სიყვარულით შეგვეგება, შევხვდით იერუსალიმის პატრიარქს და ვთხოვეთ, გადაღების კურთხევა მოეცა გოლგოთის მთაზე და მაცხოვრის საფლავზე, მივიღეთ თანხმობა და გადავიღეთ. კაცები სინას მთაზე გავემგზავრეთ, იქ გადაღება კატეგორიულად აკრძალულია და მე მაინც შევაპარე პატარა ვიდეოკამერა და ჩუმად დავიწყე გადაღება. სწორედ ეს ამბავი განიხილება საოცრებათა ქრონიკაში, რასაც ახლა გეტყვით. კამერა არ ამუშავდა, შევამოწმე აკუმულატორი, ყველაფერი რიგზე იყო, კამერა არაფერს იღებდა. როგორც კი იქაურობა დავტოვე, კამერა ამუშავდა. ეს კიდევ არაფერი, როცა იერუსალიმში გადაღებულ ფირს ამჟღავნებდნენ, აღმოჩნდა, რომ ის კადრები, რაც გოლგოთაზე და უფლის საფლავთან გადავიღე, მთლიანად დაზიანდა.



**— რა შეცვალა თქვენს ცხოვრებაში პილიგრიმობამ?**

– ამ მოგზაურობის შემდეგ შევძელით მე და იზამ სამეფო უბნის თეატრის აშენება, ეს თეატრი ძველი თბილისის პატარა ქუჩაზე მდებარეობს, ამ ადგილს წარსულში კათოლიკეთა უბანს უწოდებდნენ, ქუჩის მთავარი შენობა კათოლიკური ეკლესია იყო. ზუბალაშვილებს აქ ჰქონდათ აგებული თავიანთი ქარვასლა, რომელსაც ძირითადად საწყობად იყენებდნენ. საუკუნეების მანძილზე რამდენიმე პატრონი შეიცვალა, სხვადასხვა დროს აქ იყო სინაგოგა, ებრაელთა თეატრი, ბერიას სახელობის კლუბი, „პირველი მაისის“ სახელობის კულტურის სახლი, სანდრო მრევლიშვილის თეატრი. 1988 წელს კი მიწისძვრის შედეგად თითქმის მთლიანად დაინგრა და დაცარიელდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ შენობას სიცოცხლე დავუბრუნეთ, 7 წელი გავიდა, სანამ შენობა შესაბამის ფორმას მიიღებდა და ამ ხნის მანძილზე გრძელდებოდა სასამართლო დავები მის გარშემო. ებრაული მხარე მედავებოდა, რომ მათ ეკუთვნოდათ, დავამტკიცე, რომ ეს არ იყო მათი საკუთრება. ამ თეატრის სულისჩამდგმელი და დამფუძნებელი იყო ჩემი იზა გიგოშვილი, ჩემი შვილები, ეს არის უდიდესი საჩუქარი, რაც იზამ დამიტოვა. გახსნიდან მალე დაიკეტა რუსთაველის თეატრი რემონტისთვის და ჩემი სცენა დავუთმე რუსთაველის თეატრს, 2003 წლის 14 იანვარს, თეატრის დღეს, რუსთაველის თეატრის დასს საზეიმო მიღება მოუწყვეს, ამ დროს იზა უკვე იყო ავად და მან ტელეფონით მიულოცა კოლეგებს და ბედნიერი პრემიერა უსურვა. ეს იყო იზას გამოთხოვება თავის უსაყვარლეს რუსთაველისა და სამეფო უბნის თეატრთან, სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ამბის მერე ჩემში ბევრი რამ შეიცვალა, უკან დარჩა ახალგაზრდა მერაბ თავაძე, ბოჰემური ცხოვრება, სიფიცხე, სიმსუბუქე, სიჯიუტე, ახლა ჩემს ცხოვრებაში სხვა ეტაპია, ღვთის სიყვარულით, სიმშვიდით, სიკეთის კეთების სურვილით სავსე. დღეს სამეფო უბნის თეატრის რეპერტუარი და ხელმძღვანელობა ჩემს ვაჟს ნიკა თავაძეს გადავაბარე, თეატრში მოვიდა ნიკას ვაჟი დათა თავაძე, რომელმაც მთელი თავისი ჯგუფი მოიყვანა. მე ვთვლი, რომ სამეფო უბნის თეატრი სისხლსავსე, შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს და ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა.

## ქოთნები



– გაიგე, კოტე ალპინიზმის სექციიდან რომ გაუგდიათ?

– არა, არ ვიცოდი. რატომ?

– წარმოიდგინე, თურმე, ის სულელი მეექვსე სართულზე ლიფტით ადიოდა და ვილაცამ დაინახა...

*****

– ბებია, სისხლი გემრიელია?

– მე რა ვიცი, შვილო, საიდან მოიტანე?

– რა ვიცი, მამიკომ თქვა, ბებიაშენმა მთელი სისხლი გამომწოვაო...

– ტვინი არ აქვს მამაშენს და იმიტომ თქვა ეგრე!

– ჰო, ვიცი – ტვინი ხომ ამ გაზაფხულზე უკვე შეუჭამე...

*****



შუახნის ქალი ექიმთან მივიდა:

– ექიმო, სტერილიზაციის გაკეთება მინდა.

– ჰო, მაგრამ ეს ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებაა, ოჯახთან გაიარეთ კონსულტაციები?

– კი, გავიარე – 17 თანახმაა, მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი!..

*****

ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, რა სასიამოვნო სურნელი გაქვს...

– ჰო, გუშინ რომ მაჩუქე, ის სუნამო ვიპკურე.

– მე შენთვის სუნამო არ მიჩუქებია!

– გიჩუქებია, გიჩუქებია – საფულეში ჩაიხედე...

*****

– როგორ გაგიშვა ქმარმა ღამის კლუბში?

– რა ვიცი – ქაფით სავსე აბაზანა მოვუმზადე და...

– მართლა? და ამან შეაჩერა?

– ჰმ! მომენტალური ქაფი რასაც გინდა, იმას შეაჩერებს!..

*****



შუაღამისას შვილი დედას აღვიძებს:

– დედა, მიდი რა, წყალი მომიტანე.

– ადექი და შენ თვითონ დალიე!

– აუ, მიდი რა, მომიტანე, ძალიან მწყურია.

– თუ არ მოკეტავ, ქმრით გაგტყეპ!

– ჰოდა, ქმრის ასაღებად რომ ადგები, წყალიც გამოაყოლე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები...

## იტალიაში მეხანძრეები ქალს... ერთგულების ქამრის მოხსნაში დაეხმარნენ



ერთგულების ქამარი პირველად საბერძნეთში, მონა ქალების არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან ასაცილებლად გამოიგონეს. შემდეგ გერმანიაში, ერთ-ერთმა მონარქმა ცოლის ერთგულების შესანარჩუნებლად გამოიყენა. შუა საუკუნეებში უკვე ფართოდ გავრცელდა და მისი გამოყენებით განსაკუთრებით იტალია გამოირჩეოდა. როგორც ჩანს, იტალია ამ ქამარს დღესაც ერთგულების შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს.

ფაქტი, რომელზეც უნდა მოგიყვეთ, არ დაიჯერებთ და ჩვენს დროში, 21-ე საუკუნეში, სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა. შეშფოთებულმა იტალიელმა ქალმა სახანძროს უჩვეულო თხოვნით მიმართა, – არიქა, თქვენი ჭირიმე, ქამრის გასაღები დავკარგე და არ დამღუპოთ, უსიკვდილოდ უნდა მაპოვნინოთო. შეწუხდნენ სახანძროს თანამშრომლები, – რაზეაო, ქალბატონო, ლაპარაკი, გვითხარით, დაახლოებით რა ტერიტორიაზე მოძრაობდით და რაც შეგვიძლია, შემოგევლოს ჩვენი თავიო. არა, ვერ გამიგეთო, ცოტა არ იყოს, სექსისგან თავის შეკავება მიჭირს და ე მანდ, რომ არ გავბოზებულიყავი, ერთგულების ქამარი ჩავიცვი და სადღაც გასაღები დავკარგეო. მთელი ცხოვრება ტანჯვას, მირჩევნია, ირიბ გზას დავადგეო.

სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა ცოტა კი იუხერხულეს ასეთი ამბის მოსმენა, მაგრამ ქალი შველას ითხოვდა და რა უნდა ექნათ? ადგნენ და ქამრის მოხსნაში დაეხმარნენ.

უცნობია, როგორ გადაუხადა ქალმა მაშველებს მადლობა...

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები...

## ასტრონომები მეცხრე პლანეტის არსებობას იკვლევენ



ასტრონომები მზის სისტემაში მეცხრე პლანეტის არსებობის შესახებ მსჯელობენ. აღნიშნულ ინფორმაციას „ბი-ბი-სი" ავრცელებს.

როგორც ცნობილია, იდეა, რომ ე.წ. ამოუცნობი პლანეტა შესაძლოა, მზის სისტემაში არსებობდეს, დებატების საგნად ბევრჯერ იქცა.

ამერიკელი ასტრონომების თქმით, არსებობს მტკიცებულება, რომ მზის სისტემის ორბიტაზე მეცხრე პლანეტა არსებობს, რომელიც სიდიდით მსოფლიოში ყველაზე პატარაა.

მათი გათვლებით, ობიექტი მზისგან ოცჯერ მოშორებულია, ვიდრე სისტემის მერვე პლანეტა ნეპტუნი, რომელიც მზეს 4 მილიარდზე მეტი კილომეტრითაა დაშორებული.

კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გუნდს ჯერ არ აქვს პირდაპირ დაკვირვების ანგარიში, რომელიც პლანეტის არსებობას დაადასტურებს.

„დედამიწაზე ბევრი ტელესკოპი არსებობს, რომლის მეშვეობითაც პლანეტის პოვნის შანსი იზრდება", – ამბობს უნივერსიტეტის დოქტორი მაიკ ბრაუნი.

მისივე თქმით, პლანეტის აღმოსაჩენად კოსმოსში გამგზავრებაა საჭირო.

„დიდი იმედი მაქვს ადამიანებს სურვილი გაუჩნდებათ, მეცხრე პლანეტის აღმოსაჩენად კოსმოსში გაემგზავრონ", – განაცხადა მან.

***gurianews.com***

საინტერესო ამბები...

## ვაკანსია — ადამიანი-კატა



ვაკანსია მათთვის, ვინც თვლის, რომ წინა ცხოვრებაში კატა იყო და ახლაც სურს, კატის ცხოვრებით იცხოვროს.

თქვენი ოცნების ახდენას ავსტრალიელი სოფი გპირდებათ. სოფიმ სოციალური ქსელით ვაკანსია გაავრცელა, სადაც ამბობს, რომ ეძებს ადამიან-კატას, რომელიც ოთხ ფეხზე ივლის და იკრუტუნებს, იქვე ამატებს, რომ ეს ხუმრობა არ არის.

გოგონას თქმით, ძილთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ფიქრობს, რომ კატის კრუტუნის ხმაზე უკეთ ჩაეძინება. დასაქმებული პირი ვალდებული იქნება, ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე მის საწოლში, ფეხებთან იწვეს, იკრუტუნოს და პატრონს პერიოდულად ყურადღება მიაქციოს.

ალბათ, დაინტერესდებით, რაში სჭირდება დაოთხილი ადამიანის კრუტუნი (თუ ხვრინვა, ეგ მერე გაირკვევა), მიიყვანოს კატა და უშველოს უძილობასო. საქმე ისაა, რომ სოფის კატის მოვლის დრო არ აქვს. ადამიან-კატას კი საათში 30-დან 60 ავსტრალიურ დოლარს ჰპირდება, რაც ჩვენს ვალუტაზე დაახლოებით, 50-დან 100 ლარია.

გაჩნია, როგორ კატობას გაუწევს პატრონს, შეიძლება დასაქმებულმა პრემიაც დაიმსახუროს.

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები...

## ყალბი ოქრო... პოლიციის აუქციონზე გაყიდეს



ბრიტანელმა ჯასტინ კაელმა პოლიციას უთხრა – „ტყუილის მთქმელს ის სარგებელი აქვს, რომ მართალსაც აღარ დაუჯერებენო". პოლიციამ ერთი ჩაიქირქილა და უპასუხა: „ვაიმე, ძმაო, თარხან, ჭკუაზე რა თხლად ხარ". ამაზე ჯასტინს გული ეტკინა და განაწყენებულმა მიუგო, – „პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქული!"...

პოლიციას ნამუსზე დიდი პრეტენზია არ განუცხადებია და თქვა, რომ ჯასტინ კელი თავისი დაუკვირვებლობის მსხვერპლია.

რა მოხდა სინამდვილეში და ჯასტინმა პოლიციის ინტერნეტაუქციონზე, სადაც მოპარულ საქონელს ყიდიან, 1000 დოლარად რვა „ოქროს" სამკაული შეიძინა. სამკაულს ეწერა – „ყვითელი ლითონი", რაც ბრიტანელმა ზედმეტი ფიქრის გარეშე, პირდაპირ ოქროდ მონათლა.

მოგვიანებით კი აღმოაჩინა, რომ ხელთ სპილენძის სამკაულები შერჩა.

მართალია, პოლიციას მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. აქეთ მოსდეს შარი, განზრახ გადაუმოწმებლად იყიდეო, თორემ რატომ არ დაინტერესდი, რა იგულისხმებოდა „ყვითელ ლითონშიო".

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები...

## საგანგაშო ვირუსი — მსოფლიოს მასობრივი გონებაჩამორჩენილობის საფრთხე ემუქრება



ბრაზილიის ხელისუფლება ვირუსი ზიკას სწრაფი გავრცელებით შეშფოთებულია.

როგორც მედიკოსები ირწმუნებიან, ერთი შეხედვით უწყინარი მიკროორგანიზმი მიკროცეფალიის მრავალ შემთხვევასთან არის დაკავშირებული.

ვირუსი აფრიკიდან და აზიიდან სამხრეთ ამერიკაში 2015 წელს გავრცელდა. ზიკამ ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებშიც შეაღწია, ამიტომაც მისი აშშ-ში გავრცელების საშიშროებაც არსებობს.

მედიკოსების განცხადებით, ზიკა ახალ ვირუსად ითვლება, ამიტომაც მისი საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერჯერობით არ არსებობს. ვირუსის პირველადი სიმპტომები ცხელება და კანზე გამონაყარია.

ბრაზილიელი სპეციალისტების განცხადებით, დადგინდა, რომ ვირუსი ახალშობილებში მიკროცეფალიის განვითარებისას ფიქსირდება. ვირუსი აღმოაჩინეს ნაყოფის ამნიონურ სითხეში, ასევე, იმ ბავშვების კანის ქსოვილში, რომლებიც დაბადებისთანავე გარდაიცვალნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვირუსს ბავშვის სხეულში შეღწევა ინფიცირებული დედის სხეულიდან შეუძლია, რაც გავლენას ახდენს ნაყოფის ნერვულ უჯრედებზე, აფერხებს ტვინის უჯრედების განვითარებას და მნიშვნელოვნად ამცირებს ტვინის ზომას.

***newpost.ge***

საინტერესო ამბები...

## სვით გონების დაბინდვამდე — სასმელი, რომელიც ნაბახუსევს არ იწვევს



ნოვაცია მათთვის, ვინც სასურველი დოზით ალკოჰოლის მიღებასა და თრობაზე იმიტომ ამბობდა უარს, რომ ცუდი ნაბახუსევი ჰქონდა და მეორე დღეს ერთი ჰექტარი თავით სამსახურში ვერ წავიდოდა.

ნუღარ დაიტოვებთ უკმარისობის განცდას – ჩრდილო კორეის მეცნიერებმა სპეციალურად თქვენთვის ალკოჰოლური სასმელი კორყო ლიქეორ შექმნეს, რომელიც, როგორც ამბობენ, ნაბახუსევის სინდრომს არ იწვევს.

ის ჟენშენის საფუძველზეა დამზადებული. სასმელში შაქარი წებოვანი მომწვარი ბრინჯით არის შეცვლილი.

მისი სიმაგრე 30-40 გრადუსს შეადგენს. ჩრდილოკორეელი სასმელის სპეციალისტების აზრით, ლიქიორს რბილი გემო აქვს, ხოლო მომწვარ წებოვან ბრინჯში შემავალი ამინომჟავები, ვიტამინები და მინერალური შენაერთები ცხიმის დაშლას უწყობს ხელს.

***alioni.info***

საინტერესო ამბები...

## ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახური ყველაზე კარგი დამსაქმებელი ორგანოა... გეებისთვის



დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახური გეი თანამშრომლებისთვის ყველაზე მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ასეთი შედეგი აჩვენა ერთ-ერთი „ლგბტ“ ადამიანების უფლებათა დამცველი ორგანიზაციის გამოკითხვამ.

კონტრდაზვერვის გენერალურმა დირექტორმა ენდრიუ პარკერმა განაცხადა, რომ მრავალფეროვნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლის ჭკუა და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ის“, – განმარტა ბრიტანეთის კონტრდაზვერვის უფროსმა.

ჰომოსექსუალების დასაქმების მხრივ რეიტინგში მეორე ადგილს ბრიტანეთის ყველაზე დიდი ბანკი იკავებს. მესამე ადგილი კი, უელსის საკანონმდებლო ორგანომ დაიკავა.

გამოკითხვა 400 სხვადასხვა ორგანიზაციაში ჩატარდა და მასში 60 ათასი თანამშრომელი მონაწილეობდა. მათ ანონიმურად გასცეს პასუხები კარიერის, კოლეგებთან დამოკიდებულების და სხვა, სამსახურზე გავლენის მქონე თემების შესახებ დასმულ კითხვებს.

გასულ წელს სადაზვერვო სამსახურმა ჰომოსექსუალებისადმი განსაკუთრებულად კარგი დამოკიდებულების გამო პირველი ადგილი დაიკავა, მაშინ, როდესაც 2014 წელს 24-ე ადგილზე იყო. ეტყობა, იფიქრეს, ე მანდ ჰომოფობიაში არ დაგვდონ ბრალიო და ვაკანსიას რომ აცხადებდნენ, ჰომოსექსუალობას პლუსად თვლიდნენ.

გაგიკვირდებათ და 1990-იანი წლების დასაწყისამდე კონტრდაზვერვის სამსახურში ჰომოსექსუალების მიღება აკრძალული იყო. სულ რაღაც 25 წელში კი, თავისი განვითარებისა და ლოიალურობის წყალობით, ჰომოსექსუალების მოწინავე დამცველი გახდა.

*lenta.ru*

## მაგიდის ზომა მადაზე გავლენას ახდენსო



როგორ შეიძლება ვაკონტროლოთ მიღებული საკვების რაოდენობა. კალიფორნიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტები ამბობენ, რომ პატარა და დიდი მაგიდები განსხვავებულად მოქმედებენ მადაზე.

ექსპერიმენტში მონაწილეების ნაწილს პიცა 8 ნაჭრად, მეორე ნაწილს კი 16 ნაჭრად დაუჭრეს.

დიდ მაგიდასთან მსხდომი მოხალისეები პატარა ნაჭრებს დიდად თვლიდნენ, ამიტომ პატარა მაგიდასთან მჯდარი მოხალისეებისგან განსხვავებით, უფრო ნაკლებს ჭამდნენ.

ასეთი მეთოდით მეცნიერებმა ორმაგი შედეგი მიიღეს, რომლის თანახმადაც, თუ არ გვინდა, რომ ბევრი ვჭამოთ, დიდ მაგიდასთან უნდა დავსხდეთ და საკვები პატარა ნაჭრებად უნდა დავჭრათ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები...

## ყველაზე მოხუცმა ბრიტანელმა დაბადების დღისთვის ახალი... ყბა ითხოვა



რა საჩუქარი სურთ ქალებს დაბადების დღისთვის? არსებობს რამდენიმე სტანდარტული ვარიანტი ასაკის მიხედვით. მაგალითად, 20 წლის ასაკში შეიძლება საჰაერო ბუშტები და სუნამო გაუხარდეს, 30 წლის ასაკში ავტომობილი, 50 წლისას, ალბათ, უკვე ჭურჭლის სარეცხი მანქანა ან ბეწვი გაახარებს, 80 წლისას ტორტი და, სავარაუდოდ, ყურის აპარატი, მაგრამ რაზე შეიძლება ოცნებობდეს 113 წლის ქალი?

გლედის ჰუპერი თავის 113-ე დაბადების დღეს ძალიან მოკრძალებული იყო. ბევრი არ მინდა, ხალხოო, ამ ცხოვრებისგან რაც შეიძლებოდა მივიღე, ამიტომ ერთი ჭიქა ჩაი, ერთი ნაჭერი ტორტი და ბარემ, ერთი ცალი ახალი ყბაც მომიყოლეთ, რომ ამ ყველაფერს მოვერიოო.

გლედისი 12 წელია მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს. დღესასწაულზე კი მეგობრები და ოჯახის წევრები ეწვივნენ. მისმა ვაჟმა, 85 წლის დერეკ ჰერმისტონმა თქვა, რომ გლედის ჰუპერი პროფესიონალი პიანისტი იყო. „ვხედავთ, ხანდახან მისი ხელები როგორ იმეორებს მოძრაობებს, თითქოს პიანინოზე უკრავს. ვფიქრობ, ასე იმ მელოდიებს იხსენებს, რომელსაც წარსულში უკრავდა“, – აღნიშნა ჰერმისტონმა.

გლედის ჰუპერი 1903 წელს ბრაიტონში დაიბადა. ბრიტანელი ქალი ისეთ მუსიკოსებთან და ჯაზმენებთან უკრავდა, როგორებიც ჯეკ პეინომი, დებროემ სომერი და მორის უინიკი არიან.

ალბათ, ახალგაზრდობაში, როცა უკრავდა, არ უფიქრია, რომ მოხუცთა თავშესაფარში იცხოვრებდა და პიანინოს ნაცვლად მუხლებზე აათამაშებდა თითებს. როგორიც არ უნდა იყოს აწმყო, მომავალი ყოველთვის ბუნდოვანია.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები...

## სახლი კატებს დაუთმო, თავად კი ტრაილერში გადასახლდა



რით შეიძლება ჩავანაცვლოთ მარტოობა? მეგობრებით, სამსახურით, შინაური ცხოველებით, მაგალითად, ერთი კატა, ან ორი... კაი, სამი, ოთხი, ხუთი, მაგრამ ათასობით?

აი, კალიფორნიელი ლინეია ლატანცომ თავისი ხუთოთახიანი, 390 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა კატებს დაუთმო და თავად საცხოვრებლად ტრაილერში გადავიდა.

ლინეია შტატების მასშტაბით ყველაზე დიდი ცხოველთა თავშესაფრის პატრონია, სადაც ცხოველები გისოსებს მიღმა არ სხედან.

მანქანა და ძვირფასეულობა გაყიდა და თავშესაფარი საკუთარი სახსრებით გახსნა. დღეს 800 დიდსა და 300 პატარა ცხოველს უვლის.

პირველად ქუჩიდან 1992 წელს გააყოლა ხელს უსახლკარო კატა. 1993 წელს ვეტერინარული განათლება მიიღო, რომ უკეთ დახმარებოდა ცხოველებს.

„არა მგონია, სხვა ვინმე კიდევ არსებობდეს, ვისაც 24 წლის მანძილზე 28 ათასამდე კატისთვის მოუვლია. შეიძლება, ეს რეკორდია“, – აცხადებს თავის გმირობაზე მოფიქრალი ლატანცო.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები...

## ტაივანში ფეხსაცმლის ფორმის ეკლესია ააგეს



დასაწყისისთვის, კარგი იქნებოდა შენობებისა და დაწესებულებების ზოგადი დანიშნულება და მათი აშენების პრინციპები სცოდნოდათ.

ჯერ ერთი, შე დალოცვილო, თუ ეკლესიაში წასვლა და ლოცვა არ მინდა, გინდ ფეხსაცმლის ფორმის ააშენე და გინდ ქვაბის. სულიერი საზრდო მომეცი, თორემ ხორციელს უფასო სასადილოშიც მივიღებ როგორმე, ნუ, თუ გამგეობამ არ იმაიმუნა. დანარჩენში კი – თუ არც სულიერად მიჭირს და არც ხორციელად და ფურშეტი და გართობა მინდა, კაფე-რესტორნის გზასაც გავიგნებ როგორმე, რაღა ეკლესიაში დავნაყრდე?!

როგორც ირკვევა, ტაივანში, **ocean view** პარკში გიგანტური შუშის ეკლესია ააგეს, რომელსაც ქუსლიანი ფეხსაცმლის ფორმა აქვს. მისი სიმაღლე 16.7 მეტრია და 320 ცალი ლურჯი მინისგან შედგება.

როგორც „ბიბისი“ წერს, უჩვეულო ფორმის ეკლესია მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მისაზიდად ააგეს. ეკლესიაში ხელმისაწვდომი იქნება 100 სახის მომსახურება, მათ შორის ფოტოსესია, ტორტითა და ორცხობილებით გამასპინძლება.

ტაძრის გახსნის ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, ჩინურ ახალ წელს – 8 თებერვალს გაიხსნება.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები...

## ნორვეგიაში ყველაზე პატარა კინოთეატრი გაიხსნა



ვინაიდან კინოთეატრი მხოლოდ ორ ადამიანს იტევს, ზედგამოჭრილია წყვილებისთვის.

კინოთეატრი ყოფილი კიოსკის ტერიტორიაზეა. მისი გახსნა ნორვეგიის 26-ე კინოფესტივალს დაემთხვა. მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში, დღეში ერთი ფილმი გავა.

ბილეთის ფასი 500 ნორვეგიული კრონია. ორგანიზატორების თქმით, დარბაზის ტექნიკური მხარე არ არის ჩვეულებრივი. ფილმს კინომექანიკოსი გაუშვებს.

*lenta.ru*



ყრუ-მუნჯმა თხილამურები აიღო და სასრიალოდ გასწია. გზაში მეზობელი შეხვდა:

– საით გაგიწევია?

ყრუ-მუნჯმა პროცესი ხელებით აუხსნა...

– გასაგებია... და თხილამურები რაღაში გჭირდება?

*****

გრამატიკის მასწავლებელი კოტეს ეკითხება:

– კოტე, ფრაზა: „საქმროს დავეძებ“, რომელი დროა?

– ეჰ, დაკარგული დროა, მას, დაკარგული!..

*****



მამა ვაჟს:

– შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და დროა, სექსზე ვისაუბროთ. მითხარი, გყავს მეგობარი გოგო?

– კი, მამა.

– ახლა კი უშუალოდ სექსზე: შენს მეგობარ გოგოს კაი დაქალი არ ჰყავს?

*****

– გძინავს?

– არა.

– აბა, თვალები რატომ გაქვს დახუჭული?

– რა ვიცი, მხედველობის ეკონომიაზე ვზრუნავ!..

*****

– გახსოვდეთ – სამსახურში მთელი 100 პროცენტით უნდა დაიხარჯოთ! უფრო ზუსტად: 12 პროცენტით ორშაბათობით, 23 პროცენტით სამშაბათობით, 40 პროცენტით ოთხშაბათობით, 20 პროცენტით ხუთშაბათობით და 5 პროცენტით პარასკევობით!

და გახსოვდეთ ისიც, რომ როცა შეფი გეჩხუბებათ, შეშფოთებული სახის მისაღებად 44 კუნთი უნდა აამოქმედოთ, ხოლო მხოლოდ 4 კუნთის ამოქმედებაა საჭირო შუა თითის გასაჭიმად...

*****



– სადღაც წავიკითხე, რომ თურმე, ადამიანი თავისი ცხოვრების 4 წელიწადს ტუალეტში ატარებს...

– მე ბევრად მეტს – ვაი-ფაი მაქვს!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

## ამერიკელი მოსამართლე დამნაშავეების გამოსწორებას „კრეატიული განაჩენებით“ ცდილობს



როგორც ჩანს, ამერიკაში იფიქრეს, ციხეში ჯდომა დამნაშავეებისთვის საკმარისი არ არისო და მათი აზრზე მოყვანის ახლებური ხერხებიც მოიგონეს. კერძოდ, ოჰაიოს შტატის ქალაქ ლეიქაუნთის მოსამართლე 54 წლის მაიკ ციკონეტი მსჯავრდადებულებს არჩევანის წინაშე აყენებს – ხანგრძლივი პატიმრობა, ან „კრეატიული განაჩენი“.

ასე მაგალითად, 26 წლის დიასახლისს მიშელ მიურეის, რომელმაც 35 კნუტი ქუჩაში გადაყარა, მოსამართლემ დაბურულ ტყეში მარტოდმარტო რამდენიმე დღის გატარება მიუსაჯა, რათა თავადაც ეგრძნო ის ტკივილი, რაც დაუცველმა ცხოველებმა იგრძნეს.

გარდა ამისა, ამავე მოსამართლემ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელმაც ნასვამ მდგომარეობაში უმისამართოდ სროლა დაიწყო, ცენტრალურ მორგში ერთკვირიანი სიარული მიუსაჯა, რათა მიცვალებულები ენახა. უფროსკლასელებს კი, რომლებმაც სკოლის ავტობუსის საბურავები დაჭრეს, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის პიკნიკის მოწყობა აიძულეს.

რამდენიმე მოზარდი, რომლებმაც ქალაქის ერთ-ერთ ტაძარში იესოს ქანდაკებაზე „666“ ამოტვიფრეს, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სამი დღის მანძილზე ქალაქის ქუჩებში შემდეგი წარწერით დადიოდა:

– გვაპატიეთ, რადგან ვირებივით მოვიქეცით...

მაიკ ციკონეტის თქმით, სავსებით შესაძლებელია, ზოგიერთებმა მას ვერ გაუგონ და იფიქრონ, რომ ადამიანებს ზედმეტად სასტიკად ექცევა, მაგრამ ამის მიუხედავად, უჩვეულო განაჩენების გამოტანას ის მომავალშიც აუცილებლად გააგრძელებს.

*etotupo.ru*

## ინსულტის გამოწვევა სირცხვილის გრძნობასაც კი შეუძლია?



ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება, რომელიც ათასობით ადამიანის სიცოცხლეს სპობს, იმაზე მეტად საშიში და საფრთხილო ყოფილა, ვიდრე ეს აქამდე გვეგონა. ჩვენ კი არა, თავად მედიკოსებიც ვერ მალავენ გაკვირვებას, რადგან ინსულტის გამოწვევა ერთი შეხედვით ყველაზე უწყინარ მოვლენას შეუძლია. ნიდერლანდელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინსულტის მიზეზი შეიძლება გახდეს, მაგალითად, ყავა, ერთი ქილა „კოკა-კოლა“, სექსი და თქვენ წარმოიდგინეთ, სირცხვილის გრძნობაც კი. სწორედ ჩამოთვლილი ფაქტორები ყოფილა ინსულტის შემთხვევათა 15-20 პროცენტის მიზეზი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს კიდევ უფრო დიდი ყურადღების გამოჩენა მართებთ.

კვლევის შედეგების თანახმად, კოფეინი ინსულტის საშიშროებას 10,6 პროცენტით ზრდის, მძიმე ფიზიკური დატვირთვა – 7,9 პროცენტით, დაცემინება – 5,4 პროცენტით, სექსუალური აქტი – 4,3 პროცენტით, „კოლა“ და „პეპსი“ 3,5 პროცენტით, სიბრაზე 1,3 პროცენტით და ასე შემდეგ.

*myjane.ru*

## სატელევიზიო რეკლამა ბავშვებს მადას უორმაგებსო



– სატელევიზიო ეთერში გასული რეკლამები მადას აძლიერებს და ორჯერ მეტი საჭმლის მიღებას გვაიძულებს, – ასეთი დასკვნა ლივერპულის ფსიქოლოგიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გამოიტანეს. მათი თქმით, განსაკუთრებული ზიანი ბავშვებს ადგებათ, რადგან პატარების შესაძლებლობები საკმარისზე დაბალია.

ექსპერიმენტში მონაწილეობა რამდენიმე ასეულმა 9-11 წლის ასაკის მოზარდმა მიიღო, რომლებიც სპეციალისტებმა ორ ჯგუფად დაყვეს. ბავშვების დავალება ასეთი იყო: მათ ჯერ ტელევიზორისთვის უნდა ეყურებინათ, შემდეგ კი ესადილათ.

ერთი ჯგუფი მულტფილმებს, დრო და დრო კი სათამაშოების რეკლამებს უყურებდა, მეორე კი იმავე მულტფილმებს, თუმცა ტკბილეულობის რეკლამებით.

როცა ბავშვები მაგიდას მიუსხდნენ, აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფის წევრებმა პირველთან შედარებით მნიშვნელოვნად ბევრი შეჭამეს.

აქედან გამომდინარე, დასკვნა ის გახლავთ, რომ სატელევიზიო რეკლამა სერიოზულად მოქმედებს კვების სტილზე და ხშირ შემთხვევებში გასუქების მიზეზიც ხდება.

*doctor-prof.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 435 553

„კვირის ქრონიკის“ რედაქტორი მანანა გიორგაძე

## სტრესი მიიღეთ? მიირთვით... მჟავე კიტრი



თუკი ამ მოსაზრებაში სიმართლის იოტისოდენა მარცვალი მაინც არის ჩადებული, გამოდის, რომ სხვადასხვა ანტიდეპრესანტით და ზოგადად, წამლებით გაჭყეპა აღარავის მოუწევს – სტრესს მიიღებს? მჟავე კიტრს „მისცხებს“ და მეორე დღეს ნერვიც აღარ გაუტოკდება.

რაც მთავარია, ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, იოტისოდენა კი არა, ისეთი მართლები ვართ, წყალი არ გაუვა ჩვენი კვლევის შედეგებსო.

მათი განმარტებით, მარილიანი საკვების დახმარებით, შესაძლებელია მღელვარებისა და სტრესის განადგურება.

რომ დავაკონკრეტოთ, კვლევამ აჩვენა, რომ ყველა მარილიან საკვებში და მით უმეტეს, დამწნილებულ კიტრში, დიდი რაოდენობით ნატრიუმი მოიპოვება, ნივთიერება, რომელიც ჰორმონ ანგიოტენზინის გამომუშავებას ამცირებს და ამით სხვა ჰორმონის – ოქსიტოცინის რაოდენობას ზრდის.

პირველი ჰორმონი მღელვარებასთანაა კავშირში, მეორე პირიქით – სიმშვიდესთან. შესაბამისად, ორგანიზმის დაწყნარებას ახერხებს.

– შედეგი ის არის, რომ სტრესი მინიმუმ მცირდება მაინც, თუ მთლიანად არ ქრება, – ასკვნიან ამერიკელი სპეციალისტები.

უნდა ითქვას, რომ ექსპერიმენტებში ლაბორატორიული თაგვები მონაწილეობდნენ, მაგრამ კონტინენტსგალმელები ამტკიცებენ, რომ ანალოგიურ გავლენას ახდენს მლაშე საკვები ადამიანებზეც.

ჰოდა, მიირთვით მჟავე კიტრი და დაემშვიდობეთ ნერვების შლას და მამაძაღლ დეპრესიას.

*myjane.ru*

## კონტრაბანდული ჰეროინი... ხალიჩებში



უმკაცრეს სასჯელს ამ ბინძურ საქმეში ჩართული აბსოლუტურად ყველა ადამიანი იმსახურებს, დაწყებული ბოსებიდან, დასრულებული რიგითი გამსაღებლებით!

როგორც ირკვევა, გერმანელმა მებაჟეებმა 45 კილო ჰეროინი ხალიჩების პარტიაში აღმოაჩინეს.

ამ ყველასთვის მოულოდნელ აღმოჩენას რამდენიმე ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა, რომლებიც პოლონეთის, საფრანგეთისა და ბელგიის მოქალაქეები არიან.

საქმის შესახებ სხვა ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია.

*mainfun.ru*

## საღეჭი რეზინი და სილამაზე: კავშირი არცთუ სასიამოვნო აღმოჩნდა



როგორც ირკვევა, საღეჭი რეზინის მოყვარულებში გაცილებით ხშირია ნაადრევი ნაოჭების გაჩენა.

სპეციალისტებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის დახმარებითაც დადგინდა, რომ კევის ხშირ გამოყენებას ის შედეგი მოსდევს, რომ სახის კუნთების ჯგუფები ზედმეტად იტვირთება. შესაბამისად, კარგავს ელასტიკურობას და ნაოჭებიც მალევე ჩნდება.

განსაკუთრებით დიდი პრობლემები ექმნება პირისა და ტუჩების მიდამოებს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამგვარი გზით გაჩენილი ნაოჭების გამოსწორება პლასტიკური ქირურგის ჩარევითაც ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ კვლევის ავტორები და თუ დავუჯერებთ, ისევ ჩვენთვისაა სასარგებლო.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*mediki.in.ua*



– რატომ არიან თქვენი შვილები ასეთი ჭაღარები?

– იმიტომ, რომ ღამით, ზღაპრების ნაცვლად, სიმართლეს ვუყვები ხოლმე!..

*****

მამაკაცი მეტროში მომხიბვლელ ქალს მისჩერებია. უყურებს, უყურებს, ლამის დორბლი მოსდის.

მობეზრდა ქალს და უსაყვედურა:

– უკაცრავად, ბატონო, მაგრამ გეყოფათ ამდენი ყურება. ისე მიყურებთ, თითქოს მაშიშვლებდეთ.

– რას ამბობთ, ქალბატონო, თქვენ უკვე იცვამთ, მე კი ვეწევი...

*****

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში:

– კი, მაგრამ ეს პაციენტი რატომ უშვებს გაზებს ასე შეუჩერებლად?!

– ის ფსიქიატრიის ახალი პერსონაჟია – ამბობს, „გაზპრომი“ ვარო...

*****



მამაკაცი მაღაზიაში:

– ამიწონეთ, გეთაყვა, 329 გრამი ძეხვი, 246 გრამი ყველი და 391 გრამი შაქარი...

გამყიდველმა მიაწოდა: ძეხვი, ყველი, შაქარი და პრეზერვატივები:

– აი, ბატონო, ეს პრეზერვატივი ჩვენგან საჩუქრად!

– კი, მაგრამ რისთვის?

– იმისთვის, რათა თქვენისთანები არ გამრავლდნენ!!!

*****

– ძვირფასო, მალე მამა გახდები!

– ე-ე-ე... ა-ა-ა... საიდან იცი?

– ჰმ! ვატიკანიდან დამირეკეს, იდიოტო!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატები*

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან -ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე (577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „კვირის ქრონიკაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2298-0016

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.23